

K62.246  
2



304  
1353

ბრიგოლ ვეზაველი

304  
315  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# ახალი საქართველო


წერილების კრებული

1924—1926

5779



სახელმწიფო გამომცემლობა  
ტფილისი — 1928.





9/VII—26. შვკვ. № 1359.  
მთაფარლიტი № 1036.  
ტირაჟი 4000.

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## ბრიგოლ ვეშაპელი

(1891 — 1926)

ბრიგოლ გიორგის ძე ვეშაპელი (ვეშაპიძე) დაიბადა სოფელ საირხეში (შორაპნის მაზ.) 1891 წელს. იყო ლარიბი გლეხის შვილი. განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც გაათავა, როგორც საუკეთესო მოწაფემ. გიმნაზიის გათავებისთანავე მას წერა-კითხვის გამარცვლებელ საზოგადოებამ დაუნიშნა სტიპენდია და ის შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1916 წელს.

უკვე სტუდენტობის დროს ვეშაპელმა მიიპყრო ყურადღება, როგორც ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს ორგანიზატორმა და პუბლიცისტმა.

ამ ხანებში ვეშაპელმა დასწერა რამოდენიმე შრომა რუსულ და ქართულ ენებზე. მათ შორის აღსანიშნავია „საქართველო და ლაზისტანი“ და „საქართველოს შეერთება რუსეთთან“.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ვეშაპელი დაბრუნდა საქართველოში. იგი სათავეში ჩაუდგა ეროვნ.-დემოკრ პარტიას, რომლის ფაქტიური დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო.

1917 წელში იგი არჩეულ იქმნა ა/კავკასიის სეიმის წევრად. შემდეგ მისი ინიციატივით და უახლოესი მონაწილეობით შეიქმნა საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელიც შემდეგ გარდაიქმნა პარლამენტად. ეროვნულ საბჭოსა და პარლამენტში ვეშაპელი იპყრობდა საზოგადოების ყურადღებას, როგორც საქმიანი და ჭკუამახვილი ორატორი. ამ ხანებში ვეშაპელი რედაქტორობდა ნ.-დ. პარტიის ორგანოს „საქართველოს“. საქ. დამფუძნებელი კრების წევრად ვეშაპელი გავიდა როგორც „დამოუკიდებელი ნ.-დ. პარტიის“ ხელმძღვანელი, რომლის ორგანო იყო გაზეთი „კლდე“.

1921 წელს ვეშაპელი არ გაყვა ემიგრაციაში ყოფილ მთავრობას, რამდენიმე ხანი დარჩა ბათუმში და მხოლოდ შემდეგ მართლ წავიდა სტამბოლში. ვეშაპელმა ემიგრაციაში ყოფნის დროს შემოიღარა იტალია, საფრანგეთი, ინგლისი და გერმანია. შეისწავლა ფრანგული, ინგლისური და გერმანული ენები, რამაც საშუალება

მისცა მას უშუალოდ გასცნობოდა ამ ქვეყნების მდგომარეობას და ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებს. 1924 წლამდე ვეშაპელის წყაროში მოებდა დიდ ანტი-ბოლშევიკურ მუშაობას — როგორც უფ. მენ-შევიკურ მთავრობასთან ერთად, ისე კერძოდ, მაგრამ ამ აქტიურ მუშაობაში იგი თანდათან რწმუნდებოდა, რომ ანტი-ბოლშევიკურ საქმეს ეკარგება ყოველგვარი ნიადაგი და საჭიროა სხვა ახალი გზების ძებნა.

და როცა მენშევიკური მთავრობა დაადგა აშკარა ავანტიურის გზას და გადასწყვიტა ამბოხების მოწყობა საქართველოში, — ვეშაპელმა გასწყვიტა ყოველგვარი კავშირი მის ყოფილ მოკავშირეებთან და 10 თვის განმავლობაში მუშაობდა პარიზის ერთ-ერთ ქარხანაში. 1924 წლის ივნისში ინაშულა პარიზში ერთი პასუხისმგებელი პირი, რომელსაც განუცხადა, რომ იგი მზადაა დაბრუნდეს საქართველოში.

ხალხის ტრფიალმა, საქართველოს სიყვარულმა ის გაბედულად მიიყვანა საბჭოთა ხელისუფლებასთან.

ასევე მოიქცევა საქართველოს კეთილდღეობისათვის მზრუნავი ინტელიგენცია და ყველა, ვინც ხალხის ინტერესებს პიროვნულ ინტერესებზე მაღლა აყენებს.

1924 წლის ნოემბერში ვეშაპელმა გამოსცა პარიზში გაზეთი „ახალი საქართველო“, რომლის პოზიცია და პოლიტიკური გეზი ცნობილია.

ამ გაზეთის გამოშვების შემდეგ ვეშაპელი მენშევიკური მთავრობის წყალობით ორჯერ იქნა გადასახლებული საფრანგეთიდან, განკარგულება მისი მესამეჯერ პარიზიდან გადასახლებისა შეჩერებულ იქნა ამხ. რაკოვსკის ენერგიულ პროტესტის შემდეგ.

ბოლო დროს გრ. ვეშაპელი საქართველოში დაბრუნებას აპირებდა. მაგრამ ვერაგი ადამიანის ხელმა ის გამოასალმა სიცოცხლეს და მას არ დასცალდა გამოეჩინა თავისი ჭკუა და ენერგია საბჭოთა აღმშენებლობის სარბიელზე.

ამ კრებულში იბეჭდება გრ. ვეშაპელის ის წერილები, რომელნიც თავის დროზე იბეჭდებოდა გაზეთ „ახალ საქართველოში“.

— : —

## გრიგოლ ვეშაპელი

ქართული ემიგრაცია საზღვარგარეთ სოციალურ-კლასიური თვალსაზრისით არ წარმოადგენდა ერთნაირ მასას.

რევოლუციის ქარიშხალმა დაჰბერა ისე მძლავრად, რომ გადახვეტა საქართველოდან და შავ ზღვას გადააშორა არა მარტო „დემოკრატიული მთავრობა“ და მასთან სულითა და ხორციით შეზრდილი, მისი ერთგული პოლიტიკური პოლიცია („საგანგებო რაზმი“), არამედ სტუდენტთა, მუშათა, ოფიცერთა და ჩვეულებრივ ობივტელთა საკმაო რაოდენობა, რომლებიც ასე თუ ისე იყვნენ დაკავშირებული ყოფილ მთავრობასთან დაშინებული იმ, განზრახ შეთხზული, უამრავი ცილისწამებით, რომლებსაც „მთავრობა“ ავრცელებდა ბოლშევიკების „სიმხეცის“ შესახებ.

ეს ხალხი შედარებით კომპაქტურ ჯგუფებად დანაწილდა საზღვარგარეთ; ასეთი განაწილება „მთავრობამ“ და „მთავრობის“ პარტიებმა მოახდინეს იმ იმედით, რომ უფრო ადვილი იქნებოდა გავლენის შენარჩუნება შეკავშირებულ ჯგუფებზე, ვიდრე ცალცალკე დაფანტულ ხალხზე; ეს ძნელი არ იყო: ევროპის „სტუმართ მოყვარე ნაპირებთან“ შეხიზნულ უბრალო ემიგრანტებს არ გააჩნდათ არც საღსარი, არც ნაცნობობა, არც თავშესაფარის მიღების შესაძლებლობა, არც ზღვის ნაპირიდან გასვლის ნებართვა და არც ევროპიული ენების ცოდნა; ყოველივე ეს მხოლოდ „მთავრობის“ მონოპოლიას შეადგენდა, რომელმაც თავისი „არმია“ გაანაწილა ისე, როგორც სურდა და სადაც სურდა.

ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის დახმარებით, რომელიც რუსეთში მოპარული ოქროდან სიამოვნებით აძლევდა სუბსიდიას ყოველგვარი სახის თეთრგვარდიელებს — „მთავრობას“ ან უფრო სწორედ რომ ვსთქვათ მენშევიკებს (როგორც ცნობილია ეს ერთი და იგივეა, ვინაიდან მათ ბედნიერი შესაძლებლობა ჰქონდათ არავისთვის არ გაენაწილებიათ ხელისუფლება). „მთავრობამ“ თავისი თანამო-

აზრების, უმთავრესად ახალგაზრდობის საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი „სტუდენტებად“ მოაწყო ჩეხო-სლოვაკიის სხვადასხვა სტუდენტულ ცენტრებში.



მეორე ცენტრი იყო გერმანია, სადაც მენშევიკებმა ჯერ კიდევ ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს გაგზავნეს ორასამდე ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის მიხედვად; მათ შეუერთდა რამოდენიმე კაცი უკანასკნელი ემიგრაციიდან.

ყველა დანარჩენები (უმეტესი ნაწილი) „ბელადების“ მეთაურობით, მათი ნათესავები, „საგანგებო რაზმით“, მაღალი თანამდებობის ოფიცრობით, „ცენტრალური კომიტეტებით“, „პარტიტუთული ორგანოებით“ და ემიგრაციის დანარჩენი „უმაღლესი წოდებით“, რომელთა ხელში იყო საქართველოდან გატაცებული ქონება, მოეწყვენ მდ. სენის საუცხოვო ნაპირებზე.

როცა თვითონ მოეწყვენ, „ბელადები“, შეუდგენ თავისი ერთგული ქვეშევრდომების „მოწყობასაც“. სტუდენტები და ამ ჰასაკის ახალგაზრდობა უცხოეთის სასწავლებლებში შეიყვანეს სხვადასხვა რეაქციონურ-კათოლიკურ ორგანიზაციების უმნიშვნელო სუბსიდიით, იმ ორგანიზაციების, რომლებსაც ზიზღით უყურებენ ევროპის ლიბერალურ წრეებშიაც კი; მუშები, უბრალო ოფიცრობა\*) და სასწავლებლების გარეშე დარჩენილი ახალგაზრდობა გაგზავნეს ფაბრიკებსა და მალაროებში, სადაც ისინი ზანგების შრომის პირობებში მუშაობდნენ; საგანგებო რაზმელებმა, დეპუტატებმა და მინისტრებმა, რომელთაც „სუბსიდია“ მიიღეს, უმთავრესად გახსნეს მაგარი სახმელეთით სავაჭროები და ფრანგი წვრილი ბურჟუას მაგვარ დამშვიდებულ ცხოვრებას შეუდგენ.

მოუწყობელი ხალხი კი იკვებებოდა უფრო ბედნიერი თანამემამულეების ხარჯზე.

„ბელადებმა“, საკმაოდ გაცხარებული დავისა და მწვავე შეტაკების შემდეგ გაინაწილეს ნაძარცვი ქონება, დაინიშნეს „ლირსეული“ ჯამაგირი და შეუდგენ „საქართველოს განთავისუფლებას“,

\*) სისწორის დასაცავად უნდა ითქვას, რომ ოფიცრების ნაწილი, პოლონეთის კონტრდაზვერვასთან „ინტიმური“ კავშირის მეოხებით მოწყობილ იქნა პოლონეთის არმიის აღმოსავლეთის გარნიზონების სამსახურში, ალბად დივერსიული ბანდების მოსაწყობად საბჭოთა კავშირის საზღვარის იქით.

მით უფრო, რომ მხოლოდ ეს მუშაობა აძლევდა გარანტიას ცოტად  
თუ ბევრად რეგულიარულად მიეღოთ სუბსიდიები უცხოეთის შიდა-  
რობათა კონტრაფერვისა და შტაბებისაგან, რომლებიც აგრეთვე  
იყვნენ დაინტერესებულნი „ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობით“,  
ან უფრო მარტივად რომ ვსთქვათ, ბაქოს ნავით.

ცხადია, რომ ასეთი ობიექტიური მდგომარეობის პირობებში  
თავისი იდეოლოგიური სახე უნდა გამოეაშკარაებიათ ემიგრაციის  
ცალკე სოციალურ ფენებს.

პირველი ორი წლის განმავლობაში მთელი ეს მასა იმდენად  
იყო გონება დაფანტული მომხდარი ამბებით, იმდენად იმყოფებოდა  
„ბელადების“ ჰიპნოზისა და „ბოლშევიკურ სიმხეცეთა“ ტერორ  
ქვეშ, რომ მას ფიქრის უნარიც კი ჰქონდა დაკარგული.

მეორეს მხრით, მუდმივი ზრუნვა ლუკმა პურისათვის, რომლის  
მიღება, მიუხედავად მისი მოპოებისათვის გაწეული მძიმე შრომისა,  
დამოკიდებული იყო „მთავრობისაგან“, (რომლის პროტექციითაც  
ისინი მუშაობდნენ), — მუშებს არ აძლევდა საშუალებას აეღოთ გარ-  
კვეული ორიენტაცია და კრიტიკულად მოპყრობოდნენ თავის ახალ  
მდგომარეობას.

„ბელადები“ ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს თავისი „მასე-  
ბის“ სულისკვეთებას. ყოველ ცენტრში, ცალკე ფაბრიკებშიაც კი,  
სადაც თავს იყრიდნენ ემიგრანტები, დანიშნული იყვნენ „საგანგებო  
რწმუნებულები“, რომელთა ამოცანას შეადგენდა არა მარტო „ბე-  
ლადებისათვის“ სასურველი აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება ქარ-  
თველ ემიგრანტებს შორის, არამედ საპოლიციო „ინფორმაციის“  
შეგროვებაც; ძველი საგანგებო რაზმელები, რომლებიც თავისი  
პროფესიით კარგად იყვნენ შეგუებულნი ამ მუშაობასთან, ყოფილ  
სოციალ-დემოკრატ პროპაგანდისტებთან ერთად შეადგენდნენ იმ  
საიმედო „აპარატს“, რომლის მეოხებითაც უორდანი-რამიშვილს  
„ლაგამი“ ჰქონდათ ამოდებული თავიანთ „მოქალაქეთათვის“.

ყოველგვარი მერყეობა მკაცრად ისჯებოდა; მთავრობას ჰქონ-  
და არა მარტო იმის საშუალება, რომ ლუკმა პური წაერთმია ემი-  
გრანტისათვის, — ჩამოერთმია სამუშაო ან უმნიშვნელო სუბსიდია,  
მას ჰქონდა აგრეთვე იმის საშუალებაც, რომ გამოეყენებია თავისი  
კავშირი უცხოეთის პოლიციასთან და ციხეში ჩაეგდო ან სახელმწი-  
ფოდან გაეძევებია ყოველი ურჩი „როგორც ბოლშევიკი“.

ქვემოდ ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ ფართედ იყენებდა ამ

„უფლებას“ თეთრგვარდიელთა „მთავრობა“ და, გარდა ამისა, რომელიც  
გორ მიმართავდა ფიზიკურ ძალადობას და პირდაპირ მკვლევრობას.

ამგვარად, მშრომელთა ფენებიდან გამოსული ქართველი ემიგრანტების თვითგამორკვევა ძნელდებოდა მთელი რიგი, თითქოს გადაულახავი დაბრკოლებებით; გამოცდილი და ძველი პარტიული პროპაგანდისტების გავლენის ქვეშ მყოფ, გაბოროტებული საგანგებო რაზმელების ცინიკური მუქარის ტერორ ქვეშ მყოფ ქართველ ემიგრანტს—სტუდენტს, ან მუშას, ოფიცერს, ან ინტელიგენტს—შეეძლო მხოლოდ მიეცა ხმა თავისი „ბელადებისათვის“, უსიტყვოდ შეესრულებია ამ ბელადების ნება-სურვილი, თავისი თავი დაესახა „ერთგულ ქვეშევრდომად“, „ბოლშევიკურ სიმხეცეთა მსხვერპლად“.

იგი ოხვრავდა მიტოვებულ სამშობლოზე, გაფაციცებით მოელოდა ყოველ ცნობას იქედან, მაგრამ ამავე დროს ვერც თავის თავში, ვერც თავის გარეთ ვერ ხედავდა ისეთ ძალას, რომელიც შესძლებდა მის გამოგლეჯას თეთრგვარდიელ ემიგრანტების საწინააღმდეგო ჭაობიდან და გამოუვალ ჩიხიდან გამოყვანას ფართე გზაზე მიტოვებულ სამშობლოსაკენ. მაგრამ სოციალ-დემოკრატი მუშას, რომელიც ემიგრაციაში დაუბრუნდა დაზგას, თავის ამხანაგების წრეში არ შეეძლო არ „მოეგონებია“ თავისი თავი, როგორც პროლეტარი და რევოლიუციონერი; ნაციონალისტ-სტუდენტს, რომელიც იცნებობდა თავისი რესპუბლიკის „ბრწყინვალე მომავალზე“, რომელსაც რომანტიულად აერია ყველა პერსპექტივები, უნდა ეგრძნო სასტიკი სიყალბე და წინააღმდეგობა სოციალ-დემოკრატების ფრაზებსა და რეაქციონურ-კლერიკალურ სუბსიდიას შორის. არც მუქარას, არც რჩევას არ შეეძლო შეეჩერებია ობიექტიური პროცესი, რომელსაც ასაწრდობდა ემიგრაციის სოციალური სხვადასხვაობა და მისი სხვადასხვა ჯგუფების ეკონომიური მდგომარეობა.

აქამდის დაფარულ განწყობილების გამომუდგენებას პირველი იმპულსი მისცა იმან, რომ საზღვარგარეთ დანიშნულ სისტემატიური ინფორმაციის მიღება საბჭოეთს საქართველოს შესახებ; მისი სამეურნეო-კულტურულ ცხოვრების ინტენსიური ზრდა, ნაციონალური ცხოვრების მოწყობა, ამიერ-კავკასიის ერების მშვიდობიანი თანამშრომლობა—ყველაფერი ეს იყო ფაქტები და იმდენათ ჯიუტი ფაქტები, რომ მათ წინაშე უძლური აღმოჩნდა ის

ჭოროტი ცილისწამება და ქორები, რომლებსაც წლობით აგრე-  
ლებდა თეთრგვარდიელთა პრესა.

ახალ საბჭოთა სოციალისტურ საქართველოში მუშაობის  
რადაც მშობლიური, ხოლო ინტელიგენტ ახალგაზრდობამ უკვე მი-  
ვიწყებული, მაგრამ ოდესღაც ძვირფასი იდეალი.

ყველაზე უფრო ენერგიულებმა და გაბედულებმა დაიწყეს ახა-  
ლი გზების ძებნა; ეს ყველაზე უფრო ადვილი იყო სტუდენტობის  
ახალ თაობისათვის, რომელიც პოეტ ნ. მიწიშვილის (ერთ-  
ერთ პირველთაგანი იმათ შორის, ვინც დაადგა თეთრგვარდიელებ-  
თან ბრძოლის გზას) მოხდენილი გამოთქმით „თავისუფალი იყო  
მამათა პარტიულ ცოდვებისაგან“, ეს ახალგაზრდობა, რომელიც  
ჯერ კიდევ 18 — 19 წლებში გაიგზავნა საზღვარგარეთ, ყველაზე  
უფრო ნაკლებ იყო მოწამლული საქართველოს სოციალ-დემოკრა-  
ტიის შემდგომი გახრწნის შხამით. მის ცნობიერებაში სადღაც კი-  
დევ ჩამარხული იყო დიდი რევოლიუციის იდეალები, ჯერ კიდევ  
შეუბილწავი 19 — 21 წლების მხეცური შოვინიზმით.

1923 წელს, ჯერ ბერლინში, შემდეგ გერმანიის სხვა საუნივერ-  
სიტეტო ქალაქებში, აგრეთვე ვენაში, ჩეხო-სლოვაკიაში და დაბო-  
ლოს საფრანგეთში ეწყობა სტუდენტთა წრეები განსაზღვრულ სა-  
ზოგადოებრივ-პოლიტიკურ პლატფორმით.

თუ ამ წრეების დადებითი პროგრამა ჯერ კიდევ არ არის სავ-  
სებით გარკვეული თვით ხსენებულ წრეებისათვის, სამაგიეროდ  
ერთში მათ აქვთ გარკვეული და ყველასათვის საერთო პოზიცია:  
ემიგრაციისთან იდეოლოგიური და ორგანიზაციული  
კავშირის გაწყვეტა ერთხელ და სამუდამოდ და გამო-  
ნახვა გზებისა საბჭოთა საქართველოსაკენ.

მოდრაობა თანდათან ფართოვდებოდა. 1923 წლის ბოლოს  
ყველგან, სადაც ქართველ ემიგრანტებს შორის იყო ახალგაზრდობა,  
დაარსდა საბჭოთა ჯგუფები, რომლებმაც 1923 წლის ბოლოს ბერ-  
ლინში მოაწყვეს თავისი ყრილობა, რომელზედაც ორგანიზაციულად  
და იდეურად ჩამოყალიბდა ახალი მოძრაობა.

მოდრაობის პროგრამათ დასახულ იქნა შემდეგი დადგენილე-  
ბები: კავშირის საბოლოოდ გაწყვეტა ემიგრაციასთან, მისთვის გა-  
დამწყვეტი ბრძოლის გამოცხადება და უყოყმანოდ ცნობა საბჭოთა  
რევოლიუციის საქართველოში და რევოლიუციის მიერ წამოყენე-  
ბულ მთავრობის და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობილების.

ყრილობის გადაწყვეტილება ახალ მოძრაობის წინაშე სახელდა  
ტაქტიკურ ხაზს, მაგრამ ამავე დროს არ ცდილობდა მის პრინ-  
ციპიალურ-იდეურ დასაბუთებას.



ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს არა მარტო მისი ორგანიზა-  
ტორების პოლიტიკური გამოუცდელობა, არამედ კიდევ უფრო მე-  
ტად ის, რომ თვით ყრილობის მონაწილეთათვის გაურკვეველი იყო  
მათი მუშაობის დადებითი პროგრამა და იმ იდეურ მოტი-  
ვების სხვადასხვაობა, რომლებმაც თვითეთული მათგანი მიი-  
ყვანა ამ ტაქტიკურ დასკვნამდე.

უკეთ რომ ვსთქვათ — მოძრაობა ჯერ მეტად ნორჩი იყო იმი-  
სათვის, რომ მას ჰქონოდა ჩამოყალიბებული იდეოლოგია. მისთვის  
საჭირო იყო საკუთარი სახის გამორკვევა და იდეურ სხვადასხვაო-  
ბისა და სიჭრელიდან საერთო პრინციპიალური ხაზის შემუშავება.

თავიდანვე დაისახა ორი ტენდენცია. ერთი — რომლის წარ-  
მომადგენელი იყო უფრო მცირერიცხოვანი ჯგუფი, — სოციალის-  
ტური, მეორე ნაციონალური, რომელსაც ემხრობოდენ უმრავლეს-  
ობა.

პირველი ტენდენციის წარმომადგენლები იყვნენ სტუდენტები  
„ახალგაზრდა მარქსისტების“ ჯგუფიდან. გამოდიოდენ რა მათთვის  
ნაცნობ მარქსისტულ მსოფლმხედველობიდან ისინი ნამდვილ მდგო-  
მარეობასთან გაცნობის შემდეგ აკეთებდენ უშუალო კომუნისტურ  
დასკვნებს; ამ ტენდენციამ, რომელსაც შემდეგში მხარი დაუჭირეს  
სოციალ-დემოკრატ მუშებმა, შექმნა ახალი მოძრაობის კო-  
მუნისტური ფრთა.

მეორე — ნაციონალურ ფრთას, უნდა ვაეველო თავისი გზა და  
ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამორკვეული თავისი იდეოლოგიური პლატ-  
ფორმა.

მისი ბელადი და მის მისწრაფებათა გამომხატველი გახდა გრი-  
გოლ ვეშაპელი.

დაწყებულმა მოძრაობამ დიდი ნერვიულობა და შიში გამო-  
იწვია ემიგრაციის ბელადებში, ხოლო მოძრაობის წარმატებამ —  
სრული პანიკა.

მიმართეს ზეგავლენის ყოველგვარ ზომებს: „დასნეულებულ“  
რაიონებში „ჩრევა-დარიგებისათვის“ ვაემგზავრენ თვით „ბელადე-  
ბი“; განდგომილებს მოუსპეს სუბსიდია და სამუშაო ე. ი. უკანასკნე-  
ლი ლუკმა; სასწრაფოდ დაარსეს ემიგრანტების ჟურნალი, რომელ-

საც „მემამბოხე“ ახალგაზრდობა უნდა დაემორჩილებია მენშევიზმის იდეურ ხელმძღვანელობისათვის; საგანგებო რაზმელებთან მხარე-ბით გააძლიერეს უსაზიზღრესი ცილისწამების და პოლიციისთან და-ბეზლების კამპანია, და დაბოლოს, რამიშვილის მითითებით ესრო-ლეს ახალი მოძრაობის მომხრე ერთ-ერთ სტუდენტს — ყანდარელს.

როგორც მოხალოდნელი იყო მიღებულია ზომებმა საწინააღ-მდეგო შედეგი გამოიღო; მცირერიცხოვან ახალგაზრდობის გაბე-დულმა ბრძოლამ გამხეცვებულ ემიგრაციის წინააღმდეგ, ახალგა-ზრდობისათვის განსაკუთრებით მძიმე პირობებში, მიიზიდა ყველა იმ ჯანსაღი და ცოცხალი ელემენტების ყურადღება, რომელიც ჯერ კიდევ იყო დარჩენილი ემიგრაციაში, იზრდებოდა ახალგაზრდობის რიგები და თანდათან უფრო გაბედული ხდებოდა მათი ბრძოლა. 1924 წლის აგვისტოში მომხდარ მენშევიკების უაზრო ავანტიურის შემდეგ ახალი მოძრაობა კიდევ უფრო ფართე ხასიათს ღებულობს.

აჯანყებამ გარკვევით დასვა საკითხი: შუა პოზიციები აღარ დარჩა — საჭირო იყო ან „მთავრობის“ ან „საბჭოების“ მხარეზე გა-დასვლა.

უნდა ვიცოდეთ, თუ როგორი პირობები იყო იმ დროს შექმნი-ლი ევროპაში ბურჟუაზიული პრესის მიერ, რომ დავაფასოთ იმათი გაბედულობა, ვინც გამოდიოდა უორდანიას და მისი ავანტიურების წინააღმდეგ.

აგვისტოს აჯანყებით იმედგაცრუებულმა ევროპის ბურჟუაზიამ და სოციალისტებმა მთელ მსოფლიოში ასტეხეს განგაში გაკოტრე-ბული მენშევიზმის დასაცავად და მოუწოდებდნენ ჯვაროსნული ომისაკენ კომუნისტების წინააღმდეგ.

ყოველგვარ ძალადობას საბჭოების მომხრეთა მიმართ აღრაცე-ბით ეგებებოდა გაბოროტებული და შიშით შეპყრობილი მეშჩანობა.

ამ გამწვავებულ პირობებში, როცა ორგანიზაციულად შეკავ-შირებული ახალგაზრდობა უდიდესი მამაცობით იცავდა თავის პო-ზიციებს, იმ სიძულვილისა და გაბოროტების აბოზოქრებულ ზღვა-ში, რომლის გაძლიერებასაც ხელს უწყობდა ბურჟუაზიული ხელის-უფლება და პრესა, თეთრგვარდიელების ცენტრში — პარიზში გაისმა ბურჟუაზიულ საქართველოს ერთ-ერთ „ბელადის“, ვეშაპლის ხმა, რომელიც არა მარტო მოუწოდებდა ემიგრაციის წინააღმდეგ და-წყებულ ბრძოლის გაგრძელებისაკენ, არამედ იდეურადაც ასაბუ-თებდა ამ ბრძოლას.

ეს პლატფორმა მან ბერლინის ქართული (საბჭოთა) კოლონიის  
სხდომაზე შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

„ჩვენ უნდა ვალიაროთ, რომ რუსეთის, როგორც ყველაზე  
უფრო ძლიერი მეზობლის ორიენტაცია უფრო რეალურია ქართ-  
ველი ხალხისათვის სტრატეგიული თვალსაზრისით. საბჭოთა რუსე-  
თი კი საქართველოსათვის წარმოადგენს საუკეთესო ეროვნულ-სა-  
ხელმწიფოებრივ ფორმას, ვინაიდან საბჭოთა საკავშირო კონსტი-  
ტუცია საქართველოს, როგორც კავშირის სხვა ეროვნულ რესპუბ-  
ლიკებს, ანიჭებს თანასწორ უფლებებს დიდ რუსეთთან ერთად.  
რაც შეეხება საბჭოთა რუსეთისა და მისი მმართველი პარტიის ინ-  
ტერნაციონალურ სახეს, — ის მცირერიცხოვან ქართველი ხალხის  
რესპუბლიკისათვის წარმოადგენს უკეთეს გარანტიას, ვიდრე უნე-  
ვის ერთა ლიგა ან ამსტერდამის ინტერნაციონალი, ვინაიდან ეს  
ინტერნაციონალური სახე საქართველოს აძლევს ორ თანამედროვე  
მსოფლიო ფაქტორის (პროლეტარიატის სოციალური განთავისუფ-  
ლებისა და კოლონიალურ ხალხების ეროვნული განთავისუფლების)  
პროტექციებს და საქართველოს უთმობს საპატიო პოსტს ამ ფაქ-  
ტორების ავანგარდში, აზიის შესავალ კარებში“.

ვეშაპელის ამ პირვანდელ პლატფორმას არსებითად ჯერ კი-  
დედ ბურჟუაზიული და ნაციონალისტური მსოფლმხედველობის ბე-  
ჭედი აზის, აქ ავტორი მთლიანად იმ ძველი იდეების გავლენის ქვეშ  
იმყოფება, რომლებთანაც მან გასწყვიტა კავშირი ორიენტაციით  
(„რუსეთის, როგორც ყველაზე უფრო ძლიერ მეზობლის ორიენ-  
ტაცია“), მაგრამ რომელთა გავლენას ის სავსებით განიცდიდა; მას  
არ აინტერესებს საბჭოთა ხელისუფლების კლასობრივი ხასიათი,  
ამას ავტორისათვის აქვს ღირებულება, როგორც ძალას, რომელიც  
ყველაზე მეტად უზრუნველყოფს „მცირერიცხოვან ქართველი ხალ-  
ხის რესპუბლიკას“.

მისი ფორმულა განყენებულად დიპლომატიურია, თითქმის ხელ-  
უხლებელი რჩება ძველი დემოკრატიული საქართველო და მის  
გვერდით საბჭოთა რუსეთი და აი, სხვადასხვა ნაციონალისტური  
ხასიათის მოსაზრებებით, ავტორი ირჩევს საბჭოთა რუსეთის ორი-  
ენტაციას.

გრიგოლ ვეშაპელი თავის პლატფორმაში რჩება „პატარა ერე-  
ბის“ ნაციონალისტური ბურჟუაზიის იმ ნაწილის გამომხატველი,  
რომელმაც, დაჰკარგა რა ევროპის რეალური დახმარების იმედი,

ფიქრობდა, რომ მომენტის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ჯერ-  
ჯერობით საკუთარი ეროვნული რესპუბლიკის „განმტკიცება“ და  
ლეგალურ ფარგლებში მისი უფლებების გაფართოებისთვის მისი  
წარმოება.

ვეშაპელის გამოსვლისა და მის მიერ გაზეთ „ახალი საქართვე-  
ლოს“-ს გამოცემის შემდეგ მოძრაობა დებულობს იდეურ ორგანი-  
ზაციულ ხასიათს.

დღემდე ახალი იდეოლოგიის მატარებელი იყვნენ „სტუდენტთა  
კავშირები“ და თითო-ოროლა მუშა და ინტელიგენტი, — ეხლა კი  
მოძრაობა ფართოვდება და სოციალურად ღრმავდება. მცირერიც-  
ხოვან, მაგრამ გავლენიან კომუნისტურ ფრთის აქტიური მუშაობით,  
სტუდენტთა კავშირები თავს აღწევენ ნაციონალურ კარჩაკეტილო-  
ბას, იწვევენ ამ.-კავკასიის (საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ) სტუ-  
დენტთა ორგანიზაციების გაერთიანებულ ყრილობას და პირველად  
ჰქმნიან საზღვარგარეთ ამიერ-კავკასიის სტუდენტთა (სომხები,  
აზერბეიჯანელები, ქართველები, რუსები, გერმანელი კოლონისტები  
და სხვ.) საერთო კავშირს.

შემდეგ ამ მოძრაობას ემხრობიან არა სტუდენტური ინტელი-  
გენციაც, სამხედრო პირები და სხვა ემიგრანტები.

ამ ახალი ფენების შესაკავშირებლად საჭირო ხდება ახალი  
ორგანიზაციის მოწყობა; „სტუდენტთა კავშირის“ ნაცვლად იქმნება  
უველასათვის მისაღები ახალი ფორმა — „საბჭოთა კოლონია“, რო-  
მელიც ხდება დაწყებული ბრძოლის დასაყრდენ პუნქტად.

ამავე დროს იწყება სოციალ-დემოკრატ მუშების მასიუ-  
რად ჩამოცილება ემიგრაციისაგან; ამ შემთხვევაში გამო-  
სავალ წერტილს წარმოადგენდა არა ვეშაპელის ნაციონალისტური  
კონცეპცია, არამედ კლასობრივი. ემიგრაციას ჩამოშორებულ მუშა-  
თა ჯგუფები დაუყოვნებლივ არკვევენ თავის გზას კომუნიზმისაკენ.

სტუდენტობა ეხლა უკანა პლანზე სდგება და ბრძოლას უმთავ-  
რესად აწარმოებენ მუშები და საბჭოთა კოლონიები, სადაც მთავარ  
ძალას მუშები შეადგენენ.

ამისდა მიხედვით საბჭოთა ცენტრი გერმანიისა და ჩეხო-სლოვა-  
კიის სტუდენტთა რაიონებიდან გადატანილ იქნა საფრანგეთში, სა-  
დაც სჭარბობდნენ ის მუშები, რომელთაც კავშირი გასწყვიტეს  
ემიგრაციასთან.



ბრძოლის პირველი ეტაპი განვლილია. ამ ეტაპზე ჩვენ ვხე-  
დავთ ვეშაპელს, როგორც ახალი ჯგუფის იდეოლოგიის მხარდ  
გელაღსა და მისი შეხედულებების გამოხატველს; მართა-

ლია, თავიდანვე მის წინააღმდეგ, თავისავე ბანაკში, იბრძოდა კომუ-  
ნისტური ოპოზიცია, მაგრამ უმრავლესობა, რამდენადაც მაშინ სტუ-  
დენტობა მთავარ როლს თამაშობდა, მის იდეოლოგიას, მის ბურ-  
ჟუაზიულ-ნაციონალისტურ პლატფორმას იზიარებდა. მაგრამ სტუ-  
დენტთა კავშირების შემდგომი ევოლიუცია, ეროვნული კარჩაკე-  
ტილობიდან ინტერნაციონალურ თანამშრომლობისაკენ და საერ-  
თოდ სტუდენტთა კავშირების გადასვლა კომუნისტების ზეგავლენ-  
ით ორგანიზაციისა და ბრძოლის უფრო მაღალ ფორმებზე ხდება  
ვეშაპელის ხელმძღვანელობის გარეშე, ის ეხლა ამ ამბებს ხელ-  
მძღვანელობას კი არ უწევს, როგორც წინააღმდეგედ მისდევს მათ.

მუშების გამოსვლა თითქოს ხავსებით ჩრდილავს მას, მთავარ  
ძალად ბრძოლაში ხდება ახალ გზაზე დამდგარი მუშა, რომე-  
ლიც, რათქმა უნდა უარს ამბობს, იბრძოლოს ვეშაპელის ნაციონა-  
ლისტური დროშის ქვეშ, თუნდაც, რომ ამ დროშაზე საბჭოთა ლო-  
ზუნგები ეწეროს.

მუშების გამოსვლა ბრძოლას უკიდურესად ამწვავებს. მენშე-  
ვიკებს კარგად ესმით, რომ მუშათა კადრების დაკარგვით, ისინი  
სამუდამოდ უცხონი ხდებიან საქართველოსათვის.

მუშების შენარჩუნებისათვის ბრძოლა პირდაპირ გააფთრებით  
სწარმოებდა; საფრანგეთის პოლიცია თავის მხრივ უორდანიას „მთავ-  
რობის“ უაღრესად აქტიური მოკავშირე გახდა.

უოველ მერყევ მუშას დაუყოვნებლივ ქუჩაში ჰყრიდნენ ულუკ-  
მა-პუროდ; პოლიცია ემუქრებოდა ასეთ მუშას გაძევებით და ამით  
მენშევიკებისათვის „ბრძოლის ველს“ ასუფთავებდა; მუშებთან მი-  
ვიდა თვით ი. წერეთელი თავისი „მემარცხენე, რუსოფილური“  
პლატფორმით იმ იმედით, რომ პარტიაში გაეჩერებია მუშები თუნ-  
დაც „ოპოზიციის“ როლში; ყველაზე უფრო გავლენიან და გაბე-  
დულ მუშებზე საგანგებო რაზმის წევრები ქუჩებში თავდასხმას  
აწყობდნენ, რასაც მოსდევდა ცემა-ტყეპა და დაჭრა-დასახიჩრება.  
1926 წლის 10 აგვისტოს გაიმართა ემიგრანტებისაგან ჩამოშორე-  
ბული მუშების პირველი კრება; მას თავს დაესხა რამიშვილის შე-  
იარაღებული ბანდა, რომელმაც საფრანგეთის პოლიციასთან ერთად  
გარეკა კრება და ცემა-ტყეპით სისხლი ადინა მის მონაწილეებს:

დაიწყო სისტემატიური ტერორის მზადება მოძრაობის <sup>სტრუქტურული</sup> ნელთა წინააღმდეგ.

ბრძოლის ამ ახალმა საფეხურმა ვეზაქელის შეზღუდვანი აშკარა გარდატეხა გამოიწვია.

პირველ ყოვლისა, მისთვის სრულიად ცხადი გახდა, რომ ვერც ბურჟუაზია, ვერც ბურჟუაზიული ინტელიგენცია ვერ იბრძოლებენ მისი ფაქიზი (რასაკვირველია, უტოპიური) ნაციონალური იდეალისათვის; მისთვის სრულიად ნათელი შეიქნა, რომ ქართველი ბურჟუაზია მზად არის მოაოხროს და დაარბიოს საქართველო, რამდენადაც იგი მუშათა და გლეხთა რესპუბლიკაა, ხოლო საფრანგეთის ბურჟუაზია მხარს უჭერს ვეშაპელის მტრებს, რისხვად ატყდება მის მეგობრებს — „პატრიოტებს“ და გზას იკაფავს ბაქოს ნავთისა და სხვა საუნჯეებისაკენ, თუნდაც ამ გზის გასაკაფავად საჭირო შეიქმნას, რომ ნანგრევებად იქცეს საქართველო და ცეცხლის აღში გაეხვიოს იგი.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ვეშაპელი იბრძოდა მუშებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული; მან „იპოვა“ ის სოციალური კლასი, რომელიც ყოველგვარი გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთად-ერთი მატარებელია; მან უკვე დაინახა ეროვნული პრობლემის სოციალური საფუძვლები და ხალხთა თავისუფლების კავშირი პროლეტარიატის გამარჯვებასთან.

ამ მომენტიდან გრიგოლ ვეშაპელმა დაიწყო თავისი პირვანდელი თვალსაზრისის გადათვლიერება და კომუნისტურად განწყობილი მუშების, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, პოლიტიკური „თანამზამტარი“ გახდა. კომუნიზმს მას ჯერ კიდევ აშორებდა ნაციონალური მიდგომა მუშათა დიდი რევოლიუციისადმი.\*)

მუშათა მოღვაწეებთან ერთად ვეშაპელი ჩვეულებრივი ჯიუტობითა და გაბედულებით განაგრძობდა ბრძოლას ახალ პოზიციებზე.

მუშათა კადრების დაკარგვამ, ვეშაპელის გაზეთის „ახალი საქართველოს“ ახალმა პოლიტიკურმა ხაზმა, რომელიც მოძრაობის

\*) ცოტა ხანს შემდეგ ვეშაპელმა წარსულის ეს ნაშთიც დასძლია და საჭირო ნაბიჯები გადასდგა კომუნისტურ პარტიაში შესასვლელად.

გეზს კომუნიზმისაკენ მიმართავდა, თეთრგვარდიელები გააღმასა და  
გააფთრა.

რამიშვილსა და მის ბანდას კიდევ შეეძლოთ ერთგვარი წინა-  
სწორობა შეენარჩუნებიათ მანამდე, ვიდრე ვეშაპელი არსებითად  
ისევ ნაციონალისტი იყო, თუმცა „სხვა ორიენტაციისა“, მაგრამ  
როდესაც იგი ფაქტიურად ჩადგა გაბოლშევიკების გზაზე შემდგა-  
რი მუშების რიგში და მათ ახმარებდა თავის ნიჭიერ კალამს, დაუ-  
ცხრომელ ენერგიას, დიდ პატიოსნებას და არაჩვეულებრივ გაბე-  
დულებას, მაშინ თეთრგვარდიელთა ხროვა შეიპყრო დაბრმავებულ-  
მა ბოროტებამ და პირუტყვულმა გააფთრებამ.

ვეშაპელის ბედი გადაწყვეტილი იყო, რამიშვილმა დაიწყო მზა-  
დება მკვლელობისათვის.

ამას ყველა გრძნობდა.

თითონ ვეშაპელმა იცოდა ეს. როგორც დევნილი ნადირი გა-  
დადიოდა ის ბინიდან ბინაზე, ფარავდა თავის კვალს და ამავე  
დროს გაურბოდა საფრანგეთის პოლიციას, რომელმაც გადასწყვიტა  
დახმარებოდა მენშევიკებს და გაეძევა მათი ყველაზე უფრო  
შეურიგებელი მტერი.

ის თითქმის მარტოდ მარტო იყო ამ სამკვდრო-სასიცოცხლო  
ბრძოლაში.

ამ დროისთვის საფრანგეთის პოლიციამ გააძევა საფრანგე-  
თის საზღვრებიდან არა მარტო ხელმძღვანელები საბ-  
ჭოთა კოლონიისა, არამედ მისი უბრალო წევრებიც კი.

ვეშაპელს ერთი წუთითაც კი არ დაუგდია კალამი, ერთი საა-  
თითაც კი არ დაუტოვებია მოწინავე პოზიცია; ისევ კიდევ მეტი  
ენერგიით ებრძოდა მტერს უღმობელად, უკომპრომისოდ, შეუსვე-  
ნებლად.

მკვლელობის წინ ღლით მეგობრები ურჩევდნენ მას არ  
გამოჩენილიყო სასამართლოს დარბაზში, სადაც ირჩეოდა 10 აგვის-  
ტოს მომხდარ თავდასხმის საქმე: აშკარა იყო, რომ თეთრგვარდიე-  
ლები ამზადებდნენ მის მკვლელობას და აუცილებლად გამოიყე-  
ნებდნენ მის გამოჩენას საჯარო ადგილზე.

მაგრამ ვეშაპელის დაჯერება შეუძლებელი იყო.

„სიმხდალეს დამწამებენო“ — ამბობდა ის ყველა რჩევის საპა-  
სუხოდ.

„მე ვალდებული ვარ ვიყო იქ, რაკი სხვები ან ვაძულებდნენ ან შედრკნო“.

საბედისწერო დღეს ის წავიდა თავის „პოსტზე“ და დაიღუპა როგორც რევოლუციონერი და მებარნი მებრძოლი.

„მე ეს ვიცოდით“ მოასწრო მან ეთქვა თავის ცოლისათვის, როდესაც უკანდან მიპარული საზიზლარი მკვლელის მიერ ნასროლმა სამმა ტყვიამ განგმირა მისი სხეული.

ბოროტმოქმედება იმდენად საზიზლარი იყო, რომ საფრანგეთის სასამართლოს პროკურორიც კი იძულებული გახდა აღეარებინა ეს: „არაფრით არ შეიძლება ამ ბოროტმოქმედების გამართლება—სთქვა მან. ის არა თუ წინასწარ განზრახული იყო, (ის ჩაიღინა არამზადამ და მხდალმამ, ვინაიდან რევოლვერი ისეთ კაცს ესროლეს, რომელსაც არ ჰქონდა საშუალება თავი დაეცვა“-ო.

მაგრამ ფრანგი ბურჟუები—ნაფიცი მსაჯულები სხვა აზრის იყვნენ. მათ გაამართლეს მკვლელი, რომელმაც არსებითად ის შეასრულა, რასაც თვითებული ამ მოსამართლეთაგანი სიამოვნებით ჩაიდენს ყოველი კომუნისტის მიმართ.

სოციალისტები ბევრად უფრო საზიზლრად მოიქცენ, ვიდრე პარიზელი მედუქნეები, ამ „მუშათა ბელადებმა“ პირველ დღიდანვე გამოააშკარავეს თავისი საზიზლარი სახე. ჯერ კიდევ 10 აგვისტოს თავდასხმის შემდეგ, როდესაც მუშა-სოციალ-დემოკრატებმა დებუშით მიმართეს საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობას, შემდეგ კი მეორე ინტერნაციონალის მარსელის კონგრესის პრეზიდენტს და სთხოვეს მათ დახმარება, — მათ პასუხიც ვერ მიიღეს; ეს მუშები კი მაშინ ზომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ და სცხოვრობდნენ საფრანგეთში, მისი „დემოკრატიული“ კანონების მფარველობის ქვეშ.

იმავე სოციალისტებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა ლიგას“ თითიც კი არ გაანძრის იმის გამო, რომ მათი თვალის წინ მოჰკლეს ვეშაპელი, რომელიც ამავე ლიგის ქართული სექციის თავმჯდომარის მოადგილე იყო.

მაგრამ სამაგიეროდ ბატონი რენოდელები გამოცხადდნენ სასამართლოში და დიდი მჭერმეტყველებით იცავდნენ „არამზადს და მხდალს“, რომელსაც ზიზლით შეაქცია ზურგი საფრანგეთის სასამართლოს გამოჭახრაკებულმა პროკურორმაც კი.

ვეშაპელის სისხლში ხელები აქვთ გასვრილი სოციალისტებს, არა მარტო იმიტომ, რომ ის ქურდულად მოჰკლეს ქართველმა სოციალისტებმა, არამედ იმიტომაც, რომ საფრანგეთის სოციალისტებს საშუალება ჰქონდათ არ დაეშვათ ეს მკვლელობა (ვინაიდან ისინი გაფრთხილებული იყვნენ განსვენებულის მეგობრების მიერ), მაგრამ ისინი არა თუ ასე არ მოიქცენ, არამედ ყოველი ზომა მიიღეს მკვლელის გასანთავისუფლებლად და კიდევაც მოახერხეს ეს. მაგრამ სამაგიეროდ საფრანგეთის პროლეტარიატმა არ დაივიწყა ერთ-ერთი მებრძოლი, რომელიც დაიღუპა მუშათა ბარიკადაზე; 20 ათასი კაცისაგან შემდგარმა მუშათა მასამ დასაფლავების მეორე დღეს დაშვებული დროშებით გაიარა მონმარტის სასაფლაოზე ვეშაპელის ახალი საფლავის წინ; საფრანგეთის მუშებმა ეს ნეშთი მიიღეს თავის წამებულ მებრძოლთა რიცხვში და ამით თითქოს განახორციელეს განსვენებულის უკანასკნელი სურვილი შესულიყო მუშათა პარტიის რევოლიუციონურ რიგებში.

გრიგოლ ვეშაპელის სახელი დარჩება ქართველი ინტელიგენციის ისტორიაში არა მარტო როგორც გამოჩენილი კაცის სახელი, არამედ აგრეთვე როგორც სახელი ისეთი კაცის, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დაუსახა სწორი გზები ქართველი ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც დარჩა ნაციონალიზმის ბანაკში; მისი ბობოქარი ცხოვრება და ვაჟკაცური სიკვდილი სახავს იმ ეტაპებს, რომლებიც უნდა გაიაროს ყოველმა პათიოსანმა ინტელიგენტმა ნაციონალური რომანტიზმიდან პროლეტარულ ბრძოლის მკაცრ სიმართლისაკენ.

ს. ზირუშოვი.



047036920  
2025-07-03





ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ქართული რეალური პოლიტიკა

## ქართული რეალური პოლიტიკა

აჯანყების შემდეგ

ძნელია გრძნობების დამორჩილება და ცივი გონებით ლაპარაკი, როცა ჩვენ, უცხოეთში მყოფ ქართველებმა, ჯერაც არ ვიცით, რომელი ჩვენი ნათესავი ან მეგობარი ჩააწვინა საფლავში „დამოუკიდებლობის კომიტეტი“-ს საშინელმა ავანტიურამ.

მაგრამ პოლიტიკაში არაფერია ისე დამღუპველი, როგორც სუსტი გრძნობები და სანტიმენტალიზმი.

რეალური პოლიტიკა მოითხოვს სინამდვილის დროზე გაგებას, დროზე თქმას და დროზე გაკეთებას.

ასე უნდა მოვიქცეთ, თუ არ გვინდა რომ დღევანდელ საფლავებს ხვალ კიდევ ახალი მიემატოს და ბოლოს ამ საფლავებმა ისე არ გადასწონოს აკვანთა რიცხვი, როგორც ეს მოუვიდა ჩვენ მეზობელ სომხეთს დაშნაკურ პოლიტიკის წყალობით.

უნდა ითქვას ის, რასაც გულში ფიქრობს ყოველი გონიერი ქართველი: ინტელიგენტი, მუშა და გლეხი — რომ შემცდარია მენშევიკების და მათთან მოკავშირე პარტიების ანტიბოლშევიკური ფრონტის პოლიტიკა, რომელმაც მიგვიყვანა აჯანყებამდის და მაშასადამე, — უნდა მოხდეს ლიკვიდაცია, როგორც ამ პოლიტიკისა, ისე მასთან დაკავშირებულ პარტიულ და ინტერპარტიულ ორგანიზაციებისა, აქ და საქართველოში.

რასაკვირველია, ამის თქმით არ მინდა უარყო  
კუთარი პასუხისგება, mea culpa იმისა, რომ ამ ანტიბოლშევიკურ  
შევიკურ პოლიტიკაში თვითონ მიმიღია მონაწილეობა.  
მაგრამ საბედნიეროდ ჩემი დატა მენშევიკურ მთავრო-  
ბასთან გაყრისა იმდენად დაშორებულია აჯანყების დღეს,  
რომ მორალურად მეტ გაბედულობას ვგრძნობ ასეთი ოპე-  
რაციის დროს.

ჩემი თანამშრომლობა ძველ მთავრობასთან გათავდა  
1924 წლის მაისის 18, როცა ნ. ჟორდანიამ მიიღო და და-  
ლაში შესულად გამოაცხადა „დამოუკიდებლობის კომი-  
ტეტის“ დადგენილება პარიზში არსებულ „დამფუძნებე-  
ლი კრების გაფართოებულ პრეზიდიუმის“ გაუქმების შე-  
სახებ.

ეს ინტერპარტიული კოლეგია დაარსდა — პარიზში  
1922 წ. 15 მარტს, სოც.-დემოკრატების, ნაციონალ-დემო-  
კრატების და სოც.-ფედერალისტების კონფერენციაზე და-  
დებულ ხელშეკრულების ძალით.

როცა შემდეგ, თვით საქართველოში დადებული ახა-  
ლი ინტერპარტიული შეთანხმების ძალით (სოც.-რევ. და  
„სხიველების“ წამატებით) დაარსდა „დამოუკიდებლობის  
(პარიტეტული) კომიტეტი“ — პარიზის ინტერპარტიული  
კოლეგიის როლი ძლიერ შეიზღუდა ფაქტიურად, ხოლო  
ამა წლის 27 მარტის დადგენილებით „დამოუკიდებლობის  
კომიტეტმა“ მთლად, ფორმალურადაც გააუქმა ეს ორ-  
განო და ამით ერთგვარად მაინც პასუხისგება მოაშორა  
მის წევრებს იმაში, რასაც შემდეგ „დამ. კომიტეტი“ იქ და  
მენშევიკური ცენტრი აქ, თავიანთ შორის აკეთებდენ.

რომ ანტიბოლშევიკურ ფრონტის პოლიტიკა, რო-  
მელსაც მენშევიკებთან ერთად ფატალიზმით დაადგენენ  
1921 წელს ნაციონალ-დემოკრატიული და სხვა პარტი-



ბი. — არ იყო რეალური, ეს არა ერთხელ შიგვრძნია მან შე-  
 მდეგ რაც ბათომი დავტოვე (13 დღით უფრო გვიანდნენ-  
 შევიკებზე).

დენიკინის, კოლჩაკის და ვრანგელის დამარცხების შემდეგ თავიდანვე საეჭვო სჩანდა ის ანტიბოლშევიკური ანტრეპრიზა, რომელსაც 1921 წელს იწყებდა ნ. ჟორდანიას პარტია. მართალია, ეს ანტრეპრიზა იწყებოდა ნაციონალური და არა სოციალური ბრძოლის ბაირაღის ქვეშ, — მაგრამ ჩვენთვის თავიდანვე სუსტი იყო სტაჟი მენშევიკური პარტიისა ირლანდიული მეთოდებით ბრძოლისთვის; გვახსოვდა, რომ ნ. ჟორდანიას პარტია რამდენიმე თვეს დაობდა, საჭირო იყო თუ არა დამოუკიდებელი საქართველო, მაშინ როცა (1918) საქართველო ფაქტიურად იშვიათათ დამოუკიდებელი იყო, რადგან ძველი რუსეთის და ძველი ოსმალეთის ჯარები რამოდენიმე ასი კილომეტრით მოშორდნენ ჩვენ საზღვრებს; გვახსოვდა, რომ მენშევიკურმა პარტიამ სახელმწიფო არსენალის და ძალა-უფლებების თითქმის უფასოდ ხელში ჩაგდების შემდეგ ვერ ისარგებლა ისტორიული ანტრაქტით და როცა საქართველოს საზღვრებზე გაჩნდნენ ახალი რუსეთის და ახალი ოსმალეთის რეალური ძალები, — მენშევიკებს ამ დროს არავითარი რეალური ორგანიზაცია და აპარატი სამხედრო თავდაცვისა არ აღმოაჩნდათ მომარაგებული... ამგვარად გახუნდა ნ. ჟორდანიასათვის წინდაწინ დამზადებული ტიტული „ნოე აღმაშენებელისა“.

ყველაფრის ამის მოწმეთ, რასაკვირველია, ჩვენ დიდი იმედი არ გვქონდა იმისა, რომ მენშევიკური პარტია შინაური გადატრიალებით — აჯანყებით — შეძლებდა საბჭოთა ჯარის და რეჟიმის დამარცხებას. მართლაც, როგორ შეიძლება სახელმწიფო აპარატის, ტეხნიკის და ფინანსე-

ბის დაკარგვის შემდეგ იმისი ხელში ჩაგდება, რაც თავის/ დროზე ვერ დაიცავი, თუქცა ყოველივე ეს ხელში გეჭონდა/ და თუ ჩვენ მენშევიკების ფრონტს დავუკავშირდით, არა იმიტომ, რომ მათი შინაური, რევოლუციური, ირ- ლანდიული პათოსის იმედი გვქონდა, არამედ იმიტომ, რომ გვჯეროდა გ ა რ ე შ ე, საერთაშორისო ფაქტორე- ბის დახმარება.

ვანგარიშობლით იმას, რომ საბჭოთა რუსეთი არ იყო ცნობილი არც ერთი დიდი სახელმწიფოს მიერ (1921) და ამ საკითხის გადაწყვეტამდის მოსალოდნელი იყო ყოველ- ნაირი კომბინაციები, მიმართული საქართველოსა და მთე- ლი ამიერ-კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკების რესტავრაციისაკენ.

ბევრს იმის იმედი ჰქონდა, რომ საბჭოთა რუსეთის ცნობის დროს ანტანტა, პირდაპირ მოითხოვდა საქარ- თველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რესტავრაციას, რადგან საქართველო „de jure“-დ ცნობილი იყო.

მე პირადათ ეს დ ი პ ლ ო მ ა ტ ი უ რ ი ხსნა არა- სოდეს არ მიწამია, რადგან საქართველოს ძველი მთავრო- ბა სავსებით და ნამდვილად ნაცნობი იყო მხოლოდ საფ- რანგეთის მიერ, ესე იგი სწორედ იმ სახელმწიფოს მიერ, რომლის პოლიტიკა არასოდეს არ ყოფილა მიმართული რუსეთის გავლენის წინააღმდეგ აღმოსავლეთის ქვეყნებში, რადგან ამით თავდაპირველად ისარგებლებდა საფრანგე- თის კონკურენტი — ინგლისი.

ამ დიპლომატიური ხსნის იმედის პირველად გაბათი- ლების მოწმე გახლდით გენუის კონფერენციის დროს, ხო- ლო დღეს ეს ყველასათვის აშკარა და უდავო გახდა, როცა ეხედავთ, რომ საფრანგეთი სცნობს საბჭოთა რესპუბლი-

კებს გარეშე ყოველგვარი „რეზერვისა“ იურიდიულად  
ნაცნობ საქართველოს ძველი მთავრობის შესახებ



კიდევ უფრო ნაკლები იმედი იყო, რასაკვირველია, მეორე ინტერნაციონალის ან „ერთა ლიგის“ დახმარებისა, რადგან ამ პატივცემულ დაწესებულებებს, როგორც მოგვხსენებათ, არავითარი შეიარაღებული გავლენა არ მოეპოვებათ, არც მიწაზე, არც ზღვაზე, და არც ცაზე.

არა, ჩვენ იმედი გვქონდა მხოლოდ საერთაშორისო რეალური ფაქტორებისა, რომელთა ინტერესები და მატერიალური ძალის დაკავშირება შეიძლებოდა ქართულ ანტიბოლშევიკურ საქმესთან.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ეს იყო ცუდათ ნაანგარიშევი.

ამ სამი წლის განმავლობაში სწორედ იმის მოწმე გახლდით, ხან პასიური და ხან აქტიური, თუ როგორ ქრებოდა მოჩვენებასაებ ყველა ის ანტიბოლშევიკური კომბინაცია, რომლითაც შეიძლებოდა საქართველოში წითელი ჯარის და წითელი რეჟიმის დამარცხება.

ჯერ იყო ოსმალეთის ინტერვენციის მირაჟი.

გვეგონა, რომ ანგორა, როგორც კი მოიშორებდა თავიდან ბერძნების ომს, — მაშინვე რუსის ჯარს გაუმართავდა ფრონტს კავკასიის საბუფერო სახელმწიფოს შესაქმნელად; მაგრამ ეს მირაჟი არ გამართლდა; ჯერ კიდევ სტამბულში ჩემი ყოფნის დროს ანგორის მთავრობასთან ახლო მდგომი პირები პირდაპირ ლაპარაკობდნენ გულახდილ საუბრის დროს, რომ ოსმალეთი, რაც უნდა ძლიერი იყოს, არასოდეს არ დაუწყებს ომს რუსეთს, თუნდაც დასუსტებულს; რომ ანგორას არაფრად ეჭაშნიკება მენშევიკური საგარეო პოლიტიკით საქართველოს რესტავრაცია, რადგან იგი შეიძლება გამოიყენოს ინგლისმა რო-

გორც ბაზა ოსმალეთის ზურგში საეგზეკუციო ეკსპედი-  
ციების მოსახდენად; რომ ერთად ერთი მომენტი, <sup>ეროვნული</sup> <sup>ნებისმიერი</sup>  
ოსმალეთი შეიძლება ჩაერიოს კავკასიის საქმეებში, — ეს  
მაშინ იქნება, თუ რუსეთში კრიზისი მოხდა და წითელმა  
ჯარმა თავისით მიატოვა კავკასიის ფრონტები.

მაშინ თავისუფლად დარჩენილ კავკასიის რესპუბლი-  
კების მაჰმადიან მცხოვრებთა პროტეკციის ლოზუნგით მო-  
ვა თურქის ჯარი, მაგრამ თუ ეს ურუსეთო ანტრაქტი  
გრძელი შეიქნა, იგი ისეთ ოპერაციებს მოახდენს საქართველო —  
სომხეთში, რომ კავკასიაში გეგემონია უდავოთ  
ოსმალეთის მონათესავე ხალხებს დარჩეს და თვით კავკა-  
სია შეიქნეს საიმედო ჯაჭვი პანთურქისტულ იმპერიისა,  
ოსმალეთისა და კასპიის იქითა თურქესტანის შორის.

მივხვდი იმასაც, რომ ოსმალეთს მუდამ აწუხებს ქარ-  
თული ირედენტა (ლაზისტანი) და საერთოდ საქართველო  
რომ დიდ ხანს დარჩეს tête à tête თურქებთან, ეს სომხეთ  
№ 2 ბელს გვიქადის...

ოსმალეთის შემდეგ ჯერი იყო კონსერვატორული ინგ-  
ლისის ილიუზიებზე. გვეგონა, რომ რა წამს ლოიდ-  
ჯორჯი დაეცემოდა და ინგლისის მთავრობას „ტორი“-ები  
ჩაიბარებდნენ, მაშინვე განახლდებოდა ტრადიციული ან-  
ტირუსეთული პოლიტიკა ბიკონსფილდისა, რომელიც ოც-  
ნებობდა კავკასია-სპარსეთ-თურქესტანით ახალი გზის გა-  
კაფვას ინდოსტანისაკენ.

მაგრამ ლონდონში მუშაობის დროს დავრწმუნდი,  
რომ ბიკონსფილდის ინგლისი სხვაა და დღევანდელი ექვს  
მილიონიანი პროლეტარიატის ინგლისი კიდევ სხვაა; რომ  
ინგლისს იმ სამანდატო ტერიტორიების მონელებაც უჭირს,  
რომელიც მას ვერსალის ზავით ერგო; და რომ თვით კონ-  
სერვატორული ინგლისის იმპერიალიზმის დღევანდელი

მაქსიმუმი, — ეს არაბეთის (გეჯას-ტრანსიორდანი, მესოპოტამიის) სამეფოების შენახვაა, რადგანაც ამ გზით მოწყობილი საჰაერო და სხვა ტრანსპორტი ეგვიპტესა (სუეცის არხი) და ინდოეთის ოკეანეს (სპარსეთის ყურე) შორის, საკმარისად უზრუნველყოფს ინგლისის სამხედრო კომუნიკაციებს; ამ გზების დაცვაც უძნელდება დღეს ინგლისს, და თვით ჩემბერნელს ან ჩერჩილს არ შეუძლია ამ პირობებში ინდოეთისაკენ კავკასიის-სპარსეთ-თურქესტანის გზების იმპერიალისტურ კონტროლზე ფიქრი.

საინტერესოა ამ მხრივ ერთი ადგილი საქართველოში ინგლისის წარმომადგენლად ნამყოფ კოლონელ Stokes-ის წერილიდან, რომელიც ეხება იმ საკითხებს, შეიძლება თუ არა ინგლისის დახმარების იმედი ქართულ ანტიბოლშევიკურ მოძრაობისთვის. (ამ დროს ინგლისში კონსერვატორული მთავრობა იყო). — „ერთი რამ ცხადია, მწერდა სტოკსი, (1923 წლის აპრილში), რომ თუ თქვენმა ამხანაგებმა რაიმე აქტიური ნაბიჯი გადადგეს, ისინი ვერ მიიღებენ აქედან მატერიალურ დახმარებას (no material support) და თვით მორალური დახმარებაც საეჭვო იქნებაო (doubtful)“...

ოსმალეთისა და ინგლისის ილიუზიების გაქრობის შემდეგ, ევროპაში რჩებოდა მხოლოდ ერთი პერსპექტივა — ეს იყო ფაშიზმი, რომელმაც სწორედ ამ დროს ჩააცვა შავი პერანგი იტალიას და რომელიც თითქოს მსოფლიო რევოლიუციის მაგიერ მსოფლიო რეაქციას უჭადდა მთელს ევროპას. გვეგონა, რომ მუსოლინი იტალიის ბალშევიზმზე გამარჯვების შემდეგ, მსოფლიო მასშტაბით შეებრძოლებოდა მესამე ინტერნაციონალს. მაგრამ ფაშისტებთან პირველ შეხვედრისთანავე (გენუაში) გამოირკვა ჩემთვის, რომ იტალიიდან სრულებითაც არ უნდა ველო-



დეთ რეაქციონურ ნაპოლეონს; რომ მუსოლინი ებრძვის კომუნნიზმს მხოლოდ იტალიის საზღვრებში სახელმწიფო ძალა-უფლებისათვის; ხოლო საგარეო პოლიტიკაში იგი ტრადიციულ იტალიურ ინტერესებს მისდევს; ეს ინტერესები კი მიმართულია მხოლოდ იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომელთა ფლოტი ედავება იტალიის ბატონობას ხმელთაშუა ზღვაში (იტალიელები მას „mare nostra“-ს ეძახიან); რუსეთი კი არასოდეს არ ყოფილა ასეთ მოპირდაპირე სახელმწიფოთა რიგში.

ამის შემდეგ აშკარა იყო, რომ ევროპაში ქართულ ანტიბალშევიკურ ფრონტს არც ერთი დამხმარე რეალური ძალა აღარ ყავს. საჭირო იყო, ან ამ ფრონტის მოხსნა, ან მოკავშირეთა ძებნა... რუსეთის ანტიბალშევიკუო ძალებში, ესე იგი ფაქტიურად მონარქისტებში... და აი ბედის ირონიით, ვინც საბჭოთა საქართველო ანტირუსული ლოზუნგით დასტოვა, უხდება რუსულ ლაგერში მოკავშირის ძებნა.

ამის ანარეკლი იყო ის საუბარი გ. ალექსინსკისთან, რომელიც დაიბეჭდა „Русская Газета“-ში (ეს საუბარი დამახინჯებულად იქნა დაბეჭდილი რედაქციის მიერ). ამის შემდეგ მე მქონდა შეხვედრა ვრანგელის სამხედრო წარმომადგენელთან, მაგრამ აქ უფრო მალე მოხდა ილიუზიის ლიკვიდაცია; გამოიჩვენა, რომ ვრანგელი და მისი ბატონები, დიდი მთავრის სახლიდან, მხოლოდ გარეგნულად ფაფხურობენ, თორემ ნამდვილად არავითარი აკტივობა არ შეუძლიათ. მათი წინადადება ასეთი იყო — „შეუერთეთ ქართული ანტიბოლშევიკური ორგანიზაციები რუსულს და ვიმუშაოთ ერთად, სანამ ერთ-ერთი დიდი მთავარი ყველას მიერ ნიკოლოზის ტახტის მემკვიდრეთ იქნება ცნობილი და სანამ იგი ამერიკაში ფონდს შეაგ-

როგებს მთელი რუსეთის კონტრ-რევოლიუციისათვის...  
მაშინ ხომ საქართველოც განთავისუფლდება... ბოლშევიკ-  
კებისაგანო“.

საქართველო  
შინაგარეშე

ცხადი იყო, რომ ეს „ათას ერთი ღამის“ ამბავს გავდა ყოველმხრივ! აბა, როდის უნდა შეთანხმდნენ დიდი მთავრები, იმაზე თუ ვის ერგება იმპერატორობა, და აბა როდის უნდა შეაგროვონ შემოწირულებით, არჩეული იმპერატორის ამერიკიდან კრემლში ჩასაყვანად საჭირო ხარჯები... ამას გარდა ამ შეხვედრების დროს ისიც გამოირკვა, რომ მონარქისტები ძალიან უბრალოდ და... „მამაშვილურად“ უყურებენ საქართველოს დამოუკიდებლობას; და მათი იმედები კიდევ რომ გამარჯვებით გათავდეს, ამას უარესი ახალი ქართული ფრონტი და უარესი ახალი ემიგრაცია მოყვება...

ასე დასრულდა უკანასკნელი მირაჟის ამბავი...

ეს იყო შარშან ოქტომბერში...

მაგრამ ბევრისთვის ეს მირაჟები დღესაც არ გამქრალა.

ბევრი კიდევ ამ მირაჟებზე აშენებს მომავლის გეგმებს, და ვინაიდან ეს მირაჟები ძალიან ძვირად უზის ქართველ ხალხს, ამიტომ შეეჩერდი მაზედ, რაც უკვე იყო...

ამ დროს უკვე ცხადი იყო ჩემთვის, რომ დრო ბალშევიკების წინააღმდეგ კი არა, მათ სასარგებლოდ მუშაობდა, როგორც რუსეთსა და საქართველოში, ისე მათ გარედ.

თანდათან ვხედავდით, როგორ მტკიცდებოდა ეკონომიურათ, კულტურულათ და პოლიტიკურათ საბჭოთა რეჟიმი რუსეთსა და საქართველოში, როგორ ქრებოდა ილიუზია რუსეთის „გაზაფხულზე“ ან „შემოდგომაზე“ შინაური კატასტროფიული გადატრიალებისა და როგორ

მტკიცდებოდა ამავე პროპორციით ავტორიტეტი და პრესტიჟი საბჭოთა რესპუბლიკებისა ევროპაში, განსაკუთრებით, დემოკრატიულ კლასებში და პარტიებში.

მარტო გიყს შეუძლია დღეს იმაზე ფიქრი, რომ ევროპა ახალ „საჯვაროსნო“ ომებს დაიწყებს კაპიტალიზმის პრინციპის გასამარჯვებლად რუსეთში;

წინააღმდეგის კი ძალიან ეშინიათ, რადგან ახალი თაობა ყველგან კომუნისტურია, მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს იდეის გავლენის ქვეშ არის;

ასეთ პირობებში უფრო მოსალოდნელია წითელი საზღვარის გადმოწევა ევროპისაკენ, ვიდრე თეთრი საზღვარის შეწევა რუსეთში.

თანდათან მტკიცდებოდა ჩემ გონებაში ის აზრი, რომ წინდაწინ წაგებულ და ქვეყნისთვის დამლუბველ საქმეს შევალიეთ ჩვენი ენერგია და რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობასთან თავიდანვე პატიოსნად თანამშრომლობა აგვერჩია — ქართველი ხალხისათვის ეს აჯობებდა.

ამ დროიდან ფაქტიურად შევწყვიტე პოლიტიკური მოქმედება და ამასთან ერთად მიწერ-მოწერაც სხვა და სხვა ცენტრებში მყოფ პარტიულ ამხანაგებთან — არც გასაკეთებელი იყო რამ და არც სათქმელი;

მას აქეთ ამა წლის 18 მაისამდის მხოლოდ პასიური მონაწილე გახლდით პარიზის ანტიბალშევიკური ცენტრისა, სანამ 18 მაისს მიღებულმა „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ცირკულიარმა შესახებ პარიზის ინტერპარტიული კოლეგიის რეორგანიზაციისა, ფორმალურადაც არ მოახდინა ჩემი დემობილიზაცია ანტიბალშევიკური ფრონტიდან.

ამიტომ მე არ ვიცი, ვისი და რისი იმედები იყო, რომ გადააწყვეტია „დამ. კომ.“-ს ნაციონალ-დემოკრატიულ რებს მიმხრობოდნენ მენშევიკთა ავანტიურას.

არა მარტო მე განვიცდიდი ასეთ სკეპტიციზმს: ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ეხლა უკვე საქართველოში დაბრუნებულია, შემდეგს მწერდა შარშან ლონდონიდან:

— „დიდ უბედურებად მიმაჩნია საქართველოში ანტიბალშევიკური, ინტერპარტიული აკტიური ბრძოლა... უნდა ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება მეტი დამზადებული ხალხი გვყავდეს საქმიანობაში გამოცდილი.. ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი ასეთი ძალების ფლანგვას პოლიტიკური გამოსვლებში... მივანებოთ თავი მთავრობის ძიებას.. უნდა გულწრფელად დავეწაფოთ წარმოების, მრეწველობის აღდგენას, სიმდიდრის გამრავლებას ჩვენში... საქართველოს თავისუფლება მარტო იმდენად გაუშვებს ფესვებს ჩვენს ნიადაგში, რამდენიც მეტი გვეყოლება დამზადებული და ძლიერი, მდიდარი და მცოდნე ხალხი... ჩვენი ეხლანდელი ანტიბალშევიკური ბრძოლა კი გვიღუპავს ჩვენ ინტელიგენციასო“..

სამწუხაროდ, ამ მიწერ-მოწერიდან გამომდინარე პრაქტიკული დასკვნები დროზე ვერ ვალიარეთ საჯაროდ აქ, ემიგრაციაში, ქართული პოლიტიკის სავალდებულო ნორმათ.

დღეს, აჯანყების სისხლის წვიმა გვავალებს მოვითხოვთ ანტიბალშევიკური ფრონტის ლიკვიდაცია. და ეს კი ნიშნავს ამ ფრონტთან დაკავშირებულ ყველა პარტიულ და ინტერპარტიულ ორგანიზაციათა ლიკვიდაციას.

უნდა ვალიაროთ აშკარად, რომ, როგორც ნ. ჟორდანის მთავრობა, ისე კ. ჩხეიძის დამფუძნებელი კრება და მისი შემადგენელი პარტიები პოლიტიკურად მოკვდნ.

დაჭირდება თუ არა საქართველოს ახალი პოლიტიკური გადაჯგუფებანი და შეჯგუფებანი — ეს მომავლის კითხია... ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ცხადია, როგორც ეს ვთქვი ბერლინში ქართული კოლონიის მიერ 1923 წლის შეხვედრისას, რომ ახალი საქართველოს ახალი პოლიტიკასთვის ახალი თაობის და ახალი დასის ახალგაზრდური ფიზიკური და მორალური ძალებია საჭირო თავდაპირველად...

მაგრამ დღეს კი, იმ სასტიკ და ცივ სინამდვილეში, რომლის წინაშე დაგვაყენა აჯანყებამ, საჭიროა რეალური პოლიტიკა, — მთელი ენერჯის ხარჯვა ქართული სახელმწიფოს ეკონომიური და კულტურული საძირკველის გამაგრებისათვის.

ამ პოლიტიკას დაადგა პოლონეთი 1863 წლის უბედურ აჯანყების შემდეგ და საქართველოსაც ეს პოლიტიკა სჭირია და არა ირლანდიული სინფეინერობა.

საჭიროა ამ სინფეინური ფსიხოზიდან გამოფხიზლება, მივიწყება ზღაპრების კონსერვატორული ინგლისის დრედნოუტების და მათი შავი ზღვით დესანტებისა, მეორე ინტერნაციონალის, ხალხთა ლიგის რეფერენდუმების და პლემბისციტების შესახებ, და ქვეყნის დაწყნარებისათვის ზრუნვა.

ქართულ ემიგრაციას სჭირია ამ მხრივ იმ ფაზის გავლა, რომელიც უკვე გაიარა რუსის დემოკრატიულმა ემიგრაციამ, როცა ვრანგელის დამარცხების შემდეგ, მილიუკოვმა მოითხოვა შეიარაღებული ანტიბალშევიკური ფრონტის ლიკვიდაცია.

მაგრამ თუ დღემდის ქართულ ემიგრაციას მილიუკოვის ტაქტიკაც კი არ ქონდა მიღებული, დღეს ჩვენ მარტო ეს ნეგატიური პოლიტიკა ვერ გვიშველის.

ველარ გვიშველის ნეიტრალიზმიც...

საჭიროა ქართული Смена вех და პირდაპირი კრიტიკა იმ ერთად-ერთ საქართველოსი, რომელიც დღეს არსებობს რეალურად, რომელსაც მომავალი იურიდიული აქვს და ფაქტიურიც და რომელიც ისტორიულად თანდათან გამართლებული გამოდის...

რა გვიშლის დღეს ამ საქართველოს, საბჭოთა საქართველოს მიღებას?

მხოლოდ ტერორი, რეპრესიები, რომელმაც „უდანაშაულონიც კი იმსხვერპლა“!..

— მერე რა არის გამოსავალი, სად არის პრაქტიკული საშუალება ამ ტერორის დასრულებისა? — ესაა იმ ანტიბალშევიკური ფრონტების საბოლოო ლიკვიდაცია, რომელთაც გამოიწვიეს ეს ტერორი.

უნდა ვეცადოთ, რომ ამ ნ ი ს ტ ი ი ს საშუალებით დაიშალოს ის ანტიბალშევიკური რაზმები, რომელნიც მოქმედებენ აღმოსავლეთ საქართველოში.

ალექსანდრე ბატონიშვილის დრო აღარ არის!..

ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ეს სამოქალაქო ომი სათავეშივე მოისპოს ჩვენში, მით უფრო რომ მას ობიექტური საფუძველი არა აქვს საქართველოს სუსტი სოციალური დიფერენციაციის გამო.

ხოლო სუბიექტური საფუძველი უნდა სძლიოს როგორც ინტელიგენციამ, ისე თვით საბჭოთა ხელისუფლებამ.

ჩვენ უნდა მივანებოთ თავი იმის წარმოდგენას, რომ ს. ორჯონიკიძე ახალი გენერალი ციციანოვია, რომელიც ასი წლის წინ უპყრობდა რუსეთის იმპერიას კავკასიის სამეფოებს და სახანოებს. — უნდა შევხედოთ მას და მის კოლეგებს: ორახელაშვილს, ელიავას, ლოლობერიძეს, რო-

გორც ქართულ მთავრობას, რომელიც საქართველოს გეოგრაფიულ პირობებით და საქართველოს გარშემოწერილობული დღევანდელი საერთაშორისო ძალთა-განწყობილების მიხედვით მოქმედებს...

თუ ეს პირობები და ეს განწყობილება რუსეთის წითელ ჯარს აჩერებს საქართველოში, სამაგიეროდ უნდა დავინახოთ, რომ საბჭოთა მთავრობამ შესძლო პარალელურად ქართული წითელი ლაშქრის ორგანიზაცია...

მოვიგონოთ, როგორი იყო პატრიოტული ინტელიგენციის ტაქტიკა მენშევიკური პარტიის მიმართ, როცა მათ სახელმწიფო ძალა-უფლება ჩაიბარეს და მისი განხორციელება დაიწყეს?

განა მაშინ რომ მენშევიკებისათვის ჩვენ შეიარაღებული ფრონტი მოგვეწყო სადმე საქართველოში, მთავრობის დასამხობად და ძალა-უფლების დასაპყრობად, ან და ევროპაში საამისო ემიგრანტული პროპაგანდა გაგვემართა—განა მენშევიკური მინისტრები ტერორითა და სამოქალაქო ომით არ გვიპასუხებდნენ?

პოლიტიკაში ხომ იგივე „წინააღმდეგობის“ კანონი მოქმედებს, როგორიც ფიზიკაში... შევიგნოთ ეს და მოვსპოთ სამოქალაქო ომი.

მართლაც, განა შეიძლება კიდევ ქართული სისხლის ღვრა იმისთვის, რომ 1921 წელს შემთხვევით ცნობილი *de jure* ანტანტის სახელმწიფოთა მიერ ნ. ჟორდანიას დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავ აღდგეს *de facto*?

განა დრო არ არის, ქართული ეროვნული ენერჯია მოხმარდეს ფაქტიურად არსებულ საქართველოს მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანიზაციის გამაგრებას და იმ *de jure*-ს ფაქტიურად გამტკიცებას,

რომელიც ეკუთვნის საქართველოს, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფედერატიული კონსტიტუციით? ეროვნული კონსტიტუცია

1918 წელს ჩემ წიგნში „საქართველო და რუსეთი“ ვწერდი, რომ ქართული პოლიტიკის ლოზუნგია — „საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა, ძლიერი სახელმწიფოს კავშირით უზრუნველყოფილი“ (გვ. 24).

ამ პოლიტიკის განხორციელება შესაძლოა საბჭოთა ფედერატიულ რელსებზედ, რაც სრულებით არ წარმოადგენს ძველი რუსოფილური „ტუზემცების“ პოლიტიკისკენ დაბრუნებას.

დღევანდელი საბჭოთა კავშირი არც სახელითაა რუსეთი და არც შინაარსით; იგი არის თანასწორ სახელმწიფოთა ფედერაცია, რომელშიც დიდი რუსეთი — უკრაინასთან, ბელორუსიასთან და ამიერ-კავკასიის ფედერაციასთან თანასწორია.

და თუ საზოგადოთ საქართველოს სუვერენობა, როგორც საჭიროა, ისე არ არის დაცული საბჭოთა კავშირის ფედერაციაში — ამის მისაღწევად უნდა დაიხარჯოს სწორედ ქართული ეროვნული ენერგია და არა აჯანყებისა და სამოქალაქო ომისათვის.

ს. ორჯონიკიძე ამბობდა ერთ თავის უკანასკნელ სიტყვაში (ოქტომბერში) — „ჩვენ გვინდა საქართველოს დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირში“ და დასძენდა — „მე არ დავფიცავ და ამჟამად ვიტყვი, რომ დღეს ჩვენ კიდევ ბევრი რამ გვაკლია ამ მხრივ. მაგრამ ამის მიზეზი საბჭოთა კავშირი კი არ არის, არამედ ის იმპერიალისტური სახელმწიფონი, რომლებიც ჩვენ მოსვენებას არ გვაძლევენ ჩვენი პროგრამის განსახორციელებლად“..

უნდა ითქვას, რომ რეალური პოლიტიკა სწორედ ესაა და არა ნ. ჟორდანიას რესტავრაცია.

3779  
4039  
K62.246  
2

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ამისათვის უნდა დაეუბრუნდეთ რეალურად არსებულ ბულ საქართველოს! ქართული ემიგრაცია ევროპაში გორც მასსიური მოვლენა, უნდა მოისპოს და უნდა დაბრუნდეს შინ თავისი მიტოვებული პროფესიონალური საქმიანობის გასაგრძელებლად; ევროპაში შეთვისებულ ცოდნა და გამოცდილება ძალიან გამოადგება ემიგრაციას საქართველოში; ხოლო ამისთვის დაბერება ევროპაში არ ღირს, მით უფრო, რომ ქართველობა ვერასოდეს ვერ მოეწყობა ევროპაში ისეთ კოლონიებად, როგორც სომხები და ბერძნები, საცა ყოველ თანამემამულეს მისი პროფესიის შესაფერ საქმეზე აყენებენ; ქართველობა კი ყველა კლასისა და პროფესიის, ინტელიგენტური ცენზის განუჩევლად, განწირულია სიტროენისა და რენოს საავტომობილო ქარხნებში ან და პარიზის სადგურებში ალჟირელებთან და მაროკალებთან ერთად საკატორლო მანიევრობას...

თუ ბათუმიდან წამოსვლისას ჩვენ გვაშინებდა ის კომუნისტური დიკტატურა, რომლის ღერბი — ჩაქუჩი და ნამგალია, — დღეს ევროპაში, სამი წლის ხეტიალის შემდეგ, ჩვენ მშვიდობიანად შევხვდებით, ეგევე ღერბი რომ დაგვხვდება ბათუმში.

რადგან, უცხოეთში ბევრს ჩვენგანს გაახსენდა, რომ გლეხის ნამგალი მისი მამა-პაპის პროფესიონალური იარაღი იყო — ხოლო მუშის ჩაქუჩი, ინტელიგენტებსაც გავგვაცნო ევროპაში გავლილმა სოციალურმა შკოლამ.

ფრანგული ანდაზა ამბობს, რომ „Tout Homme a deux Pays, le sien et puis la France“.

ღროა, ეს პირველი სამშობლო დავიბრუნოთ!

პარიზი. 5 ნოემბერი 1924 წ.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ს ნ მ ბ ი ს უ მ მ დ მ მ

## ც ნ ო ბ ი ს   შ ე მ დ ე ბ

მას მერე, რაც ჩვენი გაზეთის პირველი ნომერი დაბეჭდა, მოხდა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: 13 დეკემბერს 1924 საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის დუმერგის აუდენციის დროს კრასინმა ჩააბარა მას საელჩო რწმუნების ქალაქი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სახელით, და პრეზიდენტმა იცნო ოფიციალურად ეს საკავშირო საელჩო რწმუნება. (ფედერაციის ეკონომიურ წარმომადგენლად როგორც ვიცით, დანიშნულია ბუდუ მდივანი).

ამგვარად, ამ დღიდან საფრანგეთმა იცნო საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაც, ვინაიდან საბჭოთა რესპუბლიკების რწმუნება, რომელიც ჩააბარა კრასინმა დუმერგს, არის რწმუნება C.C.C.P-ის შემადგენელ ოთხივე ფედერატიულ რესპუბლიკისა (რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის და ამიერ-კავკასიის (საქართველო-სომხეთ-აზერბეიჯანი). ეს აღნიშნა ფრანგულმა პრესამ (მაგალითად რადიკალი L'oeuvre 20-XII-24.).

ამიერიდან ევროპის საერთაშორისო უფლებების წესით ძალა ეკარგება ჟორდანიას მთავრობის იურიდიულ ცნობას, რომელიც გამოიხატა თავის დროზე (1921) ჩხენკელის მიღებაში ელჩად მაშინდელი პრეზიდენტის მილიერანის მიერ.

შეიძლება ფრანგული თავაზიანობის გამო სალიკვიდაციო პროცესი ძველი მენშევიკური ელჩის და ლევა-

ციისა (იგი მოთავსებულია, სხვათა შორის რაღაც ბუდის  
ირონიით jmpasse des Pretres-ის ქუჩაზე, ესე იგი ქართული  
თულად, ხუცების ჩიხში) უფრო გაჭიანურდეს, ვიდრე ეს  
მოხდა თავის დროზე გერმანიაში, მაგრამ იურიდიულად ეს  
ჩასაკვირველია, საფრანგეთშიც ისევე მოხდება, როგორც  
გერმანიაში მოხდა.

ამის გამოძახილია უკვე ის ფაქტი, რომ საფრანგეთის  
მთავრობის საგანგებო კომისიამ (დე-მონზის), რომელსაც  
დავალებული აქვს ყოფილი რუსეთის იმპერიის ემიგრანტ-  
თა საპასპორტო მდგომარეობის გამორკვევა საბჭოების  
კავშირის ცნობის შემდეგ — შეიმუშავა ერთი პროექტი  
როგორც რუს — ისე ქართველ ემიგრანტებისათვის და  
ორივენი აღიარა „სახელმწიფო დაკარგულ“ ხალხათ, თუ  
ისინი საბჭოთა მოქალაქეობას არ მიიღებენ.

ამგვარად თავდება ის ერთი დიდი ილიუზია, რო-  
მელიც ასულდგმულებად ჩვენში ანტისაბჭოთა ფრონტს  
დღემდის: — ამბობდნენ — თუ დიდი საფრანგეთის მთავ-  
რობა ცნობს კიდევ ჟორდანიას და მის ელჩს, ალბად ამას  
რაიმე სერიოზული მიზეზები აქვს და ჩვენ რატომ უნდა  
დავანებოთ თავი მას, შეიძლება კიდევ „რამე გამოვიდე-  
სო“. — (ამ ემიგრანტულ ფსიხოლოგიის დაძლევის სიძნე-  
ლეზე მქონდა მე ლაპარაკი ალ. სვანიძესთან, როცა მას  
შევხვდი პარიზში წასულ ივნისში).

დღეს ეს იურიდიული ილიუზიაც უნდა გათავდეს  
ისე, როგორც გაათავა აჯანყებამ მეორე დიდი ილიუზია,  
რომელიც ასულდგმულებად ანტიბოლშევიკურ ფრონტს  
— იდეა საბჭოთა მთავრობის ფაქტიურად აჯანყებაში და-  
მარცხებისა.

ქართველობა ეთამაშა ამ აჯანყების იდეას ისე, რო-  
გორც ბავშვი თოფს; და ისევე, როგორც ბავშვისათვის,

მოულოდნელი იყო ის საშინელი კრილოზა, რომელიც ამ  
თამაშმა შეგვამთხვია.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მაგრამ რაც მოხდა, მოხდა, დღეს ორივე ამოწურულია. ვერც ფაქტიურად (აჯანყების რეპრეტიციუ-  
ბით) და ვერც იურიდიულად, მენშევიკურ რესპუბლიკას  
ველარავინ აღადგენს, საჭიროა აქ წერტილის დასმა და  
ახალი გზით სიარული.

ასე ქნა თავის დროზე (1922) რუსის ინტელიგენტთა  
ჯგუფმა, რომელიც Смена вех სახელითაა ცნობილი. მათ  
თავის დროზე აღიარეს: „სამოქალაქო ომი წაგებულა;  
ან იცანით ეს არსებული რუსეთი, ან დარჩით ურუსეთოდ,  
რადგანაც სხვა რუსეთს ვერ მოესწრებით“. (Смена вех,  
გვერდი 91).

მაგრამ მათსა და ჩვენს შორის ერთი დიდი განსხვა-  
ებაა, რუსის სმენავეხელები და მათი გაზეთი Накануне-ც  
დაიწყო 1922 წელს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირამ-  
დის, საცა რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია და კავკასია თა-  
ნასწორად შევიდნენ და რომელიც რუსეთი არაა არც სა-  
ხელთ და არც საქმით.

რუსის სმენავეხელებს კი ეგონათ, რომ საბჭოთა ინ-  
ტერნაციონალური და რუსეთის ნაციონალური მიზნები  
ერთი და იგივე გახდა (Накануне № 1-ს მეთაური 1922  
წელი).

ჩვენ ეს არ გვეგონა, რადგან ვიცით, რომ საბჭოთა  
კავშირის იდეა და ფორმა არის იდეა ევროპა — აზიაში  
ახალი მსოფლიო „შეერთებულ შტატების“ შექმნისა, და  
გვჯერა რომ ამ ახალი ევროპა — აზიის კონტინენტალურ  
ბლოკში, ადრე თუ გვიან სხვა ერებს და სახელმწიფოებსაც  
ვიხილავთ როგორც ყოფილი რუსეთის იმპერიიდან, ისე  
მის გარდა, როგორც სლავიანურს, ისე არასლავიანურს.

და სწორედ ასეთ „შეერთებულ შტატებში“ თანასწორი ფედერატობა უკეთეს გარანტიათ მიგვაჩნია ჩვენი დამოუკიდებლობის პერსპექტივებისათვის, ვიდრე ხალხთა ლიგის მანდატები და რეზოლუციები. ამიტომ გვინდა ჩვენ გადავიყვანოთ ახალ რეღსებზე ქართული ინტელიგენციის აზროვნებისა და ენერჯის მატარებელი.

რა არის საჭირო ამისათვის?

თავდაპირველად, აღარავინ უნდა იკისროს „დამოუკიდებელი პარტიტული კომიტეტის“ საშინელი მემკვიდრეობა, არც საქართველოში და არც ევროპაში.

ყოველ შემთხვევაში, ყოფ. გაერთ. ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წრიდან არავის არ აქვს უფლება მენშევიკებთან საკოალიციო ორგანიზაციის აღდგენისა ნ. დ. პარტიის სახელით.

პირველმა კოალიციამ, რომლის ფირმა მენშევიკური იყო, ხოლო ტენნიკური აპარატი ნაც. დემოკრატიული. ისეთი საშინელი მსხვერპლი არგუნა სწორედ ნაც. დემოკრატიის მიმდევარ კლასებს და წოდებებს, რომ არც საქართველოში და არც ევროპაში აღარ უნდა ითამაშოს მათი ბედით პარტიულად.

კერძოდ, ყოფ. ნაც. დემ. პარტიის ზოგიერთი ინტელიგენტი სტამბოლში ან პარიზში მყოფი უნდა დაუფიქრდეს თავისი წოდების ბუდეს, როცა იგი ნ. რამიშვილის ან კ. გვარჯალაძის „რეცეპტებს“ ისმენს.

საჭიროა ყური დაუგდოთ იმ პერსპექტივებს სამოქალაქო ომის მოსპობისა და მშვიდობიან შრომისა, რომელსაც გვიხსნის წინ განცხადება საქართველოს საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარის შალვა ელიავასი და რომელსაც ასრულებს მმართველი პარტიის ორგანოს „კომუნისტის“ გამოცხილი ჩვენი გაზეთის შესახებ.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის სამხედრო სარევიონო-  
უცხო საბჭოს თავმჯდომარეს ს. ორჯონიკიძეს ჩვენთანვე-  
თის შესახებ უთქვამს შემდეგი („Заря Востока-ს მიერ  
მოყვანილ მოხსენებით 7 დეკემბერს 1925) — „ეხლა ინტე-  
ლიგენციის საკითხი დგება სხვანაირად — ჩვენ პირდაპირ  
ვეუბნებით: გნებავთ მუშაობა, მობრძანდით, მაგრამ იმ  
პირობით რომ სცნობთ საბჭოთა უფლებას და იმუშავებთ  
პატიოსნად“.

საჭიროა იმის დაფასებაც, რომ აჯანყება გაკვეთილად  
მიიჩნია თვით საბჭოთა ხელისუფლებამ. ამაზე სწერდა ფ.  
მახარაძე ოქტომბრის რევოლუციის წლის თევზე: „მენ-  
შევიკური ავანტიურა ერთნაირი გაკვეთილი იყო ჩვენთვის  
— ბევრი რამე გამომზეურდა, ბევრს სიღუბნეობა და სი-  
წამხდრეს ფარდა აეხადა“...

ამ გაკვეთილების შედეგია ის მნიშვნელოვანი დად-  
გენილებანი, რომელიც მიიღო მ. კახიანის მოხსენებით  
მმართველი პარტიის ცეკას პლენუმმა აჯანყების დროს  
აღმოჩენილ დეფექტების და შეცდომების გამოსასწორებ-  
ლად. „(კომუნისტი“ 11 ოქტომბ. 1924). ამ დადგენილება-  
ში ვხედავთ ზომებს ეკონომიურს (სასოფლო-სამეურნეო  
გადასახადის ნორმების შემცირება, მიწის რეფორმის  
დროს დაწვებულ შეცდომების გამოსწორება; მატყლის  
მონოპოლიის მოსპობა; აბრეშუმის მონოპოლიის წესის  
შეცვლა; ტყეებისა და საძოვრების საკითხის მოგვარება,  
ადგილობრივი ახალი გადასახადების შემოღების აკრძალ-  
ვა; ღვინის აკციზის მოსპობა).

შემდეგ ვხედავთ ზომებს პოლიტიკურს (გლახთა  
უპარტიო მასის ჩაბმა საბჭოთა მუშაობაში; ეკლესიების  
დახურვის შეწყვეტა; გაადვილება დახურული ეკლესიების  
გახსნისა; კომსომოლის ადმინისტრაციაში ჩარევის და



პარტიისთვის საბჭოების როლის დაკისრების უარყოფის დასასრულ საქართველოს დაწესებულებათა მოსამსახურეების შემადგენლობის გადახედვა და მისი პროპორციული შეფარდება ნაციონალური სხვადასხვაობის მიხედვით.

ამ დადგენილებების ცხოვრებაში გატარება დიდად ხელს შეუწყობს საქართველოს განვითარების ნორმალ კალაპოტში ჩაყენებას, განსაკუთრებით უკანასკნელი მუხლი -- დაწესებულებათა მოსამსახურეთა ნაციონალური პროპორციის გადახედვა, რადგან ეს საკითხი ძალიან მწვავეა უმუშევარი ქართული ინტელიგენციისათვის, რომელიც ჯერ კიდევ ძველი ავადმყოფობით არის შეპყრობილი და ვერ არჩევს ეროვნებათა პროპორციას საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკათა დაწესებულებებისათვის.

საერთოდ მრავალრიცხოვანი ქართული ინტელიგენციისათვის უმუშევრობის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს; ვგონებთ, რომ რამდენად საქართველოს ინდუსტრიალიზაცია ვერ გადასწყვეტს ამ საკითხს, საჭირო იქნება ინტელიგენტური ძალების დაძრა ფედერატიულ რესპუბლიკებში, განსაკუთრებით ამიერ — კავკასიაში, მაგალითად ბაქოში, სადაც მრეწველობის განვითარების პერსპექტივები დიდია.

აჯანყების მიერ გამოწვეული სამოქალაქო ომი დასრულებულად უნდა ჩაითვალოს ერთის მხრივ იმ ამნისტიით, რომელიც გამოაცხადა 7 ნოემბერს ცენტრალურ აღმ. კომიტეტმა, აჯანყების ყველა მონაწილესათვის, გარდა მეთაურებისა (პარიტეტულ კომიტეტს და მის რწმუნებულთ როგორც გადმოგვცემენ სახელმწიფო სამართალში აძლევენ); მეორეს მხრივ სამოქალაქო ომი და ფრონტის ლიკვიდაცია მოხდა იმითაც, რომ ჩოლოყაშვილის და



ლაშქარაშვილის შეიარაღებულმა რაზმებმა დასტოვეს საქართველოს საზღვრები და ამ უმად ევროპაში მყოფი ემიგრაციას შეეხიზნენ.

სამწუხაროდ თვით ემიგრაციის მასსა ისევ განაგრძობს პარიზში მყოფ ძველი მენშევიკური მთავრობის მიერ გამართულ ფრონტზე დგომას და კიდევ არ ახდენს დემობილიზაციას.

ბევრს კიდევ ვერ უსწავლია ჭკუა ევროპაში სამი წლის ხეტიალით და ხელახალ ანტიბოლშევიკურ „სიზმრების ახსნით“ არის დაიმედებული.

დაუხვევიათ ხელზე, რომ ინგლისის კონსერვატორული მთავრობის მეთაური ჩემბერლენი ანტიბოლშევიკურ ბლოკებსა ქმნის ბალკანეთსა და ბალტიკაში; რომ ოსმალეთში იგივე ინგლისი ქემალ-ფაშას ანტირუსულ ოპოზიციას ეხმარება, რომ მთავრობად გახდეს, თითქოს ბაქოსკენ „დივერსიის“ მოსახდენად; რომ ამავე დროს ამერიკის ავტომობილების მეფე ფორდი კირილ ვლადიმეროვიჩის ცოლს ეპატიჟება როგორც „იმპერატრიცას“ ... და გულუბრყვილო ხალხს უკვე ელანდება ნეტარხსენებული ინტერვენცია, რომლის შედეგი ზოგს წარმოდგენილი აქვს საქართველოსთვის როგორც ინგლისის პროტექტორატი (თუნდაც ეგვიპტე—სუდანის წესით), ხოლო სხვებს—საფრანგეთის კოლონიად (თუნდაც როგორც მადაგასკარი, კონგო, კამერუნი, როგორც ამას ბრძანებს ბ-ნი შ. ბერიძე თავის მონოგრაფიაში: „La tragedie d'une nation“ 1924).

ამ გულუბრყვილო ხალხს ავიწყდება, რომ ყოველივე ამ ანტიბოლშევიკურ ბლოკებს იგონებენ არა საბჭოთა ფედერაციის შესატევად, არამედ მისი გაფართოებისაგან საუროთიერთო დაზღვევისათვის ევროპა — აზიაში.

ისიც ავიწყდებათ, რომ ანტიბოლშევიკური ინტერვენცია წარმოუდგენელია ახალი მსოფლიო ომის დაწყებლივ, ხოლო ამ ომს დღეს ყოველივე მთავრობა ერიდება, რადგან იგი მსოფლიო რევოლიუციად გახდებოდა...

დროა ემიგრაციამ ინტერვენციის ზღაპრებს ერთხელ და სამუდამოთ თავი დაანებოს და ხელი მოკიდოს არსებული საქართველოს ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ გამაგრებას არსებული საბჭოთა მთავრობის და მისი პარტიის ხელმძღვანელობით, რადგან ქართული ბოლშევიკური პარტია არის დღეს საქართველოს სახელმწიფო ორგანიზმის ხერხემალი. მაგრამ მენშევიკურ ლიდერებს არ უნდათ შეურიგდენ ისტორიის განაჩენს, რომელმაც მათი პარტია მოხსნა გეგემონის პოსტიდან საქართველოში.

ისინი გამწარებით განაგრძობენ ამ პარტიულ ბრძოლას ქართული ეროვნული ფარის ქვეშ, რომელიც პირველად წააგეს პეტროგრადში, როცა ჩხეიძე და წერეთელი დამარცხებული გამოიქცენ „პრედპარლამენტიდან“ საქართველოში.

მას აქეთ ისინი განაგრძობენ ამ პარტიულ ბრძოლას ქართული ეროვნულ ფარის ქვეშ. ამ ბრძოლის უკანასკნელ ეტაფებს ვხედავთ ჩვენ დღეს პარიზში.

მაგრამ შორს არაა ის დრო, როცა ამ ქართული ეროვნული ფარის სიმძიმეს ველარ აიტანს მისი სიმძიმით „მოღუნული“ ი. წერეთელი და იგი კვლავ გამოჩნდება თავის ძველ სრულიად რუსეთის დემოკრატიის რაინდის ნაცნობი სახით და მაშინ ქართული ნაციონალური კოალიცია გაიცვლება რუსის მოძმე პარტიებთან კოალიციაზე.

ამას მოითხოვს უკვე საჯაროდ ქართული სოციალ-დემოკრატიისაგან რუსეთის სოც. დემ. პარტიის ორგანოში Социалист. Вестник (დეკემბრის ნომერი) აბრა-

მოვიჩი და ალბათ აბრამოვიჩს საბუთებშიც <sup>ქონდა</sup>  
ეფიქრა, რომ მისი ქართველი მეგობრებისათვის <sup>ეს</sup>  
უკვე მომწიფებულა.

ესევე სთქვა „ადამიანის უფლებათა ლიგის“ მიტინგზე ძველი მენშევიკური მთავრობის ტაშის დაკვრით ვანდერველდემ. — მან პირდაპირ განაცხადა — „საქართველოს დემოკრატია გაიმარჯვებს მხოლოდ მაშინ, როცა გაიმარჯვებს დემოკრატია ყოფილ რუსეთის ყველა ნაწილებში და მაშინ რუსეთი და საქართველო გაერთიანდებიან თავისუფალ ფედერაციაში“ (იხილე პარიზის *Посл. Новости* 8-XI-1924 წ.).

ეს ხომ ქართული დამოუკიდებელი ეროვნული პოლიტიკის უარყოფაა და აბრამოვიჩ-კერენსკის დემოკრატიასთან საქართველოს ბედის გადაწნაა.

რატომ უნდა გაყვეს ამ გზას ქართული ინტელიგენცია და ანაცვალოს მას არსებული საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა?

ეს ხომ ნაციონალური ომი კი არა, მენშევიკთა არიერგარდული პარტიული ბრძოლა არის...

ეს ვსთქვი მე 1921 წ. ბათუმში დამფუძნებელი კრების სალიკვიდაციო სხდომაზე: „იყო ომი და დამარცხება არა საქართველოსი რუსეთის მიერ, არამედ მენშევიზმის ბოლშევიზმის მიერ მეთქი“.

დროა მოვშორდეთ საბოლოოდ განწირულთ!

ბერლინი. იანვარი 1925 წ.



ქართული  
ზიზლირთქს

საზრანგბეთის სოხილისტები დო სოქაროვლო

## საფრანგეთის სოციალისტები და საქართველო

—„შეიძლება ფრანგული თავაზიანობის გამო სალიკვიდაციო პროცესი ძველი მენშევიკური ელჩისა და ლეგაციისა უფრო გაჭიანურდეს, ვიდრე ეს მოხდა თავისი დროზე გერმანიაში, მაგრამ იურიდიულად ეს, რასაკვირველია, საფრანგეთშიც ისე მოხდება, როგორც გერმანიაში მოხდა“.

ასე ვწერდით „ახალ საქართველოს“ მეორე ნომერში, და ეს გამართლდა.

საფრანგეთის სოციალისტებმა მეტი თავაზიანობა გამოიჩინეს ვიდრე თავის დროზე გამოიჩინა მათმა გერმანელმა ამხანაგებმა.

საგარეო სამინისტროს ხარჯთ აღრიცხვის განხილვის დროს, საფრანგეთის სოციალისტების ერთმა ლიდერმა რენოდელმა ცხარე სიტყვა სთქვა, სადაც დაასაბუთა საქართველოს საკითხი ოფიციალურ მენშევიკურ თვალსაზრისით. მან შოაგონა საფრანგეთის მთავრობას ვალდებულება *de jure*-თ ნაცნობ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართ. რენოდელი შეეხო სხვათა შორის ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა ცნობლ დეკლარაციას და დაიწუნა იგი: „ინტელიგენცია ყოველთვის გამარჯვებულს უჭერს მხარსო“.

თვით საგარეო კომისიის მომხსენებელიც ანრი სიმონი შეეხო ამ საკითხს და სთქვა: „ვინაიდან საბჭოთა კავ-

შირი იმ ტერიტორიაზეა ცნობილი, რომელიც მის ხელი-  
სუფლებას ემორჩილება, ამიტომ საქართველოს სსრ-ში  
ცალკე დატოვებულია“.

თუმცა კონკრეტული წინადადება არც სიმონს და  
არც რენოდელს არ შეუტანიათ, მოსალოდნელი იყო, რომ  
მთავრობის თავმჯდომარე ბ. ერიო შეეხებოდა საქართვე-  
ლოს საკითხს და განმარტავდა პირდაპირ მთავრობის შე-  
ხედულებას; მაგრამ ერიომ არჩია „თქმითაც დაშავდების“  
და თავის უშველებელ საბოლოო სიტყვაში კრინტიც კი  
არ დასძრა საქართველოს შესახებ. თითქოს დეპუტატები-  
პარლამენტი უპასუხისმგებლოდ, პლატონიურად, ლაპარაკ-  
ობენ; მთავრობისა და პრეზიდენტის პოლიტიკური აკტი  
კი რჩება — კრასინის ელჩად მიღება რუსეთი-უკრაინა-  
ბელორუსეთ-ამიერ-კავკასიის უნიონის სახელით.

ერთად ერთი კრინტი, რომელიც დასძრა ედუარდ  
ერიომ, ეს იყო მისი ღიმილი, როცა კომუნისტი ბ. კაშენი  
საბჭოთა საქართველოს დასაცავ სიტყვას ამბობდა და  
ბუნდოვანი რეპლიკა „იმპერიალიზმის“ შესახებ.

ასეთ „სიფრთხილეს თავი არ ატკივდება“ არც ჩვენ  
(და ალბად არც მენშევიკები) არ მოველოდით ბ-ნ ერიოსა-  
გან, ვინაიდან საერთოდ ფრანგების ეროვნული თვისება  
გულახდილობა არის („soyons frans“).

მენშევიკებს, როცა რენოდელს ლაპარაკი სთხოვეს,  
ალბად ახსოვდათ. ბატონ ერიოს ოპოზიციაში ყოფნის  
დროს დაწერილი წერილები.

მაგრამ ოპოზიციაში ყოფნა სხვაა და მთავრობის  
თავმჯდომარეობა კიდევ სხვაა.


ედუარდ ერიოს მაგიერ საქართველოს საკითხი გან-  
მარტა მისმა ელჩმა ერბეტმა—მოსკოვში, მან განაცხადა:  
„ვინაიდან საფრანგეთმა იცნო საბჭოთა რესპუბლიკების

კავშირი, ამითვე მან იცნო ყველა ის საბჭოთა რესპუბლიკები, რომელნიც ამ კავშირს შეადგენენო; საელჩო ნება, სთქვა ერბეტმა, მე ჩავაბარე კალინინს, არა როგორც რუსეთის რესპუბლიკის, არამედ როგორც საბჭოთა რესპუბლიკების მთელი უნიონის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს და ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკის წარმომადგენელი დაესწრო კიდევ ამ ცერემონიასო.“

ამ გვარად გამოირკვა, რომ რენოდელის მიერ აღძრული საკითხი გადაწყვეტილია.

მაგრამ ჩვენ მაინც საგანგებოდ ვეხებით მას და აი რატომ: ეს პლატონიური და კონკრეტულ დასკვნებს მოკლებული, რომ მეტი არა ვთქვათ, ლაპარაკი ფრანგ სოციალისტებისა საქართველოს შესახებ, სახიფათოა, ვინაიდან იგი ძველ ილიუზიებს აღვივებს თითქოს ყოფილი მენშევიკური მთავრობის რესტავრაციის საქმე არ იყოს სამუდამოთ წაგებული, ხოლო ილიუზიებს შეიძლება მოყვეს ახალი შემცდარი ნაბიჯები, ზოგჯერ მომაკვდინებელიც.

გვაგონდება ერთი ფაქტი, უცნობი ფართო წრეებისათვის: 1922 წელს 20 სექტემბერს „ნაციონალისტი“ პოლიტიკურ კომისიაში ბელგიელ სოციალისტმა დებრუკერმა წინადადება შეიტანა — „საქართველოს სოვეტიზაცია დავემოთო“. მაშინ ინგლისელმა დელეგატმა ფიშერმა სთქვა: „დამუქრება კარგი რამაა, თუ შესაფერი ზომის თან მოყოლებაც შეიძლება... ხოლო ისე დემონსტრატიული რეზოლიუციების გამოტანით შეიძლება ქართველ ხალხს ყალბი იმედები დაუბადოთ ჩვენი ჩარევის შესახებ... და მაშინ რამე რომ მოხდეს პასუხისგება ჩვენი იქნებაო“... ლორდმა სესილმა, მეორე ინგლისელმა დელეგატმა კი



კავშირი, ამითვე მან იცნო ყველა ის საბჭოთა რესპუბლიკები, რომელნიც ამ კავშირს შეადგენენო; საელჩო-ოწმებნება, სთქვა ერბეტმა, მე ჩავაბარე კალინინს, არა როგორც რუსეთის რესპუბლიკის, არამედ როგორც საბჭოთა რესპუბლიკების მთელი უნიონის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს და ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკის წარმომადგენელი დაესწრო კიდევ ამ ცერემონიასო.“

ამ გვარად გამოირკვა, რომ რენოდელის მიერ აღძრული საკითხი გადაწყვეტილია.

მაგრამ ჩვენ მაინც საგანგებოდ ვეხებით მას და აი რატომ: ეს პლატონიური და კონკრეტულ დასკვნებს მოკლებული, რომ მეტი არა ვთქვათ, ლაპარაკი ფრანგ სოციალისტებისა საქართველოს შესახებ, სახიფათოა, ვინაიდან იგი ძველ ილიუზიებს აღვივებს თითქოს ყოფილი მენშევიკური მთავრობის რესტავრაციის საქმე არ იყოს სამუდამოთ წაგებული, ხოლო ილიუზიებს შეიძლება მოყვეს ახალი შემცდარი ნაბიჯები, ზოგჯერ მომაკვდინებელიც.

გვაგონდება ერთი ფაქტი, უცნობი ფართო წრეებისათვის: 1922 წელს 20 სექტემბერს „ნაციონალისტი“ პოლიტიკურ კომისიაში ბელგიელ სოციალისტმა დებრუკერმა წინადადება შეიტანა — „საქართველოს სოვეტიზაცია დავემოთო“. მაშინ ინგლისელმა დელეგატმა ფიშერმა სთქვა: „დამუქრება კარგი რამაა, თუ შესაფერი ზომის თან მოყოლებაც შეიძლება... ხოლო ისე დემონსტრაციული რეზოლიუციების გამოტანით შეიძლება ქართველ ხალხს ყალბი იმედები დაუბადოთ ჩვენი ჩარევის შესახებ... და მაშინ რამე რომ მოხდეს პასუხისგება ჩვენი იქნებაო“... ლორდმა სესილმა, მეორე ინგლისელმა დელეგატმა კი

პირდაპირ სთქვა: „ასეთი რეზოლიუციებით აჯანყების პროვოკაცია შეიძლება...“

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ასე ფრთხილად ლაპარაკობენ კონსერვატორები, სოციალისტები კი (ინგლისელები და ფრანგებიც) სხვა ტაქტიკას ადგიან: ისინი იმუქრებიან და აქეზებენ, თუმცა იციან საქმეში რეალურად ჩარევა არ შეუძლიათ. ეს სისტემატიური დანაშაულია, რომელსაც ჩადიოდენ და ჩადიან დღეს, საქართველოში ნაქეიფარი ევროპიელი სოციალისტები (გუშინ მაკდონალდი, დღეს რენოდელი).

განსაკუთრებით დანაშაულნი არიან საფრანგეთის სოციალისტები, რომელთაც საქართველოს საკითხი გადააქციეს ფრანგ კომუნისტებთან ანგარიშ გასასწორებელ საგნად; როგორც „Temps-ი სწერდა (აჯანყების დროს) საფრანგეთის სოციალისტები საქართველოს საკითხით ჯინს იყრიან კომუნისტებზე: ერთის მხრივ სოციალისტები იძულებულნი გახდნენ მოეთხოვათ საბჭოთა რუსეთის და ნოელს ფედერაციის ცნობა; მეორეს მხრივ, მათ ეშინიათ რომ ეს ცნობა აძლიერებს კომუნისტურ პარტიის გავლენას საფრანგეთის მუშათა კლასში და აი საბალანსოდ ისინი ცდილობენ საბჭოთა ცნობის ავტორიტეტის დამცირებას საქართველოს საკითხით: „ცნობით კი ვიცანით, მაგრამ საქართველოს სოვეტიზაციას ვგმობთ, ბალშევიკები იმპერიალისტები არიან ჩვენთან სოციალისტებთან შედარებით, ისინი უწმიდურები არიან, მუშებო არ მოტყუდეთ, ჩვენ არ მოგვმორდეთო...“

აი ეს არის რენოდელის ორმაგი პოლიტიკური ბუნ-  
გალტერია...

მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ სტაბილუ-  
ლო არ გაყვება რენოდელის ახალ პროვოკაციას და არ  
გადაყვება საბოლოოდ მენშევიკების რესტავრაციას, რომ-  
ლის ილიუზიამ ამდენი მსხვერპლი უკვე შეიწირა.

ბერლინი. 15 თებერვალი 1925 წ.



ქართული  
ბიბლიოთეკა

პროფ. გ. ავალიუბილის ახალი წიგნი

## პროფ. ზ. ავალიშვილის ახალი წიგნი

ბიბლიოგრაფიის მაგიერ

გამოვიდა სტამბიდან პროფ. ზ. ავალიშვილის წიგნი „Независимость Грузии в международной политике 1918—1921 г. г. Воспоминания. Очерки.“ Paris 1924.

ავტორის სახელი ცნობილი იყო რევოლუციამდის სამაგისტრო შრომით: „Присоединение Грузии к России.“ (ამ შეერთებაში ბ. ავალიშვილის წინაპარნიც იღებდენ მონაწილეობას).

ეხლანდელ წიგნისთვის კი ავტორს სამართლიანად შეეძლო დაერქვა: „Возвращение Грузии России“, რადგან მენშევიკურ საქართველოს დელეგაციებმა, რაშიც ბ. ავალიშვილი მონაწილეობდა, ვერ მიაღწია ევროპაში იმ მიზანს, რა მიზანსაც მიაღწია ასი წლის წინად შეფეთა საქართველოს დელეგატებმა რუსეთში.

ბ. ავალიშვილის ახალი წიგნი ამტკიცებს, რომ ასეთი ღარცხი საევროპო დელეგაციისა მისი ბრალი კი არა, არამედ მისი უხეირო შეფებისა არის.

ვინც იცის, რომ პროფ. ავალიშვილი ერუდიციით კონკურსის გარეთა სდგას ქართველ ინტელიგენტთა შორის, ხოლო კულტურით მემკვიდრეა არა მარტო ავალიშვილთა გვარის, არამედ გერმანული ტრადიციისაც, მას არ გაუკვირდება მეტად ხშირი ხმარება ნაცვალსახელისა: „მე“ და „ჩემი“ — ყველგან საცა საქმე თითქოს კეთდებოდა, ხოლო ყველგან საცა საქმე ფუჭდებოდა, რომ მისი უხეირო კომპანიონების სახელი გვესმის...

მაგრამ თვით ბ. ზ. ავალიშვილის წიგნის წაკითხვის შემდეგ არ შეიძლება ერთი საყვედური არ ეთქვას ტორს — ესაა საყვედური პოლიტიკური — რატომ დროზე, მაშინვე, საჯაროდ არ ამხილა მან მომაკვდინებელი ცოდვანი თავისი შეფებისა, რომ საქართველოს მენშევიკურ მთავრობას თუ არა, საქართველოს ოპოზიციას მაინც დაედო მათთვის ჯეროვანი მსჯავრი?

სან-რემოს კონფერენციის დასრულებისთანავე (1920), როცა ავტორის აზრით გადაწყდა მენშევიკური საქართველოს საგარეო ბედი, — ბ. ავალიშვილს რომ დროზე ეთქვა, რაც სათქმელი ჰქონია — მაშინ შეიძლება ქართული ეროვნული ძალები დროზე ჩამოშორებოდნენ მენშევიკთა ფირმას, დროზე მოსპობილიყო ის „მოწაფეობა“, რომელსაც მენშევიკები განაგრძობდნენ შემდეგ საერთაშორისო კონფერენციებზე და საქართველოს პოლიტიკა დროზე ჩამდგარიყო რეალურ კალაპოტში.

მოგვყავს ეხლა ზოგიერთი აზრი საქართველო-რუსეთის დამოკიდებულებაზე, ამოკრეფილი ბ. ავალიშვილის მონოგრაფიიდან, რომელსაც სხვათაშორის რუსთველის ეპიგრაფი აქვს: „გასრულდა იგი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა“.

ბ. ავალიშვილი ამბობს, რომ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის დაპირდაპირება მენშევიკური მთავრობის საგარეო პოლიტიკის ბრალი იყო, რომელმაც საქართველო სრულს იზოლიაციაში მოაქცია, როგორც მოსკოვის, ისე ანგორის მიმართ (გვ. 13). — „Грузию довели до столкновения с советской Россией“, ამბობს კურსივით ავტორი (გვ. 12).

ბალშევიკურ და მენშევიკურ წესწყობილების შესახებ ავტორი ამბობს: „ის რაც პოლიტიკურად და სუბიექ-

ტიურად იყო ბრძოლა და გვეჩვენებოდა გადატრიალება, — ისტორიულად და ობიექტურად იყო <sup>საქართველოში</sup> შრომის განაწილება და ფაზათა რიგი“. (გვ. 14).

თბილისისა და მოსკოვის მთავრობების შორის რომ თავიდანვე ცუდი დამოკიდებულება დამყარდა, ავტორი სთვლის სამწუხარო მოვლენად და ხსნის მას მენშევიკთა და ბალშევიკთა პარტიულ ანტაგონიზმით (გვერდი 99).

საგულისხმოა შემდეგი ფაქტი: ბ. ავალიშვილი მოგვითხრობს, რომ როცა ბ. ირაკლი წერეთელი ჩამოვიდა პარიზში, მან განუცხადა საფრანგეთის სოციალისტებს: „საქართველო კვლავ დაუბრუნდება რუსეთს, თუ იქ მენშევიზმი გაიმარჯვებსო“ (გვ. 190).

საზოგადოდ ბ. ავალიშვილი უბედურებად სთვლის იმ გარემოებას, რომ მენშევიკებმა საქართველო მეორე ინტერნაციონალის წილდ და მესამე ინტერნაციონალის ბრძოლის ველად გადააქციეს...

სოც.-დემოკრატიულ დელეგატებს და შათი მადამების ეკსკურსიას საქართველოში ავტორი აფასებს როგორც მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ მიმართულ დემონსტრაციას (გვ. 292).

საინტერესოა, რომ ავტორს ჯერ კიდევ 1918 წელს (ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ) უწინასწარმეტყველებია: „კავკასია გამოეყოფა რუსეთს და შემდეგ კვლავ დაუბრუნდება მას ფედერატიულ კავშირითო“ (გვ. 12).

ეხლანდელ მდგომარეობას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ავტორი ასე უყურებს: „საქართველოც, აზერბეიჯანიც და სომხეთიც არსებობენ. მათი ისტორია არ დასრულებულა 1921 წელს; იგი მიმდინარეობს ახალ პირობებში“ (გვ. 15).



ჩვენ წინ დევს ინგლისური ჟურნალი: *The Asiatic Review* (ივლისის ნომერი), სადაც მოთავსებულია პროფ. ავალიშვილის რეცენზია Allen-ის წიგნზე შესახებ კავკასიის (და ბალტიკის) ახალ სახელმწიფოთა.

აქ ბ. ავალიშვილი უფრო გარკვევით აფასებს იმ „ახალ პირობებს“, რომელშიაც იმყოფება დღეს საქართველო.

იგი პირდაპირ ამბობს, რომ დღევანდელი ფედერატიული ფორმა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა და რუსეთის საბჭოთა კავშირისა -- ყველაზე უფრო ჯანსაღი (sound), ფართო (Large) და ნაყოფიერი (fruitful) პოლიტიკური სხემაა, რომელიც როდისმე გამონახულა რუსეთის იმპერიისათვის (გვ. 522).

ხოლო შემდეგ გვერდზე ავტორი დაასკვნის: „სამივე რესპუბლიკა საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი ამ უმად პოლიტიკურად მკვდრეთით ამდგარნი და გაღვიძებული არიან ახალი ცხოვრებისათვის თანამედროვე ხაზებით და *faute de mieux* ისინი ალბად შეხედავენ ამ მჭიდრო კავშირს რუსეთთან, როგორც უახლოეს, უკეთეს გამოსავალს („next best solution“).

პროფ. ავალიშვილს ქონია აზრად დამატებით 1918-1921 წლის ქართული დიპლომატიური დოკუმენტების კრებულის გამოცემა და აგრეთვე სპეციალურად მიმობნილვა კავკასიური პოლიტიკის კითხვათა.

ვუსურვებთ ავტორს ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას სამშობლო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის ჭერის ქვეშ.

ბერლინი. 15 თებერვალი 1925 წ.



ქართული  
ბიბლიოთეკა

რეალურ სტატისტიკულ მეთოდებს

## რეალურ საქართველოსთვის

### I. ორიენტაციის საკითხი.

#### საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავზე

ოთხი წლის წინად მოხდა ბრძოლა საქართველოს გასაბჭოებისათვის. ამ ბრძოლაში ქართულ ბოლშევიკურ მთავრობას გაბედულად ეხმარებოდა მისი მონათესავე საბჭოთა რუსეთის ძალა.

ხოლო ძველ მენშევიკურ მთავრობისადმი მეგობრულად განწყობილ საფრანგეთის ესკადრამ გაუბედავად გაისროლა აფხაზეთის (გაგრის) ფრონტზე რამოდენიმე ყუმბარა.

და აი მაშინ ჩამოყალიბდა ის პოლიტიკური იდეა, რომლისთვისაც მასუკან ოთხი წელიწადი, აჯანყებამდის, იბრძოდნენ ქართული ანტიბოლშევიკური პარტიები, ესე იგი, თითქმის მთელი ჩვენი ინტილიგენცია.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა მიიჩნიეს ძველი მებატონე რუსეთის დაბრუნებათ ახალი მოურავის სახით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემა კი მიჩნეული იქნა თვით საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანიზმის დასამარებათ.

და როცა საბჭოთა ხელსიუფლებამ და წითელ ჯარმა ბათუმის ზღვის პირს მიაღწია, ხოლო საფრანგეთის ესკადრა მოგვშორდა და თან ძველი მთავრობა ზღვის

გადაღმა წაიყვანა, — ქართველი ინტილიგენციის უშრავ-  
ლესობამ ამ ზღვას დაუკავშირა იდეა საქართველოს დე-  
მოკრატიულ დამოუკიდებელ რესპუბლიკის რესტავრა-  
ციისა ანტიბოლშევიკური ევროპის დახმარებით.

ამ ნაციონალური იდეისათვის და არა სოციალური  
წოდებრივი ან კლასობრივი მოტივებით იყო გაფიცული  
ქართველი ინტელიგენცია; ამისათვის სწარმოებდა მისი  
ბოიკოტი, საბოტაჟი და კონსპირაცია.

მაგრამ ამ ოთხი წლის განმავლობაში თან და თან  
ცხადი ხდებოდა, რომ ანტიბოლშევიკური ფორმულა:  
„საქართველოს სოვეტიზაცია არის რუსიფიკაცია,“ —  
იყო ყალბი.

ცხადი ხდებოდა თანდათან, რომ ოქტომბრის რევო-  
ლიუცია იყო არა მარტო სოციალური გარდატეხა რუსე-  
თის იმპერიისა, არამედ გარდატეხა ნაციონალურიც.

ფაქტი გახდა, რომ საბჭოთა კავშირის უდიდეს მო-  
წაწილემ რუსეთმა არ დაიჩემა ფედერაციის სახელი და  
იურდიულად გაითანასწორა თავი უკრაინა, ბელორუსია,  
კავკასიასთან.

ფაქტი გახდა, რომ კომ. პარტიის მეთორმეტე ყრი-  
ლობამ ი. სტალინის (ჯულაშვილის) მოხსენებით დაად-  
გინა არა მარტო კულტურული, არამედ ეკონომიური  
ნაციონალიზაცია არა რუსულ რესპუბლიკების და ამით  
მოსპო იდეა საბჭოთა რუსეთის ახალ კოლონიალურ პო-  
ლიტიკისა განაპირებში; მართლაც, რომელი იმპერია-  
ლისტური მეტროპოლია არის, რომ კოლონიის ინდუს-  
ტრიალური გათანასწორებაზე ზრუნავდეს. საბჭოთა  
ხელისუფლება კი ინდუსტრიალიზაციას ახდენს განაპი-  
რა რესპუბლიკებში, კერძოდ ამიერ-კავკასია-საქართვე-  
ლოში და ამით ის რეალურ დამოუკიდებლობას სჭედს.



ამავე ყრილობამ დაადგინა საბჭოთა ფედერაციის უმაღლეს ორგანოს, ეროვნებათა საბჭოს დაარსება და ც საბჭოთა ერები თანასწორად შედიან და სადაც იმდენივე რუსის წარმომადგენელია, რამდენი ქართველიც (ასზე ხუთი).

ფაქტი გახდა აგრეთვე, რომ საბჭოთა კონსტიტუციამ უზრუნველყო მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენიტეტი ფედერაციიდან გამოსვლის (სეცესიის) უფლებების მიანიჭებით და იმით რომ რესპუბლიკათა ტერიტორიის საზღვრების შეცვლა, თუ არა მათი თანხმობით, ცენტრს არ შეუძლია.

ამ ფაქტებით საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში მორალურად უკვე აჯანყებამდი იყო გამარჯვებული მის მოწინააღმდეგე პოლიტიკაზე.

მართლაც რა უნდა დაეპირდაპირებია ქართულ ანტიბოლშევიკურ ბლოკს საბჭოთა ფედერაციის პრინციპისა და პრაქტიკისათვის.

იდეა საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა? მაგრამ ეს იდეა დღეს გულწრფელად, გარდა ჯერ კიდევ ნაციონალიზმის ბავშური სახადით მოუხდელთა აღარავის აღარ სწამს, განსაკუთრებით ემიგრაციას, რომელმაც ევროპაში პირისპირ ნახა რაა პატარა ერთა დამოუკიდებლობა, როცა 30 მილიონიან პოლონეთს მისი ბედის გამომჭედ საფრანგეთის სამინისტროს ყოველ ცვლილებაზე აძაგდაგებს რუსეთსა და გერმანიას შორის მარტო დარჩენა, — სამი მილიონიანი საქართველო რას იზამდა მარტო?

ან შეიძლება დასაპირდაპირებელი იყოს იდეა საქართველოს ნეიტრალიტეტისა ევროპის გარანტიით, მაგრამ, როგორც ამბობდა ჯერ კიდევ პირველი იდეოლოგი

ქართული სახელმწიფოებრივობისა არჩილ ჯორჯაძე  
საქართველო შეეიცარია არაა, რადგან მის უკან-არაა  
მდიდარი აზია, რომლის დასაპყრობად ბაზაა კავკასია;  
ბაზას ნეიტრალად-კი არავინ გამოაცხადებს.

დარჩა იდეა ევროპის პროტექტორატისა. ესე იგი დამოუკიდებლობა მხოლოდ რუსეთისაგან და ამისათვის სამაგიერო დამოკიდებულება ევროპის კოლონიალურ სახელმწიფოებიდან.

მაგრამ ვისი ან როგორი პროტექტორატი?

ინგლისს-საფრანგეთმა ომში ნარგები ტერიტორიებიც დაცალეს (სპარსეთი, კილიკია) და ახალის პასუხისგება როგორ უნდა იკისრონ, და კიდევ რომ იკისრონ ეს ისეთივე დროებითი იქნებოდა, როგორც იყო ბაქო-ბათუმის ოკუპაცია 1918-21 წელს.

მაგრამ გარეშე ამ პრაქტიკულ გარემოებისა, საკითხი დგება აგრეთვე პრინციპიალურად: უნდა პირდაპირ ვაღიაროთ, რომ შედარებით საბჭოთა რუსეთის ფედერატიულ კავშირთან, ევროპის რომელიმე პროტექტორატი საქართველო წააგებდა.

უინდუსტრიო პატარა ტერიტორიას ავსტრალია-კანადისთანა დომინიონათ არავინ გახდიდა, ხოლო კოლონიათა როლი კარგად ვიცით აზია-აფრიკის ერთა ომის წინა და ომის შემდეგი ისტორიიდან.

ამიტომ სრულიად გადაჭრით უნდა ვაღიაროთ საბჭოთა რუსეთის ორიენტაცია არა მარტო დროებით, ტაქტიკურად რაღაცა ევროპამ ვერ გაბედა ჩვენში აჯანყების დროს ინტერვენცია, არამედ პ რ ი ნ ც ი პ ი ა ლ უ რ ა დ, სერიოზულად და დიდის ხნით.

ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს ბოლშევიკურმა პარტიამ ორიენტაციის საკითხში სწორედ აუღლო

აღლო საქართველოს გეოპოლიტიკას და რომ ისტორიული აუცილებლობით არის ნაკარნახევი ის სიტყვა, რომელიც ს. ორჯონიკიძემ სთქვა აჯანყების დროს:

— „დღეს ჩვენი ერისათვის აშკარაა, რომ თუ მას არ ეყოლა მჭიდრო ერთგული მოკავშირე, მისი აღორძინება და წინმსვლელობა შეუძლებელია. ჩვენ გვინდა საზღვრების დაცვისათვის დახმარება. ჩვენთვის აუცილებლათ საჭიროა, ძმური ერთგული მოკავშირე. — ვინ შეიძლება იყოს ასეთი მოკავშირე“?

უნდა დავეთანხმოთ ს. ორჯონიკიძეს დასკვნას, რომ ასეთი მოკავშირე საქართველოსათვის არის არა ინგლისი და საფრანგეთი, არამედ საბჭოთა რუსეთი. უნდა შევიგნოთ რომ საზოგადოთ რუსეთის, როგორც უძლიერესი მეზობლის, ორიენტაცია ყველაზედ უფრო რეალურია ქართველი ერისათვის სამხედრო თვალსაზრისით და ამავე დროს რუსეთისა და მოკავშირე რესპუბლიკათა ტერიტორიები უკეთესი ასპარეზია მრავალ რიცხვოვანი ქართული ინტილიგენციისათვის, ვიდრე ევროპა.

დღევანდელი საბჭოთა რუსეთი კი პოლიტიკურად ყველაზე უკეთესი ნაციონალური სახეა რუსეთისა, რადგან საბჭოთა კონსტიტუცია გვათანასწორებს რუსეთთან, როგორც ფორმალურად, ისე ფაქტიურად.

ხოლო ინტერნაციონალური სახე საბჭოთა მოსკოვისა და მმართველი კომუნისტური პარტიისა უკეთესი საერთაშორისო დაზღვევაა მცირე რიცხვოვან ქართველი ერის რესპუბლიკისა, ვიდრე ჟენევის „ერთა ლიგა“, ან ამსტერდამის ინტერნაციონალი, რადგან იგი უკავშირებს საქართველოს საქმეს მსოფლიო პოლიტიკის ორი დიდი ფაქტორის — პროლეტარიატისა და კოლონიალურ ერთა სოციალურ და ნაციონალურ განთავისუფლების პერს-



პექტივებს და ამ ფაქტორთა აქტიურ ავანგარდში  
თიო პოსტზე გვაყენებს აზიის კიშკარში.

ქართველი ხალხის უმრავლესობამ, გლახობამ, შარ-  
შან აგვისტოში დაამტკიცა რომ იგი მისდევს ამ პოლი-  
ტიკას ისე, როგორც დაამტკიცა მან ეს ოთხი წლის წინ  
საქართველოს გასაბჭოებისთვის ბრძოლის დროს.

ამ ჭკუით უნდა იაროს მთელმა ინტილიგენციამ და  
ჯგვარი უნდა დაუსვას ნოე ყორდანის ფანტასტიურ ევ-  
როპიულ პოლიტიკას.

ოთხი წლის განმავლობაში ფაქტიურად, მაშასადა-  
მე კანონიერად არსებული მუშათა-და-გლახთა საქარ-  
თველო უნდა „ვიცნოთ“, როგორც ერთად ერთი რეა-  
რული საქართველო, და არა მარტო უნდა ვიცნოთ იგი  
ზასიურად, არამედ აქტიურად უნდა დავიცვათ იგი, თუ  
მას საიდანმე საფრთხე გაუჩნდა. ოთხი წლის წინ მოხდა  
საქართველოს პოლიტიკური გასაბჭოება.

წრეულს მეხუთე წელს, ხდება მორალური და ფსი-  
ქოლოგიური გასაბჭოება მთელი საქართველოსი.

ბერლინი. 5 აპრილი 1925 წ.



ქართული  
ზიგლიოთეკა

ახალი საგზაგადასახლებისათვის

## ახალი საზოგადოებრივობისათვის

ჩვენი გაზეთის მესამე ნომერში დაბეჭდილი იყო დეკლარაცია ნაციონალ-დემოკრატიული ახლგაზრდობის: დეკლარაცია პასუხად „ახალ საქართველოს“ რეალური პოლიტიკის ლოზუნგისა აცხადებდა: — არა მართო ვცნობთ საბჭოთა მთავრობას, არამედ მთელი ჩვენი ახლგაზრდული ენერგიით დავდგებით ამ რეალ საბჭოთა საქართველოს სადარაჯოზეო“. ამ დეკლარაციას ხელს აწერდა 30 კაცი.

დღეს ჩვენ გაზეთში იბეჭდება 21 ნ. დ. ახლგაზრდას ინდენტიური განცხადებანი ქუთაისიდან.

ეს ახლგაზრდობა ჩვენ მიგვაჩნია დიდი ღირებულეზად, რადგან იგი ახალი, მომავალი თაობა არის, ყოველ შემთხვევაში ის მეტ ღირებულეზას წარმოადგენს, ვიდრე უკვე მობერებული ნაციონალ-დემოკრატიული ემინგრატული ტიპები: კაპიტალის მაძიებელნი, წოდების პრივილეგიების ფანფარონები და მგლოვიარე სამონასტრო ინტელიგენტები.

შეიძლება ზოგიერთს გაუკვირდეს „კლდის“ ყოფილ რედაქტორის ასეთი რადიკალიზმი, მაგრამ „კლდეც“ იყო და „კლდეც“ — ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გაიყო დამოუკიდებლობის გამოცხადებისას; როცა უსუსურმა ქართველმა ბურჟუაზიამ მოინდომა მენშევიკური რეჟიმის უკეთ გამოსაყენებლად ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის მოსამსახუროება. ჩვენ ოპოზიციის გზა ვარ-

ჩიეთ. მაშინ გამოვიდა გაზეთი „კლდე“, მაგრამ ეს იყო ჟურნალ „კლდის“ მეორე გამოცემა. რამდენაღობა ლიტერიკურ ჯგუფს სოციალური ბაზა უნდოდა, ჩვენ ვეძებდით მას არა ბურჟუაზიაში, არამედ სოფლად; ამიტომ ვუპირდაპირებდით ჩვენ პირველს — სოფლურ, აგრარულ პოლიტიკას: მაგრამ, რასაკვირველია, ნამდვილი სოციალური ბაზა სოფლიდან შეიძლებაოდა ყოფილიყო მხოლოდ გლეხობა. ამ გზით მიდიოდა ახალი „კლდის“ საჭეც. და ძველი „კლდეელები“ ამ პლებეურ მესაჭეობას ეთვისებოდენ არა უარესად, ვიდრე ეთვისებოდა ზოგიერთი აზნაური ან თავადი სოციალისტურ პარტიას... ამ გლეხური პოლიტიკისათვის გაზეთი „კლდე“ შეიცვალა გაზეთ „მიწად“; ამასთანავე დამფძ. კრების ნაციონალისტთა ფრაქცია პარლამენტარულ ადმინისტრაციული დახმარების წინადადებით მიმართავდა მხოლოდ გლეხებს: პირველი პარტიული კონფერენცია მოწვეულ იყო იმ მიზნით, რომ დაარსებულიყო ეროვნული და სოფლური პარტია — „გლეხობის პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების დასაცავად“; და როცა 1920 წელს, დამფუძნებელი კრების დაშლის და პარლამენტის არჩევნების მოლოდინში დადგა საკითხი არა სოციალისტურ ჯგუფთა ბლოკისა, ნაციონალისტთა პარტია პირველად სწორედ რადიკალ-დემოკრატებს შეუთანხმდა და მხოლოდ ამის შემდეგ მოვიდენ „ბურჟუაზიული“ ეროვნული-დემოკრატები.

მაგრამ დამფუძნებელი კრების ადგილი პარლამენტის მაგიერ საბჭოებმა დაიკავა.

მენშევიკური პარლამენტარული დიქტატურა ბოლშევიკური დიქტატურით შეიცვალა. შეიძლება სხვა და სხვა ნაირი ისტორიული დაფასება ამ დიქტატურისა,

რომელიც არის პოლიტიკური გარდამავალი ხანა, შესაფერის ძველი საზოგადოების ახალში რევოლუციონარულ გარდაქმნისა. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: — ამ დიქტატურით საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც კონსტიტუციონალურად მუშათა და გლეხთა ძალაუფლებაა, — უარყოფს პარლამენტარული რეჟიმის პარტიებს, როგორც არა სოციალისტურს, ისე სოციალისტურსაც ქალაქად და სოფლადაც, ეს ისტორიულად აუცილებელიც არის: დიდი რევოლუცია ყოველთვის დიქტატურით კეთდება და არა პარლამენტარული ოპოზიციით ან კოალიციით.

დასკვნა აქედან ისეთი უნდა იყოს, როგორც გააკეთა გაერთიანებულ ნ. დ. პარტიის სალიკვიდაციო კონფერანციამ: — „პარტია უნდა დაიშალოს, მაგრამ ჩვენ არ ვდგებით ცხოვრების განზე, არამედ მონაწილეობას ვიღებთ არსებულ ხელისუფლების ხელმძღვანელობით წარმოებულ სააღმშენებლო მუშაობაში“ (მომხსენებელ ვაშაკიძის სიტყვები).

მით უფრო, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე დიდი ცვლილება განიცადა მართველი პარტიის გარეთ მყოფი უპარტიო ინტილიგენციის, მუშების და განსაკუთრებით გლეხური მასის თანამშრომლობის საკითხში (ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ“). აჯანყების შემდეგ საქართველოს მმართველმა პარტიამ გააფართოვა სოფლად თავისი სოციალისტური ბაზისი უპარტიო გლეხებით, რაც ასე ნათლად სჩანს ამ დღეებში დასრულებულ საბჭოების ყრილობიდან. (ამ მხრივ მართლაც რომ შესადარებელია მენშევიკების ტაქტიკა, რომელთა იდეოლოგი ნ. ჟორდანიას ერთ აჯანყების გამო მთელი გლეხობას რეაქციული კლასად ნათლავდა და რომელთა ერთმა პრაქ-

ტიკოსმა კოჩხოვმა ამისათვისვე მთელი მაზრა განა-  
გარეშე გამოაცხადა.



დღეს კი ი. სტალინი აუცილებლად სთვლის უპარტიოთა კრიტიკას, როგორც საბჭოთა პოლიტიკის საჭირო ფაქტორს.

ჩვენ გვწამის, რომ ახალი გზით დღევანდელ საქართველოში თანდათან მტკიცდება ახალი-საბჭოთა საზოგადოებრივობა. ამ ახალი საზოგადოებრივობის აზროვნების სამსახური, რომელიც თავისთავად სამშობლოში მყოფ ინტელეგენციას უნდა ეკისრებოდეს,—დიდი საქმე არის, და ჩვენ ბედნიერად ჩავთვლით ჩვენ თავს, თუ დაწყებული ემიგრანტულ საკითხებთან ერთად, ჩვენის მხრივ, აქედა ნაპირიდან, მცირე წვლილს შევიტანთ ამ დიდ საქმეშიც.

და ახალგაზრდობა, მრავალ-რიცხოვანი სტუდენტობა, ახალი თაობა, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რომელიც „მამების“ შემცდარი პოლიტიკური ლოზუნგებით არ არის დამძიმებული, და რომელიც უთუოდ „სიცოცხლის სარბიელს, საქმეს ეძებს“ — საუკეთესო ცემენტი უნდა იქნეს ძველის ნანგრევებზე ახალი ქართული საზოგადოებრივობის და მისი აზროვნების შექმნისათვის.

ბერლინი. 5 აპრილი 1925 წ.



ქართული  
ბიბლიოთეკა

ქორღანიძე აჭანყიძის უბედეგ

## ქორდანი აჯანყების შემდეგ

ნ. ქორდანი. „რა მოხდა“ 15 იანვარი 1925 წ. პარიზი

ჩემ წინ დევს ქორდანიას ახალი ბროშურა, რომელიც არკვევს აჯანყების და მის შემდგომ პოლიტიკას.

როგორც ქორდანიას ყოველივე ნაწერი „რა მოხდა“ წმინდა პარტიული ნაწერია და მის შესახებ „ყოფილ მენშევიკებს“ უფრო შეეფერება ალბად ლაპარაკი და წერაც, მაგრამ მაინც იძულებული ვართ შევეხოთ ამ წიგნაკს, რადგან ქორდანიას პარტიულ ნაწერებს საქართველოში როგორც ნაციონალურ იდეოლოგიას ისე ასაღებენ; და თვით ქორდანია კი აჯანყების შემდეგაც თან აყოლებს ასეთ წიგნაკებს „მთავრობის თავმჯდომარის“ მანიფესტებს და ცირკულიარებს. (ერთი უკანასკნელთაგანი გამოაქვეყნა ამ დღეებში თბილისში პეტრე გელეიშვილმა „კომუნისტში“ — საიდანაც სჩანს, რომ ქორდანია ძველებურად ერთსა სწერს საიდუმლოთ და მეორეს საჯაროდ). „რა მოხდა“? — ქორდანიას აზრით მოხდა რევოლიუციის მსგავსი აჯანყება საქართველოში, რომელიც თურმე ნიშნავს „ჩვენი არა ლეგალური ორგანიზაციების უმაღლეს უმაგალითო კონსპირაციას“. ამას ბრძანებს ნ. ქორდანია ვალიკო ჯუღელის ტრადიკულ აღსარების შემდეგ, რომ „ჩეკამ ყველაფერი წინდაწინ იცისო“.

— „28 აგვისტომ საჯაროდ დასვა საქართველოს საკითხი და მიიღო საკაცობრიო კურთხევა“ — განაგრძობს ქორდანია აჯანყების დიდებას, გულუბრყვილოთ კი დღემდის ეგონა, რომ საქართველოს საკითხი მას შემდეგ დაის-

ვა კაცობრიობისათვის, რაც მენშევიკურმა პარტიამ მეორე ინტერნაციონალში შესასვლელი გადასახადი შეიტანა და რაც კაკი წერეთელი ვანდერველდე-რენოდელს მიემატა ევროპის საქმეების მოსაწესრიგებლად!

აჯანყების დამარცხებას ჟორდანია ტენნიკურად გეგმის შეცდომით ხსნის და როგორც ომებში გამობრძმედელი სტრატეგოსი ბრძანებს: — „აჯანყება უნდა დაწყებულიყო ბათუმ-თბილისის აღებითო — მაშინ აჯანყება კავკასიური გახდებოდა და ჩვენი ინტერნაციონალური მდგომარეობაც შეიცვლებოდაო“ (ამაზე ს. ორჯონიკიძის მიერ თბილისის საბჭოში წაკითხული წერილი ნ. რამიშვილისა მენშევიკურად ამბობს: „ძნელია იმის თქმა, თუ რა გამოვიდოდა აქედანო“).

ჩვენ ყოველ შემთხვევაში ვიცით, თუ რა გამოვიდოდა...ნუ თუ ეს არ. ესმის ბ. ნოე ჟორდანიას, როცა იგი უკვე დაღუპულთა საფლავზე ასე არხეინად განაგრძობს აჯანყების რეცეპტების გამოწერას. — ეს არის *lapsus gèrontocratique!* ჟორდანია გულნაკლულად ამბობს, ნამდვილი ბრძოლის მაგიერ, აჯანყება საქართველოს უმეტეს პროვინციებში დემონსტრაციას უფრო წააგავდაო — განსაკუთრებით ლიხის მთის დასავლეთით. — „ნაკლები მსხვერპლით და მეტი ლაპარაკით“ — ასე ახასიათებს იგი მაგალითად გურიის ტაქტიკას... სამაგიეროდ ჟორდანია რომელიმე ბაგრატიონისამებრ მაღლობის გრამოტას უძღვნის სვანეთს — „სვანმა სავსებით დაიმსახურა სამშობლო“. (თუ 1918 წელს ჟორდანიამ კაჩუხოვს კანონს გარეშე გამოაცხადებია და ააწიოკებია ლეჩხუმ-სვანეთი, ეს ალბად იმიტომ რომ მაშინ სვანი ჯერ კიდევ დამსახურებული არ იყო).

დასკვნა ჟორდანიასი — აჯანყების პოლიტიკური ხაზი იყო სწორი, ხოლო მისი სამხედრო ხაზი არ იყო სწორი. მაშ — „პოლიტიკური ხაზის გაგრძელება და სამხედრო ხაზის გადაწმინდა“..

პერსპექტივა ავტორისა ასეთია: — უნდა გვახსოვდეს „მოსკოვის ქვეყნად განმარტობა“, „მის დაცემაში დაინტერესებულია მთელი ქვეყანა“.

ესაა მაშ ჟორდანიას ბაზისი — „მოსკოვის მსოფლიო იზოლიაცია“!..

ჟორდანიამ მოაწერა ხელი ამ თავის მორიგ სახარებას 15 იანვარს, ხოლო 20 იანვარს იაპონიამ ხელი მოაწერა საბჭოთა მოსკოვთან ხელშეკრულებას, რომელმაც დიდი ხმაურობა გამოიწვია ამერიკა — ინგლისში, რადგან ამ აქტში დაინახეს მომზადება ახალი მსოფლიო ბლოკისა: იაპონია-ჩინეთი-რუსეთი-გერმანია. ამას რომ თავი დავანებოთ ყოველ შემთხვევაში, ცხადია რომ იაპონია აღარ არის დაინტერესებული საბჭოთა რუსეთის დაცემით; თორემ სახალინს ამისათვის ხომ არ დაცლიდა.

ეხლა მივიხედოთ ინგლისისაკენ. ჟორდანია ანუ გეშებს გულბრყვილო ქვეშევრდომთ — „პერსელის დელეგაცია სავსებით დამარცხდა ევროპაში“, მაგრამ ეხლა ხომ ყველამ გაიგო, რომ ინგლისის ტრედ-იუნიონების კონგრესი გაყვა პერსელის გზას და ამსტერდამის ინტერნაციონალის დადგენილების დარღვევით უშუალო ახალ მსოფლიო (ანგლო — საბჭოთა) მუშათა ცენტრს ქმნის, — რაც საკმარის გავლენას ახდენს ჩემბერლენის პოლიტიკაზედაც... ან და შეიძლება მოსკოვის იზოლიაციის ბრალთა, რომ ყველაზედ უფრო მწვავე საკითხი აღმოსავლეთ ევროპისა — ბესარაბიის ანექსია — ჯერაც ვერ დაიმტკიცა რუმინეთმა, რადგან იტალიამ მოსკოვის ხათრით უარი გა-

ნაცხადა შეუერთდეს ინგლის-საფრანგეთის დადგენილ ბას ამ საგანზე?..

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ანდა ისიც საბჭოთა რუსეთის იზოლიაციით აიხსნება ალბად რომ მემარჯვენე გერმანია დღემდის არ შედის „ხალხთა ლიგაში“, რადგან მოსკოვისათვის ეს სამტრო აკტია.

ან და იქნებ მსოფლიო იზოლიაცია არის, რომ მთელს აღმოსავლეთში - ავღანისტანში, სპარსეთ-ოსმალეთში-დღეს საბჭოთა კავშირი იცავს და ხელს უწყობს მათი სახელმწიფოებრივობას, წინააღმდეგ ინგლისის იმპერიალიზმისა და ინგლისი სისტემატიურად მარცხდება ამ წიადაგზე (სულ უკანასკნელად მოსკოვის მოკავშირე ქემალმა გაიმარჯვა ინგლისელების მიერ მოწყობილ ქურთისტანის აჯანყებაში).

თუ — ეს იზოლიაცია არის ალბად იმისთვის, ვინც პარიზ-ლიოვილში ზის.

ჟორდანიას საბოლოო პერსპექტვა პოლონურია — „პოლონეთი რამდენჯერმე აჯანყდა, ვერ განთავისუფლდა, ბოლოს ისევ ევროპამ გაანთავისუფლა“, „ასეთივე ბრძოლით მიაღწიეს მიზანს ჩეხელებმა და ფილიანდიელებმაც“...

ჯერ ერთი რაც შეეხება პოლონეთს, იგი უკანასკნელად 1863 წელს აჯანყდა, ხოლო იგი „განთავისუფლეს“ ნახევარი საუკუნის შემდეგ, მსოფლიო ომის დროს, როცა გამარჯვებულთა კონგრესმა გამოჭრა დიდი პოლონეთი როგორც ერთ ერთი დასაყრდნობი ახალი (ურუსეთო და უგერმანიო) სწორწონაობის: აჯანყება რომ არ ყოფილიყო, მაინც ასე მოხდებოდა; და როცა ეს სწორწონაობის გეგმა შეიცვლება (ჯერ გერმანიისა და მერე საბჭოთა რუსეთის ანგარიშით), მაშინ საფრანგეთის რესპუბლი-

კაც, ისე როგორც ნაპოლეონი, დაანებებს თავს „დიდ პრე-  
ლონეთს“ და მაშინ მოხდება მეოთხე გაყოფა  აქრობის  
ნეთისა.

ყოველ შემთხვევაში თუ პოლონური მაშტაბით გა-  
დაწყვეტს სამშობლოს ბედს, ჟორდანიას დასჭირდება შემ-  
დეგი მსოფლიო ომის დაცდა; ჯერ ვინ იცის რამდენი ხანი,  
შემდეგ ვინ იცის, რითი გათავდება ომი, ვაი თუ სხვანაირად  
ვიდრე ჟორდანიასა გონია და ბოლოს, კიდევაც რომ კარ-  
გად გათავდეს, ვაი თუ ვინც საქართველოს „განთავისუფ-  
ლებას“ მოინდომებს, იმან ჟორდანიას კონტრაგენტობას  
ნაკლებ ენდოს, ვიდრე პილსუდსკის ენდვენ პოლონეთში?

აი, მაგალითად, თვით ჟორდანია ბრძანებს თავის „რა  
მოხდაში“, რომ ჩვენში თურმე „არსებობენ ფაშისტური  
ელემენტები, ესენი უსათუოდ შეეცდებიან განთავისუფ-  
ლებულ საქართველოში ხელში ჩაიგდონ მმართველობა  
და თავისი კლასიური სულსკვეთება მოახვიონ ერს...  
ასეთ შემთხვევაში ატყდება სამოქალაქო ომიო.. ამ გვარ  
ელემენტებთან საერთო არაფერი გვაქვს. მათ ისევე უნდა  
ვებრძოლოთ, როგორც ბოლშევიკებსო“ — იმუქრება იგი.  
განა ჟორდანიას მდგომარეობა ისე მაგარია, რომ მას შე-  
უძლია ანტიბალშევიკურ ფრონტთან ერთად ანტიფაშისტ-  
ურიც გახსნას.. თუ მთელი მსოფლიო ორ ბანაკად გა-  
ყოფილა, ბოლშევიზმის მოპირდაპირე ფრონტი სწორედ  
ფაშიზმია (რასაკვირველია არა მარტო იტალიაში) და აი  
ამ დროს გამომდგარა ჟორდანიას მენშევიზმი და ორივე  
მსოფლიო ძალას ერთ და იმავე დროს ომს უცხადებს —  
ეს ის ძველებური „არც მარჯვნივ არც მარცხნივ“ — არის,  
რომელმაც ჟორდანია თბილისის რუსთაველის პროსპექ-  
ტიდან პარიზის ქუჩებში ჩაიყვანა, ხოლო პატივცემული  
კარლო ჩხეიძე საქართველოს დამფუძნებელი კრების თავ-

მჯდომარეობიდან ლიოვილის კომუნის მეურნეობაზე?  
საინტერესოა მაინც ვინაა ეს წყეული ქართველი მფლობელი?  
ტები — დიკტატურის — მომხრენი... მაგალითად ჩოლო-  
ყაშვილი ჟორდანიასთვის ფაშისტია თუ ანტიფაშისტი? ან  
და აგვისტოში, აჯანყების დროს, სენაკში, „რომ ნაციო-  
ნალ-დემოკრატებმა სამაზრო ერობა წაართვეს მენშე-  
ვიკებს — „წინანდებურად თავზე ველარ დაგაჯენთო“ და  
მისი უდიდებულესობის, ნოეს სურათი ჩამოაგდეს კედ-  
ლიდგან, ეს ხომ არაა ფაშისტი? ასეთ მდგომარეობაში  
ცოტა სახიფათოა, როცა ჟორდანია ანტიბალშევიკური  
ევროპიდან ელის „განთავისუფლებას“ და თავისი სურა-  
თით ფ. მახარაძის სურათის შეცვლას.

რაც შეეხება ჩეხელებსა და ფინლიანდიელებს და მა-  
თი აჯანყების ამბავს, ჟორდანია რბილად რომ ვსთქვათ,  
ცდება: — ჩეხია „თეთრი მთის“ ბრძოლის შემდეგ (1620)  
სამი საუკუნის განმავლობაში აუჯანყებლად ამაგრებდა  
თავის ეროვნულ სახელმწიფოებრივობას ეკონომიურად და  
პოლიტიკურად; ასეთივეა ფინლანდიის მაგალითი — რუ-  
სეთის მიმართ იგი ასი წლის განმავლობაში არც ერთხელ  
არ დასდგომია აჯანყების გზას.

და როცა ქართველი ინტელიგენცია იწყებს პოლო-  
ნურის მაგიერ ჩეხიისა და ფინლიანდიის გზით სიარულს  
და როცა საქართველო აჯანყების შემდეგ დაგვიანებით  
მაინც რეალურ პოლიტიკას უბრუნდება და საბჭოთა აღმ-  
წენებლობაზე დგება — ჟორდანია ამას მხოლოდ ოპორ-  
ტუნისმი, რენევატების და „შეძრომის“ თვალთახედვით  
უყურებს — „მოსკოვს ვერ შეუძვრა ცნობილი ბოლშევი-  
კებიც, მოსკოვს არ აქვს შესაძვრენი კარები, ერის ინტე-  
რესები ვერ დაიცვენ უკლონისტებმაც კიო“...

ჩვენ არ ვიცით რას გულისხმობს ჟორდანია მოსკოვის კარებში, მაგრამ გვაგონდება, რომ ჟორდანიაში ვიკტორი მთავრობის თავმჯდომარემ თავის დროზე დეპუტატით მიმართა ლენინს, სოციალიზმისათვის ერთად ვითანამშრომლოთო, რაზედაც პასუხი, ვგონებ არ მიუღია... ესეც ხომ კარების ძებნა იყო და ასეთი შინჯვა მოსკოვის კარებისა ჟორდანიაში ემიგრაციაშიც სცადა, მაგრამ მას როგორც ფაუსტს კარგად დარაჯობს მისი მეფისტოფელი; მშვენიერ ელენეს როლს ალბად თბილისის სასახლე ასრულებს.

ჟორდანია უტევს რეალურ პოლიტიკის მიმდევართ... „კივიან: კულტურული მუშაობა, ეკონომიური აღორძინება—რომელ კულტურაზეა ლაპარაკიო?“ გულუბრყვილთ იოცებს ჟორდანია — რომელზე, ბატონო ნოე, და იმაზე რომელ კულტურაზედაც ლაპარაკობენ ისინი — ვისაც თქვენზე ნაკლები მაინც უფლება ლაპარაკისა არა აქვთ ამ საგანზე — ქართული უნივერსიტეტის პროფესორები.

„ნუ თუ კულტურა ნიშნავს ეკლესიების დახურვასო?“ — უყვილა ენამ ჟორდანიას, რომელიც კათალიკოს ლეონიდეს დაწყევლილი ყავს გელათის მონასტრის საეკლესიო განძეულობის გატაცებისათვის...

შემდეგ ამისა ჟორდანია სწვდება ეკონომიურ მუშაობის შესაძლებლობას — „ათასისათვის წართმევა და ასისათვის მიცემა“ რა ეკონომიკა არისო! ამას ამბობს კაცი, რომლის სოციალურ-ეკონომიურ რეჟიმზე პროფ. ავალიშვილი სამართლიანად სწერს, რომ მან ხლოროფორმით გაგუდული და საოპერაციოდ დამზადებული დაახვედრა საქართველო ბოლშევიკურ სისტემას, (ეს ხომ ცნობილი ამბავია, რომ მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის წარ-

სულში მაინც მთავარი განსხვავება ის იყო, რომ მენშე-  
ვიკები მხოლოდ ლაპარაკობდნენ, ბოლშევიკები <sup>ერთგულად</sup> <sup>მოემხრონ</sup>  
თებდნენ).

„ბიუჯეტი — ვალუტა — ჩერვონეცი რას ბოდავენ.  
აბისინიაშიც კია ვალუტა — მერმე რაო“ — ფინანსისტობს  
ქორდანი და აბისინიას, სადაც ზოგიერთ პროვინციებში  
ჯერ კიდევ მარლია ფულათ, საბჭოთა კავშირს ადარებს,  
რომლის ჩერვონეცი სტამბოლის და რომის ბირჟაზე ინგ-  
ლისურ ფულთან თანასწორობს.

საბოლოო დასკვნა ნოე ქორდანიასი შემდეგია: —  
გათხრილი საფლავები ერთგულებისაკენ გვიწოდებნო! —  
დაშნაკელებიც ასე ამბობდნენ ოსმალეთში — რაღაი ათასი  
დაიხოცა, კიდევ უნდა გავაგრძელოთო!

არა ბატონო, მთელი საქართველო საფლავში არ უნ-  
და ჩაწვეს „ქორდანიას საქართველოსათვის“ მოტყუებით  
დალუპულელებთან. საქართველო საფლავში კი არა იმ აკე-  
ნებშია, რომელიც დღეს ირწევს; ახალ საქართველოს სჭი-  
რია გამრავლება, გამდიდრება და განათლება და არა აჯან-  
ყებანი, ახალი საქართველო ჩეხური გზით წავა და არა  
პოლონურიით.

და როგორც მესამე დასის („კვალის“) საქართველო  
არ გადაყვა 1832 წ. მემკვიდრე ძველი თაობის (ილია  
ჭავჭავაძის) პოლიტიკურ რომანტიზმს, — ისე დღევანდე-  
ლი საქართველოს ახალი თაობაც ვერ გადაყვება 1924 წ.  
აჯანყებით გაბრუებულ ქორდანიას პარტიის მენშევიკურ  
იდეოლოგიას.

პარიზი. 15 მაისი 1925 წ.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

«ს ა მ უ მ ბ ლ ო ს ა თ ვ ი ს»

## «სამშობლოსათვის»

კედია-ასათიანის პოლიტიკა

ასათიან-კედიას მიუჩნევიათ სახეიროთ ჟორდანიას მიერ ქართველ ფაშისტებისკენ გადასროლილ ხელთათმანის საკუთარ ხელზე წამოცმა და აი ისინი 15 მაისს წარუდგნენ ემიგრაციას ეროვნული პოლიტიკის ორგანოთი „სამშობლოსათვის“. რედაქტორად გამოცხადებულია ს. კედია, მაგრამ კარგად გვახსოვს რევაზ გაბაშვილის აფორიზმი, სტამბულიდან მონაწერი 1923 წელში: — „კედია-ასათიანის ჭურია; რასაც უნდა იმას ათქმევინებს და აქნევინებსო“.

კედია ბრძანებს, რომ აჯანყების შემდეგ ბრძოლის ასპარეზი საბოლოოთ გამოირკვა. ყველამ სთქვა თავისი სათქმელი და ყველამ თავისი პოზიცია დაიჭირაო. ერთის მხრივ ძველმა ხელმძღვანელმა შტაბმა (ნ. ჟორდანიამ) დასტოვა ეროვნული ასპარეზი და პარტიულ კოლოფში ჩაჯდაო.

მეორე მხრივ, ბრძანებს კედია — „დევდარიანს, აჯანყების შემდეგ ბ-ნი ვეშაპელი მიემატაო“; ამას კედია მტრის ბანაკში გადარბენად სთვლის და საზიზღარ და შემაძრწუნებელი ეპიტეტით ნათლავს: — „საქართველოს თავისუფლებისათვის აჯანყებულთა სისხლი გაიარა და მტერს მხარში ამოუდგა, თითქოს არაფერ შუაში ყოფილიყოს“. „ვეშაპელი მტერს შეურიგდა: სცნო მოსკოვის ბატონობაო“.

მაშ, ასე, ბატონებო, თქვენთვის საზიზღარი და შე-  
მაძრწუნებელია, რომ ჩვენ ახალ პოზიციაზე გადასასვლელად  
ლათ, აჯანყების დროს დაღვრილი სისხლი გავიარეთ, იმი-  
სათვის, რომ პოლიტიკა შეგვეცვალა სამოქალაქო ომის  
უიმედო ავანტურის გზაზე შემდგარი ხალხისათვის და კე-  
რძით ნაციონალ-დემოკრატიული ინტელიგენცია გვეხსნა  
დაღუპვისაგან; და თუ სეით დევდარიანის ახალმა გზამ  
მრავალი მენშევიკი გადაარჩინა ხიფათს — „ახალი საქარ-  
თველოს“ პლათფორმის მიღებამ დეკემბერში ხომ მთელი  
ნაციონალ-დემოკრატიული ახალგაზრდობა გაანთავისუფ-  
ლა თბილისის და ქუთაისის ციხეებიდან.

თქვენ კი, ალბათ იმიტომ რომ სხვა პოზიცია აღარ  
დარჩა თავისუფალი, ძველს სისხლით შემოვლებულ პოზი-  
ციას შერჩით და შანხელიზეს კაფეებიდან ახალი სისხლის  
წვიმებით აიძვებთ საქართველოს: — „პერმანენტულ  
აჯანყების იდეას ასადგურებთ ერის სულში“.

„მტერს მხარში ამოუდგა, თითქოს არაფერ შუაში  
ყოფილიყოსო“. თუ რა შუაში ვიყავი მე ეს საკმარისათ,—  
შეიძლება მეტად გულახდილად ვთქვი „ახალ საქარ-  
თველოს“ № 1-ში ისეთი დეტალებით, რომ მტერს მხარ-  
ში თუნდაც იმიტომ ველარ ამოუდგებოდი, რომ „მტერი“  
ვერ იზამდა ამას... ყოველ შემთხვევაში დაუცადოთ იმ  
დროს როცა ბ. ს. კედიას დასჭირდება პოლიტიკის შეცვლა  
(დედამიწაზე ხომ არაფერია უცვლელი) და აი მაშინ ვნა-  
ხავთ მის პოლიტიკურ გამბედაობას იმის თქმაში თუ თვი-  
თონ როდის და რა შუაში გახლდათ. თუ ემიგრაციის საქ-  
მეებში რამე შუაში ვიყავი, კედია ხომ ამაზე მეტ შუაში  
არის, რაც თვით საქართველოში მისი იქ ყოფნის დროს  
ჩვენი პარტიის სახელით მოხდა.

„ვეშაპელი სცნობს მოსკოვის ბატონობასო“. სტყუილი.  
ჩვეულებრივად — მოსკოვის ბატონობა კი არ ვიცნობ  
ცანი მოსკოვის თანასწორობა; ვიყავი და დავრჩი ნაციონა-  
ლისტი (კომუნისტურ სტაჟს არ გავდივარ), მაგრამ დავრ-  
წმუნდი, რომ საბჭოთა კავშირი არ არის ძველი რუსეთი,  
არც სახელით და არც საქმით; რომ საბჭოთა კავშირი ერო-  
ვნულ სახელმწიფოთა კონფედერაცია არის, სადაც რუ-  
სეთს და საქართველოს თანასწორი უფლებები აქვთ პო-  
ლიტიკური, ეკონომიური და კულტურული კონკურენ-  
ციისათვის. მოსკოვი მხოლოდ იმდენად ბატონობს თბი-  
ლისში, რამდენად თბილისი ბატონობს მოსკოვში... თუ  
შეგიძლიათ გაცილდეთ ფსალმუნის ფორმულებს, თუ  
წონა და ზომა იცით პოლიტიკაშიაც, დამტკიცეთ წი-  
ნაალმდეგი.

„საბჭოთა სისტემა იცნო“ — და თვითონ ვისთან მო-  
რიგების ჭკუაზე იყვენ ბ-ნი ასათიანი და კედია, რომ  
1921 წელს 26 მაისის თავზე, გ. გვაზავას ხელით და საბ-  
ჭოთა საქართველოს საგარეო კომისრის ა. სვანიძის და-  
ლუქულ კონვენტში მწერდენ პარიზში: „რომ სავსებით  
ძალაში რჩება ის დადგენილება, რომელიც მიღებული იყო  
ბათუმში 10 მარტს, ყოფილი მენშევიკურ მთავრობასთან  
ჩვენი ურთიერთობის შესახებ, სახელდობრ, რომ ჩვენ ვე-  
რავეთარ პოლიტიკურ თანამშრომლობაში ვერ შევალთ  
და ვერც რამე სხვა ურთიერთობას ვიქონიებთ იმ ყოფილ  
მთავრობასთან, რომელსაც დამფუძნებელი კრების ყველა  
სხვა ოპოზიციურ ფრაქციასთან ერთად უნდობლობის  
ვოტუმი მივეციით და რომელიც საქართველოს დამოუკი-  
დებელმა სასამართლომ ერთ დღეს კიდევაც უნდა გაასა-  
მართლოსო“..

რა მოხდა და რატომ მოხდა მას შემდეგ, რომ კედიას  
საქართველოში ყოფნის დროს ეროვნულ-დემოკრატიუ-



ლი პარტია საბჭოებთან შეიარაღებულ ბრძოლის და შე-  
 შევიკებთან კოალიციის გზაზე შედგა? და თუ უთქვენო  
 მოხთა, მაშინ მართლაც არ ყოფილხართ პარტიის ლიდე-  
 რი; მართლაც, პოლიტიკური ლიდერობა ხომ არ იყო,  
 თქვენ თვალწინ, მაგრამ უთქვენოთ რომ მოხდა პარიტე-  
 ტული შეთანხმება და სანკცია შეიარაღებულ რაზმების  
 მოქმედების... ამას მოყვა საბჭოთა მთავრობის რეპრესიე-  
 ბი ეროვნულ-დემოკრატიის წინააღმდეგ. რეპრესიებმა კი  
 ფატალურათ არაღვალური ცხოვრების და აჯანყების  
 ჯადოსნურ წრეში მოქცია ხალხი და ჩვენი პარტიის  
 ფრთხილი და სკეპტიკურათ მოაზროვნე პოლიტიკური  
 მოღვაწენიც კი ავანტიურის და დაღუპვის გზაზე დააყე-  
 ნა... და ყველაფერი ეს მოხდა იმის მოჩვენებით,  
 თითქოს სასახლეში ხელისუფლება უპატრონოდ ვგდო!..

შემდეგ ევროპაში ჩამობრძანდით... სტამბულიდან  
 მწედრით — გამოვიტანოთ მსოფლიო ბირჟაზე, მენშევი-  
 კებისაგან დამოუკიდებლივ, საქართველოს საკითხი, — თუ  
 ამას პრაქტიკული შედეგი მოყვა ხომ კარგი, თუ არა და  
 პოლიტიკა უნდა შეეცვალოთ და სხვა ახალი გზები დავი-  
 ჭიროთო... პარიზში ჩამოსვლისას კი, თქვენივე სიტყვით  
 სასამართლოში მისაცემ მთავრობასთან დაჯექით და  
 თქვენ მიერვე მისტიფიკაციათ მონათლულ პარიტეტულ  
 კომიტეტის სახელით „სამინისტრო“ მუშაობა დაიწყეთ...  
 ისიც აჯანყების მეორე დღეს...

ეხლა კი როცა შარშანდელი უბედურების შემდეგ  
 უკვე მალე წელიწადი გაივლის, როცა მთელი ეროვნულ-  
 დემოკრატიული ინტელიგენცია საქართველოში რეალურ  
 პოლიტიკის გზას ადგება, როცა იგი თავს ანებებს მუშათა  
 და გლეხთა ხელისუფლებასთან უნიადაგო ბრძოლას და  
 მმართველ პარტიასთან თანამშრომლობით, მთელ ქართ-



ველ მშრომელ ხალხთან ერთად საქართველოს სახელმწიფოს ნამდვილ დამოუკიდებლობის ეკონომიურ და ინტელტურულ საძირკველს უყრის; როცა ქართული უნივერსიტეტი ასე აკტიურად მეთაურობს საქართველოს აღორძინების საქმეს—გამოდინ ბ-ნნი კედია-ასათიანი და ხელმეორეთ იწყებენ ემიგრაციაში ანტისაბჭოთა კამპანიას მენშევიკური სცენარიუმიდან ნასესხები იდეოლოგიით.

რაშია საქმე ბატონებო? ვისი იმედი და რისი იმედი გაქვთ, ახალ საჯვაროსნო ომს რომ იწყებთ? რომაელები ასეთ შემთხვევაში იკითხავდენ: quid prodest?.. მართლაც ვისთვის არის საინტერესო ეს კამპანია? — ვაი თუ მარტო იმ რუსის მონარხისტებისათვის, რომელთა ამბავი „ახალ საქართველოს“ დასაწყისში მოგახსენეთ... ამბობენ, კირილ ვლადიმეროვიჩმა საქართველოს მეფის ტიტული მიიღო და როგორც ეროვნულ გარანტიას, მცხეთაში კურთხევას და ყოველ ზაფხულ დროს გატარებას პირდება თავის ქვეშევრდომთ!.. ამაზე მეტი რეალური საერთაშორისო ფაქტორები მართლა არც დღეს არის საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ...

არის კიდევ ერთი „საერთაშორისო“ ფაქტორი, ამერიკაში მყოფ ცნობილი ავანტიურისტ დუმბაძის ინტრიგები საქართველოში გაცემულ კონცესიების (კერძოდ ჰარიმანის მარგანეცის კონცესიის) წინააღმდეგ. ამ მეკსიკანური ხასიათის ინტრიგებისათვის თურმე ამერიკაში (და ევროპაშიც) კონცესიებით დაინტერესებული კონკურენტი ფირმები იხდინან cash! ამისთვის ხომ არ არის, რომ კედია-ასათიანი აცოცხლებენ დღეს ილია ჭავჭავაძის ფორმულებს, რომელიც ქართულმა პოლიტიკამ უკვე ნახევარი საუკუნეა რაც გაიარა; გვპირდებიან პარტიული კედლების დაშლას და ყველა კლასთა და წოდებათა გაერთიანებას

მისტიურათ ერთ ეროვნულ ლიგაში, სადაც თურმე არა  
სოციალისტებიც შევლენ და სოციალისტებიც (ამითიხსნი  
ნება გზა მტყიცე ინტერპარტიული „მაფალუ“-ს ჩამოყა-  
ლიბებისათვის)... „სამშობლოს“ პირველ ნომერში კე-  
დიამ როგორც ამ ლიგის შემადგენელი ელემენტი მოიხსე-  
ნია თავადები და აზნაურები, მესამე ნომერში კი უკვე გა-  
მორიცხა ისინი ნომენკლატურიდან, ესეც ალბად ერთგვა-  
რი შინაური „სმენა ვებ“ — არის... მხოლოდ ხრონიკაში  
დარჩა სამეგრელოს პრინცივები. მაგრამ ასეთ სამხატვრო  
გამოფენის ექსპონანტებზე ეროვნული პოლიტიკის დამ-  
ყარება ძნელია მეოცე საუკუნეში, როცა გარშემო მსოფ-  
ლიო ომისა და რევოლიუციის ქარიშხალი მძვინვარებს...

ჩვენ გვწამს, რომ საქართველოში მყოფ ეროვნულ-  
დემოკრატიულ ინტელიგენციას, განსაკუთრებით გლეხუ-  
რი წოდებიდან გამოსულ ახალ თაობას, ვერ შეაცდენს  
კედია-ასათიანის დაგვიანებული ფაშიზმი.

ან რისთვის უნდა შეაცდინოს? იქნება პარტიული  
ტრადიციისათვის? მაგრამ ყველას ახსოვს, რომ „საქართ-  
ველო“ 1917 წლამდის ისეთ რეალურ პოლიტიკას აწარ-  
მოებდა, რომ ლოზუნგი „ავტონომიით“ არ ივალთანებდა  
თავს, და ერობაზე უფრო ლაპარაკობდა. 1917 წელს, რო-  
ცა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დაარსდა მის პრო-  
გრამაში ავტონომია შევიტანეთ, დაახლოვებით დომინიო-  
ნის კომპეტენციით... დღეს, როცა მსოფლიო ომის გამო  
შემთხვევით, ბუნებრივი ევოლიუციის კალაპოტიდან ამო-  
ვარდნილნი, კვლავ ამ კალაპოტს დაუბრუნდით, საქართ-  
ველომ ავტონომიაზე მეტი შეინარჩუნა — ფედერაცია.

ჩვენი პროგრამა მოითხოვდა საქართველოს ტერი-  
ტორიალურ მთლიანობას — საბჭოთა რეჟიმმა შეგვინარ-  
ჩუნა იგი (ბათუმით). რაც შეეხება განაპირა კუთხეების

თავითმარველობას, — აქარისა და აფხაზეთის ავტონომიური  
თავიდანვე ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამის განხორციელება  
იყო. ოსეთი კი დღეს ავტონომიური ოლქის (ე. ი. ერობის)  
სტატუსით სარგებლობს, მაგრამ ეს არაფრით ხელს არ  
უშლის საქართველოს ტერიტორიალურ მთლიანობას და  
კულტურულ გეგემონიას — პირიქით დღეს თურმე ჩრდი-  
ლოეთი ოსეთიც საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვ-  
ლას ითხოვს.

ამიტომ არის, საქართველოში მყოფი მთელი ეროვნულ-  
დემოკრატიული ახალგაზრდობა, ევროპაში მყოფ  
სტუდენტობასთან ერთად რომ გადაჭრით საბჭოთა პლატ-  
ფორმაზე დგება; ნაც.-დემ. ახალგაზრდობის კონფერენ-  
ციაზე თბილისში 4 ამ თვეს მომხსენებელ ნ. დგებუაძეს  
უთქვამს: „პარიზში შემდგარა ახალი საქართველოს კოალიციური  
მთავრობა“ (იგულისხმებიან ჩხენკელი, კეღია,  
გობეჩია და ფირცხალავა. გ. ვ.). ჩვენი ვალია საქართვე-  
ლოში შექმნათ საბჭოთა ხელისუფლების მომხრეთა  
კოალიცია და მივიტანოთ იერიში უცხოეთში მოწყობილ  
კოალიციის წინააღმდეგ“.

„ახალი საქართველო“ დაარსებიდანვე ამას ემსახუ-  
რება. ჩვენ მზად ვართ განვაგრძოთ ეს მუშაობა ქართუ-  
ლი ემიგრაციის ცენტრში, პარიზში, მიუხედავად იმ ფსი-  
ხოლოგიური და ფიზიკური ტერორის ატმოსფერისა, რო-  
მელიც აქ შექმნილია მენშევიკური ლეგაციის და „სამ-  
შობლოს“ რედაქციის კონტრაგენტ ჯგუფებისა და პირე-  
ბის მიერ.

პარიზი. 30 ივნისი 1925 წ.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ტრედ-უნიონების ანგარიშის შესახებ

## ტრედ-უნიონების ანგარიშის შესახებ

ინგლისის ტრედ-უნიონების დელეგაციის მოხსენებამ საბჭოთა საქართველოს შესახებ, დიდი აღელვება გამოიწვია მენშევიკების მეგობარ ევროპის წრეებში. მეორე ინტერნაციონალის მდივანმა ფ. ადლერმა საგანგებო წიგნაკიც კი დაბეჭდა პერსელის მოხსენების საპასუხოდ. თვით ნ. ჟორდანია იმით დაკმაყოფილდა, რომ „წერილი რედაქციის მიმართ“ გაუგზავნა „დეილი ჰერალდს“. მაგრამ ადლერი და ჟორდანია შეეკამათენ მხოლოდ მოხსენების წვრილმანებს, ცალკე ამბების სადაო კომენტარიებს. არც ერთი არ შეეხო დელეგაციის პოლიტიკურ დასკვნებს. ეს ის ადგილია მოხსენების, რომელსაც სათაურად ჰქვია Delegations Recommendations.

როცა დელეგაცია მოსკოვს დაბრუნდა, ამბობს მოხსენება, მან ამცნო საბჭოთა ფედერატიულ მთავრობას თავისი შეხედულება შესახებ საქართველოს მდგომარეობისა. დელეგაციამ აღნიშნა, რომ საბჭოთა პრესტიჟი დიდათ გაიზრდება, თუ „ჩეკა“ ეხლა გაუქმებული იქნება საქართველოში, ისე როგორც სხვაგანაა, (რუსეთში), ხოლო წითელი არმია (რუსეთის) გაყვანილი იქნება ბაქოსაკენ და საქართველო მიენდობა ადგილობრივ (ტერიტორიალურ) მილიციას, ისე როგორც სხვა საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკები. ეს აზრი, ამბობს მოხსენება, სავსებით გაზიარებულ იქნა და გვიპასუხეს, რომ ეს არის მხოლოდ დროს საკითხი.—„ცარიზმის დროს კავკასიას ყავდა დიდი გარნი-

ხონი, ესლა ფაქტიურად იგი დატულია ადგილობრივი ინტელიციით, მაგრამ სანამ კავკასია რჩება უცხოეთის ინტელიციით, ანუ საგანთ და სანამ იგი კვლავ შეიძლება გახდეს ინტერვენციის ასპარეზად, — ზავის დაცვა მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილესო.

რაც შეეხება „ჩეკას“ — აღნიშნულ იქნა, რომ ეს არ არის მარტო საქართველოს შინაური მდგომარეობის საკითხი, არამედ ისიც საერთაშორისო ვითარების საკითხიაო.

დელეგაციის შთაბეჭდილება ისეთია, დასკვნის მოხსენება, რომ ამ ორი ზომის მიღება დამოკიდებულია უმთავრესად საერთაშორისო სიტუაციაზეო.

ინგლისელ ტრედ-უნინების დელეგაციის აზრი ისეთ დიდ საკითხზე, რომელიც შეადგენს გარეშე და შინაური ემიგრაციის საბრძოლველ იარაღს, მით უფრო საგულისხმოა, რომ იგი სავსებით ეთანხმება მას, რაც სთქვა ამ საგანზე სერგო ორჯონიკიძემ (შარშან ოკტომბერში).

— „გაიძახიან: გაიყვანეთ რუსის ჯარიო.

თქვე მამაცხონებულებო, გაიძახით გაიყვანეთ რუსის ჯარიო და იმავე დროს „გვანარებთ“ ინგლის-საფრანგეთის ჯარი მოგყავსო.

დაგვანებეთ, ბატონებო თავი და ჩვენ რუსსაც და ქართველსაც წითელ არმიიდან ორივეს შინ გაუშვებთ.

დაგვანებოს ინგლისმა და სხვებმა თავი და ჩვენ მუდმივი ჯარიდან ტერიტორიალურ (მილიციონურ) სისტემაზე გადავალთ. მაშინ ტამბოველი ტამბოვში დარჩება და ქუთათური ქუთაისში“.

ჩვენ მოვუწოდებთ ემიგრაციის გონიერ ნაწილს ჩაუფიქრდეს ამ სიტყვებს და აგრეთვე იმ კითხვას, თუ რა მიზანს აღწევს მენშევიკ-ფაშისტების ინტრიგები, როცა

ისინი საბჭოთა საქართველოს ახალი ინტერვენციით ემუქ-  
რებიან. მათ ალბათ არ უნდათ, რომ პარტიტულტორიული  
ტეტის პროცესით დასრულდეს სამოქალაქო ომის ხანა სა-  
ქართველოში. მათ უნდათ ახალი უბედურებანი დაატეხონ  
თავზე ქართველ ხალხს.

ჩვენ კი გვინდა, რომ საბჭოთა საქართველომ შურის  
უძიებლად მოახდინოს ანტიბოლშევიკური პარტიების ის-  
ტორიული შეცდომების ლიკვიდაცია, ამნისტიის წესით  
შეარიგოს საბჭოთა ხელისუფლებას მისი ყოფილი მო-  
წინააღმდეგენი და მით განამტკიცოს შესაძლებლობა პა-  
ტიოსანი თანამშრომლობის მმართველი პარტიის და პო-  
ლიტიკის გარეშე მოქცეულ უპარტიო მასისა.

პარიზი. 25 ივლისი 1925 წ.

9 აგვისტოს რაინდები

## 9 აპვისტოს რაინდებს

როცა შარშან ნოემბერში „ახალი საქართველოს“ პირველი ნომერი გამოვიდა, აჯანყების პოლიტიკის სალიკვიდაციო პროგრამით, — ჩვენ ბევრი მუქარა მოგვესმა: მაკრინე ჩხენკელის სალონში ღალატსა და გაცემაზე დაიწყეს ჭაქანი; ნ. რამიშვილი თავის მთავრობას, ამშვიდებდა: „დამაცადეთ, ვეშაპელს მე მოვინელებო“; დ. ვ. ვაჩნაძე სტამბოლიდან პარიზის ნაც.-დემ. კომიტეტს ტელეგრამით უბრძანებდა: „არავითარი ზომის წინ არ შეჩერდეთო“; და თვით პარიზის ნაც.-დემ. კომიტეტში სპირიდონ კედიას თავმჯდომარეობით დისკუსია იყო გამართული: ტერორით ვუპასუხოთ თუ-გაზეთითო...

ამ პროპაგანდის შედეგი იყო, რომ ნოემბერში მენშევიკური დელეგაციის და მონპარნასის ვაგზლის „ასობოატრიალების“ ტექნიკური დარიგებით ძინძიბაძემ ხუთი ტყვია ხეთქა საბჭოთა საქართველოს სტუდენტთა ორგანიზაციის კრებას და შემთხვევით მარტო ყანდარელი დასჭრა.

ამის შემდეგ მუქარები გვსმენია არა ერთხელ ბერლინში გაზეთის გამოცემის დროს. იქ ერთხელ ერთმა პირმა ძველი მეგობრობით საგანგებოდაც კი გაგვაფრთხილა: ცუდ ლაპარაკს მოვკარი ყური და შარს ერიდეთო.

თვით საქართველოში ხმები გავერცელებით, „ახალი საქართველო“ პარიზიდან ბერლინში, ჩოლოყაშვილის მუქარის გამო გადავიდა!

პარიზში დაბრუნების წინ კიდევ ერთხელ ფრთხილეს ბერლინში: გირჩევთ იქ ნუ წახვალთ. მაგრამ ჩვენ დავბრუნდით და მართალი გაგვეჩვენა, როცა ჯერ ნაც.-დემ. „სამშობლო“ გამოვსდა და შემდეგ მენშევიკური „ბრძოლა“-ც: რალაი გაზეთები ჰქონდათ, დილემა: დისკუსია ან გაზეთით, ან ტერორით გადაწყვეტილი მიგვაჩნდა.

მაგრამ, როგორც სჩანს, ბეჭვდითი სიტყვა ჩვენ მოწინააღმდეგეებს არ აკმაყოფილებს, იმათ მოსწყურებიან პარიზის ქართველ კოლონიასში იმ სამოქალაქო ომის გაჩაღება, რომელიც საქართველოში საბედნიეროდ უკვე ჩაქრა.

და აი პარიზში ჩვენი გაზეთის დაბრუნების უმაღლესდგება ქართული ფაშისტური ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“, რომლის დეკლარაცია ჩვენ რისხვითა და ლახვარით გვემუქრებოდა..

„თეთრი გიორგის“ ორგანიზაცია შესდგება უმთავრესად ფრანგ იეზუიტების ორდენის ქართველ სტეპენდიანტებიდან, ხოლო შეფობა ორგანიზაციის თურმე თვით აკაკი ჩხენკელს უკისრია, როგორც ყოფილი მენშევიკური მთავრობის აწ და სამარადისო ელჩს... გავიდა დრო და ჩვენ ვიხილეთ „თეთრი გიორგის“ რაინდული სახეც:

ჯერ იყო და მუშათა ჯგუფის დეკლარაციის გამოქვეყნების მეორე დღესვე, თედო დემეტრაშვილი გახდა მსხვერპლი ხულიგანური თავდასხმისა (მხატვარი დავით კაკაბაძე ძლივს გადაარჩა ამ ბედს).

9 აგვისტოს, აჯანყების წლის თავზე, მოუმზადებელ, შეუიარაღებელ კრებას პარიზის ქართული საბჭოთა საზოგადოებისას თავს დაესხა ორჯერ მეტი რიცხვით რკინის

წვეტიანი ჯოხებით და რევოლვერით შეიარაღებული  
ბანდა და მანდილოსნებიც არ დაინდო შეურაცხველობა

ამ თავდასხმის მეთაურები არიან რასაკვირველია არა  
მარტო ნ. დგებუაძე, მ. კედია, ლორდელი, სიმ. ბერეჟიანი,  
არამედ ჩხენკელის ლეგაცია და ს. კედიას „სამშობლო“,  
რომლის განკარგულებაში გამოაცხადა თავისი თავი დაარ-  
სებით „თეთრმა გიორგიმ“; ხოლო თუ რატომ შეუკავშირ-  
დნენ ფაშისტურ ექსპედიციას ფაჩულის საგანგებო რაზ-  
მის აგენტები — ეს უნდა ნოე რამიშვილს მოეკითხოს.

მოხდა ის რაც უნდა მომხდარიყო. მაგრამ ტყუილად  
გგონიათ ლევილის შატოში, რომ 9 აგვისტოს თავდასხმით  
შეუძლებელი გახდება ქართული საბჭოთა კოლონიის  
დაარსება პარიზში. ჩვენ გვესმის თუ როგორი ბრაზით  
უნდა უყურებდნენ ქართული საბჭოთა კოლონიის დაარსე-  
ბას ჩხენკელი და რამიშვილი მეორე ინტერნაციონალის  
მარსელის კონგრესისა და „ხალხთა ლიგის“ უენევის სე-  
სიის წინა დღეს, მაგრამ ქართული საბჭოთა კოლონია  
მაინც ფაქტი იქნება.

რასაკვირველია, აწი ჩვენ მომზადებული ვიქნებით  
ყოველთვის იმ ხულიგანთა ბრბოს დასახვედრად, რომელ-  
საც არ უნდათ იდეური მეთოდით ბრძოლა აწარმოონ.

ჩვენ ნებას ვერ მივცემთ ქართული ემიგრაციის კუ-  
ზიანებს, რომელთაც მონმარტრის რესტორნებში საინე-  
ბის რეცხვა ურჩევნიანთ საბჭოთა საქართველოს მოქა-  
ლაქეობას. — რომ მათ განაგრძონ პრეტენზია ქართული  
პოლიტიკური აზროვნების ევოლიუციის კანტროლისა.

ანგარიშში არ შეცდეთ ბატონებო.

არ დაგავიწყდეთ, რომ ჟორდანია-ჩხენკელი-რამიშვი-  
ლი მთავრობა კი არაა საფრანგეთში, არამედ მხოლოდ  
შემოხიზნული ჯგუფი, რომელსაც, შეიძლება ხვალ სხვა



საბუღარის ძებნა დასჭირდეს; ყოველ შემთხვევაში უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მათ არავინ არ მისცემს ნებას გოგვაძის სამხედრო — ტერორისტულ ორგანიზაციის მოწყობას. ნურც ის გავიწყდებათ ბატონებო, რომ ცხოვრობთ არა ინგლისურ კალონიაში, ან ფაშისტურ იტალიაში, არამედ დიდი რევოლუციის სატახტო ქალაქში, და საფრანგეთის მოწინავე პროლეტარიატი გარტყიათ გარს.

ნურც ის გავიწყდებათ ბატონებო, რომ საბჭოთა საქართველოს და საბჭოთა რუსეთის მთავრობის პრესტიჟი მოითხოვს დაიცვას არა მარტო მმართველი პარტიის წევრები, (როგორც ეს მიუწერია ნოე რამიშვილს თავის დამქაშებისათვის პრალაში), არამედ ყოველი საბჭოთა მოქალაქე, რომელი პარტიისაც არ უნდა ყოფილიყოს იგი აქამდის სულ ერთია..

ისიც გახსოვდეთ, არამზადებო, რომ თქვენ თავს დაგვესხით ჩვენ სწორედ იმის შემდეგ. რაც საბჭოთა საქართველოს პროლეტარულმა დიქტატურამ იშვიათი სულგრძელობით მოახდინა ლიკვიდაცია პარიტეტულ პროცესის მონაწილეთა. მაგრამ არ დაგავიწყდეთ რომ საბჭოთა ხელისუფლებამ რისხვაც იცის, როცა საჭიროა.

გვითხარით პირდაპირ, ბატონო ჩხენკელო, რამიშვილო და კედია — კისრულობთ თუ არა სამოქალაქო ომის და ტერორის პარიზ-ლიოვილში გადმოტანის პასუხის გებას?

კარგათ იანგარიშეთ, რომ ბოლოს არ ინანოთ თორემ მაშინ „თეთრი“ კი არა „წმინდა“ გიორგიც კი ვერაფერს გიშველით. ნუ დაგავიწყდებათ ძველი ქართული ანდაზა „რასაც დასთესავთ იმას მომკით“...

პარიზი. 25 აგვისტო 1925 წ.

პარიტიტული პროცესის უმღღე

## პარიტეტული პროცესის უმღეობა

ჩვენი მოლოდინი გამართლდა. საქართველოს პროლეტარიატის დიქტატურამ გვიჩვენა გზა სულგრძელობისა და არა უფრისძიების. პარიტეტული კომიტეტის პროცესი გათავდა ისეთი განაჩენით, რომ ბრალდებულთათვის დღეს სდგას უკვე არა ფიზიკური, არამედ პოლიტიკური არსებობის საკითხი; ჩვენ გვგონია, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაც დადებითად მოსალოდნელია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ პარიტეტული კომიტეტის მეთაურებმა სასამართლოში განიმეორეს დეკლარაცია ქართულ პოლიტიკური პარტიების თანამშრომლობაზე საბჭოთა ხელისუფლებასთან.

პ. გელეიშვილი (ყარიბი) ასე ახასიათებს პროცესის განაჩენს: „თაყვანს ვცემ პროლეტარიატის ბრძნულ სასამართლოს და ვაცხადებ, რომ თუ დღემდის ვრაცხდი თავს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მოქალაქეთ მოვალეობის გამო, ამიერიდან მე ვამაყობ ამ დიადი სახელწოდებით“.

პარიტეტული პროცესით გათავდა ხანა სამოქალაქო ომისა საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში და დაიწყო ერა მშვიდობიანი ევოლიუციისა. (რასაკვირველია, თუ ჩხენკელმა, რამიშვილმა და კედიაშვილმა ვერ განახორციელეს ახალი ავანტიურისტული პროექტები).

პარიტეტული პროცესის დროს ჩემი გვარიც იყო დასახელებული (უტაქტოთ ი ა ს ო ნ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი

ლის მიერ) და ამიტომ ჩვენების მაგიერ post factum მოკლედ ვიტყვი ჩემს განმარტებას, თუ მე რაიმეში ვიყავი!

როგორც „ახალი საქართველოს“ № 1-ში განვაცხადე: მე ვკისრულობ პასუხისგებას 1924 წ. მაისამდის როცა ნ. ჟორდანიამ გაუქმებულად გამოაცხადა პარიზის ძველი ინტერპარტიული კოლეგია.

ვიცოდი თუ არა აჯანყების ამბავი? მე ვიცოდი შემდეგი: ვიცოდი, რომ ნ. ხომერიკის წასვლა აჯანყების სამზადისი იყო, ვიცოდი რომ ვ. ჯუღელი და ბ. ჩხიკიშვილიც ამისათვის წავიდნენ; იმიტომ ვიცოდი, რომ მეც მომმართეს წასვლის წინადადებით, მაგრამ მე უარი ვსთქვი; ხოლო არ ვიცოდი თუ ჩხიკიშვილის და ჯუღელის ჩავარდნის შემდეგ აჯანყება მაინც მოხდებოდა; ამიტომ 30 აგვისტოს ტელეგრამა ჩემთვისაც ისევე მოულოდნელი იყო, როგორც მთელი პარიზის ქართული კოლონიისათვის. — ხოლო, თუ რა დასკვნები გავაკეთე აჯანყების მეორე დღეს, ეს ყველას მოეხსენება.

რა უფლებით „ვუღალატე“ შემდეგ ემიგრაციას და გადავედი „მათკენ“? იმ უფლებით, რა უფლებითაც ხდება ხოლმე პოლიტიკური მოღვაწეთა ევოლუცია მარცხნივ ან მარჯვნივ. ყოველ შემთხვევაში საქართველოში, სადაც თითქმის ერთნაირი კლასობირვი სოციალური პირობებია ინტილიგენტისათვის, მარჯვენა ფრონტიდან მარცხნივ გადაწევა უფრო ნორმალური უნდა იყოს ვიდრე მილიერანს, ან მუსოლინის გადასვლა სოციალიზმიდან ფაშიზმში; რატომ არ შეუძლია ქართველ ნაციონალისტს იცნოს და აღიაროს ის ფაქტი, რომ გასაბჭოება არის არა მარტო პროლეტარიატისა და გლეხების სოციალური რევოლიუცია, არამედ რევოლიუცია,

რომელმაც გაანთავისუფლა არარუსული ეროვნებანი  
ძველი რუსეთისა. და საბჭოთა აღიარებისთვის ~~საქართველო~~  
პროლეტარიატისადმი პატივისცემა, — ამ სტორიკონთა  
დამწერს ეს პატივისცემა შეთვისებული აქვს არა „ზა-  
კაზით“. არამედ ფრანგულ ქარხანაში ერთი წლის გან-  
მავლობაში ფიზიკური მუშაობით. ყოველ შემთხვევაში  
მე ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში დაბრუნება შე-  
მიძლია როგორც არა მემარჯვენეს, რადგან ევროპაში  
ყოფნამ დამარწმუნა, რომ მსოფლიო მარჯვნივ კი არა.  
მარცხნივ მიდის.

გვეკითხებიან, გვაქვს თუ არა საზოგადოებრივი  
პროგრამა? რასაკვირველია გვაქვს და ეს პროგრამა არ  
ამოიწურება მარტო პერსონალური ამნისტიით. ჩვენ  
გვსურს აქტიური მონაწილეობის მიღება საბჭოთა პლატ-  
ფორმაზე დამდგარი ქართული ინტელიგენციის საზო-  
გადოებრივი აზროვნებისა და პრესის განმტკიცების რო-  
გორც უცხოეთში, ისე იქ სამშობლოში, თუ ჩვენი პრო-  
გრამა საბჭოთა პლატფორმა არის, ეს იმას არ ნიშნავს.  
რომ ჩვენ სახაზინო სტატისტიკების როლი გვინდა მივაკუთ-  
ნოთ არა კომუნისტურ ინტელიგენციას, არა, კრიტიკის  
უფლებას ვიტოვებთ, მაგრამ რასაკვირველია, ჩვენ ეს არ  
გვესმის, როგორც ბურჟუაზიული და მენშევიკური პარ-  
ლამენტარული ოპოზიციის მეთოდები.

შალვა ელიავამ გლახკომების ყრილობაზე სთქვა, —  
რომ საქართველო არის უმთავრესად გლახური სახელ-  
მწიფო. ფილიპე მახარაძემ ცაკის სესიის გახსნისას განა-  
ცხადა:

„პროლეტარიატის დიქტატურა ნიშნავს დიქტატუ-  
რას ბურჟუაზიაზე სამოქალაქო ომის დროს. როდესაც  
ძალაუფლება უკვე დაპყრობილია, პროლეტარიატის დიქ-

ტატურა უნდა გამოიხატოს ხელმძღვანელობაში და /  
ალორძინებით მუშაობაში“.

საქართველოს  
საბჭოთაო კომუნისტური  
პარტია

ჩვენ გვახსოვს, ლენინის გენიალური კვების რჩევა ქართველ კომუნისტებისადმი; როცა მათ საქართველოს მმართველობა ხელში აიღეს, ლენინი სწერდა, რომ საჭიროა კომპრომისის პოლიტიკა ქართული ინტელიგენციის და წვრილი ბურჟუაზიულ ელემენტებისადმი.

ეს კომპრომისის საუბედუროთ თავის დროზე ვერ მოხერხდა (ჩვენ გვგონია ეხლა ორივე მხარეს შეუძლია თავისი შეცდომების მოგონება), მაგრამ დღეს კი კომპრომისი უნდა მოხდეს.

რასაკვირველია, ჩვენ აღარ ვეკუთვნით ქართული ინტელიგენციის მაქსიმალისტ-ნაციონალისტთა ჯგუფს; რეალური პოლიტიკის თვალსაზრისი ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია არა ნაკლებ სავალდებულოდ შინაური ვიდრე საგარეო პოლიტიკისათვის.

ამ მხრივ სავალდებულოდ არ მიგვაჩნია ჩვენთვის ის ლოზუნგები, რომელნიც მიხ. კახიანის აზრით გამოხატავს ქართული ნაციონალისტური ინტელიგენციის პროგრამას:

1. რუსეთის წითელი ჯარების გაყვანა საქართველოდან.

2. თბილისში სამსახურის, ადგილების მთელი ასი პროცენტის შევსება მხოლოდ ქართველებით (იხ. „კომუნისტი“ ოქტომბერი 1924 წელი).

ჩვენ გვესმის, რომ რუსეთის წითელი ჯარის საქართველოში ყოფნა აზრის საკითხი არა საბჭოთა საქართველოს რეჟიმის სტაბილიზაციისა, არამედ არის საკითხი მთელი საბჭოთა ფედერატიული კავშირის სტრატეგიული დაცვისა ყოველნაირი იმპერიალიზმისაგან ხმელეთითა და

ზღვით. ქართული წითელ ლაშქარს არ შეუძლია დღეს  
ამ ამოცანის შესრულება.



რაც შეეხება ნაცონალიზაციის საკითხს, ჩვენ უნდა ვაღიაროთ ეროვნულ მკვიდრ უმცირესობის უფლება, რომ მათ რაოდენობისა, ჰქონდეთ სამუშაო საქართველოში. (ამას ამბობდა ოცი წლის წინეთ პარიზში არჩილ ჯორჯაძის „საქართველო“).

ჩვენ არც იმათი აზრის ვართ, ვინც საქართველოს ფედერაციას ამიერ-კავკასიასთან უყურებს მხოლოდ როგორც არმენიზაციას. ჩვენ არა ნაკლებ ვაფასებთ საქართველოს ფედერაციას ამიერ-კავკასიის მაშტაბში, სომხეთთან და ადერბეიჯანთან, ვიდრე ფედერაციას რუსეთთან; და ჩვენ გვგონია რომ თუ დღეს არსებული ფედერატიული რეჟიმი, ვერ აკმაყოფილებს სავსებით საქართველოს სუვერენიტეტის იდეას,—ამისათვის საკმარისია კონსტიტუციის სათანადო შესწორებანი, თვით ამიერ-კავკასიის ფედერატიული კავშირის პრინციპების დაურღვევლად.

პარიზი. 25 აგვისტო 1925 წ.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

შინ და გარეთ

## უ ი ნ დ ა გ ა რ ე თ

ნოეს კილოვანი

„ჟურნალის „ბრძოლის“ პირველი ნომერი ნამდვილი „პარად — აღე“ არის საზღვარ გარეთ მყოფ მენშევიკური არისტოკრატიისა.

ფალავანდები დალაგებულია შემდეგი რიგით: ნ. ჟორდანიას, კ. წერეთელი, კ. ჩხეიძე, ე. გეგეჭკორი, ა. ჩხენკელი, ნ. რამიშვილი. ყველაზე უფრო „პოპულიარული“ — არტისტის — კ. წერეთლის წერილის დასასრული „უცნობი მასკის“ წესით გადადებულია შემდეგ ნომრისთვის.

ოთხი წლის წინ სტამბოლში (ანტანტის ოკუპაციის დროს) მენშევიკებმა რომ ჟურნალის გამოცემა დაიწყეს — მას „თავისუფალი საქართველო“ დაარქვეს და მთავრობის ეროვნული კოალიციის სახელით სცემდნენ.

ოთხი წლის შემდეგ საფრანგეთის ტერიტორიაზე მენშევიკები იძულებული არიან მიატოვონ პრეტენზია ოფიციალური და კოალიციური ორგანოსი და მისი სახელიც. „ბრძოლა“ მარტო სოც.-დემ. ჯგუფის ორგანოთ არის გამოცხადებული.

მაგრამ არსებითად მათი პრეტენზია ისევ ძველია; ვინაიდან ნ. ჟორდანიას, ნ. რამიშვილის და ა. ჩხენკელის ხელით ნაწერ ქალაქებს ფასი ეკარგება საქართველოში — მათ უნდათ ბეჭედიანი სიტყვით სცადონ საზღვარ-გარეთელი ს. დემ. ბიუროს ჯგუფური ავტორიტეტის გამაგრება საქართველოსა და ევროპაში და ამით მოაგონონ

ხალხს, რომ მისი ყოფილი მთავრობა პარიზში კიდევ „მუშაობს“; ძველი ავტორიტეტის მოგონება საქართველოში იმიტომაა საჭირო, რომ შეძლებისამებრ კიდევ აამხედრონ ხალხი ბოლშევიკების წინააღმდეგ, (თუ არა მასიურად, ნაწილობრივად მაინც), ხოლო ევროპაში სისხლის დაღვრის ავტორიტეტით შეიძლება მენშევიკური ლეგაციის და მთავრობის ბლანკებით თამასუქების გაცემა და პარიზისა და ლონდონის ბირჟაზე მათი გასაღება. ამიტომ უპირდაპირებენ ისინი პარიზის საბჭოთა ორიენტაციის გაზეთს პარიზშივე გამოცემულ ანტიბოლშევიკურ ჟურნალს და ამისათვის გვპირდებიან ბრძოლას „შეუპოვარს, საძკედრო-სასიცოცხლოს“.

ნ. ჟორდანიას „ბრძოლის“ პერსპექტივა ასეთია:— მსოფლიოში იბრძვის ორი ძალა: სოციალისტური მუშათა ინტერნაციონალი, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ კი ბურჟუაზია და... ბოლშევიზმი. „როგორც კი ამ ბრძოლის კვანძი გაიხსნება—საქართველო თავისუფალი იქნება!“..

ნოე ჟორდანიასთვის ალბად არ უჩვენებიათ დროზე სარედაქციო მეთაური, თორემ იქ სულ სხვა ამბავი სწერია—„სოციალიზმს მეტი საერთო აქვს... ბურჟუაზიასთან, ვიდრე ბოლშევიზმთანაო!“... მხოლოდ მკითხავს შეუძლია ახსნას თუ ვინღაა მოკავშირე მეორე ინტერნაციონალის: ბურჟუაზია თუ მუშები?—შეიძლება არც ერთი...

ნ. ჟორდანიას პოლიტიკა კი მაინც ნათელია და ძველი—სოციალ-დემოკრატიული ინტერნაციონალის ბედზე მინდობა საქართველოს საქმეში.. მაგრამ ის დრო წავიდა, როცა ამ პოლიტიკას რეალური ხასიათი ჰქონდა ჩვენი ქვეყნისთვის: როცა ნ. ჟორდანიამ პირველი პოლიტიკური პარტია მოაწყო საქართველოში და მას მისცა არა ნაციონალური, არამედ ინტერნაციონალური ფირმა— ეს ისტო-



რიულად გასაგები იყო: ეს ერთგვარი დაზღვევა იყო პატარა და ღარიბი ქართველი ხალხისა რუსეთისა და ევროპის მაშინ ყველაზე უფრო პროგრესიული და რევოლიუციური ძალის (მუშათა სოციალ-დემოკრატიული ინტერნაციონალის) პოლიტიკურ პერსპექტივებით...

დიდი ომის და რუსეთის რევოლიუციის დროს საქართველომ სცადა ინტერნაციონალური პოლიტიკის რელსებიდან დამოუკიდებელ, ნაციონალურ გზაზე გადასვლა, მაგრამ ეს პოლიტიკა დამარცხდა.. ერთი მხრივ იმიტომ, რომ ნაციონალური პოლიტიკის კეთება ნ. ჟორდანიასთანა ინტერნაციონალისტებმა თავიანთი ხელით მოისურვეს: მეორე მხრივ კი ობიექტიური გარეშე პირობების გამო, თუ პატარა ერებს უჭირს დღეს დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკა, თუ მათი დამოუკიდებლობა დღეს უფრო დამოკიდებულობასა ჰგავს (როგორც რენე პინონი ამბობს: დღეს ერები არიან არა indépendant, არამედ interdépendant. განსაკუთრებით გასაჭირია ეს საქართველოსათვის.

ამიტომ მოხდა, რომ საქართველოს პოლიტიკა ბოლშევიკური პარტიის ინიციატივით კვლავ დაუბრუნდა ინტერნაციონალურ რელსებს: მაგრამ ეს ახალი ინტერნაციონალია, ის ინტერნაციონალი, რომელმაც ძველი რუსეთი მსოფლიო ხასიათის ფედერატიულ შტატათ აქცია, და რომელმაც ევროპის პროლეტარიატის ახალ თაობასთან ერთად აზიის განთავისუფლება იკისრა იმპერიალიზმიდგან... ძველ სოციალ-დემოკრატიულ ინტერნაციონალს კი არავითარი განსაკუთრებული როლის თამაში აღარ შეუძლია საქართველოს საკითხებში; წარმოიდგინეთ რეზოლიუციებითაც კი; მართლაც 1923 წ. ჰამბურგში ჟორდანიამ და წერეთელმა ცალკე რეზოლიუცია გამოატა-

ნია მეორე ინტერნაციონალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რესტავრაციის შესახებ.. გავიდა წელი და ამავე ინტერნაციონალმა მარსელის კონგრესის რეზოლიუციით საქართველოს საკითხი სომხეთისა და... უკრაინის შორის მოაქცია, თან et caetera („და სხვები“) მიაყოლა... და ამასთან ბრძოლა საბჭოთა კავშირთან აკრძალა... შემდეგ კონგრესზე კი ალბად მენშევიკური საქართველოს საქმე პირდაპირ et caetera-ში მოექცევა...

ი. წერეთელი, როგორც უფრო ნაკლებ დატვირთული ქართული მინისტრობის ტრადიციით, უფრო იოლად გრძნობს ამ ევროპის პესიმისტურ პერსპექტივებს...—ის, რასაც „რეალურ დახმარებას“ უწოდებდენ, ჩვენთვისაც იმდენად ნაკლები აღმოჩნდა, როგორც სხვა მსგავს პირობებში მომხდარ ერებისათვისო“, ამბობს იგი თავის წერილში; რაც შეეხება საქართველოსთვის მოსალოდნელ საერთაშორისო იმპერიალისტურ მეტოქეობას — „რას მოუტანდა ეს მეტოქეობა ჩვენ ხალხს და რით დაბოლოვდებოდა იგი, ეს ღმერთმა იცისო“... რაღა პერსპექტივებით რჩება მაინც ი. წერეთელი ანტიბოლშევიკურ ფრონტზე?..

ცხადია ეხლავე, რომ ეს პერსპექტივები განიზომება არა ქართული, არამედ სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიით... ვნახოთ როგორ ჩამოაყალიბებს თავის ფორმულას ეს მოღვაწე, რომელსაც პროფ. ავალიშვილმა თავის უკანასკნელ წიგნში უწოდა „წმინდანის სახისა და მგელის თვალების“ პატრონი!...

მესამე ფალავანდი „ბრძოლის“ არის კარლო ჩხეიძე, რომელზედაც ზ. ავალიშვილი ამბობს, რომ მას სოციალიზმი შორაპნელი აზნაურის რთველის სახით ჰქონდა წარმოდგენილი, ხოლო რევოლიუცია როგორც გაშლილ სუფრაზე ტოლუმბაშობა.

როგორც სჩანს კ. ჩხეიძეს, მას შემდეგ რაც იგი საქართველოს ყოფილ მთავრობის მიერ შეძენილ ლიოვილის მამულში ჩასახლდა, შორაპნელ მესაკუთრის ასოციაციის ფრანგული „ელევაუით“ გაუმდიდრებია,—და ალბათ ამისი ბრალია რომ მარკსიზმისა და ლენინიზმის პრობლემა კ. ჩხეიძეს ასე მარტივად ჩამოუყალიბებია: „რითი აიხსნება, რომ მარკსმა ერთი ბაჭიაც ვერ დაიჭირა და ილიჩმა კი ორი კოტორა გაქაჩაო (რუსეთი და დიკტატურა)“?.. აფსუსს, რომ ლიოვილის ფერმაში შინაურ კურდღლების მოშენებამ ასეთი იერი დაადო სრულიად რუსეთის პირველ საბჭოთა თავმჯდომარეობიდან ჯერ ამიერ-კავკასიის, შემდეგ საქართველოს პარლამენტის და ბოლოს ლიოვილის „დომკომის“ თავმჯდომარეობამდე ჩამოქვეითებულ ლიდერის ისტორიულ ფილოსოფიას...

მეორე წვრილი (სათაურით „ბოლშევიზმი საერთაშორისო.. რეაქციის სამსახურში“) ეკუთვნის ბატონ ევგენი გეგეჭკორს, რომელსაც, როგორც სჩანს სამართლიანად ვუწოდეთ თბილისში „საქმეთა გარეშე მინისტრი“...

მეხუთე აკაკი ჩხენკელი ქადაგებს.. კაცი რომელიც რევოლიუციის დროს მოსკოვში რუსებს ეფიცებოდა კავკასია რუსეთის რევოლიუციის თავრიზი იქნებაო,—დღეს პლატონ იოსელიანის შესიანიტური წინასწარმეტყველობით იდგამს სულს.. რა ქნას—ა. ჩხენკელი მონაა თავისი პარიზის ელჩობის—მისთვის ქართველ ერს სახელმწიფო ფუნკციებიდან თუ რამე შერჩა ეს მხოლოდ ა. ჩხენკელის უფლება საფრანგეთის პრეზიდენტის სასახლეში სადარბაზო ფრაკით წვეულებისა და წელიწადში ერთხელ ძღვნად საპრეზიდენტო ნადირობაზე მოკლულ რომელიმე უძინიშვნელო ფრინველის მიღებისა... ა. ჩხენკელის წინამორბედი მეტე ვახტანგის ელჩი ლიუდოვიკ მეთოთხმეტეს-

თან საბა სულხან ორბელიანი, გაცილებით მეტი რეპლუკური წარმოდგენის იყო „ევროპის დახმარების“ შესახებ; და ამიტომაც მას არ უფიქრია პარიზში სამუდამოთ დარჩენა.

უკანასკნელად, მეექვსეთ რიგით გამოდის „ბრძოლაში“ ნოე რამიშვილი, რომელსაც პარტიაში პატარა ნოეს ეძახიან. მაგრამ ეს მეექვსე ადგილი, რასაკვირველია, ტაქტიკური სითავდაბლება—ნამდვილად ანტიბოლშევიკური ხათაბალის მხრივ დიდი ნოე დღეს სწორეთ ნოე რამიშვილი გახლავთ!..

ნოე რამიშვილი ფრჩხილებს უხსნის იმ „ბრძოლას“, რომელსაც გვპირდება მომავალში მენშევიკური არისტოკრატია—პირდაპირ აჯანყების მაგიერ აწი თურმე მოხდება სოციალური არეულობანი ეროვნული დროშით: მუშების შეტაკება... პატრონებთან (!) და გლეხთა ამბოხება გადასახადების წინააღმდეგ“!.. ამის იმედმა დააყენა ალბათ ნ. რამიშვილი ისეთ პოეტიურ გუნებაზე, რომ თავის უკანასკნელ წიგნში (რუსეთი და საქართველო) ბაირონის ლექსების (ჩაილდ-ჰაროლდის) დეკლამაცია დაიწყო!.. ესაა ალბათ გამოყენება „პირდაპირი თუ არა პირდაპირ ყოველგვარ თუ ნახევრად ლეგალური საშუალების“, რომელზედაც ლაპარაკობს მუხლი 11 პარიზის მენშევიკური თათბირის 3 მაისის რეზოლიუციის. ასეთია პროგრამა და ლოზუნგი პარიზ — ლევილში შეხიზნულ ნოეს კიდობანი-სა — ამ ლოზუნგებით სურთ მათ შეაჩერონ ისტორიულად აუცილებელი პროცესი ერთის მხრივ ქართველი ხალხის უპარტიო მასის საბჭოთა პლატფორმაზე დადგომისა და მეორეს მხრივ პარალელური პროცესი მენშევიკური ფრაქციის წევრთა მიერ თავიანთი გაკოტრებულთ ლი-



დერების მიტოვების და მონათესავე ბოლშევიკური პარტიის ლიდერობის აღიარებისა.

რასაკვირველია, ვერც ერთ ამ პროცესს „ბრძოლის“ „პარად აღე“ ვერ შეაჩერებს: ჟორდანია, ჩხეიძე, ჩხენკელი, რამიშვილი და ძმანი მათნი ისტორიულ არხივს ჩაბარდნენ როგორც ერისა და პარტიის ლიდერები.

დაემორჩილეთ, ბატონებო, ისტორიის განაჩენს: მოაწყეთ „სერიოზულად და დიდი ხნით“ ოჯახობა და მეურნეობა მენშევიკური კონსტიტუციის მიხედვით ლევილის შვიდ დესეტინიან ფერმაში, ჯაშენეთ ფრინველი—საქონელი, ზარდეთ შვილები კოლეჯებში, შეუდექით ი. წერეთელისაებ მემუარაბის წერას და ყიდვას—ქართველი ხალხი არ მოისურვებს ალბად თქვენ პანსიონური რეჟიმის მყუდროების დარღვევას—მაგრამ თავი დაანებეთ საქართველოს რესპუბლიკას... რაც არ უნდა მოხდეს, მის მთავრობის ზღლისუფლებას თქვენ ვეღარ დაიბრუნებთ!

### პარიტეტის ხანა

პარტიულ პროცესზე გამოქვეყნებული ფაქტების მიხედვით შესაძლოა უკვე ისტორიული დაფასება ქართული პოლიტიკის იმ პერიოდისა, რომელსაც მომავალი მართიანე „პარიტეტის ხანად“ მონათლავს.

ჩვენთვის ეს რეტროსპექტიული დასკვნა შემდეგია:

პარიტეტული კომიტეტი და ანტიბოლშევიკური კოალიცია მოეწყო საქართველოში თავდაპირველად უთუოდ იმიტომ, რომ ბოლშევიკების წასვლა თბილისიდან სახვალიო საქმედ მიაჩნდათ (ან ევროპის დიპლომატიური გავლენით ან რუსეთის შინაური კრიზისით) და ყველა ფიქრობდა სასახლეში მთავრობის დამტკიცებაზე; ამავე

დროს დაიწყო წინ და წინ ქიზში გეგემონისათვის ყოფი-  
ლი მმართველი პარტიის (მენშევიკების) და მისი ყოფილი  
ოპოზიციის (ნაციონალ-დემოკრატების შორის); და ვი-  
ნაიდან მენშევიკების ფარულად გადარჩენილი ძველი  
გვარდიის კადრების ანგარიში ჰქონდათ, ნაციონალ-დემო-  
კრატები შეუდგენ საკუთარი სამხედრო აპარატის მოწყო-  
ბას (ოფიცრებიდან); როგორც ყოველთვის ამ არალეგა-  
ლურმა აპარატმა თან და თან გადაწონა თავისკენ ხელ-  
მძღვანელი ნაციონალ-დემოკრატიული ცენტრი; (მით უფ-  
რო რომ ამ ცენტრში ისეთი დე-ვალერა იჯდა, როგორც  
იასონ ჯავახიშვილი). 1922 წელს ნაც.-დემ. კომიტეტის  
დაუკითხავათ (როგორც სჩანს პროცესიდან — დავით ვაჩ-  
ნაძის თაოსნობით) ქაქ. ჩოლაყაშვილი გავიდა ტყეში და  
თავისი რაზმით დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა საქარ-  
თველოს საბჭოთა ხელისუფლებასთან (დუშეთი — კა-  
ხეთი). რასაკვირველია, მის გარშემო შემოიკრიბა საბჭოთა  
რეჟიმის კალაპოტის გარეშე დარჩენილი ხალხი. ხოლო  
ხელისუფლების სამაგიერო რეპრესიებმა ფატალურად  
კიდევ უფრო გაზარდა ეს ჯანყის წრე.

ეს ის დრო იყო, როცა 1922 წ. გენუის კონფერენცი-  
ის დროს საბოლოოდ გაქარწყლდა იმედი დიპლომატიური  
ინტერვენციისა საქართველოს საქმეებში და დაიბადა აჯა-  
ნყების იდეა. (1921 პარიზში ლუშერთან მოლაპარაკების  
დროს აჯანყება კი არ იყო ნაგულისხმევი, არამედ ინტერ-  
ვენცია ოსმალეთის ტერიტორიაზე მოწყობილი ბაზით).  
აჯანყების იდეა ჩამოიტანა პარიზში სტამბოლიდან ნოე  
ხომერიკმა, მანვე მიაღებია იგი პარიზის ცენტრს პრინცი-  
პიალურად და მამნვე იკისრა საქართველოში წასვლა, რომ  
იქ, როგორც ნოე რამიშვილის ემისარს ხელში ჩაეგდო  
პარიტეტული ორგანიზაცია და დაემორჩილებია ნ. დ. სამ-

ხედრო ტექნიკური აპარატი. ნოე ხომერიკმა მოახერხა /  
ეს, მაგრამ სამაგიეროდ მოხდა სოც.-დემ. პარტიის <sup>არქივული</sup> <sup>ლიტერატურა</sup>  
ლოგის შეუღლება ნაც.-დემ. ლოზუნგებთან.

რამოდენიმე ვადა ნ. ხომერიკის მომზადებული აჯანყების არ გამართლდა (რადგან საქართველოში კონსპირაცია ძნელი საქმეა და მით უფრო „ჩეკას“ მეთვალყურეობით). დატუსაღებული იქმნა ჯერ თვით ნ. ხომერიკი და შემდეგ მისი მოადგილე ვ. ჯუღელი და ბ. ჩხიკვიშვილი: ამასობაში ინგლისმა საბჭოები იცნო და საფრანგეთიც ამ გზას დაადგა; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რესტავრაცია თან და თან უიმედო საქმედ შეიქმნა; მაშინ დაიბადა იდეა „სალიკვიდაციო აჯანყების, რომლის მიზანი, როგორც გამიგონია საქართველოდან ჩამოსულების პირიდან, უნდა ყოფილიყო თუ არა „სიკვდილი სახელოვანი“, ყოველ შემთხვევაში დანახვება მსოფლიოსათვის, რომ საქართველოში იყო აჯანყება და რომ „საქართველოს საკითხი“ არსებობს.

ამის შემდეგ კი იყო აჯანყების ავანტურათ გამოცხადება თვით პარიტეტული ლიდერების მიერ და აჯანყების იდეის საბოლოო ლიკვიდაცია საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

პარიზი. 12 სექტემბერი 1925 წ.



ქართული  
ბიბლიოთეკა

ახალი ქართული საზოგადოება პარიზში

## ახალი ქართული საზოგადოება პარიზში

„შავი გიორგის“ ხულიგანობამ, რომელიც ჩაიდინეს 9 აგვისტოს რამიშვილ — კედიას აგენტებმა, — როგორც უკვე ვწერდით, ვერ შეუშალა მინც ხელი საბჭოთა ქართული კოლონიის ორგანიზაციას პარიზში.

მეორე კვირაშივე, 21 აგვისტოს, შედგა შეწყვეტილი კრების გაგრძელება; მოსმენილ იქმნა „ახალი ქართული საზოგადოების“ წესდების პროექტი და აირჩიეს გამგეობა.

ვინაიდან კლიშის რაიონი მეტის მეტად წითელია შავ-თეთრ ხულიგანებისათვის, — ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი ს „ლეგაცია“ მიმართა უფრო უშიშარ ზომას — დაგვაბეზლეს ფრანგულ პრეფექტურაში — არიქა კომინტერნის აგენტების კრებაა — მიასწართო! მოვიდა პარიზის საიდუმლო პოლიციის „უცხოელთა ბრიგადა“ — დაგვათვალყერეს, იკითხეს ვინაობა და კრების საგანი... ძლიერ გაოცდნენ, როცა „ოკუპანტ-რუსების“ მაგიერ ნახეს 30-დე ქართველი მოქალაქე, მათ შორის მანდილოსნებიც... კიდევ უფრო გაოცდნენ, როცა წაიკითხეს ფრანგულად დაწერილი „ახალი ქართული საზოგადოების“ ნორმალური ხასიათის წესდების პროექტი... მაგრამ ყველაზე მეტად გაკვირდნენ, როცა გაიგეს, რომ ინიციატორნი საბჭოთა ქართული საზოგადოების დაარსებისა (მუშები) თვით მიემგზავრებოდნენ მარსელიდან მიმავალი პირველი გემით იმ საქართველოში, სადაც ჩხენკელის გაუთავებელი მემორანდუ-

მების მიხედვით ყველა არა ბოლშევიკი ან დახვრეტილი  
ან და დატუსაღებული არის...

ამ მსრივ 21 აგვისტოს მოწყობილი ვიზიტი ფრანგული პოლიციისა საბჭოთა ქართული კოლონიის კრებაზე, — ალბად დათვურ სამსახურს გაუწევს ჩხენკელის „სა-ელჩო“ ავტორიტეტს...

ამგვარად პირველი ეტაპი საბჭოთა ქართული კოლონიის ორგანიზაციისა დასრულებულია: „ახალი ქართული საზოგადოება“ შემდგარია, მისი გამგეობაც ჩამოყალიბებული არის სათანადო ოქმით.

ახლა საჭიროა, რომ „ახალი ქართული საზოგადოების“ გამგეობა შეუდგეს წესდების მიერ დასახულ მიზნების მიღწევას.

როგორც 21 აგვისტოს კრების დროს ითქვა (ვანო ალიხანიშვილის, თედო დემეტრაშვილის და სხვათა მიერ) პარიზის ქართული ემიგრანტული კოლონია საჭიროებს კულტურულ კავშირს სამშობლოსთან, მას უნდა ქართული სამკითხველო და ქართული ლექსები; ხალხი საჭიროებს მატერიალურ დახმარებას საფრანგეთში მუშაობის დროს (შრომის ბიურო და სხვა); ხალხს უნდა დახმარება საბჭოთა მოქალაქეობის უფლებების აღდგენის საქმეში (როგორც ვიცით, ვადა სათანადო შუამდგომლობის აღძვრისა თავდება ამ წლის დამლევს დეკემბერში); და ბოლოს ემიგრაციის ის ნაწილი, რომელიც მზადაა სამშობლოში დაბრუნდეს, რათა ამით თავიდან აიცილოს დენაციონალიზაციის და დემორალიზაციის ბედი, — საჭიროებს სათანადო თაოსნობას.

ჩვენ ვიცით, რომ „ახალი ქართული საზოგადოების“ გამგეობა უკვე შეუდგა საორგანიზაციო მუშაობას და იმედი გვაქვს, რომ მოკლე ხანში იგი, მოახდენს რა წესდე-

ბის რეგისტრაციას, — გამოვა პარიზის ემიგრაციის ასპე-  
უმცირესობას შეადგენს პარიზში; გაისად, თუ არა უკიდურეს

არაფერია, რომ საბჭოთა ქართული კოლონია დღეს  
უმცირესობას შეადგენს პარიზში; გაისად, თუ არა უკიდურეს  
ადრე, იგი ალბად ისეთივე უმრავლესობა იქნება, როგო-  
რიც არის დღეს ქართული საბჭოთა კოლონია ბერლინში.

ძველი კოლონიის მფარველების (დ. სხირტლადის  
და ვ. დუმბადის) ფინანსიური კომბინაციები ვერ შეაჩე-  
რებს ემიგრანტული მასის ლტოლვას შინისაკენ.

პარიზი. 5 ოქტომბერი 1925 წ.



ქართული  
ბიბლიოთეკა

პენდიკველდე და ნანსენი

## ვანდერველდე და ნანსენი

საქართველოსა და კავკასიის დღევანდელი საერთა-  
შორისო მდგომარეობის დახასიათებისათვის ორი ფაქტია  
საგულისხმო.

პირველი არის ვანდერველდეს დეკლარაცია საბჭოთა  
კავშირის ცნობის შესახებ.

მეორე არის ნანსენის პროექტი საბჭოთა სომხეთი-  
სათვის ხალხთა ლიგის სესხის მოწყობის შესახებ.

ვანდერველდეს დეკლარაცია მენშევიკურმა ყოფილ-  
მა „მთავრობამ“ გამოიყენა ახალი ილიუზიის შესაქმნე-  
ლად, სასოწარკვეთილების კარზე მიმდგარ ემიგრაციის  
სანუგეშოდ.

ბრიუსელში და ჟენევაში მყოფ ძმებმა შავიშვილებ-  
მა დაიწყეს არ არსებული ქართული კოლონიების სამად-  
ლობელო აღრესების გამოქვეყნება ვანდერველდეს მი-  
მართ.

შავიშვილების „საინფორმაციო ბიუროების“ მიხედ-  
ვით ბელგიელი ვანდერველდე აღმოჩნდა ერთად ერთი სო-  
ციალისტი მინისტრი, რომელიც მენშევიკური საქართვე-  
ლოს სახელზე გაცემულ თამასუქებს იხდის.

ინგლისელმა მაკდონალდმა გარდა თანაგრძნობისა  
ვერ გაბედა ნოე ჟორდანიას „მთავრობის“ საკითხის წამო-  
ყენება საბჭოთა კავშირის ცნობის დროს.

ფრანგმა ერიომ ვერ მოახერხა პირდაპირ დასახელება  
„ქართული საკითხის“, მაგრამ საბჭოთა ფედერაციის

საკავშირო ელჩის, კრასინის მიღებასთან ერთად მან შე-  
სრულა რენოდელის შუამდგომლობა, რომ არ დაეცა  
ჩხენკელის ლეგაცია.

ბელგიელი ვანდერველდე კი, თურმე, შავიშვილის  
სააგენტოს მიხედვით, ასწრობს რაინდობაში ინგლისელებ-  
საც და ფრანგებსაც: „ვანდერველდემ განაცხადა რომ იგი  
აყენებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღ-  
დგენის საკითხს, როგორც საბჭოთა კავშირის ცნობის  
წინასწარ პირობას“!..

ეს სენსაციური ამბავი შავიშვილებმა მოდეს პრესას  
(მაგალითად, პარიზის „ენფორმასიონ“, „ჟურნალ დე შე-  
ნევ“ და სხვ.).

მოლა ნასრედინის არ იყოს, ვინც ეს ჭორი გაავრცე-  
ლა ალბად დაბოლოს თვითონაც დაიჯერა: „ვანდერველ-  
დე ჩაგვიყვანსო“!..

თუ სად და როგორ შეუძლია ამ ხალხის ჩაყვანა ვან-  
დერველდეს, — ეს საკმარისად ნათლად სჩანს, ოფიცია-  
ლური სტენოგრაფიდან, რომლის მიხედვით  
ბელგიის მთავრობამ უნდა დაიცვას საბჭოების ცნობის  
დროს საქართველოსა და სომხეთის ძველი მთავრობების  
უფლებანი, ისე როგორც მოიქცა საფრანგეთი საბჭოების  
ცნობის დროს (იხ. ლიეჟის გაზეთი „ვალონი“, 6 სექ-  
ტემბერი).

ხოლო საფრანგეთმა რა ქნა, ეს ხომ უკვე ვიცით, —  
დროებით, ყოველ შემთხვევისათვის, არ დაკეტა ჩხენკელის  
დუქანი! და თუ ბელგია ასევე უნდა მოიქცეს, სადღაა სა-  
ფრანგეთის წინ გასწრება? მით უფრო, რომ ბელგიაში  
არავითარი ქართული ლეგაცია არ არსებობს!

თვით ვანდერველდემ მოსპო ყოველივე გაუგებრობა  
ამ საგანზე, როცა დეკლარაციის შემდეგ, დეპუტატ ბრი-

უნფოს დაამოწმებია, რომ საქართველოსა და სომხეთის/ დამოუკიდებლობის საკითხის გარდაწყვეტა არ წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ცნობის წინასწარ პირობას ბელ- გისათვისო.

ამ გვარად გაქრა კიდევ ერთი მენშევიკური გალუ- ცინაცია, შექმნილი ემიგრაციისა და საქართველოს სა- პროვოკაციოდ; და კიდევ ერთხელ გამოჩნდა თუ რა რეა- ლური ფასი აქვს მეორე ინტერნაციონალის რაინდების „დახმარებას“ საქართველოს პრობლემაში!

ქართველ ხალხს შეუძლია დამშვიდებით განაგრძოს თავისი ქვეყნის მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომა; საქართველოსა და რუსეთის შეკავშირება საბჭოთა ფე- დერაციის სახით საუკუნოებით მომქმედ საერთაშორისო ფაქტორებზე არის დაყრდნობილი!

თუ ბელგის, საფრანგეთის ან ინგლისის მინისტრები მაინც ამოიყვილებენ საქართველოს სახელს, — არა იმი- ტომ რომ სწამთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბ- ლიკის და მისი ყოფილი მთავრობის ბედი, — არამედ იმი- ტომ, რომ საბჭოთა რუსეთთან საბოლოო პოლიტი- კურ და ფინანსიურ შეთანხმებამდის დაიტოვონ ჯიბეში ნოე ჟორდანია, როგორც საბოლოო ანგარიშის გასწო- რების დროს გამოსადევი ხურდა ფული.

ამისათვის არ იკეტება ქართული მენშევიკური ლეგა- ცია პარიზში და ამისათვის იხდიან ამ ლეგაციის ქირას ევროპიელი შენავთეები დავით სხირტლადის ხელით.

თუ როგორია საერთაშორისო ფაქტორების ტენდენ- ცია კავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა რეჟიმის ცნობის მხრივ, — ამისათვის საკმარისია შევჩერდეთ იმ ფაქტზე, რომ ხალხთა ლიგის შენევის სესიამ მიიღო ფრ. ნანსენის

პროექტი საბჭოთა სომხეთისათვის საკოლონიზაციო სე-  
სხის მიცემის შესახებ.

საქართველო  
საბჭოთა კავშირი

ნანსენის პროექტის გარჩევის დროს ლიგის კომისიებ-  
ში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის წარმომადგენელთან  
პარიზის საელჩოში სიმონ ფირუმოვთან მოლაპარაკება ამ  
საგანზე უწარმოებიათ თვით მენშევიკების ფრანგ და  
ბელგიელ მთავარ ანგელოზებს (ალბერ ტომას და დე-  
ბრუკერა).

და ბოლოს ხალხთა ლიგამ, რომელშიაც საბჭოთა  
კავშირი წევრადაც არ შედის, დაადგინა, რომ ამ საბჭოთა  
კავშირის ერთ შემადგენელ რესპუბლიკას სომხეთს —  
ხალხთა ლიგის საგანგებო კომიტეტის სახით სესხი მოუ-  
წყოს (სპეციალური კონტროლისა და გარანტიის საკითხი  
არ აღძრულა).

ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო  
დიპლომატიური თვალსაზრისით იმ ფედერატიულ რეს-  
პუბლიკისათვის, რომელშიაც შედის სომხეთი და მაშასა-  
დამე მას აქვს ასეთივე მნიშვნელობა საბჭოთა საქართვე-  
ლოსათვისაც.

როგორც ნანსენს უთქვამს, ლიგის აქტივ კავკასიის  
საბჭოთა რესპუბლიკები შევიდნენ საერთაშორისო სფერო-  
ში; მათ „დიპლომატიურ“ ბოიკოტზე აღარ შეიძლება მე-  
ტი ლაპარაკი.

ეს საბედისწერო აქტია აკაკი ჩხენკელის „საკუთა-  
რი“ ფედერაციისათვის და ეს ფაქტი მით უფრო მწვავე  
უნდა იყოს მისთვის, რომ მას აქვს შიგნითი პოლიტიკური  
მხარეც: საბჭოთა სომხეთისათვის ნანსენი რომ საქმეს  
აკეთებდა, ევროპაში და კავშირულ ქვეყნებში მყოფი სომხუ-  
რი ემიგრაცია თურმე ხელს არ უშლიდა თავისი სამშობ-  
ლოს აღდგენის საქმეს.

ჩხენკელისა და მისი მოკავშირე ალიმარდან ბეგ ტო-  
ფჩიბაშევის ეროვნული ლოდიკით კი ხელშესაწყობი და  
მისაღები მხოლოდ ის, რაც დაწერილია მათი მკვლარი  
მთავრობის ბლანკზე.

საუბედუროა, რომ პარიზის ქართველი ემიგრაციის  
დიდი ნაწილი კიდევ, თან ამ ჩხენკელურ ლოდიკას მის-  
დევს და თან წუწუნებს, რატომ საქართველოსაც არ  
გამოუჩნდა თავისი ნანსენიო!

ბატონებო! რათ გინდათ ნანსენების საქმე, თქვენ  
გყოფნით ვანდერველდეს სიტყვაც.

პარიზი. 5 ოქტომბერი 1925 წ.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

წელიწადი მემრე

## წელიწადი მეორე

„წელიწადი მეორე“ — ასე მოკლედ გამოითქმის ის ფაქტი, რომ ამ ნომრიდან გაზეთი „ახალი საქართველო“ გამოცემის მეორე წელიწადში გადადის.

„წელიწადი მეორე“ — ეს ნიშნავს მხოლოდ ერთ განვლილ წელს, მაგრამ ეს ერთი წელი ჩვენთვის ყველასათვის რამოდენიმე ჩვეულებრივ წელიწადს უდრის.

გადავავლოთ თვალი განვლილ წელს, როგორც ფსიხოლოგიურათ, ისე იდეურათ და ორგანიზაციულათ.

გაზეთი „ახალი საქართველო“-ს № 1 გამოვიდა შარშან 5 ნოემბერს (პირადი დეკლარაცია გამოქვეყნდა „ლ'უმანიტეში“ ოქტომბერში), როცა ემიგრაციაში ყველა, ლიდერიცა და მიმყოლიც, მარტო სისხლზე ფიქრობდა და ლაპარაკობდა.

ჩვენ მოვითხოვეთ მაშინ გრძნობის პოლიტიკის მაგიერ გონების პოლიტიკით ხელახალი აწონვა და ანგარიშში საქართველოს მდგომარეობისა და ამის მიხედვით, ახალი რეალური ხაზის აღება საბჭოთა საქართველოს და საბჭოთა რუსეთის მმართველ ინტერნაციონალურ პარტიისადმი;

ეს ლოზუნგი საკმაოდ ცხოველყოფელი აღმოჩნდა; მან გამოძახილი ნახა ემიგრაციაში და საქართველოშიც. საქართველოში ეს გამოძახილი უმთავრესად ყოფ. ნაციონალ-დემოკრატიულ ინტელიგენციას შეეხო (განსაკუთრებით პარტიულ ახალგაზრდობას, რომელმაც მთელი

სალიკვიდაციო კონფერენცია ჩაატარა „ახალი საქართველო“ ლოზუნგით.

ეროვნული  
გაზეთი

ემიგრაციაში კი ეს გამოძახილი შეეხო ყველა მიმართულების სტუდენტობას (როგორც ნაციონალ ისე სოციალ დემოკრატებს და ფედერალისტებს) და განსაკუთრებით სტუდენტობის იმ ახალ თაობას, რომელიც, ნიკოლოზ მიწიშვილის თქმით, თავისუფალია „მამების“ პარტიული ცოდვებიდან და ეძებს „სიცოცხლეს, სარბიელს და საქმეს“!

სტუდენტების შემდეგ ემიგრაციაში გაზეთ „ახალ საქართველოს“ გამოეხმაურა მუშათა წრე, რომელიც უმთავრესად ყოფ. სოციალ-დემოკრატებისაგან შესდგება და რომლის ავტორიტეტული წარმომადგენელი არის ალფრედი ხელაძე.

და დღეს ეს სოციალისტური და არა სოციალისტური ელემენტები გაერთიანებული ძალით თანამშრომლობენ, როგორც გაზეთ „ახალ საქართველოში“, ისე საბჭოთა ქართულ კოლონიებში, — პარიზ, ბერლინ, პრაღაში.

თუ რა არის „ახალი საქართველო“ პლატფორმა, — ეს ჩვენ ბერლინის კოლონიის სხდომაზე ვსთქვით, საქართველოს გასაბჭოების წლისთავზე („ახალი საქართველო“ № 4):

„უნდა შევიგნოთ, რომ რუსეთის (როგორც უძლიერესი მეზობლის) ორიენტაცია, ყველაზედ უფრო რეალურია ქართველი ერისათვის, სამხედრო თვალსაზრისით.

დღევანდელი საბჭოთა რუსეთი კი პოლიტიკურად ყველაზედ უკეთესი ნაციონალური სახეა რუსეთისა, რადგან საბჭოთა კონსტიტუცია გვათანასწორებს რუსეთთან, როგორც ფორმალურად, ისე ფაქტიურად.

მხოლოდ ინტერნაციონალური სახე საბჭოთა  
მოსკოვის და მისი მმართველი კომუნისტური  
ტიისა უკეთესი საერთაშორისო გარანტია არის  
მცირერიცხოვანი ქართველი ერის რესპუბლიკი-  
სათვის, ვიდრე ჟენევის „ერთა ლიგა“, ან ამსტერ-  
დამის ინტერნაციონალი, — რადგან იგი უკავში-  
რებს საქართველოს საქმეს მსოფლიო პოლიტიკის  
ორი დიდი ფაქტორის — (პროლეტარიატისა და  
კოლონიალურ ერთა სოციალური და ნაციონალუ-  
რი განთავისუფლების) პერსპექტივებს და ამ ფაქ-  
ტორთა ავანგარდში საპატიო პოსტზე გვაყენებს  
აზიის ჭიშკარში“.

ამ პლატფორმამ შეაკავშირა საბჭოთა მიმდინარეობა  
ქართულ ემიგრაციაში.

ამ პლატფორმამ გაყო და ისტორიის არხივს ჩააბარა  
შარშან ამ დროს მთლიანი ემიგრანტული ანტიბალშევი-  
კური ფრონტი.

და ეს პლატფორმა ადრე თუ გვიან დაამარცხებს  
მორალურათ და ორგანიზაციულად დღეს უკვე გაყოფი-  
ლი ქართული ემიგრაციის ორივე ლაგერის („ბრძოლისა“  
და „სამშობლოს“) იდეოლოგიას.

პარიზი. 1 ნოემბერი 1925 წ.



ქართული  
ზოგადი ბიბლიოთეკა

«სამუშაოებსა და მოქმედებებზე»

## «ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ა თ ვ ი ს»

ჟურნალი „ბრძოლა“ (№ 1) უსაყვედურებდა ბ. კედლას, ვეშაპელს ლმობიერათ ეპყრობით, მარტო ხუთიოდე სტრიქონი უძღვენითო.

არ ვიცი, ამიტომ, თუ იმიტომაც, რომ ბ. კედლა გაამწარა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილმა ალიხანოვის წერილმა, სადაც მოგონებული იყო ბ. კედლას ერთი სახელმწიფო აქტი, სტამბოლში ჩადენილი (მენშევიკებისაგან „კოალიციის“ წესით მიღებული საკონტრაზვედკო დოკუმენტის ხ ე ლ მ ე ო რ ე დ, მენშევიკების შემდეგ, „სეპარატულად“ გაყიდვა), — მხოლოდ ის კი ცხადია, რომ გაზეთი: „სამშობლოს“ რედაქტორს გადაუწყვეტია ზუგდიდელი ჯენტლმენის როლის მიტოვება და აუშვია თავისი ჟურნალის უკანასკნელს ნომერში (№ 6) ჩვენ წინააღმდეგ მყეფარები, უკვე არა ხუთი პწკარით, არამედ მთელ გვერდზეა ყეფა. პირველად გამოდის სცენაზე „საქ. პატრიოტული“ საზოგადოება „თეთრი გიორგი“ (რომელსაც ინიციატორთა ტრადიციით ღრთა დაერქვას „თეთრი მათალუ“) — „რატომ გვეძახის ვეშაპელი ფაშისტებს, როცა ჩვენ წრეში სოციალისტებიც არიანო!“ — აი დალაზვროს ღმერთმა, კარგი სოციალისტები გყოლიათ! ამასთანავე გვიყეფენ: — მოსკოვის აგენტების „ოქროთი“ ვაჭრობთო!

თუმცა ეს წერილი ანონიმურია, როგორც „მათალუს“ რაინდებს შეშვენის, მაგრამ ჩვენ ვიცი, რომ 9 აგვისტოს. კაფე ვოლტერში „თეთრი გიორგის“ ნიშნებით მოსულ

ხულიგანების აპოლოგია, გაზეთ Echo de Paris-ში იღო ნიკოლა დგებუაძემ; — ამიტომ ვუპასუხებთ ამ ბატონებს და ამფსონებს ერთხელ და სამუდამოთ დეგს: — მოსკოვის ოქროთი ვაჭრობა ჩვენ არ გვჭირია. — გაზეთი „ახალი საქართველო“ ნება დართულია ლეგალურათ გასასყიდათ მთელ საქართველოში, ჩვენ იქ ყვიდით 1000 ცალამდე, თითო ცალი ხუთი ფრანკის ანგარიშით: სდგება ისეთი თანხა, რომელიც ჩვენს რედაქციასაც ყოფნის და სტამბასაც.

თქვენ კი, ბ. დგებუაძე, რას ყიდით! ქართულ კუნთებს და სისხლს? აი ფაქტი. დგებუაძემ მონაწილეობა მიღებია 9 აგვისტოს პაგრომში სტუდენტთა ერთ ჯგუფს. რომელსაც ფრანგული კათოლიკური სტიპენდიის დანიშვნა დაპირდა, პაგრომის მოხდენისთანავე დგებუაძემ მანიფესტი გამოაქვეყნა ფრანგულ კათოლიკურ პრესაში — არიქა. გვიშველეთ. დაუნიშნეთ ქართველებს სტიპენდიები, თორემ ბოლშევიკები პროპაგანდას ეწევიან, 40 დოლარიანი სტიპენდიებით; პაგრომის შემდეგ ფრანგი კათოლიკენი მართლაც დაინტერესდნენ ამ „ქრისტეს მორწმუნე“ ახალგაზრდობით და ეკლესიებში ფულის შეკრება დაიწყეს. თვით პარიზის ეპისკოპოსს 1000 ფრანკი შეუწირავს. ამგვარად რამოდენიმე სტიპენდია მოხერხდება, მაგრამ თვით სტიპენდიის რაოდენობა, მიუხედავათ დგებუაძის ბლავილისა: „ბოლშევიკები 40 დოლარს იძლევიანო“ — მაინც 400 ფრანკზე დაუტოვებიათ (ფრანგები ხომ სანტიმებით ანგარიშობენ და მით უფრო იეზუიტები); ასეთ პირობებში ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ „სტუდენტებისათვის“ რისკი 9 აგვისტოს პაგრომისა მეტი იყო, ვიდრე გონორარი.



ზეთის მეორე ნომერის წაკითხვის შემდეგ გვეხვეწებოდა,  
დანარჩენი ნომრები არ დამაკლოთო!.. ეხლა კი ბატონს ვაძლევ  
რიდონს „უმაღლეს“ სალამს უძღვნის! რაშია საქმე?  
ჩვენ არ შეგვიძლია ავხსნათ ასეთი პროვოკაციული საქ-  
ციელი გარდა იმისა, რომ შოთა სარჯველაძეს ალბათ ეგო-  
ნა (ისე როგორც ვ. ციციშვილს და სხვებს), რომ ჩვენი  
გაზეთის მიღება და მოსკოვის დოლარების თავზე დაყრა  
ერთი იქნებოდა!.. უცადეს, უცადეს, ბოლოს გამწარდენ  
და აყვირდენ — „სამშობლოსათვის“ მაინც გვიგულეთო!  
ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ერთხელ  
და სამუდამოთ ვაცხადებთ, რომ გაზეთ „ახალი საქართვე-  
ლოს“ კითხვისათვის რედაქცია ვერც მოსკოვის, და ვერც  
თბილისის ოქროს ვერავის დაპირდება.

ვ. ციციშვილსაც მყეფარის როლი უკისრია, როგორც  
სჩანს, მას სან — დენის კომუნისტურ ქალაქში ცხოვრება  
ურჩევნია საბჭოთა საქართველოს მოქალაქეობას! ვნახოთ.  
რამდენი ხანი გაივლის, სანამ ვ. ციციშვილი, და მისი მე-  
გობარი ი. რამიშვილი საბჭოთა მისამართის ძეზნას დაიწ-  
ყებდენ!

ასეთი ამბავი უფრო ხშირია, ვიდრე ზოგიერთს წარ-  
მოუდგენია. აი, მაგალითად, ავიღოთ ბ. შალვა მალლაკე-  
ლიძე, რომელმაც გაზეთ „სამშობლოს“ ივლისში „პარტი-  
ული“ წერილი უძღვნა, ხოლო სამი თვის შემდეგ, ჩვენს  
რედაქციას მიმართა ლევან ლოლობერიძისათვის წერილის  
გადასაცემად. ამ წერილში, პატივცემული ადრესატის  
თქმით, თურმე ბ. შალვა მალლაკელიძე საბჭოთა სამსახუ-  
რისათვის რეკომენდაციას ითხოვს!

რას იზამ კაცი, ასეთია ემიგრანტული ცხოვრების  
კუნსტშტიუკები!

დასასრულ, ერთი საინტერესო ამბავი;

სპირიდონ კედიას საჭიროდ დაუნახავს, გადაებეჭდა თავის ალმანახში პარიტეტულ პროცესის ანგარიშებიდან მთელი ის ადგილი, რომელიც შეეხება იასონ ჯავახიშვილის ჩვენებას გ. ვეშაპელის ცნობილი ინტერვიუს შესახებ, რომელიც გ. ალექსინსკის გაზეთში იყო მოთავსებული, ამ ორიოდე წლის წინად.

ვინაიდან ამ ინტერვიუს მოგონებამ საქმე გააჭივრა. შეგვიძლია ვამცნოთ მკითხველთ შემდეგი: გ. ვეშაპელმა ეს ინტერვიუ სწორედ იმიტომ მისცა ალექსინსკის, რომ იასონ ჯავახიშვილმა შეაწუხა სული ალარმისტული ინფორმაციით და წინადადებებით.

პრაქტიკული შედეგი ამ ინტერვიუს არაფერი არ მოყოლია, გარდა იმისა, რომ ამ ინტერვიუმ უკვე 1923 წ. მოხსნა გ. ვეშაპელისათვის ოსმალეთის ორიენტაციის საკითხი და აბრუნებია მას პირი რუსეთისაკენ; თუ ინტერვიუს რაიმე დემარშები მოყვა, ამაში პოლიტიკური თავის დაზღვევისათვის გაცნობილი იყო სპ. კედია, რამიშვილი და გენერალი გიორგი კვინიტაძეც. მაგრამ გ. ვეშაპელმა მალე დაინახა, თუ რა ფანტასმაგორია იყო თეთრი რუსეთი და მალე ანაცვალა იგი რეალურ საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს კავშირს.

ხოლო კედია — ასათიანი კი დღემდის, მაშინ გატკეპნილ ბილიკზე დაძვრებიან ნიკოლაი ნიკოლაევიჩ და კირილ ვლადიმეროვიჩებთან.

ყოველ შემთხვევაში, თუ გ. ვეშაპელმა ინტერვიუ დასწერა, მას საამისო გონორარი არ აუღია. ეს გონორარი აიღეს ს. კედია და ა. ასათიანმა აჯანყების დროს. შეიძლება ამის შემდეგ ითქვას, რომ კედია ვაჭრობს რუსული ოქროთი, — თუ არ შეიძლება, მხოლოდ იმიტომ რომ ეს გონორარი ფრანგული ქაღალდის ფულით იყო მიღებული.

ამ მონარქისტული გონორარის შედეგი იყო თვით  
ზეთ „სამშობლოს“ სარედაქციო ფონდის საძირკვედ  
ჩაყრა.

დღეს, როგორც სჩანს, ეს ფონდი ამოღვევაზეა, რად-  
გან 10 აგვისტოდან დაწყებული სპირიდონ კედიას, თუ შე-  
იძლება ასე ითქვას, სარედაქციო კანიკულები აქვს და პა-  
ტივცემული საზოგადოება ამაოდ ელის „სამშობლოს“  
№ 7.

რას იზამ კაცი, მენშევიკებისა და ბოლშევიკების წი-  
ნააღმდეგ ერთ და იმავე დროს „პატრიოტული“ ჩხირკე-  
დელაობა არაა ადვილი საქმე, მით უფრო, რომ როგორც  
სოციალური ბაზა ამ ანტრეპრიზისა, კედიას შერჩა ხელთ  
მხოლოდ ემიგრანტული სპეკულიანტები და პრინცესები.

ამ პირობებში ფულის შოვნა ასათიანისებ ნოხის  
კომბინაციებით თუ შეიძლება მხოლოდ... ამ მხრივ დღეს  
უსათუოდ ასათიანი მისწრება იქნებოდა „სამშობლოსა-  
თვის“.

მართლაც რა უნდა ქნას კარგმა მონარდემ, თუ დუ-  
შაში არ მოუვა? — უსათიანობა; დუმბაძის უფულოდ ჩა-  
მოსვლა; სხირტლაძის მოთხოვნა მენშევიკებთან „ერთიანი  
ფრონტისა“, „ბრძოლის“ ულტიმატუმები: ან ჩვენთან, ან  
ბოლშევიკებთან — ასეთია „სამშობლოს“ საშინაო  
მდგომარეობა.

საგარემო მდგომარეობა კიდევ უარესია: პოლონელები  
თურმე ჩიჩერინს უკეთ დახვდა, ვიდრე ჩოლოყაშვილს, ინ-  
გლისი, რომლის იმედი აქვს კედიას (ისევე მოერევა ბოლ-  
შევიზმს, როგორც ნაპოლეონს მოერიაო) რაღაცა ზან-  
ტობს მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ საჯვაროს-  
ნო ომის დაწყებას!.. ლოკარნოც აგერ გახუნდება. მოდი  
და ნუ გახდები კაცი პესიმისტი. მარტო ის ხომ ვერ ანუგე-

შეგს „სამშობლოს“ რედაქტორს, რომ იგი არ უნდა დაეშვა  
„კოლონიალურ“ სასტუმროს და ფრანგულ კოლონიალურ  
სამინისტროს გვერდზეა? ან და ის, რომ კედის მეგობარ  
— „მაფალუს“ მეგრულ „უკლონით“ დაუყენებია  
სამეგრელოს დამოუკიდებლობის საკითხი.

არა, ყველაფერი ეს პრობლემატიურია. ამაზე უფრო  
ნაღდი ისევ ის მეგრული მაწონი „ბალია“ რომელსაც უპრობენ  
პარიზის ბაზარს ბ-ნ სპირიდონის ასობოატრია-  
დელი სახლიკაცები: მექი კედია და პლატონ ფაჩულია  
ოჯახითურთ.

პარიზი. 1 ნოემბერი 1925 წ.

კანსუხედ «ბრემლეს»

## პასუხად «ბრძოლას»

ნოე რამიშვილს: Tu l'as voulu, Georges Dandin!

ის რაც „ბრძოლის“ მეოთხე ნომერშია დაბეჭდილი ჩემ შესახებ, იმისი პასუხისმგებლები არ არიან რასაკვირველია მარტო „გაკვრის“ ანონიმი ან ვიღაცა ლაწირაკი ლორდელი (რომელსაც აგვისტოს უკანა რიცხვით ოკტომბერში დააწერიეს წერილი და პარტიაც „დაატოვებინეს“).

არც „ბრძოლის“ ოფიციალური რედაქტორი დათიკო შარაშიძე არის ნამდვილი პასუხისმგებელი, ისე როგორც არ იყო პასუხისმგებელი, როცა ვოიტინსკის წყვილთან ერთად თბილისში რუსულ „ბრძოლას“ სცემდა...

არა, ნამდვილი პასუხისმგებელი არიან თვით ხაზეინები — რამიშვილი, ჟორდანია, ჩხენკელი, წერეთელი.

ამიტომ მოვახსენებ მათ საპასუხოდ, რაც მოსახსენებელია, გაკვრითაც და გამოკვრითაც.

„ბრძოლა“ გაბრაზებულია, რატომ ითხოვენ „ვეშაპელისტები“ თავიანთვის პარიზში კრებისა და პიროვნების თავისუფლებას, როცა საქართველოში ძალმომრეობა მეფობს!

რაც შეეხება პარიზს, ამაზე უკვე გითხრათ L'Humanité-მ (20.VIII), რომ „საფრანგეთის ტერიტორიაზე ქართულ პარტიებს არ შეუძლიათ აწარმოონ ბრძოლა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ“, ესე იგი, აქაური ბრძოლა უნდა იყოს მხოლოდ იდეოლოგიური.

რაც შეეხება საქართველოს, იქ ბრძოლა სწორედ ხელისუფლებისათვის სწარმოებს და თუ საბჭოთა დიკტა-

ტურა რევოლუციური მეთოდებით ებრძვის შეთქმულ  
ბას და აჯანყებას, ეს ჩვეულებრივი, საყოველთაო რისკი  
ამ ხელობისა.

თუ „ბრძოლის“ რედაქცია, ანუ რამიშვილის ბანდა, მართლაც ბრძოლის გუნებაზე არის, დაე წაბრძანდეს იქ, საქართველოში, და დაიკავოს ის ადგილი, რომელიც კჳუიანად დროზე დასცალა კოწია სულაქველიძემ.

„ძალმომრეობას“ ჩივით? — როდის გახდით ასეთი გულჩვილნი და დაგავიწყდათ მარქსის ნაამბობი, რომ ისტორიის ბებია ძალა არის? როდის გახდით ტოლსტოის მიმდევარნი?

და თვით თქვენს პრაქტიკაში როდისმე გავიწყდებოდათ განა ეს? განა დამოუკიდებელი (მხოლოდ რუსეთისაგან) მენშევიკური საქართველო თხისა და მგლის ერთად საძოვარი სამოთხე იყო?

განა „რამიშვილის არჩევნები“ თავისუფალი რომ იყო, იმიტომ გადიოდა მეტი მენშევიკები დამფუძნებელ კრებაში, ვიდრე დღეს ბოლშევიკებია საბჭოში? ახალციხეში არჩევნების დროს გ. ფალავა მაფრთხილებდა, — სოფლებში ნუ დაიარები, თორემ გვარდიელების მოქმედებაზე პასუხს ვერ ვაგებთო!.. და თვით ნოე რამიშვილი არ იყო, რომ ამ არჩევნების დროს გაზეთ „კლდეში“ ჩემ მოადგილეთ დარჩენილ რეზო გაბაშვილს თავი „ვირის აბანოში“ ამოაყოფია და მხოლოდ მაშინ გამოუშვა, როცა გამოირკვა, რომ ჩვენს ფრაქციას დეპუტატი ეყოლებოდა.

ან და იქნებ პიროვნების თავისუფლება იყო, თბილისის მენშევიკურმა „მერმა“ ფედერალისტ შ. ნუსუბიძეს კინაღამ თვალი რომ ამოთხარა?.. ან რომელი დემოკრატიის წესით იყო, რომ თვით მთავრობის ფრაქციის დე-



პუტატს, კირილე ნინიძეს რამიშვილის დასტურებით ვაძლავს  
 კედია -- ფაჩულიას აგენტები შეუფარდენ ღამე ფანჯარა-  
 ში, ქუჩიდან მიმდგარი კიბით და რომ ურტყეს?

ანდა იქნებ თქვენ „საკუთრებად“ გადაქცეულ ევრო-  
 პაში მონახეთ ჭეშმარიტი თავისუფლება, ისპანია — იტა-  
 ლია — პოლონეთი — ბულგარია — რუმინიაში, ან კოლო-  
 ნიებში? თვით კლასიკური დიდი დემოკრატიის სახელმ-  
 წიფოებშიაც (საფრანგეთი, ინგლის — ამერიკაში). დღეს  
 ყველგან ლიბერალური დემოკრატიზმი და პარლამენტა-  
 რიზმი კრიზისს განიცდის და ადგილს უთმობს რეაქციულ  
 დიქტატურას... სოციალური და ეროვნული პროგრესისა-  
 თვის კი, ისტორიის გაკვეთილების მიხედვით, ყოველთვის  
 რევოლუციური დიქტატურა სჯობდა...

და თუ ჩვენ სასამართლოს და „ადამიანურ ლიგას“  
 მივმართეთ, არა იმიტომ, რომ დემოკრატიული გარანტიე-  
 ბის „ლურჯ ჩიტს“ ვეძებთ, არამედ იმიტომ, რომ შავი და  
 თეთრი საჯაროდ გამოირკვეს!

— ქართველ მამულიშვილებს ახრჩობენო! გვაყვედ-  
 რის „ბრძოლა“. მერე ჩვენი ბრალთა ეს? ტერორი ხომ  
 აჯანყების შემდეგ იყო და აჯანყების ლიკვიდაციის შემ-  
 დეგ ხომ ტერორიც შეჩერდა. რამიშვილის ერთად ერთი  
 თავის სარჩენი ხელობა კი სწორედ ის არის, რომ ახალი  
 აჯანყებანი მოაწყოს საქართველოში, მიუხედავად იმისა,  
 რომ იცის, ახალ აჯანყებას ახალი, გეომეტრიულ პროგრე-  
 სიით გაზრდილი ტერორი მოყვება! — ეს მისთვისაა სა-  
 ჭირო, რომ ევროპაში სთქვან, — ქართველი ხალხი კვლავ  
 იბრძვის, რათა მეხუთე წელიწადი მისგან ქურდულად გა-  
 პარული ნ. ჟორდანიას „მთავრობა“ კვლავ გაამინისტროს  
 და რამიშვილს კვლავ შეეძლოს მეტეხის ციხეში ბინების

განაწილება და მტკვარში ღამე პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ხრჩობა!

იქნებ თქვენ გგონიათ, რომ რამიშვილს ქართული სისხლის დაღვრაც არ ახსოვს — განა ქართველი გლეხები არ იყო, რომ იხვრიტებოდა ღუშეთ — სამეგრელო — გურიაში ბოლშევიკური აჯანყების დროს?..

„ბრძოლა“-ს ძალიან აბრაზებს, — რომ ჩვენ კომუნისტები არ გავხდით. — „მაშ კომუნისტების ნადი ხართ, მათი დაჭირავებულნი; იდეური მოტივები და კომუნისტური სიზმრები კი არ გალაპარაკებთ, არამედ ის, რომ პატიოსან შრომას ბოლშევიკების ხარჯზე ცხოვრება ამჯობინეთო!“.

ასე, მაშ, ამასაც მოვესწართ!.. „ბრძოლა“ ასეთი დემაგოგიიდან ივლისიდან დაწყებული ჯენტლმენურათ თავს იკავებდა; თვით ნოე რამიშვილი, როგორც გადმომოცეს, საქართველოში გაგზავნილ ერთ ერთ სამოციქულო ცირკულიარში ჩემ პოლიტიკას მხოლოდ ისტერიულ ბრალს დებდა (სხვათა შორის ეს სიტყვა (ისტერია) „გამკვრელ“ ანონიმსაც აქვს ნახმარი), მაგრამ ბოლოს, როგორც სჩანს, მენშევიკურ სულისშეკავება დიდის ხნით ძნელია და მართლაც, რომ ისტერიული ლანძღვა დაგვიწყეს. — ალბად აქამდის რამიშვილს „ახალი საქართველო“ ხუმრობა ეგონა და ეხლა კი მის შემდეგ, რაც მისმა თვალებმა უკვე ამბები ნახეს, სწორწონობა დაკარგა.

ეხლა მოვახსენებთ პასუხსაც:

1. ამიხსენით, რატომ შემეძლო ვყოფილიყავი სამიწლის განმავლობაში აკტიური თანამშრომელი მენშევიკური ლეგაციისა და მთავრობის ისე, რომ მენშევიკი არ, კავმხდარიყავი, და რატომ არ შემეძლია დღეს, გაგოვცა

საბჭოთა საქართველოს ორიენტაციის გაზეთი და დაგროვილი  
მაინც არა კომუნისტი? რაშია საქმე?

საქართველო  
საბჭოთა

ეხლა „გაყიდვაზე“ — მირაბოს თქმის არ იყოს, თუ მე  
„გაყიდული“ ვარ, ფული ვიღამ ჩაიბარა, არ ვიცი — მე კი  
არ ამიღია ეს ჩემი ფასი!.. რაც შეეხება „პატიოსანი შრო-  
მის“ საკითხს, მოგახსენებთ, რომ 1924 წელს მაისიდან ოკ-  
ტომბრამდის თავს მხოლოდ ფრანგულ ქარხანაში მუშაო-  
ბით ვირჩენდი, და ძველი ინტერპარტიული კოლეგიის  
დაშლის შემდეგ, ლეგაციის კასიდან არც ერთი კაპიკი არ  
მითხოვია.

ივნისში უკვე ალ. სვანიძემ წინადადება მომცა, დამე-  
ტოვებია ემიგრანტული ლაგერი, მაგრამ მე ვუთხარი, —  
სანამ საფრანგეთს საბჭოები არ უცვნიან, ხმას არ ამოვიღებ.  
არ მინდა, რომ მე დამაბრალონ ჩხენკელ — ჟორდანიას  
„მუშაობის“ ჩაშლა მეთქი. თუ სხვის ხარჯზე ცხოვრება  
მდომოდა, ასე გაგუშვებდი ალ. სვანიძეს ბერლინში?

და თუ გამოვედი, გამოვედი მხოლოდ მაშინ, როცა  
აჯანყების მეორე დღესვე აშკარა შეიქნა ჩემთვის აუცი-  
ლებლობა ქართული პოლიტიკის რევიზიისა და ახალი  
სიტყვისა და საქმის.

რომ სხვის ხარჯზე ცხოვრება ჩემი იდეალი იყოს, მა-  
შინ არც იმ შემთხვევას გაუშვებდი ხელიდან, როცა აჯან-  
ყების დროს დაღვრილი სისხლის ფასად ნაშოვნეი ფულის  
დარიგება დაიწყეს ლეგაციაში. „პოლიტიკურ მოღვაწე-  
თა“ შორის. მოგმართეთ?

და განა თვით თქვენთვის აჯანყების ერთად ერთი  
რეალური შედეგი იმ ფორმულით არ გამოიხატებოდა.  
იოსებ პავლიჩ გობეჩიამ რომ წარმოსთქვა: „თუ ამ აჯანყ-  
ების დროს ფული არ ვიშოვნეთ, სხუმის როდის ვიშოვი-  
თო?“ და განა, ამ ფორმულის მიხედვით არ დატრიალდა

მაშინ რამიშვილი სამხედრო და სამოქალაქო „სპეცების“  
დახმარებით ფულის საშოვნელად — რუსის მონარქისტებში,  
ამერიკულ სპეკულიანტ დუმბაძესთან და პარიზში  
ლტოლვილ თბილისის, სოლოლაკელ სომხებშიც კი?  
თვით ნოე ჟორდანია ამ დროს საფრანგეთში მყოფ ქართ-  
ველ იურისტებს კონსულტაციას თხოვდა, — პარიტეტულ  
კომიტეტს საქართველოში უჩემოდ კანონიერი მთავრობის  
შედგენა ხომ არ შეუძლიათო?!

დღეს კი, თვით „დიდი“ ნოეც ხიკავს ფულს შვეიცა-  
რიაში ქართული კომიტეტის 5 ფრანკიანი საწევრო გადა-  
სახადით... წინად, რასაკვირველია, ნ. ჟორდანია ასეთ მცი-  
რე რამეს არ იკადრებდა... აი მაგალითად, როცა თბი-  
ლისში 1917 წ. ქართული ეროვნული საბჭო სდგებოდა,  
ნ. ჟორდანიამ ბრძანა: პრაქტიკულ მუშაობას ვერ დავიწ-  
ყებ, სანამ საკმარისი თანხა არ მექნებაო. მაშინ დავით  
ვაჩნაძემ, ვითარცა მინინ და პოჟარსკის, მოუტანა 15 ათა-  
სი ოქროს მანეთის ღირებული ნიკოლოზის ქალაქის ფუ-  
ლი და გადასცა — მიერთვით, ბატონო ნოე, ოღონდ მუ-  
შაობა დაიწყეთო! ეს თანხა იყო მაშინ, საქართველოში  
საიდუმლოდ არსებული გერმანული ორგანიზაციის ფუ-  
ლი და ნ. ჟორდანიამ იცოდა ეს... (სხვათა შორის, როცა  
დ. ვაჩნაძე 1923 წ. ჩამოვიდა სტამბულში, მე მომწერა —  
ნ. ჟორდანიას გადაეცი ჩემი თხოვნა, ამ ფულის მესამედი  
მაინც დააბრუნოს მთავრობის თანხიდანო. რასაკვირველია  
გადახდით ვერ გადაახდევინა; მხოლოდ „ნატურით“ სა-  
ქართველოს სამხედრო მინისტრის პორტფელი კი შესთა-  
ვაზეს მას აჯანყების დროს\*).

\* დ. ვაჩნაძის წერილის ამ ნაწილის კლიშე. თუ საჭირო იქ-  
ნება, დაიბეჭდება; ყოველ შემთხვევაში, რამიშვილის აგენტები დამ-

რას იტყვით ამ პატარა ისტორიული ამბის მიხედვით, ნოე ჟორდანიას „რეალისტი“, თუ „იდეალისტი“<sup>საქართველოში</sup> რაც ანონიმურმა „გამკვრელმა“ დაგვაკლო (პირდაპირ ვინება), ის ალ. ლორდელის ავლბრულ წერილში ჩაუწერია „ბრძოლის“ რედაქციას. მაგრამ ამ ავლბრულში ჩაწერილია ერთი პოლიტიკური ბრალდებაც და გვინდა ისიც ნაღდად გადავიხადოთ.

— ვეშაპელი „მონარხისტ — ფაშისტიაო“, ნათქვამია ამ წერილში! — კეთილი და პატიოსანი, მაგრამ საკითხავია, როდის შემდეგ გავხდი მე ასეთი კაცი?

როცა 1918 წ. ტრაპიზონის კონფერენციის ჩაშლის შემდეგ, ჩხენკელმა ნ. ჟორდანიას მანდატი ჩამაბარა და მოახოვა, დავრჩენილიყავი მართოდ ენვერ ფაშასთან ნოსალაპარაკებლად, მაშინ ხომ არ ვიყავი მონარხისტი?

შემდეგ, როცა 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს რომ პრეზიდენტში ჩემთან ერთად ნ. ჟორდანიას იჯდა, — არც მაშინ ვიყავი ხომ მონარხისტი?

შემდეგ, როცა 1921 წ., გასაბჭოებისას სტამბულში რომ ჩამოვფიქრი (ცალკე, მენშევიკების შემდეგ) და ჩხენკელმა რომ ტელეგრამა მომწერა, პარიზში ჩამობრძანდითო, — არც მაშინ ვიყავი ხომ კიდევ მონარხისტი. არც მაშინ როცა 1922 წ. ნ. რამიშვილმა და ჩხეიძემ ჩემს ნაც. დემ. ჯგუფთან საკოალიციო ხელშეკრულება დადეს (სადაც სხვათა შორის, სრული კაპიტულიაცია მოვახდენით

---

შვიდებულნი იყვნენ — ყველა ასეთი დოკუმენტები ჩემი არხივიდან საიმედო ადგილს ინახება და ბინის გაქურდვით, როგორც ეს უყვეს ს. ქ — ძის არხივს, ვერაფერს იშოვნებან!

რედ: ხსენებული კლიშე დაბეჭდილი იყო „ახალ საქართველოს“ № 18.

სოციალ-დემოკრატებს, როგორც პოლიტიკური ისე (ავტორი  
ნომიური პლატფორმის მხრივ).

საქართველოს  
საბჭოთაო რევოლუციის  
მუშაკთა კავშირი

ანდა მაშინ ხომ არ ვიყავი მონარხისტი, როცა 1924 წლამდის პარიზში, ეორდანიას „მთავრობის“ და ჩხეიძის დანფუნდებელი კრების „კოლეგიის“ სრულუფლებიანი წევრი გახლდით და თქვენი მანდატით გენუის კონფერენციაზე — ინტერპარტიული დელეგაციაში ვიყავი?

1924 წ. დასაწყისშიაც არ ვყოფილვარ კიდევ გამხდარი „მონარხისტ-ფაშისტი“, ნ. რამიშვილმა რომ მოხოვა ოსმალეთში, საქართველოს საზღვარზე ერთად წასვლა: იქ ინტერპარტიული კონფერენცია მოხდება აჯანყების საკიოხზე სათათბიროდ და „მთავრობას აუცილებლად მიაჩნია თქვენი ჩემთან ერთად ყოფნა“. მე უარი ვთქვი ამ ერთად წასვლაზე, რადგან პოლიტიკურადაც და პერსონალურადაც ნოე რამიშვილს როგორ ვენდობოდი ასეთ ექსპედიციებში! ეს ამბავი ხომ 1924 წ. თებერვალში იყო — მაშ როდისღა გავხდი ეს ოხერი — „მონარხისტ — ფაშისტი“ პარიზელ მენშევიკებისათვის? — დაბოლოს ისე გამოდის, რომ მე ასეთი რამ გავმხდარვარ, როცა იმავე 1924 წ. შემოდგომაზე საბჭოთა ხელისუფლება ვიცანი... ვაი თქვენს როკს, ბატონებო!..

არა, არც მონარხისტი და არც ფაშისტი მე არასოდეს არ ვყოფილვარ. მართალია მუდამ იდეოლოგიურ ძიებაში ვიყავი, დაწყებული გიმნაზიური მენშევიზმით, მერმე სტუდენტური ფედერალიზმით და გათავებული უნივერსიტეტის შემდეგ ნაციონალიზმით...

ისიც მართალია, რომ ევროპაში, ემიგრაციაში ჩემმა აზროვნებამ დიდი ევოლუცია განიცადა, მაგრამ ეს იყო და არის ევოლუცია მარცხნივ, წინ, და არც ერთ უკან და-

ტოვებულ ეტაპისკენ მობრუნებას ჩემი დიალექტიკით არ ვაპირობ!



პოლიტიკური სახი კი ჩემთვის ყოველთვის იმ ფორმულით იყო გაყვანილი, რომელიც 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა დღეს ვთქვი — „ჩემთვის, როგორც ნაციონალისტიანთვის, მთავარი საქმე ქართველი ერის სახელმწიფოებრივი მთლიანობა არის; რომელი ფორმაც უზრუნველყოფს ამას, ის არის კარგი, გინდ სოც.-დემოკრატიული რესპუბლიკა იყოს ეს, გინდ მისი ანტიპოდი“, მეთქი (დაბეჭდილია ჩემ წიგნში: „სიტყვები პარლამენტში“ გვ. 4). თუ შარშან საქართველოს საბჭოთა პლათფორმაზე დავდექი, ამ, ექვსი წლის წინად ნათქვამი ფორმულით ვხელმძღვანელობდი... ერთი თქვენც იკითხეთ ის ფორმულები, რომელსაც სკედლით ექვსიოდე წლის წინ!

და თუ მონარხისტების ამბები ძალიან გაინტერესებთ, აკაკი ჩხენკელს მოკითხეთ, თუ როგორ იყო რომ, ომის დროს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, გერმანიაში რომ წავიდა და იქ მიხაკო წერეთელთან ერთად ვილჰელმის პრინციებს რომ „სპეცის“ თვალთ შინჯავდა, აბა რომელი უფრო გამოგვადგება საქართველოსათვისო?

„ბრძოლის“ ანგარიშების მოსალევეად, საჭიროა მესამე, აგვისტოს ნომრის „გაკვრაც“ გავიხსენიოთ.

აი რას ამბობდა მაშინ „ბრძოლა“: — „ახალი საქართველოა მხოლოდ საქართველო 26 მაისის, რომელსაც რენეგატ — ნაცარქეჩიები სტალინ — ორჯონიკიძის საქართველოზე სცვლიანო... ვის აბრიყვებენ? ხალხს, ისტორიას? ტყუილი იმედია. მათი გზის გამრუდება შეუძლებელია. ეს

აღმატება ადამიანის ძალღონეს... ბ. ვეშაპელი იდგა ახალ-  
ლი საქართველოს გზაზე, ვერ შემაგრდა და გადავარდა...  
ბრძოლის პოზიცია მან გადასცვალა ხვეწნის პოზიციად.  
ჩოქი — ჩოქი ვეშაპელო — გელეიშვილებო“-ო...

კარგი და პატიოსანი!.. მაშ, ეხლა ხვეწნისა და ჩოქის  
პოზიციას გვაყვედრით?.. მერმე რა, თუ ეს დასაყვედრია,  
— მხოლოდ ფსიხოლოგიურად, თორემ პოლიტიკურად გა-  
ნა ვინმეს შანს მოუგებ, კედელს რომ მიადგება, უკან და-  
იხიოს?.. ყველას ხომ მართლაც „აზროვნების ცეცხლის  
გამძლები“ სარამიშვილო აგურიით არა აქვს ნაშენი თავი?..

— დავიჩოქეთ? — ესეც ხომ ფსიხოლოგიურადაა  
მარტო საწყენი, თორემ პოლიტიკურად რაა დასაყვედრი,  
რომ იმ ოქტომბერის წინაშე დავიჩოქეთ, რომელიც  
მერვე წელია რაც ძღვევამოსილად სვლას განაგრძობს!..  
თქვენ ამ რევოლიუციის ეტლის ბორბლებში მოდება და  
მიწაზე მუდამ მის უკან თრევა გირჩევენიათ თანამგზავ-  
რობას? — ესეც არა გემოვნების, არამედ ჭკუის საკითხია,  
ბატონო „მებრძოლო!“..

არა, ბატონებო, თქვენ ახალი და ძველი საქართვე-  
ლოს საკითხი კი არა, ახალი და ძველი მთავრობის  
საკითხი გაწუხებთ!

თქვენ არ გინდათ შეურიგდეთ იმ ფაქტს, რომ ზედმე-  
ტნი გახდით, როგორც ლიდერები საქართველოს ქვეშევრ-  
დომებისათვის და თქვენი საკუთარი პარტიის წევრების-  
თვისაც.

და ჩემზე კი განსაკუთრებით იმიტომ ხართ ასე გაბ-  
რაზებული, რომ დაწყებული საქართველოს პირველი პარ-  
ლამენტიდან, ჩემმა ოპოზიციამ რამოდენიმეჯერ ჩაშა-  
ლა უორდანი — რამიშვილის გეგემონიისათვის ხელოვნუ-  
რად მოგონილი „კოალიციები“.

ასე იყო 1918 წ. თბილისში რამიშვილის კოალიციური მთავრობის შედგენის დროს. ასე იყო 1921 წელს, როცა ჯორდანია საზღვაო კოალიციურ სამინისტროს ხელმძღვანელად. და ასე იყო შარშანაც, როცა ჯორდანია — რამიშვილ — ჩხენკელ — ჩხეიძემ მოინდომეს, თბილისში პოლიტიკურად მომკვდარი პარტიტული კოალიციის აღდგენა.

სრული იმედი მაქვს, რომ ეს უკანასკნელად მიხდება ასეთი ხირურგიული ოპერაციის მოხდენა, ვინაიდან ამ ხალხის პერსპექტივა აწი — ქართული რევოლუციის არხივი არის.

რაც შეეხება პერსონალურათ ნოე რამიშვილს, რომელიც ჩემ მიერ „ფრონტის“ გარღვევისათვის, ტერორით „მონელებას“ მემუქრებოდა თურმე, — მოვაგონებ მას, რომ ქართული ანდაზა ასე ამბობს: „ვე'მაპი ისეთ არაფერს გადაყლაპავს, რომ არ მოინელოსო!“..

პარიზი. 15 ნოემბერი 1925 წ.

შოთა რუსთაველის კომპილაცია

## ქორდანის პოლიტიკა

„ახალი საქართველოს“ წინა ნომერში იძულებული ვიყავი, ცოტა პირადი ანგარიშები მომეწესრიგებინა შენ-შევიკური „ბრძოლის“ პატრონებთან.

ეხლა მინდა პრინციპის საკითხებს დავუბრუნდე.

მთავარი საკითხი, რასაკვირველია, ის პოლიტიკური ბრალდებაა, რომელიც „ბრძოლამ“ ასე გამოთქვა:

„ახალი საქართველოა მხოლოდ საქართველო 26 მაისის, რომელსაც რენეგატ-ნაცარქეჩიები სტალინ — ორჯონიკიძის საქართველოზე სცვლიან... ვის აბრიყვებენ? ხალხს, ისტორიას? ტყუილი იმედია. მათი გზის გამრუდება შეუძლებელია. ეს აღემატება ადამიანის ძალღონეს... ბ. ვეშაპელი იდგა ახალი საქართველოს გზაზე, ვერ შემაგრდა და გადავარდა.. ბრძოლის პოზიცია მან გადასცვალა ხვეწნის პოზიციაზე... ჩოქი-ჩოქიო“..

კარგი და პატიოსანი!

ეხლა ერთი მოვიცალოთ და მოვიხედოთ უკან იმ წარსულისაკენ, რომელიც უკვე ქართული ისტორიის არხის ეკუთვნის.

რისი „ხვეწნისა“ და როგორი „ჩოქის“ პოლიტიკა იყო ის, რასაც ქორდანის პარტია აწარმოებდა, რუსეთის ბოლშევიკური რევოლუციიდან დაწყებული, დღემდის?

როცა პეტროგრადში კერენსკისა, ჩხეიძის და წერეთლის უღლეო დემოკრატია მოკვდა, თბილისში ტელეგრაფით თან მაყურებელ ნ. ჟორდანიას ორი არჩევანი ქონდა: ან მარცხნივ — რევოლუციურ რუსეთისაკენ, ან მარჯვნივ — რეაქციულ ევროპისაკენ! მესამე გზა არ იყო, რადგან საქართველოს, არც რიცხვით და არც მეზობლების ანგარიშით, არ შეუძლია დამოუკიდებელი პოლიტიკა აწარმოოს ერთ და იმავე დროს რუსეთის და ევროპის მიმართ...

მთელი პირადი ტრადიცია ქართული სოციალისტური პარტიის დამაარსებელისა და იდეოლოგის, პირველ, რუსულ გზაზე აყენებდა ჟორდანიას.

მაგრამ ნოე ჟორდანიას გულში, ფაუსტისაებ მეორე სულიც იყო, რომელიც ურჩევდა მას ესარგებლებინა რუსეთის ანარხიით (ნოე რამიშვილის სტატისტიკური მკითხაობით ეს ანარხია იმდენივე ხანი უნდა გაგრძელებულიყო, რამდენიც смутное время); გამოეყო ს. დ. პარტიის ორგანიზაციის გავლენის სფერო—ჯერ ამიერ-კავკასია და შემდეგ საქართველო — რუსეთიდან, როგორც დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც ევროპას კარს გაუღებდა და ამავე დროს, მარქს — ენგელსის ძველი აღთქმის წმიდა განხორციელებით, ლენინის ახალ აღთქმას შეარცხვენდა და ამით ქართულ და ევროპულ სოციალ-დემოკრატიულ საქმეს საშვილიშვილო სამსახურს გაუწევდა!

ამას გარდა როლს თამაშობდა, რასაკვირველია ის, რომ ევროპაში ძველი ემიგრანტული ხეტიალის დროს, ნოეთა სამებას მრავალი სოციალისტი დეპუტატი ენახა და მინისტრიც და ისინი წინდაწინ მოხიბლული იყვნენ იმ პერსპექტივით, რომ შეეცარია — ბელგიასებ „პატარა

მაგრამ კოხტა“ სოციალ-დემოკრატიულ ქართულ რევოლუციურ ბლიკას წამოჰიმავედნ, სადაც თვითონვე მინისტრების კონფერენციებოდნ და პრემიერებიც, და რომლის სახელით ევროპაში გაცნობილ „მინისტრულ“ სოციალისტების თანასწორ ფეხზე შეხვედრა შეეძლებოდა სხვა და სხვა დიპლომატიურ და ინტერნაციონალურ კონფერენციებზე.

ამ პოლიტიკას, ცხადია, რეალური საფუძველი ჰქონდა იმდენათ, რამდენათ გარეთ, მთელი ბურჟუაზიული ევროპა და განსაკუთრებით ანტანტა სიმპატიით უყურებდა აზიისკენ მოწოლილ რუსეთის რევოლუციის წითელი ტალღების შეჩერებას კავკასიონის ქედთან.

ხოლო შიგნით, თვით საქართველოში, არასოციალისტური წოდებები და კლასები რევოლუციის ხანძარიდან თავის დასაღწევათ, ნებით უთმობდნ მენშევიკებს ცეცხლის მჭრობელ რაზმის როლს იმ იმედით, რომ ცეცხლის აღის შესუსტებისთანავე, ამ ამბების მაყურებელი ბურჟუაზიული ევროპის რეკომენდაციით, მენშევიკები იძულებული გახდებოდნ ჯერ წამდვილ კოალიციაზე წასულიყვნენ არასოციალისტებთან, ხოლო შემდეგ პარლამენტარული არჩევნების ევოლიუციით, არასოციალისტები ჰაიგდებდნ ხელში მთელ მთავრობას და მენშევიკებს ძალაუნებურათ მარტო ოპოზიციური (მავრის) როლი შერჩებოდათ!

მაგრამ ნოე ჟორდანიას პირადათ და პარტიულათ არაფრათ ეჭაშნიკებოდა ასეთი პერსპექტივა და მთელი მისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის ფორმულა — (არც მარცხნივ, არც მარჯვნივ) — სწორეთ იმიტომ იყო გამოგონილი, რომ თავის პარტიის ხელიდან უფლება არ გაეშვა.

ამიტომ ჟორდანია შიგნით საჭირო სწორწონაობას იმით ქმნიდა, რომ მემარჯვენე კლასებს და პარტიებს



შმართველი პარტიის ბოლშევიზაციით აშინებდა (თუ მინ-  
 შევიკები არ მოგწონთ, ბოლშევიკებს გაჩვენებთო! — და  
 ამისათვის. აგრარულ ტერორსაც უწყობდა თავად-აზნაუ-  
 რობას, მაგალითად ქართლში).

მემარცხენე ჯგუფებს კი (როგორც თავის, ისე სხვის  
 პარტიებში), თვით ქართველ ბოლშევიკებს, ჟორდანიას ნა-  
 ციონალ-დემოკრატიული, ევროპიული ან ოსმალური  
 პროტექტორატის პოლიტიკით აფრთხობდა (უკანასკნე-  
 ლი ცდა ასეთი შანტაჟისა იყო, ჟორდანიამ ბათუმიდან გა-  
 მოქცევის წინ სერ. ქავთარაძეს რომ „ანდერძი“ დაუტოვა:  
 „იცოდეთ, ნაციონალ-დემოკრატებს არ ენდოთო!“ — ეს  
 ინციდენტი აწერილია მ. ტოროშელიძის მოგონებაში).

გარეთაც ნოე ჟორდანიას ასეთსავე საბალანსო პოლი-  
 ტიკას აწარმოებდა; ჩრდილოეთის დიდ მეზობელს, წი-  
 აელ რუსეთს იგი „აშინებდა“ ინგლის — საფრანგეთ—  
 ოსმალეთის ინტერვენციით ბაქოსკენ, ხოლო ზღვით მო-  
 სულ საფრანგეთ — ინგლისს — ისე როგორც ოსმალეთს,  
 ჟორდანიას საქართველოს გასაბჭოებით და წითელ რუსე-  
 თის ჯარების აზიისაკენ — აზრუმ — ტრაპიზონის გზების  
 გადათღლას ემუქრებოდა.

ეს პოლიტიკა ტიპიური „აღმოსავლეთური“ პოლი-  
 ტიკაა და იგი უფრო „სპარსული“ პოლიტიკის სახელით  
 იყო ცნობილი მენშევიკებამდის, მაგრამ ამ პოლიტიკასაც,  
 ისე როგორც ყოველ სახელმწიფო პოლიტიკას, მცირე  
 რამ უნდა ახლდეს თან აუცილებლივ — სახელდობრ რეა-  
 ლური ძაღა, ჯარი.

ჟორდანიას პარტიას კი მუდამ აშინებდა რეგულია-  
 რული ჯარის ორგანიზაცია, რადგან ეს ნიშნავდა თავად-  
 აზნაურულ და ბურჟუაზიულ აფიცურთა ძლიერი კად-  
 რების შექმნას (განსაკუთრებით კავალერიაში) და ეს კი

უდიკტატურო და უტერორო რესპუბლიკაში წამსვე დალ-  
თა განწყობილებას სოც. დემ. რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული  
თავდა... მიმართული  
ნიმუში

ამიტომ ჟორდანია რეგულიარულ ჯარს მხოლოდ იმ-  
დენათ აწყობდა, რამდენათ ეს გარეშე (სოციალისტური  
მთავრობისათვის ფრიად მრავალრიცხოვანი) ომებისათ-  
ვის იყო აუცილებელი, ხოლო შინაური რეჟიმის უზრუნ-  
ველსაყოფად და მენშევიკური გეგემონიისათვის, ჟორდა-  
ნიამ მოაწყო ე. წ. „სახალხო გვარდია“.

ამ ორი შეიარაღებული ძალის ქიშპობამ და ერთმანე-  
თისათვის ხელის შეშლამ შეუძლებელი გახადა სერიოზუ-  
ლი შებრძოლება რუსეთის ბოლშევიკური დისციპლინით  
შექმნილ ერთსისტემიან რეგულიარულ არმიასთან.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, ჟორდანიამ აქაც  
თავისი „არც აქეთ, არც იქითი“ პოლიტიკით აქაურებიც  
გადიმტერა და იქაურებიც! ტროცკის ნიჭიერი წიგნის არ  
იყოს, „იმპერიალიზმისა და რევოლიუციის შუა“ ნეიტრა-  
ლობა არ შეიძლება! ამ ნეიტრალიზმში ანუ უკეთ რომ  
ვსთქვათ დუალისტურმა საგარეო პოლიტიკამ დაღუპა მენ-  
შევიკური საქართველო მოსკოვის თვალში ისევე, რო-  
გორც ლონდონის (რაც შეეხება ანგორას, მისი დაკავში-  
რება მოსკოვთან ჟორდანიას მთავრობამ, თავისი უბე-  
დო დიპლომატის სოსიკო მდივანის წყალობით მხოლოდ  
კონსტანტინეპოლში სულის ამოთქმის შემდეგ გაიგო!).

ასეთი იყო ჟორდანიას პარტიის საშინაო და საგარეო  
პოლიტიკის მთავარი ხაზი.

ზოგიერთი მემარცხენე სოციალ-დემოკრატი დღეს  
იმას აყვედრის ნოე ჟორდანიას, რომ მისი პოლიტიკა ნა-  
ციონალ-დემოკრატიული იყო! ეს შემცდარი აზრია. —  
ჯერ ერთი, არც ერთი პარტიის პოლიტიკის ნამდვილი

წარმოება სხვა პარტიის ლიდერს ფსიხოლოგიურად არ შეუძლია; თორემ, ჟორდანის რომ მართლაც პოლიტიკა ეწარმოებია, საქართველოს რესპუბლიკა უფრო რეალურ ხაზს აიღებდა საგარეო პოლიტიკაში, ვიდრე მეორე ინტერნაციონალი არის, და კერძოდ მოსკოვის მიმართ, მესამე ინტერნაციონალთან პარტიული ანგარიშების გასწორების მაგიერ, ისეთსავე *modus vivendi*-ს გამოიხატავდა, როგორც ბალტიკის რესპუბლიკებმა გამოიხატეს და რომლითაც დღემდის მაინც ჯანმრთელად მოაწიეს.

და თუ სოციალ-დემოკრატებს მაინც არ უნდათ მენშევიკური სახელით მონათლონ ჟორდანის სახელმწიფო პოლიტიკა. — მაშინ არც ნაციონალ-დემოკრატიული სახელი გამოდგება ამ ნათვლისათვის და ის-ღა დაგვრჩენია, რომ ის ტერმინი ვიხმაროთ, რომელიც უყვარს ნიკო ნიკოლაძეს ასეთ შემთხვევაში — „დურაკული“ პოლიტიკა იყო ეს, ბატონებო!

რატომ მოხდა ასე? — ალბად იმიტომ, რომ ნოე ჟორდანის პარტიული თაობა არ იყო მომზადებული სახელმწიფო პოლიტიკის წარმოებისათვის — ამისათვის ამ თაობას არც ნიჭი შეწევდა საკმარისი, არც ცოდნა და არც გამოცდილება!..

მართლაც, განა შეიძლება სხვანაირად ჟორდანის პოლიტიკის დაფასება, კერძოდ საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების მხრივ?

გავიხსენოთ ზოგიერთი ნაცნობი და ზრგიერთი უცნობი ეტაპი ამ პოლიტიკისა.

1920 წელს, მოსკოვის მოკავშირე წითელ ადერბეიჯანთან შეტაკების დროს ჟორდანამ საქვეყნოდ წამოიყვირა ცნობილი ფრაზა — „დასავლეთის იმპერიალიზმი მი-



რჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებსო!“ — ამ ერთადერთი მაგარი ფრაზით, რომელიც კი ნ. ჟორდანიას გამს თავისი სუვერენობის დროს, მას რასაკვირველია იმის თქმა უნდოდა, რომ ევროპის იმპერიალიზმი (ინგლის — საფრანგეთი) ერჩია რუსეთის ბოლშევიკურ რევოლიუციას.

თავისთავად, რასაკვირველია, ეს ფრაზა ერთგვარი პოლიტიკური ფორმულა იყო, (ავი თუ კარგი, ეს სხვა საქმეა). მაგრამ ჟორდანიამ მეორე დღესვე გრიშა ურატაძე სწორედ ამ წითელ „აღმოსავლეთის ფანატიკოსებთან“ აფრინა და მან მოსკოვში კარახანთან უკარტოთ ისეთი ხელშეკრულება დადო რუსეთ — საქართველოს შორის, რომ საზღვარი შიგ რაჭაში გადიოდა!.. ამავე ხელშეკრულებაში გ. ურატაძემ საიდუმლო მუხლი შეიტანა, სადაც საქართველოს რესპუბლიკა ვალდებულებას იღებდა თავის თავზე, ყველა ზომები ეხმარა, რათა ინგლისელებს ბათუმი დაეცალათ! (ეს მუხლი, რომელიც საქართველოში მხოლოდ დამფუძნებელი კრების საგარეო კომისიის წევრებმა ვიცოდით, ცხადია, თავიდანვე საიდუმლოდ არ დარჩებოდა ინგლისისათვის).

ამ პოლიტიკის რეკორდი ის ტელეგრამა იყო, რომელიც ჟორდანიამ ლენინს გაუგზავნა, ხელშეკრულების ხელმოწერა რომ გაიგო, — „სოციალიზმისაკენ ერთად ვიაროთო!“ (ლენინს, როგორც გვახსოვს, ამ წინადადებაზე არ უპასუხნია...) ყოველივე ეს, ვიმეორებთ ერთგვარი პოლიტიკა იყო, თუმცა ამ პოლიტიკას უსათუოდ „ხვეწნაც“ ეტყობოდა და „ჩოქიც“.

მაგრამ ჟორდანიას და საქართველოს უბედურება იმაში იყო, რომ მენშევიკური მთავრობა მარჯვენა ხელით

ერთს აკეთებდა და მარცხენათი მეორეს, ისე რომ <sup>ლორე</sup> ხელმა ერთი მეორეს ამბავი იცოდა!..

საქართველო  
საბჭოთაო

როგორც კი ინგლისელები მართლა წავიდნენ ბათუმიდან, ჟორდანიამ უკვე გეგეჭკორი აფრინა ლონდონში, დაბრუნდით თქვენი ჭირიშე და ბათუმის პორტი მიირთვითო, როგორც საზღვაო ბაზაო (ესეც საქართველოში მართო საგარეო კომისიის წევრებმა ვიცოდით, მაგრამ მოსკოვისთვის, რასაკვირველია, ეს ვერ დარჩებოდა საიდუმლო).

ამაზე სულელური პოლიტიკა მართლა შეიძლებოდა:— როცა ინგლისელები საქართველოში (ბათუმში) იყვნენ, მენშევიკები, ფედერალისტები და კედიას ნ. დ. ფრაკცია დამფ. კრებაში სოსიკო მდივნის ცეცხლისმფრქვეველ ინტერპელიაციებს ისმენდნენ ალტაცებით, ინგლისის იმპერიის კართაგენისაებ დანგრევის შესახებ; ქუჩებში ისეთ ანტიინგლისურ დემონსტრაციებს ახდენდნენ, რომ უორდროპი დააფეთეს; და თვით აქარას, ინგლისურ ზონაში შეიარაღებული რაზმები შეუსიეს, ევროპიდან ახლად დაბრუნებულ ა. ჩხენკელის წაქეზებით!.. — ხოლო როცა ინგლისელებს მოწყინდათ ეს ხათაბალა პლიუს მეორე ინტერნაციონალის მონაწილე ინგლისელ მენშევიკების შეკითხვები ბათუმზე და საბოლოოდ ბარგი აიკრეს კონსტანტინოპოლისკენ, — მაშინ ჟორდანიას მთავრობამ „ხეწნა“ და „ჩოქი“ დაიწყო — რაც გინდათ მიირთვით, ოლონდ ბოლშევიკებთან „ტეტ ა ტეტ“ ნუ დაგეტოვებთო!.. ამის მოწმე ინგლისელებს მართლაც რომ შეეძლოთ მოეგონებიათ ევგენი გეგეჭკორისთვის, როცა მან ლონდონში ფორენ — ოფისის სამინისტრო დერეფნებში მთხოვნელობა დაიწყო, ის ქართული ანდაზა, რომელიც ამბობს: „ახლო ვიყავ ვერა მნახე, ვირზე შეჯექ ისე მნახეო!“.



ამ დროს საბჭოთა რუსეთი, როგორც სჩანს, კიდევ მზად იყო ისეთივე კომპრომისული „მოდუს ვივენდის“ დაემყარებია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, როგორც მას წინ ბურჟუაზიულ ესტონიასთან მოაწყო... ბევრისათვის უცნობია ის ფაქტიც, რომ გეგეჭკორის ინგლისში ყოფნის დროს, აკაკი ხოშტარიამ ჩამოუტანა ნ. ჟორდანიას წინადადება მაშინ ლონდონში მყოფ ერთი პასუხისმგებელი დიპლომატისა, შესახებ ნამდვილი კომპრომისისა მოსკოვისა და თბილისს შორის... მაშინ, მგონი, რუსეთი მარტო საგარეო პოლიტიკის კონტროლით კმაყოფილდებოდა და ბაქო ბათუმ შორის თავისუფალი ტრანზიტის გარანტიას ითხოვდა... მაგრამ ჟორდანიას პოლიტიკური უბედობა ყოველთვის ის იყო, რომ იგი მუდამ იგვიანებდა ისტორიის სადგურზე და მატარებელზე...

ხოშტარიას მიერ მოტანილ წინადადებას ჟორდანიამ მატრაკვეცა რამიშვილის წაქეზებით ასე უპასუხა — ჩვენი ნეიტრალიტეტის პოზიციას ნუ შეეხებიან, თორემ რუსეთს ბაქოდან და მთელი კავკასიიდანაც გავაბრძანებთ!

ამ პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ ს. ორჯონიკიძის ფოლადის ნებისყოფამ გაიმარჯვა და საქართველოს სოვეტიზაცია მოხდა.

მაშინაც შეიძლებოდა კიდევ კომპრომისი ბოლშევიკებთან, რასაკვირველია, სხვანაირი შინაარსის — ისეთი, რომელსაც ლენინი ურჩევდა ქართულ კომპარტიას: კოალიცია ნ. ჟორდანიას ჯგუფთან. ამ პოლიტიკის წინამორბედი იყო თითქოს ის საზავო კონფერენცია, რომელიც გამართა გრიგოლ ლორთქიფანიძემ საბჭოთა საქართველოს და რუსეთის წარმომადგენლებთან ქუთაისში, მაგრამ თვით ჟორდანიამ არ დაუცადა თავისი მთავრობის მოადგილის ბათუმში ჩამოსვლას რაპორტით და ისე გამოსწია გემით

ევროპისაკენ თავისი ნარჩევი მინისტრებით... საქართველოში დარჩენილთ (კერძოდ თვით გ. ლორთქიფანიძეს) ნ. ჟორდანიამ იმის სუბეში დაუტოვა, რომ მენშევიკური „მთავრობის“ მუშაობა ევროპაში სასარგებლო იქნებოდა ქართული სოციალ-დემოკრატიისა და ერისათვის, როგორც საჭირო ევროპიული ოპოზიცია, თბილისში დამყარებულ საბჭოთა მთავრობის დიკტატურულ რეჟიმის საბაღანსოთ.

ჩამოვიდენ თუ არა პარიზში 1921 წ. მაისში, ნ. ჟორდანიამ, ნოე რამიშვილმა, აკაკი ჩხენკელმა, ევგენი გეგაქკორმა კ. ჩხეიძემ და ი. წერეთელმა გამართეს ისტორიული სხდომა თავიანთ „მთავრობის“ მომავალი სტრატეგიის და ტაქტიკის შესახებ.

ამ პირველ თათბირზე ნ. ჟორდანიამ და ი. წერეთელმა ანტიევროპიული და რუსოფილური პოზიცია დაიკავეს: ჟორდანიას თეზისები ასეთი იყო: — ხიდი ჩვენსა და ევროპის სახელმწიფოთა შორის ჩატყდა.. დარჩა რუსეთი და ოსმალეთი.. ამიტომ ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ ზვით რუსეთი იყოს ჩვენი დამოუკიდებლობის მომხრე... საჭიროა გავლენა ვიქონიოთ რუსეთის პოლიტიკურ პარტიებზე... უნდა ვიმოქმედოთ თვით ბოლშევიკურ მთავრობაზეო...

ესეც ერთგვარი პოლიტიკური ფორმულა იყო, რასაკვირველია, თუმცა ისიც ცხადია, რომ ამისთვის ევროპაში გამოქცევა არ ღირდა: უფრო უკეთ ეს პროგრამა თბილისის სასახლეში გაკეთდებოდა, ვიდრე პარიზის ბულვარებზე...

კერძოდ „ბოლშევიკურ მთავრობაზე მოქმედების“ პროგრამა უსათუოდ ჭკუიანი იყო და შესაძლებელიც. რადგან მაშინ ჟორდანიას ჯგუფს კადევ ქონდა შერჩე-

წილი სახელმწიფოებრივი და პარტიული ავტორიტეტის  
შინ და გარეთ...



ამ პროგრამის განსახორციელებლად კარგი შემთხვე-  
ვაც იყო, გენუაში 1922 წ. როცა იტალიელებმა, კონფე-  
რენციასზე საჩივართ, ნოე ჟორდანიას „მთავრობის“ მან-  
დატით მოსულ ქართულ ემიგრანტულ დელეგაციას (ჩხენ-  
კელი, წერეთელი, ავალიშვილი, ს. მდივანი და მე გახლ-  
დით) ბოლშევიკებთან შუამავლობა შემოგვთავაზეს... მა-  
შინ მენშევიკებმა უარი სტკიცეს — ბოლშევიკებთან სალა-  
პარაკოთ ევროპის შუამავლობა არ გვჭირდებოდა! მაგრამ  
როცა ი. წერეთელმა სცადა ალბერ ტომას შუამავლო-  
ბით გ. ვ. ჩიჩერინთან გამოლაპარაკება, აღმოჩნდა, რომ  
არც ისე ადვილი იყო; ა. ტომამ ასეთი პასუხი მიიღო: სა-  
ქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა (მაშინ ფედე-  
რაციული კონსტიტუცია არ იყო), მას თავისი წარმომად-  
გენელი ყავს კონფერენციასზე (ბუდუ მდივანი გახლდათ)  
და მას ელაპარაკეთო!.. მენშევიკები ამაზე აიძრინენ —  
ქართველი ბოლშევიკები მოსკოვის უბრალო აგენტები  
არიან, ჩვენ კი ევროპის მიერ ცნობილი კანონიერი მთავ-  
რობა ვართ და თავს ვერ გავუთანასწორებთო!..

გენუის შემდეგ კიდევ იყო ერთი მომენტი, როცა ნ.  
ჟორდანიას შეეძლო დალაპარაკება საბჭოთა რუსეთთან  
და საქართველოსთან. ეს იყო ლოზანის კონფერენციის  
წინ. ვინაიდან ეს მომენტი მეც მეხება, ნებას ვაძლევ ჩემ  
თავს მოვიყვანო ერთი ადგილი ნ. ჟორდანიას მოხსენებისა,  
ჩაწერილი „მთავრობის“ და დამფუძნებელი კრების პრე-  
ზიდიუმის კოლეგიის ოქმში (ამონაწერი მაქვს, რადგან პი-  
რდათ მე მახსენებდა) — „როცა გ. ვეშაპელი ლონდონი-  
დან დაბრუნდა, ამბობს ნ. ჟორდანია, მან გადმომცა, რომ  
ნიკო ნიკოლაძეს დაებარებია მისთვის, ხომ არ იქნებით წი-

ნააღმდეგი ბოლშევიკებთან მორიგებისა. მე ვუთხარი, რომ  
დავიდარაბას და ომს, რასაკვირველია, მორიგება სჯობს  
თუ მოსახერხებელი იქნება. რა დროსო, მკითხა — აი ლო-  
ზანის კონფერენციის დროს, მეთქი. (ოქმი 1922 წ. 16 დე-  
კემბრის სხდომისა)... რასაკვირველია, როგორც ძალიან  
ხშირად, ჟორდანიამ აქაც ტყუილი იკადრა — ნიკო ნიკო-  
ლაძეს თ ვ ი თ ო ნ ჟორდანიამ დაავალა, თავისი თაოსნო-  
ბით ეს საქმე... (ამის შესახებ მე ოფიციალური განცხა-  
დებაც მაქვს ნ. ნიკოლაძესგან). მაგრამ ეს ბიოგრაფიული  
წვრილმანია; საქმე კი იმაშია, რომ ასეთი მოლაპარაკება  
შეიძლებოდა და ნ. ნიკოლაძემ მართლაც მოუხერხა საბ-  
ჭოთა წრის ხალხთან კონტაქტი ნ. ჟორდანიას. მაგრამ  
უკანასკნელ წუთში, ნ. რამიშვილის შიშით, ნ. ჟორდანიამ  
გარდამწყვეტ საკითხში უკან დაიხია და მოლაპარაკება  
შეწყდა. — ეს იყო წითელი ჯარის საკითხი... საინტერე-  
სოა მენშევიკური პოლიტიკის ისტორიისათვის, რომ თვით  
რუსოფობი ჩხენკელი ჩემი ლონდონში ყოფნის დროს  
ასეთ ინსტრუქციას აძლევდა თავის იქაურ „ელჩს“ ა. სუმ-  
ბათაშვილს: „სთხოვეთ ჟორდროპს, ნახოს კერზონი და  
გადასცეს, რომ არ ვითხოვთ საბჭოთა საქართველოში არ-  
სებული რეჟიმის შეცვლას. დარჩეს ახლანდელი მთავრო-  
ბა, ოღონდ ჯარი გაიყვანონ“! და თან უმატებდა, არ ვიცი  
რისთვის — „ჩვენმა მთავრობამ ბევრი შეცდომმა ჩაიდინა  
ინგლისისადმი, მაგრამ აწ ი ა ღ ა რ ვ ი ზ ა მ თ ო!“..

დღეს კი, როდესაც აჯანყებისა და მისი ლიკვიდაციის  
შემდეგ, ძალთა განწყობილება საქართველოში რადიკა-  
ლურათ შეიცვალა, და ჟორდანიას ჯგუფთან კომპრომისი-  
ზედმეტი ხდება ბოლშევიკებისათვის, ვინაიდან ამ ჯგუფ-  
მა დაკარგა არა მარტო ყოფილი მთავრობის სახელმწი-  
ფოებრივი ავტორიტეტი, არამედ სოციალ-დემოკრა-



ტიულ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის როლიც, — ნ. ჯორჯანიანი  
 ჟორდანიას მანც არ იტებს გულს და გარეშე ანტიპარტიული  
 ვიკურ ფაფხურთან ერთად, შინაურულად ცდილობს პო-  
 ლიტკური ვაჭრობა გამართოს თავის უკანასკნელი კო-  
 ზირებით (ხალხთა ლიგის ინვენტარიდან)... საინტერესოა,  
 რომ ბედის ირონიით ნიკოლაძის შემდეგ ნ. ჟორდანიას  
 დღესაც, შუაკაცობისათვის ნიკოლოზის სახელით მონათ-  
 ლულ მოხუცს მიმართავს ხოლმე... როგორც ამბობენ, ამ  
 პატივცემულ არაქართველ პერსონაჟთან საუბრის დროს  
 ნ. ჟორდანიას წითელი ჯარის „გაყვანის“ საკითხსაც თმობს  
 და ეხლა მხოლოდ სამინისტრო პორტფელების კოალიციას  
 მოითხოვს მენშევიკებისათვის.

მაგრამ, რამდენათ ამ დელიკატურ საკითხში გამეგე-  
 ბა, ნ. ჟორდანიას დღესაც ისე დააგვიანდა ისტორიის სად-  
 გურზე როგორც აქამდის მოდიოდა ხოლმე; დღეს ჩვენ-  
 თვის, ვინც მაყურებელი ვართ იმ უკანასკნელი „არიერ-  
 გარდულ“ ბრძოლის, რომელსაც აძლევს ქართულ-რუსუ-  
 ლი მენშევიზმი ბალშევიზმს, ერთი რამაა ცხადი: — ნოე  
 ჟორდანიამ გაუშვა ყველა ვადები თავისი სახელმწიფო და  
 პარტიული ვეკსელების გასანადღებლათ და ამ ჟამათ ის-  
 ტორიის ბანკში მას კრედიტი არც როგორც სახელმწიფო  
 და არც როგორც პარტიულ ლიდერს აღარა აქვს!..

ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთ ემიგრანტ არა მენშევიკს  
 ეშინია, — ვაი თუ, მე რომ საბჭოთა პლ ა ტ ფ ო რ მ ა ზ ე  
 დავდგები, ამ დროს მენშევიკ-ბოლშევიკების საერთო  
 ფრონტი შეიქნეს, მენშევიკები პირდაპირ საბჭოთა ვა-  
 გ ო ნ შ ი ჩასხდებიან და მერე შურს ისევ არა სოციალი-  
 სტებზე იძიებენო!

ემიგრანტ მენშევიკებს, სოციალ-დემოკრატიის მო-  
 რიგე წევრებს, კი იმის ეშინიათ, რომ ჟორდანიას და საზო-

გადოთ ძველი ლიდერები კიდევ გამონახვენ საერთო ენას  
ბოლშევიკებთან და „რენეგატებს“ სიცოცხლე გაუქმებენ  
დებოა!

ბოლშევიზმი ვერ შეუთანხმდება მენშევიზმს, რადგან  
ორივე პარტია ერთი და იგივე კლასის, პრო-  
ლეტარიატის ხელმძღვანელობისათვის იბრძვის საქართველოში  
და ევროპაში; მენშევიკები პროლეტარიატის  
ძველი ლიდერებია, ბოლშევიკები—ეს ახალი თაობაა  
პროლეტარიატის ლიდერებისა; და თუ ბოლშევიკები  
მთლინი სოციალისტური ფრონტისთვის მუშაობენ, არა  
იმიტომ, რომ მენშევიკურ ლიდერებთან კოალიცია სურთ,  
არემედ უნდათ ამ ლიდერებს გამოგლიჯონ ტრადიციით  
პათი გავლენის ქვეშ დარჩენილი პარტიული პროფესიო-  
ნალური ორგანიზაციები, მასსა.

და ეს ბრძოლა, ადრე თუ გვიან, უთუოდ იმით გა-  
თავდება, რომ მენშევიკური, მეორე ინტერნაციონალის  
ლიდერები ბრძოლის ასპარეზს, პროლეტარიატს, დათმო-  
ბენ. ზოგი წავა ფიზიკურათ, დაბერების გამო; ზოგი კიდევ  
მეტის მეტად გასუქდება და პირდაპირ ბურჟუაზიულ ლა-  
გერში შეიხიზნება!

რაც შეეხება ნაციონალ-დამოკრატებს და საზო-  
გადოთ არასოციალისტებს, გავბედავთ და ვიტყვი, რომ  
ნაც. დემ. პარტიის ლიკვიდაციის შემდეგ, ამ პარტიის სამი  
ბურჟიდან, ორი: დრომოქმული თავადაზნაურობა და უდ-  
ღეო ბურჟუაზია (რომლის პატრონობა სპირიდონ კედიას  
შერჩა) არავითარ საფრთხეს აღარ წარმოადგენს შეკავში-  
რებულ ქართველ პროლეტარიატისა და გლეხების დიკ-  
ტატურისათვის, — ხოლო მესამე ბურჟი — დემოკრატი-  
ული ეროვნული ქართველი ინტელიგენცია არის, რომელ-  
საც არ დევს თან არც მწარე მოგონებანი დაკარგული ხე-

ლისუფლებების და არც თაყვანისცემა ყვითელი ამსტერდამის მეორე ინტერნაციონალისა და რელიგიური სიტუაციის წითელი მოსკოვის მესამე ინტერნაციონალისადმი დღეს, როცა ბოლშევიკური რევოლუცია საქართველოში უკვე მოხდა და საქმე ეროვნული რესპუბლიკანური სახელმწიფოს შენებაზე მიდგა. — არასოციალისტურ ინტელიგენციას შეუძლია გადიქცეს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ერთგულ თანამშრომელათ.

გვაგონდება, რომ ასე აფასებდა ამ საკითხს მამია ორახელაშვილი, როცა ნაციონალ-დემოკრატიული პირველი სალიკვიდაციო კონფერენციის დროს სწერდა (1922 წლის აგვისტოში):

— „მემარჯვენე ფლანგს, რომლის ლიკვიდაცია ხდება ეხლა, არა ყავს მასსა, მაგრამ იგი მდიდარია საქმიანი, ტექნიკური, კომერციული ელემენტებით. აშენების პროცესში მყოფ საბჭოთა საქართველოს სჭირდება ეს ელემენტები და იგი უნდა ჩავითრიოთ რეაქციული ქაფიდან გაწმედილი მუშათა და გლეხთა ახალი საქართველოს შენებაში!“..

Post-scriptum. „სოც. ვესტნიკ“-ში (17) დაბეჭდილია ცნობა იმ ბანკეტის შესახებ, რომელიც გაუმართავს მარსელის კონგრესის რუს მენშევიკებისათვის ქართულ ს. დ. დელეგაციას: ჟორდანიას, წერეთელი — ჩხეიძეს (ამბურგში მესამე ადგილი რამიშვილს ეკავა!). ამ ბანკეტზე ქართველ მენშევიკებს შეუფიცავთ საყვარელი რუსის სოც. დემოკრატებისათვის: „თქვენზე უფრო ერთგული მეგობარი არა გვყავსო“!

ასე დასრულდა მაშ ამბავი ჟორდანიას ევროპიული ძიებისა!

საქართველოს მთლიანობისათვის

## საქართველოს მთლიანობისათვის

სენაღალეულთ

საქართველოს მმართველი კომპარტიის მეორე ყრილობაზე, რომელიც ეს ეხლაა მოხდა თბილისში, მიხ. კახიანის მოხსენებით (ცეკას ანგარიში) აღნიშნული იყო მთელი რიგი ინციდენტებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ ნაწილში ეროვნულ ნიადაგზე.

მოვეყვით ჯერ ფაქტებს:

**ახალქალაქის მაზრაში** მ. კახიანის სიტყვით:

„სომხურ მოსახლეობის ერთ ნაწილში იმის მითქმა-მოთქმა იყო, რომ საქართველოს მთავრობა თბილისში საჭირო ზომებს არ იღებს გაპარტახებულ მაზრის აღსადგენათო. ასე გასინჯეთ ერთგვარი მიდრეკილება-ც კი იყო ახალქალაქის მაზრის ავტონომიის გამოსაცხადებლად.

ამ აგიტაციას, უმთავრესად ნაციონალისტები, დაშნაკური ელემენტები აწარმოებდენ“-ო.

საგულისხმოა, რომ პარიზის რუსული გაზეთი „დნი“ ამ საკითხზე ისეთ ცნობას იძლეოდა თავის მხრივ, თითქოს ახალქალაქელმა სომხებმა დელეგაციაც გააგზავნეს ერევანში თხოვნით, „ან სომხეთს შეგვიერთეთ, ან ავტონომია შეგვიქენითო“!

საქართველოს საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ, ა. დოლიძის თავმჯდომარეობით, საგანგებოდ მოიარა მაზ-

რა, ადგილობრივი მდგომარეობის გამოსარკვევად და შიგნით  
სათანადო სიწყნარე შეიტანა.



**აჭარისტანის** ავტონომიურ რესპუბლიკაში ადგილი  
ქონდა უფრო სერიოზულ ინციდენტს: აჭარის ცაკის მე-  
სამე სესიის პირველ სხდომაზე, სოფელ ქედაში მიღებული  
იქნა რეზოლიუცია, პირდაპირ მიმართული საქართველოს-  
თან აჭარის შეკავშირების წინააღმდეგ.

ამ ამბების გამო ბათომში აჭარის ცაკის საგანგებო  
სესია იქნა მოწვეული, რომელსაც დაესწრენ სერგო ორ-  
ჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი და შალვა ელიავა.

მათი სიტყვების შედეგათ აჭარის ცაკმა გააუქმა ქე-  
დას რეზოლიუცია, შეიმუშავა მოწოდება აჭარისტანი-  
სადმი, საქართველოსთან განუყრელი კავშირის აუცილებ-  
ლობაზე და შეცვალა თვით შემადგენლობა აჭარის ავტო-  
ნომირი მთავრობისა (თახზინ ხიმშიაშვილი, თავმჯდო-  
მარე მთავრობისა და ო. მოწყობილი, თავმჯდომარე ცა-  
კისა, გადადგენ).

საგულისხმოა, რომ სტამბულის თურქული გაზეთი  
„სონ საათ“ სპეციალური ყურადღებით მოეპყრო აჭარის  
ამ ამბებს.

შესამე ინციდენტი **აფხაზეთის** ავტონომიურ რესპუბ-  
ლიკას შეეხებოდა. ამის შესახებ მ. კახიანის მოხსენებაში  
გვიხსენებთ შემდეგს:

„აფხაზეთში მყოფ ზოგიერთ ამხანაგებს დაებადათ  
აზრი, რომ განა უმჯობესი არ იქნებოდა შესულიყვნენ  
ამიერ-კავკასიის ფედერაციაში უშუალოთ, საქართველოს  
გარეშე და ამისი მზგავსი რალაცა ჩასწერეს თავიანთ კონ-  
სტიტუციაში“-ო.

ეს ინტრიგა გათავებულა იმით, რომ ცეკას რამდე-  
ნიმე კომუნისტი მოუცილებია აფხაზეთიდან.

დაახლოებით ასეთნაირი ინციდენტი მომხდარა **სახ. რეთ-ოსეთის** ავტონომიურ ოლქში და აგრეთვე **ბორჩალოს ახალციხის მაზრებში.** ბორჩალოს ახალციხის მაზრა

გაცილებით უფრო უცნაური იყო **სამეგრელოს** ავტონომისტების გამოსვლა მ. დადიანის მეთაურობით. ეს ღირსეული მეკვიდრენი „მაფალუსი“ პირდაპირ „მარგალისტანის“ ავტონომიურ რესპუბლიკას მოითხოვენ თურმე და აგრეთვე „უშუალო“ კავშირს რუსეთთან. ამის გამო მათ კალინინსაც კი მიმართეს მოსკოვში საჩივრით, სადაც საქართველოს საბჭოთა მთავრობას ქართულ... იმპერიალიზმში და „უკლონისტობაში“ სდებდენ ბრალს.

ამ ამბავმა მთელი დისკუსია გამოიწვია ქართულ პარტიულ პრესაში და მთელმა რიგმა მეგობარი კომუნისტებისამ (ა. გეგეჭკორი, ლ. ბერია, ვ. მუსხელია) სასტიკად გაილაშქრეს ოდიშის მაფალუსისტების წინააღმდეგ.

რიალიზმში და „უკლონისტობაში“ სდებდენ ბრალს. მოხსენებაში, ყველა ეს „ავტონომიური“ ინციდენტები ერთის მხრივ იმის ბრალია, რომ საქართველოს განაპირა ოლქებში ხელისუფლების წარმომადგენელი ვერ არიან ყოველთვის საბჭოთა პრინციპების სიმალლეზე და მათი ადმინისტრატიული შეცდომები ხდება მიზეზი და საბაზი ადგილობრივი ელემენტების პოლიტიკური ოპოზიციისა.

ამ მხრივ, როგორც კომპარტიის ყრილობის კამათმა დაგვანახვა, მმართველი პარტია არ იხევს უკან ცხოვრების სინამდვილის გაკვეთილებიდან და ყოველთვის რადიკალურ ზომებს იღებს ადმინისტრატიული აპარატის გაჯანსაღებისათვის. კომპარტია ამ მხრივ დიდათ განსხვავდება ყოფ. მენშევიკურ მთავრობისაგან, რომელიც უნიჭო ადმინისტრატორთა პერსონალურ თავმოყვარეობას სწირავდა სახელმწიფო ინტერესებს.

მაგრამ ამ ავტონომიურ ინციდენტებს აქვს მეორე მხარეც. ეს არის ხელოვნური პოლიტიკური ინტენჯინსი ქართველოს რესპუბლიკის მთლიანობის წინააღმდეგ. ეს ის ინტრიგაა, რომლის შესახებ ვ. მუსხელია სწერდა („კომუნისტი“ № 219): „ვთუ აქ ვინმე „დაანაწილე და იბატონე“-ს პოლიტიკას ეწევა“.

და აი, რამდენათ ამ ანტიქართულ პოლიტიკურ ინტრიგასთან გვაქვს საქმე, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს საბჭოთა მთავრობა და მმართველი კომპარტია ღირსეულათ სდგას საქართველოს რესპუბლიკის სადარაჯოზე და ნოე ჟორდანიას ჭკუის დაუხმარებლივ აკეთებს მას, რის გაკეთებასაც ისტორიული მომენტი მოითხოვს თბილისის სასახლეს მდგმურისაგან.

ამ მხრივ ქართველ „სმენავებელს“ შეიძლება არა ნაკლები უფლება ჰქონდეს გაამართლოს ეროვნულად, როგორც ქართველმა, საბჭოთა პლატფორმა, ვიდრე აქვს, მაგალითად, პროფ. უსტრიალოვს, რომელიც თავის უკანასკნელ წიგნში კიდევ ერთხელ ამართლებს ეროვნულად, როგორც რუსი, საბჭოთა პლატფორმას. (იხ. წ. Н. Устрялов. „Под знаком революции“).

ამიტომ შეგვიძლია გავიმეოროთ ერთი წლის წინ ნათქვამი („ახალი საქართველო“ № 2, მეთაური): „ქართული ბალშევიკური პარტია არის დღეს საქართველოს სახელმწიფო ორგანიზმის ხერხემალი“. და ვისაც საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესი აქვს, მან ეს ხერხემალი უნდა გაამაგროს.

რას შვება ამ დროს ქართული ემიგრაცია? — იგი კვლავინდებურათ სისხლის ფარდას ეფარება და საქართველოს ვერ ამჩნევს.

ემიგრაციას კვლავ მხოლოდ ცუდის გაგონება ახს-  
რებს სამშობლო ნაპირიდან.



„რაც უარესია იქ, მით უკეთესია ჩვენთვის“ — აი  
ემიგრანტის მაკიაველისტური ფორმულა.

და ამ ფორმულით, საქართველოში რომ წრეულ კარ-  
გი მოსავალი იყო, ეს ცუდი ამბავია!..

ქართული ინტელიგენცია რომ ამ გზას ბოლომდის  
გაყვეს, მაშინ საქართველოს მიწა-წყალი უთუოდ დაგვე-  
კარგება და უცხოელებს ჩაუვარდება ხელში.

ილია ჭავჭავაძის დროს ქართველი ახალგაზრდა რუ-  
სეთს რომ მოიარდა, მას თერგდალეულს ეძახდნენ. თერგ-  
დალეულმა ინტელიგენტებმა მთელი ერა შექმნეს ქარ-  
თულ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

დღეს მრავალია ისეთი ქართველი, რომელმაც ევრო-  
პა, საფრანგეთი მოიარა და ისე ბრუნდება სამშობლოში.

დეე ამ სენადალეულებმაც სოქვან თავიანთი სიტყვა  
და გააკეთონ თავიანთი საქმე საქართველოში.

პარიზი. 5 იანვარი 1926 წ.

მ ი მ ლ ხ ი ლ ვ ა

## მ ი მ ო ლ ს ი ლ ვ ა

ბამოკვრით — „ბრძოლას“

„ბრძოლის“ ანონიმური „გამკვრელი“ თავს არ გვანებებს.

უკანასკნელად (№ 5) იგი „ახალ საქართველოს“ წლის თავს ეხება და გვლანძღავს: — იდეურ საგზალს, აზროვნების სფეროზე ხელდაბანილი ხართო!

შეგვიძლია ვუპასუხოთ შემდეგი: გაზეთ „ახალი საქართველოს“ იდეურ საგზალსა და აზროვნებაში მაშინ გაერკვევით, როცა ჩვენი გაზეთის მთელ კომპლექტს იშოვნით და გადიკითხავთ გულმოდგინეთ!.. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ თავიდანვე „ახალი საქართველო“ ერთი ორთვის ხუმრობა გეგონათ და მხოლოდ წლის თავზე მოიფიქრეთ სარედაქციო კომპლექტის შექმნა და შესწავლა... სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს... თუ იმ წიგნის მალაზიაში ვერ იშოვოთ, სადაც შეუკვეთეთ, შემოგვითვალეთ და ჩვენ გიფეშქაშებთ ამ კომპლექტს...

„ბრძოლა“ ჩვენი გაზეთის მეორე წელიწადში გადაბიჯებას ხსნის მარტო მატერიალურათ — ვეშაპელს საკმაო თანხა, „სქელი ჯიბე“ აქვსო!

ვინაიდან ენამ გიყივლათ, ჯიბეების ამზავსაც მოგახსენებთ.

ვეშაპელის ჯიბე „ახალი საქართველოს“ გამოცემით არ გასქელებულა, ისეთივეა, როგორც ქონდა „კლდისა“, „საქართველოს“, ან „მიწის“ გამოცემის დროს თბილისში.

„სმა-ჭამაც“ ისეთივე აქვს, როგორიც გასაბჭოებამდის,  
თქვენ კი, ბატონებო, მართლაც არ უნდა ბედავდეთ  
სქელ ჯიბეზე და სმა-ჭამაზე ლაპარაკს, ვინაიდან ყოველი  
თქვენთაგანი, რომელიც ევროპაში მოდიოდა, როგორც  
მენშევიკური მთავრობის დელეგატი, საკუთარ „სოლიდ-  
ნი“ მიმდინარე ანგარიშს იხსნიდა პარიზის ბანკებში პი-  
როვნულად (ასეთი ცალკე ანგარიშები ქონდათ გასაბჭოე-  
ბის დროს — ჩხენკელს, კანდელაკს, გეგეჭკორს, ელიგუ-  
ლაშვილს, საბახტარიშვილს და ალბათ ჩხეიძე-წერეთელ-  
მაც მოახერხეს). გასაბჭოების შემდეგ რა ბედი ეწვია ამ  
პიროვნულ მიმდინარე ანგარიშებს და რა წილი დაეთმო  
აქედან ლეგაციის „სახელმწიფო“ თანხას, ეს არავინ იცის,  
რადგან თვითონ ეს ვაუბატონები იყვნენ ამ ოპერაციის  
მომხდენნი და არავითარი გარეშე კონტროლი მათთვის  
არავის არ მოუხდენია.

ამ „სქელ ჯიბეს“ უნდა მიემატოს ის „ლიკვიდაცია“  
საქართველოდან ჩამოტანილი სახელმწიფო, საერობო და  
საქალაქო საქონლისა, რომელიც მოხდა სტამბოლში და  
რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის საიდუმლო  
ფონდათ გადაიქცა. (ამითი „ძლებთ“ ხომ აქამდის).

ამას უნდა მიემატოს აგრეთვე ისეთი კერძო მარო-  
დიორობა, რომელსაც ჩადიოდა, მაგალითად, ნოე რამი-  
შვილის ნათესავი კახელაძე, რომელიც ყოფილ შინაგან  
საქმეთა მინისტრმა თბილისში ერთხელ საკუთარ ბინაზე  
მოთავსებით დაიცვა დამფუძნებელ კრების რევიზიისაგან.

ამ კახელაძის მიერ საქართველოდან წამოსვლის  
დროს ნაყიდი „ჩეკების“ დახურდავებაში ნოე რამიშვილი,  
როგორც გაგვიგონია, პარიზშიც ფრიად დაინტერესებუ-  
ლი იყო და ამიტომაცაა ალბათ, რომ კახელიძე მოათავსა

რამიშვილმა ლიოვილშიაც; აი მართლაც „კუჭყიანი“ სტკ-  
მე, თუ ეს გაინტერესებთ!



ჯერ-ჯერობით ეს იკმარონ ბატონმა „მებრძოლმა“  
ბედაურებმა! და თუ კიდევ მოიფიქრებენ „გაკვრას“ --  
სათანადო გამოკვრასაც არ დაეკლებთ!

### ჟურნალ „ახალ გზას“

ჟურნალი „ახალი გზა“ ისე დაიხურა, რომ ჩვენ ვერ  
მოვასწარიტ ერთი მისი „გრიეფი“ გაგვემარტა, რომე-  
ლიც ვინმე ვ. გ. ინება „ახალი საქართველოს“ წინააღმ-  
დეგ (მ. მაჩაბელ-შალიკაშვილის ძველი ზღაპარის მო-  
ყოლა).

ჩვენთვის ეს არაჯენტლმენური ჟესტი მით უფრო  
საკვირველი იყო, რომ ვიცოდით, ჟურნალ „ახალ გზის“  
რედაქციაში ისეთი პირები იყვნენ, როგორც ვ. გო-  
მართელი და პავლე საყვარელიძე (ალიონისტი).

ამიტომ მართლაც არ მოველოდით ასეთ იაფ შეკამა-  
თებას, რომელიც უფრო პროვინციალურ არტისტთა სა-  
კონკურენტო პოლემიკას მოგვაგონებს.

პარიზი. 5 იანვარი 1926 წ.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ს ა მ უ მ ბ ლ ო ს ა კ ი ნ

## ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ა კ ე ნ

გუშინ წინ მარსელიდან გავიდა გემი, რომლითაც ბრუნდება საფრანგეთიდან საქართველოში ახალი ჯგუფი ქართველი ემიგრანტებისა.

ამ ჯგუფში არიან: ლ ე ლ ი ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, წევრი ყოფილი ნაციონალ-დემოკრატიულ საზღვარგარეთელი ბიუროსი.

— ვ ა ნ ო კ ა ჩ უ ხ ა შ ვ ი ლ ი. (კაჩუხოვი).

— ს ა რ გ ი ს გ ლ ა ხ ო ი ა ნ ი (მენშევიკური გვარდიის მთავარი შტაბის ყოფილი წევრი).

— ს ო ს ო გ ო გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი (მეუღლით), ცხინვალის გვარდიის შტაბის ყოფილი თავმჯდომარე.

— ვ ა ნ ო ი მ ნ ა ძ ე (მეუღლით), ფოთის ქალაქის საბჭოს ყოფ. ხმოსანი.

— ვ ა ნ ო ნ ა ც ვ ლ ი შ ვ ი ლ ი, რკინისგზელი.

ამ ჯგუფიდან ლ. ჯაფარიძის გარდა ყველა სოციალ-დემოკრატებია; მათ შორის უმრავლესობა პარტიის წევრია 1908 წლიდან და თითქმის ყველანი გადმოსახლებული იყვნენ საქართველოდან საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1922 წელს.

როგორც მკითხველი ხედავს, ეს ჯგუფი ბრუნდება სამშობლოში, თუმცა არაერთარი პოლიტიკური დეკლარაცია მათ არც ჩვენ გაზეთში და არც სხვაგან არ გამოუქვეყნებიათ.

ამგვარათ ემიგრაციის ლიდერებს მოესპოთ <sup>კიდევ</sup> ერთი საშუალება კორიკანობისა, თითქოს საბჭოთა <sup>საქართველოში</sup> თველოში დასაბრუნებლათ ქართველ მოქალაქესათვის აუცილებელია სპეციალური პოლიტიკური დეკლარაციის გამოქვეყნება.

ავგისტოს შემდეგ ეს მეორე ჯგუფია ქართველ ემიგრანტებისა, რომ ბრუნდება სამშობლოში.

სრული იმედი გვაქვს, რომ ემიგრაციის ყინული მალე დაიძრება და უფრო დიდ ნატებს წააცურებს შავი ზღვით ბათუმისაკენ.

ქართველი მენშევიკები და ფაშისტები უძღურნი არიან ამ პროცესის წინაშე, რომელსაც ქვიან სამშობლოსაკენ ლტოლვა ემიგრაციისა.

მალე ემიგრაციის შეფებს შერჩებათ, როგორც მასალა თავიანთი ვამინისტრებისა, მხოლოდ „ასობი ატრიადი“ ან და ის ტიპები, რომელნიც პოლიტიკურ ცოდვებზე უფრო დატვრთული არიან ~~სისხლის სამართლის დანაშაულით.~~

პარიზი. 20 იანვარი 1926 წ.



ქართული  
საქმიანობა

ლოპარნოს კაკტი და ოსმალეთის ხელშეკრულება  
საბჭოებთან



## ლოკარნოს პაქტი და ოსმალეთის ხელშეკრულება საბჭოეთთან

ლოკარნოს ფაქტმა ქართულ ემიგრაციას გერმანიის ორიენტაციის ინგლისისაკენ გადახრის იმედები გაუღვიძა. ეს იმედები ფანტაზია არის.

ახალ გერმანიას თავისი საკუთარი მიზანი აქვს: დაკარგული ტერიტორიის და კოლონიების მოპოება;

ამისათვის დღეს გერმანიას ომი არ შეუძლია.

ამიტომ იგი ცდილობს მორიგებით აღადგინოს სწორწონაობა თავის მეზობლებთან (საფრანგეთთან), თანდათან მეტი დაათმობიოს და თანდათან ფეხი მოიმაგროს უკეთესი მომავლის მოლოდინში.

მაგრამ ამისათვის, რასაკვირველია, გერმანია უარეს ომს და უარეს რისკს არასოდეს არ გასწევს და ინგლისისათვის შემწვარი წაბლის გამოღებას ბოლშევიკური ცეცხლიდან არ დაიწყებს.

ახალ გერმანიას კარგათ ახსოვს, თუ რა დაუჯდა ძველ გერმანიას ბისმარკის ანდერძის დარღვევა და რუსეთთან დატაკება.

ქართული ემიგრაციის ძველი თაობა ყოველ შემთხვევაში ფიზიკურადაც ვერ მოესწრებოდა ამ ახალ ომს.

მეტი რეზონი აქვს იმათ, ვინც ფიქრობს, რომ ლოკარნოს პაქტს ინგლისი უფრო ოსმალეთის წინააღმდეგ გამოიყენებს და მოსულის საკითხის გადაწყვეტის დროს ხელგახსნილათ იმოქმედებს, რადგან საფრანგეთი, რომელიც ინგლისმა უზრუნველყო რეინზე, უზრუნველყოფს ინგლისს ბოსფორში.

მაგრამ ამ პერსპექტივამ უკვე სრულებით საწინააღმდეგო ეფექტი გამოიწვია.

იზოლიაციით დაშინებულმა ოსმალეთმა დაახლოებით მოსკოვის მხრივ ძველი თავის დაზღვევის განახლება.

ამის შედეგია ის ხელშეკრულება, რომელიც დაიწერა პარიზში გ. ვ. ჩიჩერინის ყოფნის დროს.

ამ ხელშეკრულებით საბჭოთა კავშირმა და ოსმალეთმა ნეიტრალიტეტის გარანტია მისცეს ერთმანეთს რაიმე გართულების დროს.

როგორც კი ხელშეკრულების ამბავი გამოქვეყნდა, ევროპის პრესა აღელდა.

ჩიჩერინს გერმანული „რაპალოს“ ოსმალური „რაპალოთი“ შეცვლა დააბრალებს.

ზოგიერთმა კი მოსკოვ-ანგორის პაქტში დაინახა პირდაპირ სურვილი ახალი აზიური ლიგის შექმნის (საბჭოთა კავშირი—ოსმალეთი—ჩინეთი), რომელიც დაუპირდაპირდება ევროპის, ენევის, ერთა ლიგას.

რასაკვირველია, ეს პერსპექტივები გადამეტებულია.

მით უფრო გადამეტებულია ის ხმები, თითქოს მოსკოვ-ანგორის ახალ ხელშეკრულებას თან სდევს საიდუმლო მუხლები, რომლის მიხედვით, თუ ოსმალეთს ომი შემთხვა ინგლისთან, საბჭოთა კავშირი ნებას დართავს ოსმალეთს ისარგებლოს ბათუმით, როგორც ბაზით. ან და თითქოს, თუ ოსმალეთ-ინგლისის ომი მოხდა, ოსმალეთს საშუალება ექნება მოხსნას თავისი ჯარები კავკასიის ფრონტიდან და მოსკოვის მთავრობა გარანტიას იძლევა, რომ სომხეთის და საქართველოს ჯარები არ გადალახავენ არსებულ საზღვარს.

ეს ხმები იმიტომაცა გადამეტებული, რომ დღეს ომი-კენ არავინ მიისწრაფის და მით უფრო საბჭოთა კავშირი.

რაც შეეხება ბათუმს, სწორეთ საბჭოთა რუსეთის დახმარებით იყო, რომ იგი საქართველოს გასაბჭოების დროს ოსმალეთს არ შერჩა.

ვანა ნოე ჟორდანიას ტელეგრამების (მათი მოწმე მე თვითონ გახლდით) წყალობა არ იყო, რომ ანგორის ჯარებმა აჭარისა და ბათუმის ოკუპაცია მოახდინეს?

ნ. ჟორდანიას იმის იმედი ქონდა, რომ ოსმალები და რუსები ერთმანეთს დაეტაკებოდნენ ბათუმისათვის და მენშევიკური მთავრობა ამით კიდევ სულს მოითქვამდა.

ჟორდანიას ელჩს ანგორაში ს. მდივანს კი პირდაპირ ისე ეგონა, რომ ოსმალეთს უკვე ომი დააწყებინა რუსეთის წინააღმდეგ.

ჟორდანიამ და ს. მდივანმა მხოლოდ პარიზში ჩამოსვლისას გაიგეს, თუ ვისი ორიენტაციის იყო ქემალ ფაშა.

გენერალ მაზნიაშვილის სიმამაცემ, ქართული რევკომის გაბედულმა ბრძანებამ და მოსკოვის მთავრობის დიპლომატიამ მოაგვარეს ჟორდანიას მიერ შექმნილი ინციდენტი და კიაზიმ ბეის ოსმალურმა გარნიზონმა დასტოვა, როგორც იყო ბათუმი.

დიპლომატიურ ენაზე ეს იმით გამოიხატა, რომ ყარსის ხელშეკრულებით (1921 წ., ოქტომბერი) ოსმალეთმა „დაუთმო“ ბათუმის სუვერენიტეტი საქართველოს რესპუბლიკას, ადგილობრივი ავტონომიის დაწესებით და ტრანზიტის უფლებით.

თუ ასე მოხდა 1921 წელს, როცა საბჭოთა ხელისუფლება ჯერ კიდევ არ იყო გამაგრებული კავკასიაში, — როგორ დაუთმობს დღეს, მეცხრე წელიწადში გადასული საბჭოთა მთავრობა ბათუმს ოსმალეთს, როგორც ბაზას ინგლისთან ომისათვის.

პარიზი. 20 იანვარი 1926 წ.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ჩვენი გენმარტიბი

## ჩ ვ ე ნ ი   გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

დავით მხეიძის შესახებ

თბილისის და, აგრეთვე, პარიზის გაზეთებმა შეცდომები დაუშვეს დ. მხეიძის საქმის მოყოლაში.

ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი შესწავლა და განმარტებაც.

საქმე იყო ასე:

დ. მხეიძე მივიდა თავისით საბჭოთა საკონსულოში დეკემბრის პირველ რიცხვებში და ითხოვა რეპატრიაცია საქართველოში, სასამართლოს წინაშე წარსადგენათ.

ვინაიდან ამ საკითხზე საჭირო იყო საბჭოთა პოლიტიკური წარმომადგენლობის აზრი და შეკითხვა, დ. მხეიძეს მოუხდა საელჩოშიც მისვლა.

საელჩოში დათანხმდენ შესაფერი დებეზით საქართველოს მთავრობის შეკითხვას ამ საგანზე; გაიგზავნა აგრეთვე დ. მხეიძის თხოვნით შეკითხვა მისი ოჯახობის მდგომარეობის შესახებ. (როგორც ვიცით, ამ ჟამათ, მოსულია ვიზა დ. მხეიძის დასაბრუნებლათ, რაიც საბჭოთა კანონით ამნისტიას უდრის, და აგრეთვე მოსულია ცნობა, რომ დ. მხეიძის ოჯახობა კარგათ არის).

მხოლოდ ამ დემარშების შემდეგ, როცა დ. მხეიძის წასვლა საქართველოში შესაძლებელი გახდა, შან მოისურვა განემარტა გაზეთ „ახალი საქართველოს“ საშუალებით თავისი პოლიტიკური ნაბიჯი და მოვიდა რედაქციაში იმ

წერილით, რომელიც დაიბეჭდა დაგვიანებით ჩვენი გაზეთის № 17, 5 იანვარს.

დ. მხეიძის მოსვლისთანავე, ჩვენ გავიგეთ, რომ ლეგაცია და დ. მხეიძის ზოგიერთი ყოფილი პოლიტიკური მეგობარი აცხადებენ მას არანორმალურ პიროვნებათ და მათ თურმე შესაფერი ნაბიჯებიც გადადგეს ფრანგულ პოლიციის წინაშე რომ ეს „არანორმალური“ პირი მათ დაუბრუნდეს „საექიმოთ“.

ამ პროვოკაციისგან თავის დასახსნელათ დ. მხეიძემ მიმართა ჯერ ფრანგ ექიმთა კონსილიუმს და შემდეგ ფრანგ ადვოკატს.

მაგრამ მიუხედავათ ამისა ემიგრანტებმა მაინც ჩაიგდეს ხელში დ. მხეიძე.

14 დეკემბერს მასთან მივიდა ოტელში მთელი ჯგუფი და იგი ავტომობილით წაიყვანეს ჯერ ერთი ცნობილი მეგრელი პოლიტიკური მოღვაწის ბინაზე და შემდეგ კი, როგორც გაზეთმა „მატენ“ გამოაშკარავა, დ. მხეიძე გადაყვანილ იქნა ერთ ერთ ფრანგულ სანატორიუმში;

„მატენ“-ის ცნობით ისე გამოდიოდა, რომ დ. მხეიძე, ავადმყოფი კაცი, ემიგრანტებს გაენთავისუფლებიათ ბალნეო-თერაპიული სეკვესტრისაგან და მოეთავსებიათ საექიმოთ სათანადო საავადმყოფოში.

თუ რა ხასიათის იყო ეს „საექიმო“ რეჟიმი, ნათლად გამოირკვა როცა რამდენიმე დღის შემდეგ მეორე ფრანგულმა გაზეთმა „პეტი-პარიზიენ“-მა გვაცნობა, რომ დ. მხეიძე გაქცეულა სანატორიუმიდან (იგი გადამხტარიყო მეტრიან კედელზე), შემდეგ ისევ ისე ამ „მეგობრების“ წყალობით დ. მხეიძე დაექირათ და გადაეყვანათ სხვა სანატორიუმში (ალბათ პირველში მობეზრდათ ეს ხათაბა-ლა). ამ ახალ სანატორიუმში დ. მხეიძეს ახალი სკანდალი

მოეწყო (გაზეთის თქმით გაელახა საავადმყოფოს მსახურები). ჩვენი ინფორმაციით კი დ. მხეიძეს გაულახავს თვით ერთ-ერთი იმ არამკითხე „პოლიტიკური მეგობართაგანი“, რომელნიც გაზეთის ცნობით დღე და ღამე გარს ერტყა დ. მხეიძეს, რომ იგი კვლავ არ გაქცეულიყო.

ამ სკანდალის შემდეგ, „მატენის“ ცნობით დ. მხეიძე გადაყვანილ იქმნა სრული იზოლიაციის რეჟიმზე.

„სრული იზოლიაციის რეჟიმი“—ეს საგიჟეთი გახლავთ.

ამ გვარათ გამართლდა ჩვენი შიში:

იმისთვის, რომ საშუალება არ მოესპოთ შარშანდელ აჯანყების დროს დაღვრილი სისხლიდან პროცენტებისა. ლეგაცია და ჟურნალ „სამშობლოს“ ჯგუფი არ შეჩერდნენ ნამდვილი სისხლის სამართლის დანაშაულის წინაშედაც კი.

მათ გაიტყუეს დ. მხეიძე მისი ნერვიული იქვიანობის პროვოკაციული გამოყენებით და შემდეგ ისეთ საშინელ პირობებში მოაქციეს, რომ სრულებით ჯანსაღი ადამიანიც კი შეიძლება გაგიჟდეს.

ამ ჟამად ჩვენ არ შეგვიძლია გავაკეთოთ ყველა დასკვნები და მოვახსენოთ მკითხველს ყველა კომენტარია ამ საქმისა, რადგან ამის შესახებ გამოძიება სწარმოებს ფრანგული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ (ადვოკატ ტორესის მოთხოვნით).

მაგრამ ერთი რამეს თქმა კი შეგვიძლია ეხლავე ემიგრაციის იმ გულუბრყვილო ნაწილის საყურადღებოთ, რომელიც მისმა ლიდერებმა მართლა დააჯერეს. — „ვეშაპელმა მხეიძე მოიტაცა“-ო (თითქო მხეიძე ქალიშვილი ყოფილიყო, ან მანდილოსანი!) — თუ მხეიძე „გიჟი“ იყო, რატომ იყო იგი ასე წყნარად მთელი კვირის განმავლობა-

ში, ბოლშევიკური „ტყვეობის“ დროს, სახლშიც და ქუჩაზედაც და რატომ დაიწყო მან ასეთი მართლაც მძვინვარეობა კული ტრიუკები და სკანდალები, როგორცაა კედელზე ხტომა ან და ხალხის გალახვა, მხოლოდ მაშინ, როცა იგი მოხვდა მისი „მეგობრების“ ხელში „საექიმოთ“?

ერთი თქმულება ამბობს, რომ კარგი ცხოვრებიდან არავინ გარბისო. მით უფრო არავინ გადახტება საყენიან კედელზე!

ამიტომ მივმართავთ ქართული ემიგრაციის იმ ნაწილს, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს საზოგადოებრივი სინდისის ლოდიკა, — ჩაერიონ მართლაც უბედური დავით მხეიძის მიმართ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში და იხსნან იგი, როგორც ადამიანი მაინც.


ნუ თუ ემიგრაციის ლიდერებს, უფლება აქვთ დაამწყვდიონ კაცი, რომელიც თუ ავადმყოფი არის, მხოლოდ იმით, რომ მას თავის სამშობლოში და ოჯახში დაბრუნება მოეწყურა და, რომელსაც, გარდა ნათესავისა, ვერავენ მოუვლის ისე, როგორც საჭიროა.

საქართველოს საბჭოთა მთავრობამ ვიზის მიცემით და ამნისტიის სათანადო საშუალება მისცა დავით მხეიძეს, დაუბრუნდეს სამშობლო კერას და ოჯახს.

ნუ თუ ემიგრაციის ლიდერებს უფლება უნდა მიეცეს, მიუხედავად ამისა, დალუპონ საგიჟეთში უბედური კაცი მხოლოდ იმიტომ, რომ ხელი შეუშალონ აჯანყების დანარჩენ მონაწილეთ, გაყვენ დ. მხეიძის გაბედულ პოლიტიკურ ნაბიჯს და დასტოვონ ემიგრაცია?

ემიგრაციის ლიდერები ჩადიან ამას იმიტომ, რომ მათთვის უფრო საშიშია საბჭოთა ხელისუფლების ღმობიერება და ასეთი ამნისტიით ყოფილი ანტიბოლშევიკების შერიგება, ვიდრე ისეთი აკტი რეპრესიისა, რომელიც დაა-

შორებდა ხელისუფლებას მართველი პარტიის გარეშე  
მყოფი ხალხის ნაწილისაგან.



დროა, რომ ემიგრაციის მასამ, რომელსაც არავითარი ინტერესი არ აქვს, გადაყვეს საზღვარ გარეთ მყოფ ყოფილი ქართველი მინისტრების ან და კანდიდატების გამინისტრებას, — ანგარიში გაუწიოს შექმნილ მდგომარეობას და საშუალება მოუსპოს ემიგრაციის ლიდერებს, პროვოკაციულათ და ხელოვნურათ დაუკეტონ ემიგრანტებს სამშობლოში მიმავალი გზა.

პარიზი. 20 იანვარი 1926 წ.

ახალი კომუნია

## ახალი კოლონია

31 იანვარს პარიზში მცხოვრებ ქართველ საბჭოთა მოქალაქეებმა მოახდინეს გადარჩევა „ახალი ქართული საზოგადოების“ გამგეობისა.

ეს საჭირო იყო, რადგან რამოდენიმე წევრი წინადარჩეულ გამგეობისა უკვე საქართველოში დაბრუნდა უკანასკნელად გამგზავრებულ ჯგუფებთან ერთად.

ახალი გამგეობა შესდგა შემდეგ პირებისაგან:

თავმჯდომარე: მიხ. ზუბალაშვილი (ვეჭილი).

მდივანი: ალ. ჭაბუკიანი (სტ. სეკციის თავმჯ.).

ხაზინადარი: მამია ხუხუნი (იურისტი, ემიგრანტული კოლონიის გამგეობის ყოფილი წევრი).

წევრნი: გრ. მიქაძე (ექიმი) და ნიკ. ლამბაშიძე (მხედარი). საქმეთა მმართველად არჩეულია ვალენტინა ვაშაძე.

როგორც ამ სიიდან სჩანს, პარიზის საბჭოთა ქართული საზოგადოების ახალ გამგეობაში აქტიური პოლიტიკური მოღვაწენი აღარ იღებენ მონაწილეობას.

ეს იმიტომ არის ასე, რომ ჩვენ გვსურს, ქართულმა საბჭოთა კოლონიამ მოკიდოს ხელი უმთავრესათ ფილანტროპიულ და კულტურულ საქმიანობას.

პოლიტიკისათვის არის სხვა დაწესებულებანი, კერძოდ პრესა.

ჩვენმა კოლონიამ კი უნდა შექმნას პარიზში ის, რაც უკვე არის საქართველოში: საბჭოთა საზოგადოებრიობა, რომლის მონაწილეობა შეუძლია ყოველ ქართველს, რომელსაც უნდა იყვეს რეალურად არსებული საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, და რომელიც ამიტომ ლოიალურად სცნობს თავის მოქალაქობრივ ვალდებულებას არსებულ საქართველოს რეჟიმის და მთავრობის მიმართ.

აქედან ცხადია, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციის ფუნქციებში არ უნდა შედიოდეს აკტიური პოლიტიკური ბრძოლა ანუ „პროპაგანდა“.

ქართულმა საბჭოთა კოლონიამ უნდა დააკმაყოფილოს ის საჭიროებანი, რომელიც აქვს უცხოეთში მყოფ ქართველ მოქალაქეთ, მათ შორის იმ პოლიტიკურ ნაწილს ქართული ემიგრაციისას, რომელიც უმრავლესობას შეადგენს პარიზში.

ეს აპოლიტიკური ემიგრანტული მასა არც ერთ ანტი-ბალშევიკურ პარტიულ ორგანიზაციაში არ მონაწილეობს, მაგრამ მას ეშინიან საბჭოთა პლატფორმაზე დადგომა, რადგან მას გონია, რომ ეს ბოლშევიკურ პოლიტიკურ მუშაობის დაკისრებას უდრის.

პარიზის საბჭოთა კოლონიის ახალი გამგეობის პერ-სონალური შემადგენლობა იმის თავდებია, რომ ამ უპარტიო აპოლიტიკურ ემიგრანტულ მასას საშუალება ექნება გამოახოს საერთო ენა საბჭოთა კოლონიასთან და ამით ხელი შეუწყოს თავისი მოქალაქეობრივი უფლებების აღდგენას და სამშობლოში დაბრუნებას.

სანამ ეს მასა უცხოეთში იქნება, საბჭოთა კოლონიას შეეძლება ხელი შეუწყოს ქართველ მოქალაქეთა მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფი-



ლებს; ამისათვის კოლონიას დღესვე შეუძლია ურთიერთშორის დამხმარე კასა, საექიმო და სხვა სპეციალური კონსულტაცია.

კოლონიას აქვს აგრეთვე ხელთ ასიოდე ახალი სამეცნიერო და სალიტერატურო ქართული წიგნი, მიღებული გაზეთ „ახალი საქართველოს“ მიერ საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობისაგან (სახელგამი); ამ წიგნებით საძირკველი ჩაეყრება ქართულ ბიბლიოთეკას და სამკითხველოს.

კოლონიამ უნდა მოაგვაროს აგრეთვე შრომის ბიუროს საქმე, როგორც საზოგადოთ, ისე კერძოდ პარიზში არსებულ საბჭოთა დაწესებულებებისათვის, რადგან ამ უკანასკნელში, (კერძოდ სავაჭრო წარმომადგენლობაში) ქართველ მოქალაქეს ისეთივე უფლება აქვს, რომ მოითხოვოს და მიიღოს სამსახური, როგორც აქვს საბჭოთა კავშირის სხვა ეროვნების მოქალაქეთ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პარიზის უპარტიო ქართული ემიგრაცია და კერძოდ უპარტიო ქართული ინტელიგენცია, რომლის შორის მრავალი სასარგებლო სპეციალისტი მოიპოვებოდა საქართველოს აკადემიურ, ტექნიკურ, ინდუსტრიულ და კომერციულ დარგისათვის, სათანადო ანგარიშს გაუწევს მდგომარეობას და ეცდება ახალი ქართული კოლონიის საშუალებით კვლავ გააბას სამშობლოსთან გამაერთიანებელი, დღეს გაწყვეტილი, ძაღი.

ქართულ ინტელიგენციას მართებს ამ მხრივ სომხური ინტელიგენციის, კერძოდ პარიზში მყოფ ემიგრაციის, მაგალითით იხელმძღვანელოს.

ძველ ემიგრანტულ ქართულ კოლონიაში შექმნილი  
მდგომარეობაც უნდა ამას აფიქრებდეს ყველა პატრიოტული  
მოქალაქეს.

მართლაც, სანამდის უნდა ითმინონ მათ ის პოლი-  
ციური, პროვოკატორული და ხულიგანური ინციდენტე-  
ბი, რომელთაც დაწყებული შარშანდლიდან უმართავენ  
ქართულ კოლონიის კრებებს ყოფილი დენიკინელი ნიკო-  
ლოზ დგებუაძე და მისი მეგობარი ასობიატრიალჩიკი მიშა  
კედია?

ამ პროვოკაციის მსხვერპლი გახდა უკვე რამოდენი-  
მე ქართველი იმისათვის, რომ მათ „დააბრალებს“ სამშობ-  
ლოში დაბრუნების სურვილი (ასე მოუვიდა სტუდენტ  
გ. მუსხელიშვილს, მხატვარ დ. კაკაბაძეს და უკანასკნე-  
ლად არტისტ ჯაბადარს).

სანამდისინ უნდა ითმინოს ეს უპარტიო ემიგრან-  
ტულმა მასამ?

პარიზი. 5 თებერვალი 1926 წ.

დაუნაკური გავითი და სპართველო.

## დაუნაკური გაზეთი და საქართველო

პარიზის სომხურ გაზეთის „დროშაკ“ (ორგანო დაშ-  
ნაკუტუნისა) № 6 მოთავსებულია უცნაური წერილი  
ამიერ-კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის შესახებ.

„ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერაცია აშენებულია  
სომხეთის ეროვნულ და ეკონომიურ უფლებათა დარღ-  
ვევაზე, ვინაიდან საქართველომ წაიღო ახალქალაქი და  
აზერბეიჯანმა ყარაბაღი“-ო.

ავტორის თქმით, სომხეთის კომუნისტებმა გასწი-  
რეს სომხეთის ეროვნული ინტერესი იმისთვის, რომ მიე-  
ღოთ ქართველ და თათარ კომუნისტთა დახმარება და  
ამგვარად უზრუნველყოთ რუსეთის ბატონობა კავკა-  
სიაში.

ამიტომაც, რომ საქართველოს და აზერბეიჯანის ნაციო-  
ნალისტები მხარს უჭერენ საბჭოთა რეჟიმსო.

ავტორი საჭიროდ სთვლის კერძოთ ჩვენ შეგვეხოს  
და ამბობს:

„ქართული ემიგრაციის ნაციონალისტური ნაწილი,  
წარმოდგენილი ვეშაპელით, იმიტომ ემხრობა საბჭოთა  
რეჟიმს, რომ შექმნილ მდგომარეობაში საქართველოს  
უკავია პრივილეგიური პოლიტიკური და ეკონომიური  
გეგემონია და თვით შიგნითი რეჟიმიც საბჭოთა საქართვე-  
ლოში ისეთია, რომ სომხებს შეეშურებაო.

სომხეთში არ არსებობს დამოუკიდებელი ეროვნული კულტურული და სპორტიული საზოგადოებანი, საქართველოში კი არისო!

თბილისში ქართველობა უმცირესობაა, მაგრამ ქართული ენა ბატონობს! ასევეა ახალქალაქის მაზრაშიცო.

თვით ეკონომიურ დარგში, სომხეთი იხდის მუდმივ საგრძნობ ხარკს საქართველოსათვის, რადგან საქონელი სომხეთისათვის გადის თბილისზე, საქართველოს დედაქალაქზე, და თბილისი კი საგანგებო საფუთო გადასახადს იღებს ამ საქონელზე!-“ო...“

კიდევ ბევრი ზღაპარია მოყოლილი ამ დაშნაკურ გაზეთში, რომელიც არის ვრაციან-ჯმალიან-რუბენ ფაშის ორგანო, მაგრამ რაც მოვიყვანეთ, ისიც კმარა ქართველ მკითხველსათვის, რომ მან სათანადო შთაბეჭდილება მიიღოს.

მართლაც რაშია საქმე?

ერთი მხრივ, ქართული მენშევიკური ემიგრაცია ქართველ კომუნისტებს იმას აბრალებს, რომ მათ საქართველო რუსებს და სომხებს ჩააბარეს. ამისათვის ჩვენც მოლაღატეებათ გვნათლავენ, რადგან საბჭოთა საქართველო ვიცანით.

მეორე მხრივ კი დაშნაკური ემიგრაცია თურმე სომეხ კომუნისტებს იმას აყვედრის, რომ მათ სომხეთის ტერიტორია დაურიგეს საქართველოს და აზერბეიჯანს, რომ ისინი არ იცავენ სომხეთის ეროვნულ ეკონომიურ და კულტურულ ინტერესებს და ეს ინტერესები იბღალეება საქართველოს მიერ თითქოს.

ჩვენც, „ახალი საქართველოელებმა“ თურმე ამიტომ ვიცანით საბჭოთა საქართველო!

რასაკვირველია, ჭეშმარიტება არც მენშევიკების და არც დაშნაკების მხარეზეა.



ქეშმარიტება, როგორც ხშირათაა, შუაშია ხოლო  
 საბჭოთა ხელისუფლება ინტერნაციონალური თა-  
 ვისი პრინციპით და ამიტომ არც საქართველოა გაყიდუ-  
 ლი სომხებზე და რუსებზე და არც სომხეთია გაყიდული  
 ქართველებზე და თათრებზე.

და თუ საქართველომ ან სომხეთმა რაიმე დათმეს,  
 ეს კომპრომისი ორივესათვის იყო სავალდებულო, რამ-  
 დენათ ეს აუცილებელია ამიერ-კავკასიის ფედერაციის  
 ორგანიზაციისათვის.

პარიზი. 5 თებერვალი 1926 წ.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

გ ე მ ლ კ ვ რ ი თ

## გ ა მ ო კ ვ რ ი თ

„ბრძოლის“ უკანასკნელი(6) ნომერი რეკორდია რამიშვილური არამწადობისა.

რამიშვილი მთლად გაუგეიქებია იმას რომ გ. ვეშაპელმა თავისი წერილებში: პასუხად „ბრძოლას“ და „უორდანის პოლიტიკა“ ფარდა ახადა მენშევიკური პოლიტიკის კულისებს.

მოვახსენებთ ამაზე მოკლეთ:

ჩვენ უკვე 1924 წ. ოკტომბერში გამოვაცხადეთ, რომ მენშევიკური მთავრობა და დამფუძნებელი კრება ისტორიის ზანდუქს ჩაბარდა..

ამიტომ ისტორიის ჩაბარებულ დაწესებულებათა ფაქტებიც ისტორიის საკუთრებაა და არა რომელიმე პარტიისა ანუ ინტერპარტიულ ორგანოსი.

რუსეთის დროებითი და სხვადასხვა მთავრობების და პარლამენტების ამბების და დოკუმენტების შესახებ, მაგალითად, უკვე ოცზე მეტი ტომია გამოქვეყნებული „რუსეთის რევოლუციის არქივში“.

საქართველოში ჯერ ასეთი სპეციალური გამოცემა არაა, მაგრამ არის, მაგალითად, „რევოლუციის მუზეუმი“ თბილისში და იქ უკვე ბევრი დოკუმენტი კოლექციაში მოქცეული.

იქვე თავისუფლად შეიძლება რასაკვირველია 1921-2 წლის პოლიტიკური, დოკუმენტების გამოფენა. (პროფ.

ზ. ავალიშვილის წიგნბაც ბევრი რამ გამოამყლავნა თავის დროზე).



ამას გარდა ყველა ინტერპარტიული დოკუმენტი, სადაც ვეშაპელი ერთი ხელისმომწერთაგანი იყო, ისეთსავე მის „საკუთრებას“ შეადგენს, როგორც სხვებისას და ამ შემთხვევაში ხომ იგი თვითონაც აგებს პასუხს ისტორიულს და პოლიტიკურს?

რაც შეეხება დოკუმენტების „გაყიდვას“, — ეს ჩვეულებრივ პროვოკაციაა, მეტი არაფერი. თუ სხვა ვინმე უფრო პატიოსანი ჩაერევა ამ საქმეში, ვიდრე თვით რამიშვილია, ჩვენ თანახმა ვართ ამ საგანზე ყოველმხრივ ფრჩხილები გავხსნათ და გამოვარკვიოთ.

დასასრულ, ისკარიოტული ბიბლიური ასოციაციების შესახებ.

თუ ამდენი ბრაზი იმიტომაა გადმონთხეული „ბრძოლის“ მიერ, რომ ვეშაპელის წინააღმდეგ რაიმე ახალი პროვოკაციისათვის მოამზადოს ნიადაგი, და თუ ამ პროვოკაციებმა ზედი-ზედ მიყოლით ტერორის ატმოსფერა შექმნა პარიზში, დაე იცოდეს ნოე რამიშვილმა, რომ დაბოლოს ხათაბალის შედეგი ის იქნება, რომ მისი ისედაც გამხმარი თავი გახმება *comme il faut*.

პარიზი. 5 თებერვალი 1926 წ.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველოს 5 წლის თავი

## საბჭოთა საქართველოს 5 წლის თავი

დღეს ხუთიწელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც ქართულმა ბოლშევიკურმა პარტიამ დაამარცხა, მოკავშირე წითელი რუსეთის დახმარებით, მენშევიკური პარტია და შეცვალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა რესპუბლიკათ.

მას აქეთ ამაო იყო ყოველივე ცდა ჟორდანია-ჩხენკელისა, მოეხერხებიათ ძველი რეჟიმის რესტავრაცია: ვერც შინაურმა და ვერც გარეშე ინტრიგებმა ჟორდანიას საქართველო ვერ გააცოცხლა.

თანდათან ცხადი გახდა ყველასათვის, რომ ქართული ბოლშევიკური პარტიის ორიენტაცია: ამიერ-კავკასიანთან და რუსეთთან ერთად თანასწორი საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიული კავშირი, — ნაკარნახევი იყო ქართული ერის გეოგრაფიული, საერთაშორისო, ეროვნული, ეკონომიური და კულტურული ინტერესებით.

თანდათან ცხადი გახდა ისიც, რომ მენშევიკური პარტიის „დამოუკიდებელი საქართველო“ მარტოხელა იყო. რომელსაც არც ერთი მოკავშირე არ ყავდა არც კავკასიაში, არც რუსეთში, არც ოსმალეთში და არც ევროპაში, რომელიც ვერც მარჯვნივ მიდიოდა და ვერც მარცხნივ, და პირდაპირ ფიზიკური დაღუპვისაკენ მიაქანებდა მკირერიცხოვან ქართველ ერს.

ამიტომაც არის, რომ მენშევიკურმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სამი წელიც ვერ გაძლო, საბჭოთა საქართველო კი ძლევაშემოსილად მეექვსე წელიწადში გადადის!

მაგრამ საქართველოს გასაბჭოება გამართლდა ისტორიულად არა მარტო საერთაშორისო პოლიტიკის მიხედვით; იგი გამართლდა იმ ეკონომიური და კულტურული პროგრესითაც, რომელსაც დაადგა განუწყვეტელი მენშევიკური ომებისა და მობილიზაციებიდან მოსვენებული მშრომელნი და თავდაპირველათ, გლეხობა.

რომ მენშევიკების და მათი მოკავშირე ძველი პარტიების შეთქმულებანი და აჯანყებანი არა, და რომ ქართული ინტელიგენციის უმრავლესობა განზე გადგომის მაგიერ, აკტიურათ ჩაბმულიყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ აღმშენებლობის საქმეში, — ეს მიღწევები კიდევ უფრო მეტი იქნებოდა.

მაგრამ რაც ამ ხუთი წლის განმავლობაში გაკეთდა საქართველოს კულტურისა და ეკონომიკისათვის, ისიც იმის თავდებია, რომ საქართველო უეჭვით პროგრესის გზაზე დგას და თავის რეალური დამოუკიდებლობის საქმეს სჭედს.

მეხუთე წელიწადი საბჭოთა საქართველოსი — მშვიდობიანობის წელიწადი იყო შარშანწინდელი აჯანყებით აფორიაქებულ საქართველოსათვის.

ჩვენ გვწამს, რომ ასეთივე იქნება მომავალი მეექვსე წელიწადი და რომ ეს სამოქალაქო მშვიდობიანობა გაუთუადვილებს საქართველოს მმართველ პარტიას რესპუბლიკის ცხოვრების ყოველ დარგში ნორმალური სამოქალაქო წესის დამკვიდრებას.

პარიზი. 25 თებერვალი 1926 წ.

ქორდანის სეპარტიველო

## ჟორდანის საქართველო

გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“ № 1

შვიდი თვეა, რაც ჟურნალი „ბრძოლა“ გვებრძვის, ძაგრამ ამ ბრძოლის შედეგი, როგორც სჩანს, არ აკმაყოფილებს ნოე ჟორდანისა.

და აი, ახალ 1926 წლიდან პარიზს მოველინა ახალი ქართული ბეჭდვითი გამოცემა (უკვე მეოთხე რიგით!) — „დამოუკიდებელი საქართველო“, ყოველთვიური საერთო ორგანო საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა. რომლის ფორმატი და გარეგნული სამსვეტიანი სახე ერთგვარი მიბაძვავა გაზეთ „ახალი საქართველოსი“.

კიდევ ერთხელ, რაშია საქმე?

რად დასჭირდა ნოე ჟორდანის სხვა „პარტიების“, ასე რომ ვსთქვათ, „ნადის“ წამოხმარება?

ამის პასუხს იძლევა სარედაქციო მეთაური, რომელიც აცხადებს, რომ „ამაოა ცდა, სიმძიმის ცენტრი ოკუპაციიდან საბჭოთა რეჟიმზე გადაიტანონ... ეროვნული ბრძოლა ბოლშევიკ-მენშევიკურ მეტოქეობათ გაასაღანო“.

დიახ, აქაა ძაღლის თავი ჩამარხული: ჟორდანისმ შეატყო, რომ ქართული ემიგრაცია და საქართველო უკვე ერკვევა, რომ საქართველო როგორც ასეთი და ჟორდანის საქართველო ერთი და იგივე არ არის, რომ მათ შუა უზის დიდი ზღვარი.

და აი ჟორდანისაც იწვევს სხვა პარტიასა „ნადს“ (ჯამაგირით, რასაკვირველია) — არიქა, დაამტკიცეთ, რომ ჟორდანის საქართველო საერთო საქართველო არისო!

აი, ასე იშვა ახალი გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“. (სტამბულში რომ 1921 — 1922 წელს ტერპარტიული ჟურნალი იბეჭდებოდა, მას „თავისუფალი საქართველო“ ერქვა).

ეხლა ვნახოთ, რას წარმოადგენს ის ინტერპარტიული ჯირყვლები, რომლის გადმონერგვით მოუნდომია ნოე ჟორდანიას თავისი თავის კოალიციურათ გაახალგაზრდავება?

ვინაა და რაა ის „ეროვნული პარტიების პოლიტიკური წარმომადგენლობა“, რომელიც თურმე „ეროვნულ მთავრობასთან“ ერთად საზღვარ გარეთ მოქმედებს?

შალვა ამირეჯიბი, გიორგი გვაზავა, სამ. ფირცხალავა, ი. გობეჩია!?

ვისი „მანდატი“ აქვს ამ ხალხს პარიტეტული კომიტეტის თვითლიკვიდაციის შემდეგ, ან და რომელი პარტიული „ორგანიზაციების“ სახელით შეუძლია ამ ოთხკაცს ახალი ინტერპარტიული ხელშეკრულების წერა პარიზში და ამით საქართველოში მცხოვრებ აუარება ხალხის ახალი პასუხისგება და ახალი პროვოკაცია?

ჩვენ არ ვიცით, ვისი სახელით დაიწერა ახალი ინტერპარტიული აქტი, მაგრამ, ვინაიდან ამ ხალხს ჯერ ახალი პოლიტიკური პარტია არ დაუარსებია, ინტერპარტიული „ვაჭრობა“ ისევ იმ ძველი პარტიების სახელით უნდა სწარმოებდეს, რომელთა წევრები იყვნენ ეს პირნი წინად საქართველოში. ამ პარტიების სახელით აცხადებს გაზეთის მეთაური, რომ მისი ლოზუნგია: „მთლიანი ფრონტით დამოუკიდებლობისაკენ“.

მაგრამ ვინ არიან? დავიწყოთ ბოლოდან:

იოსებ გობეჩია — რომელსაც შეუძლია ლაპარაკი მხოლოდ „ქართველი ესერების“ სახელით. მერმე, ვინღა



დარჩა საქართველოში ან ევროპაში ესერი? ჩვენ ქვეყანაში ხომ ესერები იოსების ძმისვე და შენგელაიას თანსერიდით გაწითლდენ! პარიზში კი და მთელ საფრანგეთში სულ (გობეჩიას ჩათვლით) ო რ ი ესერია და მათ ორგანიზაციის დაარსება, არა თუ იურიდიულათ, ბიბლიურათაც არ შეუძლიათ (ქრისტე სამი პირის დასწრებას მოითხოვდა საზოგადოების კანონიერებისათვის); ამიტომაც ალბათ, რომ გობეჩიას გადუწყვეტია მესამე პირის მოსაძებნათ „ნაროდნიკული“ წრიდან ასვლა პატივცემულ საზოგადოებისაკენ, სადაც თურმე: „გაერთიანებული არიან: ყოფილი თავადი, მემამულე, სასულიერო წოდება, მუშა, გლეხი“ (ასე ყავს დალაგებული ხალხი გობეჩიას... დავიწყებია მხოლოდ ვაჭრები: ყოფილი და აწმყონიც).

რასაკვირველია, მარტო ასეთი უტუ სოციალისტის კოალიციის იმედით ჟორდანი ვერ დარჩებოდა.

ვერც შემდეგი, სამსონ ფირცხალავა ააფრთოვანებდა ამ მხრივ საქართველოს „უგვირგვინო მეფეს“, ვინაიდან რაც კი ცოცხალი და მომქმედი იყო ს. ფირცხალავას ძველ პარტიაში, სოციალისტ-ფედერალისტებში, იგი დიდი ხანია გასაბჭოვდა შალვა ნუცუბიძის და თედო ლლონტის მეთაურობით. ხოლო ფირცხალავასთანა ოფელიების საუკეთესო კარიერა — მონასტერი არის.

ამიტომ ვერც ამის იმედით დადგებოდა ჟორდანიას ახალი კოალიცია, თუმცა პარიზელი სოციალისტ-ფედერალისტთა სარევიოლუციო პარტია ესერებზე ორჯერ უკეთეს მდგომარეობაშია: ეს-ფერებს თავისუფლად შეუძლიათ პარიზში საზოგადოების დაარსება. ქრისტეს წესით, სამნი არიან, ამიტომ ბიუროც აქვთ!

არა, თუ ნოე ჟორდანიამ ახალი ეროვნული კოალიცია მოაწყო, ეს იმ მრავალრიცხოვანი ხალხის ანგარიში

იყო, რომელიც ძველად სხვა და სხვა ნაციონალ-დემოკრატიულ ფრაკციებთან იყო დაკავშირებული.



მართალია, ნაციონალ-დემოკრატიული ორგანიზაცია საქართველოში მოისპო ძველი თაობისათვის პართენ გოთუას, ნიკო თავდგირიძის, მ. ჯავახიშვილის და სხვათა მიერ მოწვეულ სალიკვიდაციო კონფერენციის შემდეგ. (ნიკო ნიკოლაძის საქართველოში დაბრუნებაც ამ რიგის მოვლენა იყო).

ახალი თაობის ნაციონალ-დემოკრატიული ორგანიზაცია კი დაიშალა ნ. დ. სტუდენტების სალიკვიდაციო კონფერენციის მიერ „ახალი საქართველოს“ პლატფორმის შიღების შემდეგ.

თვით ემიგრაციაში გაზეთმა „ახალმა საქართველომ“ რასაკვირველია, საზღვარგარეთული ნაციონალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კრიზისი გამოიწვია;

როცა აჯანყების მეორე დღეს, ნ. ჟორდანიამ თბილისში დაწლილი პარიტეტული კომიტეტის ძველი მანდატით მოინდომა კოალიციური რეპარაცია, — მაშინ ყოფილი ნაციონალ-დემოკრატიული ელემენტების საკონტროლო მან დარჩენილი ლიდერები მიიპატიჟა: ს. კედიასათიანი.

მაგრამ მათ მალე ჟურნალი „სამშობლოსათვის“ დაარსეს პროგრამით: ბრძოლა ბოლშევიკებთანაც და მენშევიკებთანაც, ანუ უფრო სწორედ — არც ბოლშევიკებთან ბრძოლა და არც მენშევიკებთან. შემდეგ როცა ასათიანი პარიზიდან საქართველოს შორ გზას გაუდგა (ისე შორს, რომ ჯერაც გზაშია), მარტოდ დარჩენილმა კედიამ ვერ აიტანა მძიმე ტვირთი „სამშობლოსი“ და მაზედ დახარჯული გრომებიც ტყუილად დაიკარგა.

ასეა თუ ისე, როცა ნ. ჟორდანიას, საფრანგეთისა და  
ქოთა კონფერენციის წინ, კიდევ ერთხელ დასკვნით  
გაციის კოალიციური რემონტი, — კედია-ასათიანიც და-  
კარგული აღმოჩნდნენ ამ საქმისათვის. ვინაიდან ნ. დ. ლი-  
დერები გამოილია, დაუძახეს „ზაპასის“ ხალხს: ეს გახ-  
ლავთ: შალვა ამირეჯიბი და გ. გვაზავა. ამ ორი სახელით  
უნდა ჟორდანიას მოინადიროს ნაციონალ-დემოკრატი-  
ული და საზოგადოთ არასოციალისტური ხალხის გული  
საქართველოში. ამით უნდა ამტკიცოს ქართველებში და  
უცხოელებშიც, რომ მენშევიკური მთავრობა „ეროვნუ-  
ლი“ მთავრობა არის. ამით უნდა შეინარჩუნოს უპარტიო  
ემიგრაცია, რომელიც ჟორდანიას „ქვეშევრდომობაზე“  
ხელის აღებას აპირობს.

მერმე, განა შეუძლიათ შ. ამირეჯიბს და გვაზავას,  
გაუკეთონ ეს საქმე ჟორდანიას? არა, გვაზავა და შ. ამი-  
რეჯიბი მხოლოდ ფანტომები არიან, მათ უკან არავი-  
თარი რეალური ნაციონალ-დემოკრატიული ძალები არა  
სდგას. გვაზავა და შ. ამირეჯიბი არასოდეს არ ყოფილან  
ნაციონალ-დემოკრატიული პარტიული მასისათვის ავტო-  
რიტეტული ლიდერები. უფრო მეტათ იყვნენ ყოველთვის  
ცნობილი, როგორც პოეტები: გ. გვაზავა ძველი თაობის  
ფუტურისტია პორნოგრაფიული „უკლონით“; ხოლო შ.  
ამირაჯიბი ახალ პოეტებშიც ჩაითვლება (ამიტომაც ალ-  
ბად, რომ თავის წერილში შ. ამირეჯიბი „დამოუკიდებ-  
ლობის“ მშობლებად დ მ ე რ თ ე ბ ს ასახელებს!)...

გიორგი გვაზავა შემჯდარა იურიდიულ მერანზე და  
მოუწოდებს ქართველ ხალხს „განუწყვეტელი“ ბრძოლი-  
საკენ: ბოლშევიკურ რუსეთს ხელშეკრულება აქვს დად-  
ებული მენშევიკურ საქართველოსთან (1920) და, თუ მარ-  
ჯვეთ ვიქნებით, ნაციონალ-ლიგის „საერთაშორისო სამარ-

თალი“ უსათუოდ აღადგენს ამ ხელშეკრულობის ძალას, როცა რუსეთი „თაჩალუნული“ მიადგება უნებურად რუსეთს; რასაკვირველია, ასეთი პოლიტიკის მოხვევა ქართველი ხალხის თავზე დიდი სისულელე არის! რომელი „საერთაშორისო სამართალი“, სადაური? ამ საერთაშორისო სამართლის ძებნამ მოსპო თავის დროზე და გადაახალა ოსმალეთიდან მთელი სომხეთი.

თვით გ. გვაზავას არ ახსოვს განა, როგორ ამოდვეს მათდის ქვეშ, 1907 წელს, გააგის კონფერენციაზე „ქართული პეტიცია“, თუმცა ეს პეტიცია კიდევ უფრო უკეთეს ხელშეკრულებას ემყარებოდა, ვიდრე ურატაძის 1921 წ. ხელშეკრულობა არის — 1783 წლის მეფე ერეკლეს ტრაკტატს! ურატაძის ხელშეკრულება კი თვით ჟორდანიამ გააუქმა, როცა ქუთაისში თავის მოადგილეს გ. ლორთქიფანიძეს კაპიტულიაციაზე ხელი მოაწერინა და, თანახმად ამ კაპიტულიაციისა, სამტრედია — ბათუმის ფრონტი, გაუხსნია ბოლშევიკებს (წითელი ჯარის მოსაყვანად ბათუმიდან სამტრედიაში ცარიელი ვაგონებიც კი გააგზავნა).

საუკეთესო ხელშეკრულება ქართველი ხალხისათვის დღეს ის საბჭოთა კავშირის ფედერატიული კონსტიტუცია არის, სადაც რუსეთი და საქართველო სუვერენიტეტის მხრივ თანასწორი არიან.

თუ რა კარგი წინასწარმეტყველია გ. გვაზავა პოლიტიკაში, იქიდან სჩანს, რომ სწორედ „დამოუკიდებელ საქართველოს“ № 1 გამოსვლის შემდეგ, 9 თებერვალს პასუხად დეპუტატ ხოლლის შეკითხვისა (აპირობს თუ არა ინგლისის მთავრობა საქართველოს საკითხის დაყენებას ნაციათა ლიგაში). ჩემბერლენმა განაცხადა: „არა, საქართველოს ვითარება საბჭოთა კავშირის შინაური საქმეა და ჩვენი მთავრობა ამაში ვერ ჩაერევა“.

დასასრულ, ერთი კითხვა ბ-ნ გვაზავას: სად იყო აქამდის, თავისი „საერთაშორისო სამართლით“, რატომ 1921-1925 წ. წ. არ მოუწოდებდა ქართველ ხალხს „განუწყვეტელ ბრძოლისათვის“?

1922 წელში, ვთქვათ, არ სცალოდა: ბოლშევიკურ „ტორგპრედსტვოსთან“ საქმეები ქონდა სტამბულში და იქ ახალ წელს ბოლშევიკურ სუფრაზე თამადადაც იყო, მაგრამ მას აქეთ? — ამბობენ, მას აქეთ ბოლშევიკებს თხოვდა, ოჯახის გამოწერის უფლება რომ მიეცათ პარიზში და თანაც აცხადებდა, მე პოლიტიკაზე ხელი ავიღეო; ეხლა ალბად თავისი ოჯახური საქმეები მოაგვარა და რას დაეძებს, თუ მისი ჩერჩეტი „განუწყვეტელი ბრძოლის“ პოლიტიკის შედეგად საქართველოში ხელახლად ვინმეს ოჯახი აწიოკდება — თვითონ პარიზშია არხეინად!

ეხლა ბ. შალვა ამირეჯიბის შესახებ.

მიუხედავად ზოგიერთი არაყენტილემენტური სილოგიზმებისა „რეალური პოლიტიკის“ შესახებ, — ჩვენ ჯერ მაინც მას ეთიკურ პოლემიკაში არ გავყვებით და პოლიტიკურ არგუმენტთა სფეროში ვრჩებით.

შ. ამირეჯიბი ამბობს: „ემიგრაცია არ მოკვდება, სანამ არ გავიგებთ, რომ საქართველოში დახვრეტილა უკანასკნელი მებრძოლი“-ო... „რეალური პოლიტიკა“ ვერ სძლევს „დამოუკიდებლობის“ პოლიტიკას, რადგან უკანასკნელისათვის ჩვენ ვინოცებოდით, გვხვრეტდენო“.

ეს არგუმენტი ფსიხოლოგიურად ძლიერია, თუმცა თვით შალვა ამირეჯიბი, მადლობა ღმერთს, ამ უბედურებას გადარჩა და სამშვიდობოს გამოვიდა... მაგრამ თავი დავანებოთ ფსიხოლოგიას. საქმე ეხება ორი მილიონიანი ქართველი ერის სიცოცხლის პოლიტიკას!

ბ. ამირეჯიბს უნდა მთელი ერის გაწყვეტა, უკანასკნელ მებრძოლამდე! მერმე რისთვის — ნ. ჟორდანიას მენ-

შევიკური პარტიის მიერ ტაქტიკური მოსაზრებით გამოცხადებულ „დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის“ რესტავრაციისათვის!

თითქოს ნ. ჟორდანიას და მისი პარტია საქართველოს დამოუკიდებლობის „ღვთაებრიობის“ თაყვანისმცემელი იყო! თითქოს, მენშევიკების ლიდერების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება უბრალო ტაქტიკური მანევრი არ იყო, მას შემდეგ, რაც რუსეთის დემოკრატიის ფრონტზე დამარცხებულებმა, კავკასიონის ქედს შეაფარეს თავი. და განა დღესაც, ამ არიერგარდული ბრძოლის დროს, ისევ ამ სრულიად რუსეთის დემოკრატიისაკენ არ იხედება ნ. ჟორდანიას მარცხენა ხელი კაკი წერეთელი? განა ამისათვის არ არის, რომ „დამოუკიდებელ საქართველოს“ № 1 გამოსვლისთანავე ი. წერეთელმა პარიზელ რუსის სოციალ-დემოკრატიულ წრეში მოხსენება წაიკითხა: „რუსეთის დემოკრატიის ხსნის გზებზე“ (ეს ამბავი „დნი“-ში იყო დაბეჭდილი).

და განა ისიც დამახასიათებელი არ არის, რომ ეროვნულ-ინტერპარტიულ „დამოუკიდებელ საქართველოს-თან“ ერთად მენშევიკური პარტიული „ბრძოლა“ მაინც ცალკე გამოდის. (ზოგიერთი გულუბრყვილო არამენშევიკ ემიგრანტს ეგონა თურმე, რომ „გარიგება“ სხვანაირი იყო!).

და თუ შ. ამირეჯიბი და მისი თანამოაზრენი აჯანყების წინ და აჯანყების დროს დაღვრილ სისხლზე აშენებენ პოლიტიკას, — ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ მთელი ეს სისხლი ტყუილად დაიღვარა მენშევიკების ლიდერების პროვოკაციის გამო.

მეტსაც ვიტყვით: მენშევიკების ლიდერებს რომ იმის იმედი არ გქონოდა, აჯანყების დროს, მარტო არასო-

ციალისტები დაიხვრიტებიანო და მენშევიკების, სოციალისტების ლიდერებს ამას ვერ გაუბედავენო — მაშინ შეიძლება აჯანყებამდის არც მიეყვანათ საქმე.

კ. აბხაზისა და პირველი „სამხედრო ცენტრის“ საქმეში ხომ ასე იყო: თვით ყოფილი მენშევიკების ყრილობის პრეზიდიუმი ატყობინებდა ინგლისელ გერდენსონს: „დახვრეტილია მარტო თავადები. რეაკციონერები, თავმჯდომარე მენშევიკი კი ჯანმრთელი არისო!“ (იხ. გვ. 389—391 ყოფ. მენშევიკების ყრილობის სტენოგრაფიულ ანგარიშისა). ამის იმედით იყო, რომ ხომერიკმა, ჩხიკვიშვილმა და ჯუღელმა ირლანდიური სინფენერობა დაიწყეს საქართველოში; რას დაეძებდენ, თუ გარდამწყვეტ მომენტში გენდერსონისა და საზოგადოთ სოციალისტური ინტერნაციონალის ხათრით თვითონ გადარჩებოდენ, არასოციალისტ. მხედართა სისხლი კი უფსკრულს გათხრიდა ქართველი ხალხისა და საბჭოთა ხელისუფლების შუა?

მაგრამ კოკამ წყალი არ მოიტანა; ბოლშევიკურმა რევოლუციონურმა ტერორმა მოულოდნელად გაათანასწორა უმადლეს დანაშაულობასა და სასჯელში სოციალისტიც და არა სოციალისტიც, მენშევიკიც და არამენშევიკიც... და ასე რომ არ ყოფილიყო, მენშევიკების ლიდერები ყოველ შემოდგომაზე სისხლის რთველს გამართავდენ სსსრ-ის ქართველოში... სხვების ხარჯზე!..

ამიტომ ვეუბნებით ბ. ბ. ამირეჯიბებს: ნულარ ახვრეტიებთ, ბატონებო, თქვენს თავს და ნურც სხვებს ახვრეტიებთ ტყუილ-უბრალოდ. დაწყნარდით და მოასვენეთ ხალხი...

დროა, შეუდგეთ მემუარების წერას და გამოქვეყნებას!..

ახლა რამოდენიმე სიტყვა „რეალური პოლიტიკის“ შესახებ: ჩვენ ვეუბნებით იმ ხალხს, რომელიც დღეს გან-

ზეა გამდგარი აქტიური პოლიტიკისაგან და როგორც არასოციალისტური მასა, უპარტიოთ აცხადებს თავისი ქართველოში და ემიგრაციაშიაც; — ამ უპარტიო საქართველოს არავითარი ინტერესი არა აქვს გადააწნას თავისი ბედი ჟორდანიას მენშევიკურ „დამოუკიდებელ“ საქართველოს.

— უპარტიო საქართველოსათვის უმჯობესია არსებული საქართველოს ნორმალური ევოლუცია, ვიდრე მენშევიკური რესტავრაცია. სხვა საქართველო არ არის.

ამ ევოლუციის შესახებ ჩვენ შარშან, ივნისში, ასე ვწერდით „ახალ საქართველოს“ № 7 მეთაურში ფრანგულად:

— „ისტორიული თვალსაზრისით, როგორც ყოველი რეჟიმი, საბჭოთა რეჟიმიც განიცდის ერთგვარ ევოლუციას... და ისტორია გვასწავლის აგრეთვე, რომ რევოლუციური დიკტატორული პარტიის ევოლუცია ყოველთვის მეტ შესაძლებლობას იძლეოდა ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა გარანტიისათვის, ვიდრე გარეშე ინტერვენცია, ან შინაური კონსპირაცია“.

აი ეს არის „ახალი საქართველოს“ რეალური პოლიტიკა და ამიტომ ვართ ჩვენ წინააღმდეგი, რომ ქართველი ერი გადაყვეს ნოე ჟორდანიას ლულულს „დამოუკიდებელ საქართველოზე“.

**ჩვენ გვრწამს, რომ საქართველო საფლავში კი არა, იმ აკვნებშია, რომელიც დღეს ირწევა.**

დღევანდელ საქართველოს სჭირია გამრავლება, გამდიდრება და განათლება და არა სისხლის წვიმები.

პარიზი. 25 თებერვალი 1926 წ.

მდინკურის შემდეგ

## ოდენკურის შემდეგ

ოდენკურის ტრაგედიას უაღრესად პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ქართული ემიგრაციისათვის და მაშასადამე საქართველოსათვისაც.

უფლებას ვიტოვებთ დავუბრუნდეთ შემდეგში ამ საგანს; ამ ჟამად კი აუცილებლათ მიგვაჩნია სამი ფორმულით გამოვთქვათ ჩვენი შეხედულება:

ოდენკურის ამბები არის იმის შედეგი, რომ მენშევიკური პარტია ემიგრაციაშიც განაგრძობდა იმ გეგმონის პოლიტიკას, რომელიც ჟორდანიას საქართველოში ბატონობამ შექმნა.

ოდენკურმა ცხადყო, რომ მენშევიკებმა ემიგრაციაშიც ისევე დაკარგეს ეს გეგმონია, როგორც საქართველოში, და რომ ამას იქით მენშევიკებს აღარ შეუძლიათ ემიგრაციაზე ბატონობა სხვა საშუალებით, გარდა სისხლის დაღვრისა.

ოდენკურის ამბებმა საბოლოოდ დაამტკიცა, რომ ქართველი ემიგრაცია, როგორც მთლიანი პოლიტიკური ფაქტორი, აღარ არსებობს, მიუხედავად ახალი კოალიციისა.

საზოგადოთ ოდენკური ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ეპილოგი არის.

ჩვენი დასკვნა ასეთია:

ოდენკურის ტრაგედიამ უნდა თვალი აუხილოს ქართულ ემიგრანტულ, თავდაპირველათ უპარტიოთა მასას

და დაანახოს მას, რომ ერთად ერთი რეალური პერსპექტივა ის საქართველოა, რომელიც საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით უკვე მეექვსე წელიწადის განმავლობაში გრესის გზით მიდის. ამ ერთად ერთ რეალურ საქართველოს ცნობით და შერიგებით ემიგრაცია დაიბრუნებს სამშობლოს, ხოლო თვით საქართველო საბოლოოთ უზრუნველყოფს სამოქალაქო და ეროვნულ ზავს.

პარიზი. 15 მარტი 1926 წ.

რეპატირიანების საკითხი

## რეპატრიაციის საკითხი

ქართული ემიგრაციის „გმირული“ ხანა დასრულდა. დღეს იგი სინამდვილის პროზით არის გარემოცული და თვითონაც ამ სინამდვილის თვალსაზრისით უყურებს ხვალინდელ დღეს.

საქართველოში, როგორც გვესმის, ხშირად აყენებენ გულუბრყვილო კითხვას, თუ რატომ არ ბრუნდება დღესვე მთელი ემიგრაცია სამშობლოში? ამავე კითხვას უყენებენ ევროპიდან შინ დაბრუნებულ ხიზან ემიგრანტებს და, როგორც სჩანს, ზოგიერთ მათგანსაც ვერ გაუთვალისწინებია, როგორც საჭიროა, ქართული ემიგრაციის პრობლემის სირთულე.

საჭიროა, მოკლედ გავარკვიოთ ამ საგნის **საზოგადოებრივი** მხარე.

ევროპაში ამ უამად იმყოფება დაახლოვებით 2000 ქართველი.

ამათში ნახევარზე მეტი საფრანგეთის ტერიტორიაზეა, რადგან აქ შედარებით უზრუნველყოფილია სამუშაო.

საფრანგეთში მყოფ ემიგრანტთა უმეტესობა პარიზის რაიონშია, ვინაიდან დიდი ქალაქის მიმზიდველობის გარდა, თავიდანვე აქ მოეწყო ქართული „კობლენცი“: ყოფილი მთავრობა („ლიოვილი“), მისი ლეგაცია, და ემიგრანტული პარტიული ცენტრები, როგორც მენშევიკური, ისე არა მენშევიკური.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა, თუ ვინმე იტყვებდა, რომ დღეს ემიგრანტთა მასის მდგომარეობა ინტერესები იგივეა, რაც ემიგრაციის პოლიტიკურ ლიდერებისა.

ლიდერების საკითხი — ეს პროფესიონალური პოლიტიკანების პრობლემაა: ლიდერები, როგორც მინისტრად ნამყოფნი, ისე ისინი, ვინც სამინისტროდ ემზადებოდა, — დიდი ხანია იცნობდენ საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში, რომ თვით ხელისუფლება „იცნობდეს“ მათ და პარტიულს თუ არა, პირადულ თავმოყვარეობას მაინც დააკმაყოფილებდეს.

რაც შეეხება ემიგრანტულ მასას, ის მით განირჩევა ლიდერებისაგან, რომ მისი არსებობის სახსარი შრომაა.

ეს ემიგრანტული მასა დღეს არსებითად უპარტიო არის და აპოლიტიკური, ვინაიდან ჟენევაში ხალხთა ლიგის „ლოკარნოს სულის“ დაღვევისა და განსაკუთრებით ოდენკურის ამბების შემდეგ, — „მორიგე“ ემიგრანტისათვის სავსებით ცხადია, რომ ძველი მთავრობა და ძველი პარტიების პოლიტიკა გაკოტრდა. ამიტომ მორიგე, „უბრალო“ ემიგრანტისათვის დღეს უკვე მომწიფდა აზრი არსებული საბჭოთა საქართველოს რეჟიმის აუცილებლობის მიღებისა.

და თუ მიუხედავად ამისა, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს არსებითად აპოლიტიკური მასა მაინც ძველი ემიგრანტული ცენტრების ობიექტი რჩება და ძველ ემიგრანტულ კოლონიას ვერ სტოვებს, — ეს მხოლოდ პრაქტიკულ მოსაზრებების შედეგია.

ვეცდებით გავარკვიოთ ეს გარემოება.

არ შევჩერდებით აქ იმ ემიგრანტთა კატეგორიაზე, რომელთაც ანტიბალშევიკური მოძრაობის დროს არაპო-

ლიტიკური დანაშაულიც ჩაუდენიათ. — მათი საკითხი განსაკუთრებული ამნისტიის საკითხია.

არ შეეჭირდებით აგრეთვე, იმ ზოგიერთ ემიგრანტის შიშზე, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კანონით, ემიგრანტისათვის ანკეტის შემდეგ, საბჭოთა პასპორტისა და ვიზის მიცემა, იმავე დროს მისი პირადი წარსულის ამნისტიაც არის, — მაინც რაღაც „გარანტიებზე“ ლაპარაკობს, რომ „სამშობლოში დაბრუნებისას მათ წინააღმდეგ რაიმე ძველი საქმე არ აღძრან სათანადო დაწესებულებებში“-ო... ეს შიში უსაფუძვლოა, რადგან საბჭოთა სამართალი დღეს მხოლოდ კანონის ნიადაგზე სჯის მოქალაქეთ, მაგრამ ეს შიში უფრო ფსიხოლოგიური და ამიტომ იგი გაქრება იმდენათ, რამდენათ იზრდება რიცხვი შინ დაბრუნებულ ემიგრანტთა.

საანგარიშოა აგრეთვე თვით რეპატრიაციისათვის, ესე იგი საფრანგეთიდან საქართველომდე სამგზავროდ, საჭირო მატერიალური საშუალებანი, რომელიც ემიგრანტის ჯიბეში არ მოიპოვება...

მაგრამ გაცილებით უფრო სერიოზულია მეორე საკითხი, რომელიც ებადება ემიგრანტს, რეპატრიაციის წინ.

ეს არის საკითხი ემიგრანტის მატერიალური უზრუნველყოფისა თვით საქართველოში, ე. ი. საკითხი სამშობლოში შრომით, სამსახურით უზრუნველყოფისა სათანადო დაწესებულებათა მიერ; ამ საკითხის სერიოზულად გამოურკვევლად ემიგრანტს მიზანშეუწონლად მიაჩნია მიატოვოს ის სამუშაო, თუნდაც მძიმე, ფიზიკური, რომელსაც ავად თუ კარგად, მაგრამ ადგია დღეს აქ მშრომელი ემიგრანტი, ვინაიდან აქ, ყოველ შემთხვევაში, მისთვის უმუშევრობის საკითხი მოხსნილია...

ნებას ვაძლევთ თავს ვიფიქროთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის ორგანოებს შეუძლიათ სათანადო ანგარიში გაუწიონ ამ ფაქტს და რამდენათ მშრომელ ემიგრანტთა რეპატრიაცია და ამით საზოგადოთ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ლიკვიდაცია სასარგებლოა საბჭოთა საქართველოს სრული სტაბილიზაციისათვის, — საშუალება მისცენ აქ მყოფ დაინტერესებულ პირთ და დაწესებულებებს, მიიღონ დამაკმაყოფილებელი პასუხი და ინფორმაცია ამ კითხვებზე.

განსაკუთრებულ პირობებშია ქართული ემიგრაცია პოლონეთში, რომელიც მხედრებისაგან შესდგება და რომელიც იქ თავისი სპეციალობის დარგში მსახურებს...

საფრანგეთში მყოფ ემიგრაციისათვის არის კიდევ ერთი პრაქტიკული დაბრკოლება: ქართველმა ემიგრანტმა რეპატრიაციის წინ სათანადო ნაბიჯები საბჭოთა საკონსულოს საშუალებით უნდა გადადგას. ამ საკონსულოში დიდი რიგია სათანადო საქმეებისა, ხოლო ამით გამოწვეული დაგვიანება, თუნდაც უეჭვო დადებითი პასუხისა, უხერხულ მდგომარეობაში აყენებს განსაკუთრებით ქართველობას, რადგან მენშევიკური ლეგაცია და მისი მეგობარი დაწესებულებანი ყოველმხრივ ცდილობენ ასეთი ქართველის მდგომარეობა შეავიწროვონ... სასურველია ამიტომ, რომ საკონსულოში ქართველთა შუამდგომლობისათვის განსაკუთრებული შეღავათიანი წესი იქმნას შემოღებული, სანამ იარსებებს ქართული ემიგრაციის განსაკუთრებული პოლიტიკური პირობების შემქნელი მენშევიკური ლეგაცია...

ასეთია დღეს ის პრაქტიკული დაბრკოლებანი, რომელიც წინ ეღობება მშრომელი ემიგრაციის უმრავლესობის ლტოლვას საქართველოსკენ.

რაც შეეხება ქართული ემიგრაციის უმცირესობას,  
რომელიც აქ ისეთ ნაირ საქმესა და პროფესიას  
მოწყობილი, რომ დღეს დღეობით არჩევს, მას თავი არ  
განებოს, მათ შესახებ და აგრეთვე შესახებ მათი დამო-  
კიდებულებისა საბჭოთა კოლონიის მიმართ — შემდეგ.

პარიზი. 31 მარტი 1926 წ.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

«ქ ს ე ლ გ გ ე ლ ი»

## «ახალგზელი»

„საქმიანი საქართველოს“ შესახებ

„ახალგზელი“ („კომუნისტის“ უფასო დამატება), ეხება რა შ. ნუცუბიძის მოწოდებას „საქმიანი საქართველოს“ შესახებ, სწერს შემდეგს (№ 7, მ. და — ლის წერილი):

„ლექტორის ასეთი განცხადება ჩვენ მიგვაჩნია, რბილად რომ ვსთქვათ, არარევილიუციონურად და არამეცნიერულად“...

რატომ?..

— „მართალია, ქართულ პრესაში შ. ნუცუბიძის მიერ წამოსროლილი აზრი ახალი არ არის. შას თავისი დიდი ისტორია აქვს. ჩვენ ვიციტ ქართველი ჟურნალისტი, რომელიც წარსული საუკუნის 80 წლებში რუსეთის რევოლიუციონერებს უქადაგებდა რევოლიუციონური ბრძოლის უვარგისობას, რომელიც რევოლიუციონერებს ურჩევდა დაეგდოთ ბრძოლის ველი და გადასულიყვენ „საზოგადოებისათვის სასარგებლო რეალურ შრომაზე“.. ქართული ნაციონალური პრესა მუდამ იმას უქადაგებდა კერძოტ ქართველ სტუდენტობას: რუსეთში პოლიტიკურ მოძრაობაში მონაწილეობა არ მიიღოტ; იქ მხოლოდ ისწავლეთ, თავის ქვეყანას დაუბრუნდით და აქ „საქმიანობას“ შეუდექითო...“

თვით ქართულ ლიტერატურის ერთი უდიდესი მესვეურთაგანი აკაკი წერეთელი 1895 წელს, ესე იგი იმ

დროს, როცა მესამე დასი პოლიტიკურ აზროვნებისა კენ  
ეზიდებოდა ქართველ ხალხს, ან მოქალაქე ნუცუბიძის  
სიტყვით რომ ვსთქვათ. აუბედურებდა მას, იმავე ვითომ-  
და მესამე დასელების ორგანო „კვალში“ კმაყოფილებით  
იგონებდა, რომ როცა ის პეტერბურგის უნივერსიტეტის  
სტუდენტი იყო, მან სტუდენტების გაფიცვაში მონაწი-  
ლეობა არ მიიღო“.

უნდა ვალიაროთ, რომ ჩვენ, „ახალ საქართველოე-  
ბი“ სრულებით არ ვეთანხმებით „ახალგზელის“ იერიშს  
**საქმიანი საქართველოს** ლოზუნგის წინააღმდეგ.

რასაკვირველია, „საქმიანი საქართველო“ იმას არ  
ნიშნავს, რომ ქართველმა მთლად დაივიწყოს პოლიტიკა.  
მაგრამ მან უნდა თავი დაანებოს იმის ფიქრს, თითქო პო-  
ლიტიკა საშუალება იყოს, კაცმა **უსაქმოდ**, მარტო ლაპა-  
რაკით ან საგაზეთო წერილებით დრო გაატაროს. ქართ-  
ველი ახალგაზრდა ინტელიგენტი უნდა მიხვდეს, რომ  
პოლიტიკა ისეთივე მძიმე **პროფესია** არის, როგორც ექი-  
მობა, იურისტობა, ინჟენრობა ან პედაგოგია. — იმ გან-  
სხვავებით, რომ ხელობის რისკი პოლიტიკაში გაცილე-  
ბით უფრო მეტია!.. ბოლშევიკებმა მაინც მიგვახვედრეს  
ეს, ვგონებთ... ამიტომ ფრიად დროულად მიგვაჩნია პრო-  
ფესორ შალვა ნუცუბიძის ფორმულა „საქმიანი საქართვე-  
ლოს“ შესახებ, რომლის შედეგათ შეიძლება უფრო ნორ-  
მალური პროპორცია დამყარდეს საქართველოში პოლი-  
ტიკურ და არა პოლიტიკურ პროფესიათა შორის, ვიდრე  
დღემდის იყო...

ყოფილ მენშევიკთა პრეტენზიების შესახებ

ბოლოს და ბოლოს, როგორც სჩანს, არც თვით  
„ახალგზელი“ არის მთლად უარზე „საქმიანი ქართველე-



ბის“ შესახებ... ოღონდ ერთი პირობით. თუ ისინი ყოფი-  
 მენშევიკები იქნებიან. ყოველ შემთხვევაში, ბიულეტენის  
 № 8-ში, ვინმე „ახალმოსული“ ასე ბრძანებს:

„ახალგზელობა ნიშნავს: ა) საქმიან ქართველობას,  
 ბ) პოლიტიკურ ჩხირკედელაობისათვის თავის დანებებას,  
 ვ) „ეროვნულ განთავისუფლებისათვის“ უმიზნო მსხვერპ-  
 ლის წინააღმდეგ ბრძოლას“ და სხვ...

მაგრამ მოქალაქე „ახალმოსული“ უფრო ახალ რა-  
 მებესაც გვამცნობს. თურმე:

„ადვილი შესაძლებელი არის, რომ ადგილობრივ საბ-  
 ჭოთა არჩევნების დროს ახალგზელთა რომელიმე ჯგუფ-  
 მა დამოუკიდებლად, საკუთარის სიით დააპიროს არჩევ-  
 ნებში მონაწილეობის მიღება.

ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ასეთი შესაძლებლო-  
 ბა. არ უნდა გავუშვათ მხედველობიდან, რომ შესაძლე-  
 ბელია რომელიმე ადგილას ახალგზელებმა კატეგორიუ-  
 ლად მოითხოვონ საარჩევნო სიაში საკუთარ კანდიდატე-  
 ბის შეყვანა“.

თვით ავტორი ჭკუას არიგებს ამხანაგებს:

„ყოველ შემთხვევაში (საკუთარი სიით გამოსვლა)  
 სრულიად უარყოფს ახალგზელობის შინაარსს. არჩევ-  
 ნებში დამოუკიდებელი სიით მმართველ პარტიას უნდა  
 დაუპირდაპირდეს მისი მოწინააღმდეგე ჯგუფი. რომლის  
 მიზანია არსებულ ხელისუფლების დამხობა.

ახალგზელები არ წარმოადგენენ საბჭოთა ხელისუფ-  
 ლების საწინააღმდეგო პოლიტიკურ ძალას და არც ისა-  
 ხვევენ მიზნათ მის დამხობას.

მაშასადამე, პოლიტიკურად დიდი შეცდომა და უაზ-  
 რობა იქნებოდა არჩევნებში საკუთარი სიით გამოსვლის  
 ცდა. რამდენათ ჩვენ მიზნათ ვისახავთ მშრომელთა ფრონ-

ტის მთლიანობის აღდგენას, იმდენათ უნდა <sup>წულობით</sup> გვერდი გამთიშველ პოლიტიკას. პროვინციელი <sup>ამხანაღი</sup> ბი უნდა ჩაუკვირდენ ამ საკითხს და არ აჩქარდენ მის გადაწყვეტაში. როდესაც ახალგზელებმა თავის უკანასკნელ თათბირზე გადასწყვიტეს კომპარტიასთან ორგანიზაციული დაკავშირება, ამას არ ქონია კომპარტიასთან **პარტიულ** შეთანხმების ხასიათი. არც კომპარტიას აუღია თავის თავზე ვალდებულება და არც ახალგზელებს მოუთხოვიათ ძალაუფლების განაწილება.

ახალგზელები მივიდენ ხელისუფლებასთან არა ძალაუფლებაში მონაწილეობის მიღების, არამედ ამ ხელისუფლებისათვის დახმარების მიზნით. აქ არ იყო დასმული **კოალიციის** საკითხი.

რამდენათ ეს ასე არის, იმდენათ უაზრობა იქნებოდა მოთხოვნილება, რომ საარჩევნო სიაში ახალგზელების განსაზღვრული პროცენტი აუცილებლად შეეტანათ. ეს მოთხოვნილებაც პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა. ყოველმა ახალგზელმა უნდა შეიგნოს, რომ ის არის არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრიო“...

მაგრამ, როგორც ჩანს არიან ისეთი „ახალგზელები“, ან და ყოველ შემთხვევაში ყოფილი მენშევიკები, რომელთაც ასეთი პრეტენზიები სადღეისო საქმეთ წარმოუდგენიათ, თუ სატახტო ქალაქში არა, პროვინციაში მაინც...

და აი, რამდენათ „ახალმოსულის“ წერილი ასეთ პარტიულ პრივილეგიების ტენდენციას ააშკარავებს, ჩვენ საქროდ მიგვაჩნია შოვიყვანოთ ზოგიერთი აბზაცები იმ წერილიდან, რომელიც უძღვნა შარშან „ახალ საქართველოში“ (№ 4) ამ საკითხს **ნიკოლოზ მიწიშვილმა**:

„უცხოეთში და ხშირად საქართველოშიც... ძველი ფორმაციის ზოგიერთი პოლიტიკური პარტია კიდევსამდე დოვნებს, ვაჭრობს და ლაპარაკობს ლეგალურ პარტიულ მუშაობის შესახებ... ისტორიულად და ლოლიკურად ამას არავითარი გამართლება არა აქვს...

ჩვენ არა ვართ კომუნისტური ან სხვა რომელიმე პარტიის ორგანო, მაგრამ სწორედ ამიტომ ვაყენებთ საკითხს კატეგორიულად და რადიკალურად: ერთი ისტორიული ეპოხა გათავდა, ამოიცალა და ხალხი, რომელიც ქმნიდა ამ ეპოხას, სულიერად გაქაჩლდა.

ეს ცხადყო ციხეში დაწერილმა „პარიტეტულმა“ დოკუმენტმა და ნურავინ გაიკვირვებს, თუ ჩვენ დღეს მოვითხოვთ მისი შედეგების პარიტეტულადვე განაწილებას. გამონაკლისი აქ შეუძლებელი და მიუღებელია.

ფიქრი არასოციალისტურ და წვრილსოციალისტურ საქართველოს პარტიულად გაშლაზე არ შეიძლება. ეს საქართველო გამდგარია ისეთ შეჯგუფებათა გარეშე. ეს ის საქართველოა, რომლის შესახებაც ჩვენი გაზეთი (№ 1) სწერდა: „მთელის პოლიტიკური შეგნებით ვღებულობთ საბჭოთა ფედერაციაში მყოფ საქართველოს რესპუბლიკას, როგორც უდავო ფორმას ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელებისათვის...

გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ამ საქართველოს აზრი და მისწრაფება ჩვენ სისწორით გადმოვეცით... ძველი პოლიტიკური ჯგუფების იდეოლოგიურ და მორალურ სიკვდილის შემდეგ ეს ფორმულა მისაღები უნდა იყოს ყოველი პატიოსანი ქართველისათვის.

საერთოდ ეს ასეც ხდება, მაგრამ მოულოდნელად სიწყნარეში შედის ხანდახან რაღაც დისონანსი და ჩვენ ვხედავთ, რომ მენშევიზმი აპირებს აღდგენას და რო-

გორც პარტია ბედავს ლაპარაკს რაღაც განსაკუთრებული პრივილეგიებზე საქართველოში.

ეროვნული  
შედეგებისათვის


დღემდის ეს პარტია იბრძოდა თითქოს ერის სათვის; თუ საქართველოსა და მის ბედზეა ლაპარაკი, — ბრძოლა წმიდა პარტიულ პრივილეგიებისათვის ერის ხარჯზე — სირცხვილია და ხალხის ღალატი.

ჩვენ იძულებულნი ვართ განვაცხადოთ, რომ ქართველი ხალხი არაა მენშევიკების ხვედრი და მენშევიზმისთვის გაჩენილი. ჩვენ გვეყო წარსულიც და მენშევიზმის განახლებაც რა სახითაც არ უნდა იქნეს ის, მიუღებლად მიგვაჩნია. საყურადღებოდ მენშევიკურ ლიდერებისა აშკარათ ვიტყვით, რომ ჩვენი სურვილია — საქართველო უმენშევიზმით...

...ქართველი ხალხი თანდათან მიდის და მივა საბჭოთა ხელისუფლებასთან ასი ასზე, მაგრამ ეს იქნება უმთავრესათ ანტიმენშევიკური, ე. ი. წმინდა ქართული პროცენტები და აქ არც ერთი ს.-დ. „მუშათა კომისია“ არაფერ შუაშია.

ჩვენთვის და ქართველი ხალხისათვის საკითხი დგას მარტივად და უბრალოდ. თუ მენშევიკებს ენანებათ თვისი მარკსისტული წარსული, საქმის გამოსწორება შეიძლება მხოლოდ მუშათა კეშმარიტ მოძრაობასთან დაკავშირებით, ესე იგი ლენინისეული გაწვევა, სტაჟის გავლა და სინდისიერათ მისვლა იმ პარტიასთან, რომელსაც აქვს გარკვეული მიზანიც, იდეალებიც, ბრძოლის უნარი და საშუალებაც და რომელსაც მსოფლიო პროლეტარიატის რიგებში მოეპოვება უდიდესი რეზონი და რეზონანსი.

თუ ძველი მენშევიკებისათვის შესაძლებელი იყო საქართველოში ერთი გაერთიანებული „სოციალისტური“ პარტიის არსებობა (რამიშვილის იდეა — სოციალისტური

და არასოციალისტური პარტიები) — რისთვის უნდა იყოს  
დღეს სადაო ერთი კომუნისტური, მარკსიზმზე დამყარე-  
ბული პარტია? 

ესაა საუკეთესო ბედი, რომელზედაც შეუძლია იოც-  
ნებოს ყოველმა მენშევიკმა, თუ მართალია მათი მარკსიზმ-  
თან სიახლოვე.

რაიც შეეხება დანარჩენ საქართველოს, როგორც მა-  
სას და როგორც ერს — „საქართველო უმენშევიზმით“ —  
დარჩება ბოლომდის მის ლოზუნგათ“.

პარიზი. 31 მარტი 1926 წ.

ქართული წითელი ჯარი

## ქართული წითელი ჯარი

ხუთი წლის თავზე

1921 წლის 26 თებერვალს თბილისში საქართველოს რევკომმა, მამია ორახელაშვილის (რევკომის თავმჯდომარე) და შალვა ელიაშვიას (სამხედრო კომისარი) ხელმოწერით გამოსცა ისტორიული დეკრეტი № 2 ძველი რევულიარული არმიის და მენშევიკური სახალხო გვარდიის დემობილიზაცია — დათხრვნის შესახებ.

ამავე წლის 21 მარტს, ბათუმში, როცა მენშევიკური მთავრობა ევროპაში გაიქცა, შალვა ელიაშვიას მიერ გამოცხადებულ იქნა ბრძანება ქართული წითელი ჯარის შესადგენათ.

რასაკვირველია, აქაც ქართველმა ბალშევიკებმა სახელმწიფოებრივი ნიჭითა და გონებით აჯობეს მენშევიკებს და ერთბაშათ მოსპეს უორდანია — რამიშვილის ორსისტემიანი, ორტანიანი სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც ეგრედ წოდებულ „სახალხო“, ესე იგი პარტიულ გვარდიას უპირდაპირებდა რევულიარულ ჯარს.

ქართველი ბალშევიკები შეუდგენ ქართული წითელი ლაშქარის მოწყობას რევოლუციონური რუსეთის რევულიარული ჯარის სისტემითა და დისციპლინით.

საგულისხმოა, რომ ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართული წითელი ჯარის ორგანიზაციას.

აი რას სწერდა ის კავკასიის წითელი არმიის ხელმძღვანელს სერგო ორჯონიკიძეს 1922 წლის 13 თებერვალს: „მიიზიდეთ ხელისუფლების ყველა განოები და ყველა მშრომელი მასები მუშაობაში არმიის შესაქმნელად...“

საქმით, რათაც არ უნდა დაგიჯდეთ, დაუყონებლივ გააძლიერეთ საქართველოს წითელი არმია. დეე, ამთავითვე იყოს ერთი ბრიგადა“...

და აი ხუთი წლის თავზე, საბჭოთა საქართველომ ამცნო მოყვარესაც და მტერსაც, რომ მას ყავს დამცველად ორი ქართული მსროლელი დივიზია საქვეითო საარტილერიო და ცხენოსანი ლეგიონებით (სომხეთსა და ადერბეიჯანში თითო დივიზიაა მოწყობილი).

როგორც ლევან დოდობერიძის ინტერვიუდან სჩანს, რომელიც დაიბეჭდა შარშან „ლუმანიტეში“ —რიცხვი ქართული ჯარის უდრის 15 ათასს.

თანახმად სადივიზიო პოლიტ-განყოფილების მიერ გაზეთებში გამოქვეყნებული მასალებისა, 1 მსროლელი დივიზია აღმოსავლეთ საქართველოში სდგას, მე-2-რე კი — დასავლეთ საქართველოში.

ორივე დივიზიიდან გამოყოფილია ტერიტორიალური დივიზია, რომლის საკომპლექტო რაიონს ამჟამათ მთელი საქართველო წარმოადგენს (ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკებთან, ესე იგი აბხაზეთ-ოსეთ-აჭარისთან ერთად).

ქართული წითელი ჯარის იუბილეს დიდის ზემიით შეხვდა არა მარტო საქართველო და კონფედერატიული ამიერ-კავკასია, არამედ რუსეთი და მთელი საბჭოთა კავშირი.

ქართულ წითელ ჯარს სალამით მიმართა საბჭოთა  
კავშირის სამხედრო კომისარმა ვოროშილთს (რომელმაც  
(რომელმაც სალამთან ერთად ორასი ცხენი უძღვნა ქარ-  
თულ კავალერიას), საბჭოთა ც. ა. კ-ის მდივანმა აბელ  
ენუქიძემ, კომინტერნის თავჯდომარემ ზინოვიევი-  
მა, აგრეთვე ს. კამენევმა და ბუდიონიმ.

ბუდიონის მისალმებაში საგულისხმოა ის ადგი-  
ლი, სადაც იგი ამბობს, რომ „მეექვსე წლის დაწყებისას  
საბჭოთა საქართველოს საზღვრები საიმედოთ არის და-  
ცული ქართული წითელი ჯარის მიერ“..

ჩვენ არ შეგვიძლია ამ სიტყვების გამო არ მოვიგო-  
ნოთ სიტყვები საკავშირო სამხედრო და საზღვაო კომი-  
სარიატის რწმუნებულისა ამიერ-კავკასიაში, სერგო ორ-  
ჯონიკიძის, რომელმაც 1924 წ. ოქტომბერში სთქვა:  
„დაგვანებოს ინგლისმა და სხვებმა თავი და ჩვენ მუდმი-  
ვი ჯარიდან ტერიტორიალურ (მილიციურ) სისტემაზე  
გადავალთ, მაშინ ტამბოველი ტამბოვში დარჩება და ქუ-  
თათური ქუთაისში“...

შორეულ უცხოეთში მყოფნი მოქალაქენი საბჭოთა  
საქართველოსი, მხურვალე და გულწრფელ სალამს ვუერ-  
მა, გლეხებმა და ინტელიგენციამ სახელოვანი ქართული  
თებთ იმ ზეიმს, რომლითაც გადიხადა ქართველმა მუშებ-  
წითელი დივიზიების ხუთი წლის თავი.

სალამს ვუძღვნით იმ ქართველ ჯარისკაცთ და მათ  
ხელმძღვანელთ, რომელნიც თავიდანვე სამშობლოში  
დარჩენ და მით ერს საქმით გაუწიეს სამსახური.

იმედს გამოვთქვამთ, რომ დღემდის ემიგრაციაში  
მყოფი ქართველ აფიცრების დემოკრატიული ნაწილი,  
გაბნეული საფრანგეთ-პოლონეთში, ამავე გზას დაადგება.

პარიზი. 20 აპრილი 1926 წ.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

სემინარიის მოგვა

## სამენაწიხელოება

რუსული და ქართული.

ჩვენ წინ დევს მოსკოვის ჟურნალ „ახალი რუსეთის“ (Новая Россия) № 1, 1926 წლის იანვრის თარიღით.

ეს ჟურნალი წინადაც გამოდიოდა საბჭოთა რუსეთში, მაგრამ იგი მხოლოდ ლიტერატურული იყო.

ამ წლის იანვრიდან კი „ნოვია როსია“ გადაკეთდა პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ჟურნალად.

დიდათ საყურადღებოა, რომ ამ ფაქტით დიქტატორული კომპარტია ნებას რთავს უპარტიოთა ჯგუფის პოლიტიკურ ბეჭდვით ორგანოს.

თვით ჟურნალი, სარედაქციო მეთაურში, რომელიც ეხება მმართველი პარტიის XIV ყრილობას, სწერს, რომ უპარტიო გამოცემისათვის ეს ძნელი თემაა, მაგრამ, ამბობს იგი: „განა ასჯერ უფრო ძნელი არ არის უპარტიო ხალხისათვის აწარმოონ პრაქტიკული მუშაობა, სამეურნეო და კულტურული, პარტიის ხელმძღვანელობით, თუ კი ამ ხელმძღვანელობის აზრი მათ არ გაიგეს და არ დააფასეს მისი სახელმწიფოებრივი მიზანშეწონილება?“—ო.

საზოგადოთ ჟურნალ „ახალ რუსეთის“ რედაქციის პლატფორმა იმით ხასიათდება, რომ იგი იზიარებს მთავრობის პოლიტიკის გენერალურ ხაზს, რომელმაც დაამარცხა ოპოზიცია პარტიის უკანასკნელ ყრილობაზე, მაგრამ ჟურნალი გვერდს უვლის იმ დისკუსიის ზედნაშენს —

თეორიულ სექტანტურ დავას და სამაგიეროდ ხელს  
დებს დისკუსიის პრაქტიკულ საძირკველს, ესე  
სახელმწიფოებრივ საჭიროებათ და საკითხებს, რომელიც  
გარდასაწყვეტი აქვს დღეს საბჭოთა ხელისუფლებას, რო-  
გორც საგარეო, ისე განსაკუთრებით საშინაო ფრონტზე.

და აი, რამდენათ ჟურნალი „ახალი რუსეთი“ ეხება  
დისკუსიის სახელმწიფოებრივ შინაარსს, იგი აღიარებს,  
რომ მმართველ ცენტრის პოლიტიკური ხაზი რეალურია,  
როცა იგი მიზნად ისახავს სოციალური ზავის  
დაცვას ქალაქსა და სოფელს შორის ისეთი ეკონომიური  
საჭირბოროტო საკითხების გარდაწყვეტის დროს, როგორ-  
ცაა მაგალითად ქალაქისა და სოფლის ნაწარმოების  
ფასების შეფარდება.

ჟურნალის იდეოლოგიური სახე უფრო ცხადდება  
შემდეგ პრინციპიალურ წერილში („გოს-შაპკა“) რომე-  
ლიც ხელმოწერილია რედაქტორის, ი. ლეჟნევის  
მიერ.

ლეჟნევი აყენებს შემდეგ საკითხს: — რას მისცემდა  
დღეს რუსეთს მემარჯვენე რეცეპტი — თავისუფლებას  
სამეურნეო და კულტურულ თვითგამორკვევისა? —  
„ეკონომიკაში უპასუხებს იგი, ეს იქნებოდა უსტრია-  
ლოვოს-ებური ბურჟუაზიული რესტავრაცია და სა-  
ხელმწიფო მეურნეობის ჩაშლა; საგარეო ვაჭრობაში ეს  
იქნებოდა მონოპოლიის უარყოფა და ქვეყნის კოლონია-  
ლური დამოკიდებულება; პოლიტიკაში კი ეს იქნებოდა  
გარდატეხა ფაშიზმისაკენო“...

ამიტომ, ამბობს ლეჟნევი: „არაა საჭირო მარმელა-  
დიანი „აბივატელობა“. ვიყოთ პასუხისმგებელი მოქა-  
ლაქენი და ვთქვათ: „თავისუფლება ბუნებაში  
არ არსებობს, არის მხოლოდ აუცილებლობა თავ-

ვისუფლებების ილუზიით შეხვეული... ამიტომ დღეს ჩვენ-  
თვის საჭიროა ერთ და იმავე დროს დ ი კ ტ ა ტ უ რ ა  
და დ ე მ ო კ რ ა ტ ი ზ მ ი ც, რამდენად ერთიც და მეო-  
რეც პროგრესიული ფაქტორია და ხელს უწყობს ქვეყნის  
საწარმოო ძალების განვითარებას“-ო...

ამ ციტატით ნათლად სჩანს, რომ ჟურნალი „ახალი  
რუსეთი“, მიუხედავად იმისა რომ მის პოლიტიკურ-სა-  
ზოგადოებრივ განყოფილებაში მონაწილეობს ლეჟნევ-  
თან ერთად ს ა დ ი ს კ უ ს ი ო წესით თვით უსტრია-  
ლოვი (ისე, როგორც რამოდენიმე სხვა ყოფილი არასო-  
ციალისტური რუსული ინტელიგენციის წარმომადგენე-  
ლი), — მაინც გაცილებით მარცხნივ დგას, ვიდრე რუსის  
„სმენავეხის“ პლატფორმა.

მართლაც პრალაში, 1921 წელს გამოცემული კრე-  
ბული თვით სახელი смена вех რომ შექმნა (რომელშიც  
გამოვიდნ საბჭოთა ასპარეზზე: კლიუჩნიკოვი, უსტრია-  
ლოვი, ლუკიანოვი, ბობრიშჩევი-პუშკინი, ჩოხოტინი და  
პატეხინი) და აგრეთვე ამ ჯგუფის მიერ 1922 წელს ბერ-  
ლინში დაარსებული გაზეთი накануне, — იმ იდეით  
იყვნენ გაუღებელი, რომ საბჭოთა ხელისუფლების ინ-  
ტერნაციონალური და საკუთრივ რუსეთის ნაციონალუ-  
რი მიზნები ერთი და იგივეა.

ამ მხრივ რუსის „სმენავეხელები“ მართლაც რესტავ-  
რატორები იყვნენ ძველი რუსეთის იდეებისა.

რაც შეეხება თვით პროფ. ნ. უსტრიალოვს, მან 1925  
წელს გამოსცა ხარბინში საკუთარი წერილების კრებული  
„რევოლუციის ნიშან ქვეშ“ (ნაციონალ-ბოლშევიზმი და  
რუსული ფიქრები (ფილოსოფია ეპოხისა).

უსტრიალოვი ამბობდა, რომ რუსეთის რევოლუციის  
მომავალი არის კ რ ა ს ი ნ ი ზ მ ი, რომ რევოლუციო-

ნური რუსეთი განიცდის სოციალურად მესაკუთრეთ-  
რეთა ბურჟუაზიულ ქვეყნად გარდაქმნას. რომ ბუხარინის  
ძოწოდება გლენებისადმი: „გამდიდრდით. ნულარ გეში-  
ნიათ“; არის განმეორება ბურჟუაზიული საფრანგეთის ის-  
ტორიული ლოზუნგის და სხვა ასეთები.

ამისთვის უსტრიალოვის წინააღმდეგ უღმობლად  
გაილაშქრა „იზვესტიას“ ფურცლებზე ზინოვიევა, თუმც  
ისტორიის ირონიით, ზინოვიევის საკუთარ „ფილოსო-  
ფიას“ მალე გაცილებით მეტი უსიამოვნება შეხვდა პარ-  
ტიის ყრილობაზე კ. სტალინ-ჯულაშვილის და ბუხარინის  
მიერ...

ასეთია რუსული სმენავეხელობის უმთავრესი წერ-  
ტილები.

ქართული ინტელიგენციის საბჭოთა რელსებზე გა-  
დაყვანის პროცესში ჩვენი გაზეთი ერთად ერთი ბექდვი-  
თი ორგანოა ე. წ. „სმენავეხური“ ტენდენციისა. (პირვე-  
ლი ნომრის საპროგრამო წერილში ჩვენ ვახსენეთ ეს  
სიტყვა).

მაგრამ ჩვენ თავიდანვე ავირჩიეთ ისეთივე სახელი,  
რომელიც დღეს დაარქვა რუსის სმენავეხელების მემარ-  
ცხენა ფრთამ თავის ჟურნალს მოსკოვში.

რუსის სმენავეხელებმა „ნაკანუნე“-თი დაიწყეს  
(„ხვალ“ და „ზეგ“ რალაც უფრო ახალს ელოდენ) და „ახა-  
ლი რუსეთით“ გაათავეს;

ჩვენ პირველადვე ვთქვით—„ახალი საქართველო“...

მაგრამ ჩვენი სმენავეხელობა არა მარტო ამ საგა-  
ზეთო მარკით არის მემარცხენე.

შინაარსითაც ჩვენ არასოდეს არ ვიყავით იმ აზრის  
მომხრე, რომ საბჭოთა რეჟიმის ევოლუტცია ბურჟუაზიულ

საფრანგეთის რესტავრაციული პროცესის განმეორება  
უნდა იყვეს.

საქართველო  
საზოგადოებრივი

არც სოციალურათ და მით უფრო არც ეკონომიკურად  
ქართულ ნაციონალურ იდეის მოტრფიალზე ინტელიგენ-  
ციას არ აქვს საბუთი ასეთ „ტერმიდორს“ ან „ბრიუმერს“  
შენატროდეს საბჭოთა რუსეთში, რადგან ამისი შედეგებია  
საქართველოსთვის ფრიად სახიფათო იქნებოდა დღევან-  
დელ status quo-სთან შედარებით.

ამიტომ ქართული არაკომუნისტური უპარტიო საბ-  
ჭოთა ინტელიგენციის და საზოგადოებრიობის პლატფორ-  
მა გაცილებით უფრო რადიკალური და მემარცხენე უნდა  
იყოს, ვიდრე რუსის სმენავეხელებისა...

ამიტომ იყო და არის, რომ ჩვენი გაზეთი გადიქცა  
ფაქტიურად ქართული საზღვარგარეთელი, ემიგრანტუ-  
ლი, საბჭოთა პლატფორმაზე დამდგარი, მაგრამ არაკო-  
მუნისტური ინტელიგენციის უპარტიო ორგანოთ...

ქართული მთავრობისა და კომპარტიის ორგანო „კო-  
მუნისტი“ ასე სწერდა გაზეთ „ახალი საქართველოს“ პირ-  
ველ ნომრის შესახებ (№274):

— „თანამშრომლობა საბჭოთა მთავრობისა და ქართ-  
ველ „სმენავეხელების“ შესაძლებელია როგორც უც-  
ხოეთში, ისე საქართველოში“-ო.

თუ ამ ნიადაგზე საზღვარ-გარეთულ გაზეთ „ახალ  
საქართველოს“ უკვე წელიწად ნახევარი შეუხსრულდა, —  
ჩვენ ვგონებთ, რომ საქართველოშიც მიზანშეწონილი  
იქნებოდა ისეთი ტიპის ბაჭდვითი ორგანოს არსებობა.  
როგორცაა მოსკოვის ჟურნალი.

საჭიროდ მიგვაჩნია, აღვნიშნოთ შემდეგი დამახასია-  
თებელი ფაქტი, მოყვანილი ვინმე „ლიტერატორის“ წე-



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

რილში „ქართველ მწერალთა ყრილობის გამო-  
ნალი „დროშა“ № 6-7).

ამ ყრილობაზე, ავტორის გადმოცემით, გაკვირვება  
გამოითქვა, — „რატომ არ შეუძლია ქართულ მთავრო-  
ბას, თანამშრომლებათ მოიწვიოს თუნდ ნაციონალისტუ-  
რად განწყობილი ინტელიგენცია. თუ კი საბჭოთა კავში-  
რის (მოსკოვის) მთავრობა თანამშრომლებად იწვევს უს-  
ტრიალოვს და სმენავეხელებსო!“...

პარიზი. 5 თებერვალი 1926 წ.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

გ ე მ მ კ ვ რ ი თ

## გ ა მ ო კ ვ რ ი თ

ბრძოლა და ტურიზმი

„ბრძოლას“ (№ 6) „ახალი საქართველოებს“ ემიგრანტობასაც ედავება:

ემიგრანტები კი არა, ტურისტები არიან, რომელნიც მოგზაურობის შემდეგ შინ ბრუნდებიანო.

კარგი და პატიოსანი. მაგრამ, ერთი აგვიხსნას „ბრძოლამ“ შემდეგი: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ოჯახი ემიგრანტების რიცხვს ეკუთვნის, თუ ტურისტებისას; მაგალითად. „პრეზიდენტის“ ასული რომ შარშან წინ დასეირნობდა პარიზისა და „ცარსკოე სელოს“, უკაცრავათ, ლანჩხუთის შუა, ეს რაღა ეშმაკი იყო: რეპატრიაცია. ტურიზმი თუ დიპლომატიური კურიერობა?

ბოლშევიკური კატა და მენშევიკური თაგვიები

„ბრძოლამ“ (№ 7) თვით კ. სტალინ-ჯულაშვილს გაკრა: „ლილოელმა გლეხმა აჯობა ზინოვიევისთანა განათლებულ მოქალაქეთო“... და ასე „ამ უძაღლო ქვეყანაში, რომელსაც რუსეთი ეწოდება, ქართული კატა აყვავდაო“...

ლიოვილის ფერმაში შეხიზნული მენშევიკები, როგორც სჩანს, კარლო ჩხეიძის შორაპნული იუმორით იყო-

ლიებენ თავს, მაგრამ საინტერესოა, რომელია ამ საწყალო მენშევიკური თავგებიდან, რომ ბოლშევიკურ კატასტროფის შებმას დაუპირებს?

### ემიგრანტული „სამეცნიერო“ დისკუტები

როგორც გადმოგვცემენ, ამას წინად ემიგრანტ ქართველ სტუდენტთა ორგანიზაციას მიუპატიებია პროფესორი ავალიშვილი ლეკციის წასაკითხად შემდეგ თემაზე: „საქართველოს შეერთება რუსეთთან“. (ეხლანდელი კი არა, ასი წლის წინ რომ იყო).

პროფესორს წაუკითხავს ლეკცია ისეთივე ტენდენციის, როგორცაა მისი ცნობილი მონოგრაფია ამ საგანზე (ამავე სათაურით); ესე იგი, რომ ერეკლე მეფის საქართველო თვითონ ეძახდა რუსეთს და რუსეთს საქართველო არ დაუპყრიაო... ასეთი დასკვნა წყენია ფაშისტურად განწყობილ სტუდენტებს და მათ, ტაშის მაგიერ, კინალამ უსტვენიათ. ამ სულისკვეთების გამოსახატავად ავალიშვილის წინააღმდეგ გამოსულა „მეცნიერი“ დოცენტი ლეო კერესელიძე, რომელსაც გამოუცხადებია, რომ იგი შემდეგ სხდომაზე საკრიტიკო მოხსენებით გამოვა; მართლაც ეს მოხსენება შემდგარა და ლეო კერესელიძეს სულ „ბღღირი აუყენებია“ ავალიშვილის მეცნიერულ დასკვნებისათვის. ნეოფიტთა აუდიტორიასაც ერთხმად მხურვალე ოვაციებით დაუჯილდოვებია კერესელიძე, რომელსაც როგორც ორჯერ ორი — ხუთია, დაუმტკიცებია, რომ მეფე ერეკლე აქ არაფერ შუაში იყო, არამედ რუსეთმა ისევე დაიპყრო საქართველო ასი წლის წინ, როგორც დღესო!..

აქ ლეო კერესელიძე ძველი ლეგიონების სარდლის როლში შესულა და უთქვამს: ასი წლის წინ ალექსანდრე



ბატონიშვილმა უწინამძღოლა რუსეთის საწინააღმდეგო  
ბრძოლას და დღესაც, რომ ვინმე ასეთი ბატონიშვილი  
გაჩნდებოდეს — ჩვენ და მთელი ერი მას გავყვებით.  
ბაგრატიონების ხსენებაზე ოვაციები კიდევ უფრო გაზრ-  
დილა. ზოგიერთ ალტაცებულ მსმენელს ლეო კერესელი-  
ძის ნაპოლეონისებურ ფიგურის შთაბეჭდილებით კი თვით  
ლეო კერესელიძე წარმოუდგათ გონებაში, როგორც  
დღევანდელი ბატონიშვილი და „დუჩე“.

პარიზი, 25 აპრილი 1926 წ.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

საერთაშორისო მიმდინარეობა

## საერთაშორისო მიმოხილვა

### I. გერმანია-საბჭოთა პაკტი

„ახალი საქართველოს“ № 13 (წრეულ იანვარში) ასე აფასებდა იმ იმედებს, რომელიც გაუღვიძა ქართულ ემიგრაციას ლოკარნოს პაკტმა:

„ეს იმედები ფანტაზია არის.

ახალ გერმანიას თავისი საკუთარი მიზანი აქვს: დაკარგული ტერიტორიის და კოლონიების მოპოება.

ამისთვის დღეს გერმანიას ომი არ შეუძლია.

ამიტომ იგი ცდილობს მორიგებით აღადგინოს სწორ-წონაობა თავის მეზობლებთან (მაგალითად საფრანგეთთან), თანდათან მეტი დაათმობინოს და თანდათან ფეხი მოიმაგროს უკეთესი მომავლის მოლოდინში.

მაგრამ ამისთვის, რასაკვირველია, გერმანია უარეს ომს და უარეს რისკს არასოდეს არ გასწევს და ინგლისისათვის შემწვარი წაბლის გამოღებას ბალშევიკური ცეცხლიდან არ დაიწყებს.

ახალ გერმანიას კარგათ ახსოვს, თუ რა დაუჯდა ძველ გერმანიას ბისმარკის ანდერძის დარღვევა და რუსეთთან შეტაკება...

გავიდა ოთხი თვე და ამ ხნის განმავლობაში საბოლოოდ გამოირკვა ლოკარნოს პოლიტიკის გაკოტრება და გერმანიის ნამდვილი ორიენტაცია...

17 მარტს ჟენევაში ერთა ლიგის საბჭოს პლენუმი ისე დაიშალა, რომ ლიგის აღმასრულებელ ორგანოს



გაფართოვების საკითხში შეთანხმებას ვერ მიაღწია, ამის გამო გადაიდო ერთა ლიგაში გერმანიის მიღების საკითხი და ამგვარად გამოირკვა, რომ ლოკარნოს „სული“ ისე დაილია, რომ ოთხი თვეც ვერ გაძლო (1 დეკემბრიდან).

24 აპრილს კი ბერლინის ტრაკტატით გერმანიამ მთელ ქვეყანას ამცნო, რომ იგი საბჭოთა კავშირთან 1926 წელშიც იმავე პოლიტიკას აწარმოებს, როგორც 1922 წელს ჩამოყალიბდა საბჭოთა რუსეთის და გერმანიის ხელშეკრულებით, რაპალოში.

ბერლინის ახალი ტრაკტატის შესავალში შტრეზემანი პირდაპირ აღიარებს, რომ გერმანიის ინტერესი მოითხოვს საბჭოთა კავშირთან მუდმივ თანამშრომლობას.

ამ გვარად დასრულდა კიდევ ერთი ემიგრანტული სიზმარი და გამოირკვა, რომ როგორც სამხრეთით (ოსმალეთი), ისე დასავლეთით (გერმანია) საბჭოთა კავშირი უზრუნველყოფილია ინტერვენციიდან, ომში და ზავში დასახელებულ სახელმწიფოთა ორიენტაციით.

## II. ინგლისის გაფიცვა

მაგრამ ის, რაც ინგლისში ხდება, სიზმარის გაქრობაზე მეტია ემიგრაციისათვის, ეს პირდაპირ კოშმარია;

ქართული ემიგრაციის პოლიტიკოსები, როგორც მეორე ინტერნაციონალის ხასები: ჟორდანია-წერეთელი, ისე ფაშიშვის „უტუ“ მოციქულები, — ყოველთვის უმთავრეს ანტიბოლშევიკურ იმედს ინგლისზე ამყარებდნენ. აწ უკვე დახურულ ჟურნალ „სამშობლოს“ რედაქტორი ს. კედია ასეთ სიზმრებში იყო: „ხეირი არ დაეყრება იმ მთავრობას და ქვეყანას, რომლისთვისაც ინგლისი მოიცლის... საბჭოთა კავშირის რეალ საფრთხესაც მარტო ინგლისი შექმნისო“ (№ 5, შარშან ივლისში).

ინგლისში, პირველად ამ ქვეყნის ისტორიაში, დაიწყო საყოველთაო გაფიცვა, რომელიც ხუთ მილიონ ტომუნონის წევრთ ეხება; ამ გაფიცვამ რომ გაიმარჯვოს, ეს ნამდვილი პოლიტიკური რევოლუცია იქნება და პროლეტარიატის ნამდვილ დიკტატურას მოასწავებს; გაფიცვა კი რომ დამარცხდეს, ეკონომიურად ინგლისის პროდუქციას ეს ამბავი ყოველ დღე ათი მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდება, ხოლო პოლიტიკურად დამარცხება ისე გააბრაზებს და გაამემარცხნებს ინგლისის პროლეტარიატს, რომლის დიდი ნაწილი (მილიონ ნახევარი) მუდამ უმუშევარია, რომ ფანტაზია აღარ იქნება ინგლისისა და ძველი რომის შედარება.

ყოველ შემთხვევაში, როგორც არ უნდა გათავდეს ეს გრანდიოზული გაფიცვა, — ინგლისის იმპერია საგარეო პოლიტიკაშიც დეკადანსისკენ იხრება; არა თუ ახალ იმპერიალისტურ გეგმებს, ინგლისი დიდის ხნით ვეღარ შეძლებს თვით ერთა ლიგის აპარატში ისეთი აკტიური როლის თამაშს, როგორც დღემდის იყო... ფრანგული ნაციონალისტური პრესა პირდაპირ კითხვას აყენებს: რალა რეალური ფასი იქნება ამ გაფიცვის შემდეგ იმ გარანტიას, რომელიც ინგლისმა მოგვცა გერმანიის მიმართ?

ვინ იცის, იქნება საფრანგეთმა უფრო რეალური გარანტიის ძებნა ახალ რუსეთში, ესე იგი, საბჭოთა კავშირში დაიწყოს?

პარიზი. 10 მაისი 1926 წ.

« დამოუკიდებელი საქართველოს » ამერიკელი ბიძია

## «დამოუკიდებელი საქართველოს» ამერიკელი ბიძია

თუ ევროპიული სიზმრები, როგორც კონტინენტისა, ისე ზღვის, ასე უღმერთოდ თავდება, რა უშლის ემიგრაციის ლიდერებს, რომ ხსნა ევროპის გარედ ეძიონ? ევროპის გარდა ხომ კიდევ ოთხი ნაწილია დედამიწაზე: არის ამერიკა, არის აზია, არის ავსტრალიაც... ჯერ-ჯერობით ქართული ემიგრაციის ახალი „უკლონი“ ამერიკისკენ არის მიმართული.

ამერიკაში, ესე იგი, შეერთებულ შტატებში, ქართულ ემიგრანტულ საქმეს კვაჭი კვაჭანტირაძე, ჟუკატრავად ვ. დუმბაძე აწყობს.

ჯერ-ჯერობით მოქალაქე დუმბაძემ ერთი საქმე გააწყობ: ამერიკის შ. შტატების სენატის წევრს კოპლენდს ა. წ. 11 მარტს, წინადადება შეუტანია საგარეო საქმეთა კომისიაში — „პარიზში გადმოხვეწილ საქ. დემ. რესპ. მთავრობასთან წარმომადგენლის დასანიშნავათ გაღებულ იქნას თანხა, ხოლო... თვით წარმომადგენელი მაშინ დაინიშნოს, როცა ამერიკის პრეზიდენტი ამას მიზანშეწონილად დაინახავს“... გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ (№ 4) დიდის ამბით ამცნობს ამ ამბავს თავის მკითხველთ, ხოლო მენშევიკების ნუგეშისმცემელნი დაძრწიან პარიზის ემიგრანტებში და ქადაგე-

ბენ: „დაგვაცალეთ, ბატონებო, ცოტა კიდე და ამერიკა გვიშველისო“.

რასაკვირველია, ასეთი ნუგეში მენშევიკებს სწორედ დღეს სჭირდებათ, რომ წინანდელი, უკვე გახუნებული ნუგეში გამოცვალონ: აქამდის ერთა ლიგის პერსპექტივით აყრუებდნენ მრევლს, ეხლა როცა ლიგის კომბინაცია გაკოტრდა, — ამერიკის ილიუზიას აღვივებენ... გაივლის ორი სამი თვე, კიდეც ახალ რამეს გამოიგონებენ. რა ენანებათ, თაენზე რა დააკლდებათ?

თორემ გარდა სრულებით გამოჩერჩეტებულ ხალხისა ვის არ მოუვა თავში ლოლიკური კითხვა: თუ ამერიკას მენშევიკური საქართველოს გაბედნიერება უნდოდა, რატომ მაშინ არ იცნო, როცა ჟორდანია თბილისის სასახლეში იჯდა? მაშინ ხომ ამერიკამ (კოლბის ნოტა) კატეგორიულად განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგია ძველი რუსეთის იმპერიის მთლად დაქუცმაცებისა და რომ კერძოდ ამიტომ კავკასიის რესპუბლიკებს ვერ იცნობს.

მას აქეთ რა მოხდა გარდა იმისა, რომ ჟორდანია უკვე მეხუთე წელიწადია, რაც პარიზშია გამოქცეული და საფრანგეთის კურორტებზე სულს ითქვამს?

ნუ თუ ამისთვის უნდა იცნოს მენშევიკური, „მთავრობა“ ამერიკამ?

მთელი ეს ისტორია ამერიკელ ბიძიას მემკვიდრეობას წააგავს, და ისეთი ბედოვლათი პოლიტიკოსიც, როგორიც გიორგი ბეჟანის გვაზავა არის, არ დაიჯერებდა მას, რომ აქ დუმბაძის რაიმე ახალი კომბინაციის მცირეოდენი პროცენტის სუნი არ იდგეს...

საინტერესოა, რომ თვით ამერიკის პრესა არავითარ ყურადღებას არ აქცევს სენატორ კოპლენდის ფანი-



ქვემო  
საქართველო

ტასტიურ წინადადებებს, სამაგიეროდ იგი თითქმის ყოველ დღე აღნიშნავს იმ საქმიანობას, რომელსაც ეწევა საქართველოს მარგანეცის კონცესიის მეთაური ჰარიმანი, რომელიც გარდა შავი ქვის საექსპორტო ოპერაციებისა, როგორც სჩანს, ხელს უწყობს საზოგადოდ საბჭოთა კავშირიდან ამერიკაში ექსპორტის კრედიტის გარანტიას.



ქართული  
საქმიანობა

ქართული სალიტერატურო ენის შესახებ

## ქართული სალიტერატურო ენის შესახებ

გაზეთ „კომუნისტში“ (№ 68) დაბეჭდილია საყურადღებო განცხადება საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის („სახელგამი“) სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარის მამია ორახელაშვილის, — სათაურით „გამარტივება თუ გართულება“.

ავტორი აღნიშნავს იმ არანორმალობას, რომ ძველი, უსარგებლო ასოები, გაგდებული ჯერ კიდევ მე-60-იან წელთა ლიტერატურის მიერ (მოკლე „ი“, ყრუ „უ“ და სხვ.) — კვლავ შემოაქვთ ხმარებაში დღევანდელ მწერლებს თვით სახელგამის გამოცემებშიაც კი.

მ. ორახელაშვილი მოითხოვს სახალხო განათლების კომისარიატის გადაწყვეტილებას, რომ შემდეგში შეუძლებელი გახდეს ეკსორიაქმნილი ასოთა რესტავრაცია.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით პატივცემულ ავტორს რომ ეს საკითხი უდისკუსიო არის.

მაგრამ, სენის ნაპირებიდან შორეულ მაყურებელთ ქართული კულტურის წინსვლისა, გვინდა ვისარგებლოთ ამ შემთხვევით და შევვხოთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ზოგიერთ სხვა საკითხსაც.

თუ მკითხველთა მასის, ისევე როგორც მწერალთა ინტერესი მოითხოვს სალიტერატურო ენის შეუწყვეტელ გამარტივებას, — მაშინ რატომ უნდა შევჩერდეთ იმ პოზიციებზე, რომელზედაც ქართული ენა დააყენა ამ მხრივ უკვე ილია ჭავჭავაძემ ნახევარი საუკუნის წინ.

ამიტომ დისკუსიის ღირსი მაინც არის ზოგიერთი კითხი დაკავშირებული, როგორც თანამედროვე ქართული ლის ორთოგრაფიასთან, ისე მის ტერმინოლოგიასთან.

როგორც ფილოლოგათაც ნამყოფი გავბედავ და ვიტყვი, რომ დღევანდელი ქართული სალიტერატურო ენაც (ის ენა, მაგალითად, რომლითაც ასწორებენ აწყობილ გაზეთსა და წიგნს „ნაფიცი“ კორექტორები) აღარ არის იდეალური დღევანდელი თვალსაზრისით.

ეს თვალსაზრისი კი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: სალიტერატურო ენა რაც შეიძლება უნდა უახლოვდებოდეს ცოცხალ ენას: ლიტერატორი უნდა სწერდეს ისე, როგორც ლაპარაკობს ხალხი; ლიტერატურა არ უნდა დაემსგავსოს აფთიაქს, სადაც რეცეპტს ლათინურად იმიტომ ხმარობენ, რომ უბრალო მუშტარმა თავისი წამალი თითონ ვერ გამოიწეროს.

საბედნიეროდ ამ მხრივ ქართული ენა გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ფრანგული ან ინგლისური (მრავალია ისეთი უცხოელი, მაგალითად, რომ ინგლისურს თარგმნის, მაგრამ ვერ კითხულობს). ქართული ცოცხალი ენით ნათქვამი და სალიტერატურო ენით დაწერილი თითქმის ერთი და იგივეა, მაგრამ ეს თ ი თ ქ მის დღეს მაინც საგრძნობი ხდება; ამიტომ დაწერილ ქართულს სჭირდება რამოდენიმე ნაბიჯის გადადგმა ცოცხალ ქართულ სიტყვას რომ დაეწიოს. თორემ აბა ერთი მითხარით, რომელი ქართველი, თუნდაც ეგრედ წოდებული „ინტელიგენტი“ ლაპარაკობს დღეს პ. მირიანიშვილის კლასიკური გრამატიკული კანონების მიხედვით.

შეიძლება ზოგიერთმა სთქვას, რომ ნ ა მ დ ვ ი ლ ი, ქ ე შ მ ა რ ტ ი ქართული ენა არის ქ ა რ თ ლ უ რ ი გამოთქმა, რომლითაც სწერდენ ჩვენი კლასიკოსები, ხო-

ლო ცოცხალი ენა კი, რომელიც ჩვენ დღეს გვესმის შემტეს შემთხვევაში ი მ ე რ უ ლ ი დიალექტი არსებობს რა — მით უკეთესი! სრულიად საქართველოს მატერიალური კულტურის ხერხემალი დღეს ის რკინის გზა არის, რომელიც ხაშურის ტუნელით აერთებს იმერეთს და ქართლს და თუ ამ „კულტურულ მატარებელში“ რომელიც ბათომიდან თბილისამდე დადის, — იმერული ლექსიკონი სჭარბობს, — სჩანს იგი ყოფილა დღეს დამახასიათებელი საქართველოს პროვინციათა შემოქმედებით ჭიდილში (ამ ენას უახლოვდება თანამედროვე პროზაში ნ. მიწიშვილის „თებერვალი“).

ამხელა წინასიტყვაობა იმიტომ დაგვჭირდა, რომ ეკსორიაქმნილ ასოთა რიცხვს მიუმატოთ უკანასკნელი მე-33 ასო ქართული ალფაბეტისა „ჰ“.

მართლაც, როდის გამოითქმის ეს ბგერა ისე ხშირად, როგორც მას სწერენ. მაგალითად, დღევანდელ გაზეთებს და წიგნებში ბეჭდენ: დაჰპირდა, ჰქრება, დაჰკიდა, შეჰმატა, ჰყავს, გადაჰხედა, ჰგრიანებს, ჰკითხე, მოჰკლა და სხვ. ნამდვილად კი ლაპარაკის დროს ეს ბგერა „ჰ“ არ ისმის.

თუ მხედველობაში მივიღებთ დროსა და სივრცის დაზოგვის პრინციპს, რომლისთვისაც დღეს საქართველოს განათლების კომისარიატი რადიკალურად სცვლის მხატვარ დ. შევარდნაძის გეგმით ქართულ ალფაბეტსა და შრიფტის არა ეკონომიურ ასოებს: „ო“, „ლ“, „თ“ და სხვ., მაშინ „ჰ“-ს ოპერაციაც მიზანშეწონილი ღდება (ახალმა რუსეთმა ორთოგრაფიის რეფორმისათვის გასწირა არა მარტო „ჰ“ და „i“, არამედ კლასიკური „ჰ“ გააუქმა, მიუხედავად იმისა, რომ „ჰ“ ლინგვისტიურად განირჩევა უბრალო „e“-დან. აზერბაიჯანმა კი ეკონო-

მისათვის მთელი თათრული ალფაბეტი ლათინურს (ცვალა).



შეიძლება სთქვან, რომ „ჰ“ შნოს აძლევს ენას, მაგრამ შნო და სილამაზე ყოველთვის შედარებითი ცნება იყო და არის.

საინტერესოა, რომ, როცა ვინმე „ჰ“-ს აუცილებლობის მტკიცებას დაიწყებს, — მაშინვე სიტყვა „ჰაერს“ დაიმოწმებს, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ეს სიტყვა ბერძნული „aér“, რომელშიც ასო „ჰ“ სრულებით არ მოიპოვება. ამიტომაც, რომ ფრანგები ისე, როგორც ინგლისელები სიტყვა „აერს“ და მისგან წარმომდინარე ყველა ტერმინს ისე სწერენ, რომ „ჰ“-ის არ ხმარობენ, თუმცა ეს ასო ანბანში მოეპოვებათ (მაგალითად: „აერონავტიკა“, „აეროპლანი“, „ავიაცია“ და სხვა). სხვათა შორის რუსულში, სადაც „ჰ“ სულ არ არის, რევოლიუციამდის „ჰ“-იან გერმანულ, ფრანგულ ან ინგლისურ ტერმინებს ხან „x“ სწერდენ და ხან კიდევ „r“. ეხლა კი არც ერთს არ ხმარობენ (მაგალითად, ფრანგულ სახელს „Hachette“ დღეს რუსულად აღარ სწერენ არც „гашет“ და არც „хашет“, არამედ პირდაპირ „ашет“.

აღსანიშნავია, რომ მხატვარი დ. კაკაბაძე თავის პარიზულ მონოგრაფიაში ერიდება ასო „ჰ“-ს ჩვეულებრივ ხმარებას.

შემდეგი საკითხი, რომელიც ჩვენ ზედმეტად არ მიგვაჩნია დაუყენოთ თანამედროვე ქართულ ორთოგრაფიას, — ეს არის უცხო სიტყვების ბეჭდვა ზოგიერთი ბგერის ქართული თანხმოვანით (უმეტესად „ქ“) შეცვლით. მაგალითად, ჩვენში სწერენ: რედაქცია, არქიტექტურა, აქტიური, პროდუქცია, კორექტურა, ეფექტი, ლექსიკონი, ფსიქოლოგია და სხვა. რისთვისაა საჭირო აღ-

მოსავლეთური, სპარსული დარბილება ასეთი სიტყვებისა, როცა ყველა ენებში, საიდანაც ეს სიტყვები წარსახებია, ისმის მაგარი „კ“ ან „ხ“? თუ ლათინურად რედაქცია იწერება და თუ ფრანგები და გერმანელები ამ სიტყვას „კ“ გამოსთქვამენ — რატომ არ შეგვიძლია ჩვენ, ქართველებს, რომელთაც მრავალი მაგარ ბგერიანი სიტყვა მოგვეპოება, ასევე ვთქვათ (სხვათა შორის ჩვენი ტრანსკრიპცია ამ ტერმინისა მიიღო თავისი ხანმოკლე არსებობის დროს ს. კელიას „სამშობლომაც“). ასევე ითქმის ბერძნულ სიტყვა „ფსიხოლოგიაზე“. ხშირია აგრეთვე შემთხვევა, როცა ჩვენში უსამართლოთ იცვლება უცხო სიტყვების „ტ“ „თ“-ზე და „პ“ „ფ“-ზე და სხვ.

საზოგადოდ ამ მხრივ შემდეგი კანონია სავალდებულო: უცხო სიტყვა ქართულად ისე უნდა ვწეროთ, როგორც ის გამოითქმის ხოლმე იმ ენაში, საიდანაც წასესხებია.

დაბოლოს უკანასკნელი საკითხი ეხება ტერმინოლოგიას. როგორც ს. თოდრიამ აღნიშნა საკავშირო ცაკის უკანასკნელ სესიაზე (მოსკოვში), ჩვენი ინტელიგენცია რუსიფიკაციასთან საბრძოლველად „ცდილობს გამოჩხრიკოს ისტორიული არქივიდან ისეთი სიტყვები, რომლებიც თვით ჩვენ, ქართველებმა, დიდი ხანია დავივიწყეთ“. ჩვენი აზრით უბედურება იმაში კი არ არის, რომ ინტელიგენცია არხაიკულ სიტყვებს ასალებს — არამედ იმაში, რომ თვით ეს არხაიკული სიტყვები უშეტესად ქართული კი არა სპარსულია, არაბული ან თურქული. ქართული ენის ნაციონალიზაციისათვის მარტო ის კი არ კმარა, რომ რუსულ ლექსიკონს ვერიდოთ — საჭიროა აგრეთვე საბა სულხან ორბელიანის სიტყვარი მაინც გავ-

ცხრილთ სპარსეთ-არაბეთ-ოსმალეთის გეგემონიისაგან  
ხაშკვიდრევი ტერმინებისგან.



ამ მხრივ ქართული ეროვნული ტერმინოლოგიისათვის უფრო მისაღებია ის ბერძნულ-ლათინური ლექსიკონი, რომელიც საფუძვლად უდევს თანამედროვე საერთაშორისო ტერმინოლოგიას. ამ თვალსაზრისით სრულებით ზედმეტია გაქართულება ისეთი ინტერნაციონალური სიტყვების, როგორცაა „ელექტრონი“, „ტელეფონი“, „ტელეგრამა“ და სხვა.

ა. ჯერჯერობით ის, რისი თქმაც საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ქართველი მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ამ საგანს; თუ ამ ყურადღებამ საკამათოთ გახადა საქმე.—  
პით უკეთესი: მაშინ მეტის თქმაც შეიძლება.

ყოველ შემთხვევაში გაზეთი „ახალი საქართველო“ საჭიროდ არ სთვლის თბილისის ძველი ქართული „კლასიკური“ კორექტურის ყველა ტრადიციას მისდოს.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

პასუხად „გრემულს“.

## პასუხად „ბრძოლას“

როცა ოდენკურის სამწუხარო ამბები მოხდა, ქართული ემიგრაციის პარიტეტულმა ორგანომ („დამოუკიდებელი საქართველო“ № 3) ეს შემთხვევა ახსნა, „ემიგრანტული ყოფით, სამშობლოსგან მოშორებით და დაულაგებელ ცხოვრებით წარმოშობილი პიროვნული შუღლით“.

ამავე საკითხს შემდეგ შეეხო მენშევიკების პარტიული ორგანო „ბრძოლა“ № 9).

აქამდის ჩვენ გვეგონა, რომ რასაც ინტერპარტიული ორგანო სწერს, იმას ამ ორგანოს მონაწილე ყოველფევე პარტია იზიარებს და თავდაპირველად ისეთი „დედა პარტია“, როგორცაა მენშევიკები.

მაგრამ, როგორც სჩანს, საქმე სხვანაირად ყოფილა.

აღბად თვით მარტის კვიმატიანმა გავლენამაც ითამაშა როლი.

ასეა თუ ისე „ბრძოლა“ სულ სხვანაირად მიადგა ოდენკურის საკითხს.

სადაც „დამ. საქართველო“ ხედავდა პიროვნული შუღლის ფაქტორს, იქ „ბრძოლა“ს ფალავენებმა ვეშაპელის აგენტების გავლენა დაინახეს.

„უცხოეთში მყოფ ქართველთა სხვადასხვა წრეებში აქა-იქ კიდევ მოიპოებიან ისეთი პირები, რომელნიც დღესაც

იძასვე ქადაგებენ, რასაც ხშირად ამბობდა გრ. ვეშაპელი „თავისუფალ საქართველო“-ში: რათ გვინდა დამოუკიდებლობა. თუ ქვეყნის მეთაურებათ კვლავ მენშევიკები დარჩებიანო — ლალადებს „ბრძოლა“ და თან კიდევ ვილაცა სხვას ემუქრება. ოდენკურის შეტაკებას ფარდას ავხდით. დამნაშავეთ გამოვანაშკარავებთ და არ დავინდობთ არავის. რანაირიც არ უნდა იყოს მისი წარსული.

უნდა აღვნიშნოთ, რომ „ბრძოლა“ მეტის-მეტ ვულგარულად აყალიბებს ჩემს ფორმულას მენშევიკური საქართველოს შესახებ.

უკეთესია მოვიყვანოთ აქ ჩვენება ძველი მენშევიკური „ერთობა“-ს უკანასკნელი ნომრისა, რომელიც გამოვიდა ბათომში ჟორდანიას მთავრობის უკანასკნელ დღეებში (1921 წლის 17 მარტი).

მეტი ავტორიტეტისათვის მოგვყავს ეს ჩვენება:

„მთელი ოპოზიციის ჭეშმარიტი მეთაური 15 მარტის სხდომაზედ იყო ბ. ვეშაპელი, რომელიც ყველაზე უკანასკნელად გამოვიდა ტრიბუნაზე და საუკეთესო რეზიუმე გაუკეთა ყველა ოპოზიციური პარტიების ნალაპარაკებს. გამოკვეთილ ფორმულაში ჩამოაყალიბა ოპოზიციური პარტიების შეხედულება დღევანდელ ომზე და ეს ფორმულა გამოდგა სწორედ ისეთი, როგორც დაწერილია შემოჭრილი მტრის დროშაზე, იგი იდეური გამართლებაა მტრის შემოჭრისა და იმ ლოზუნგისა, რომლითაც ჩვენი მტერი ქვეყანას აყრუებს

ბ. ვეშაპელმა სთქვა დაახლოებით შემდეგი: ეს ომი არის ომი ბოლშევიზმსა და მენშევიზმს შორის, ის დამარცხება, რომელიც ჩვენ განვიცადეთ. არის დამარცხება მენშევიზმისა — ბოლშევიზმის მიერ.

რას ნიშნავს ეს? აქამდის ჩვენ ვამბობდით (და აქას იზიარებდენ ოპოზიციური პარტიებიც), რომ იმპერიალისტური რუსეთი სცდილობს ჩაყლაპოს დამოუკიდებელი და მხოლოდ თავდაცვის ნიადაგზე მდგომი საქართველო. ჩვენი მოღვაწე გამოდის და ქვეყანას ამცნობს, ეს არის ბრძოლა ორ პარტიას შორისო, გულზე მალამოსავით მოეცხება მტერს ეს სიტყვები. იგი დაულოცავს ბ. ვეშაპელს მის მოქარგულ ენას და დაუმაღლის ოპოზიციურ პარტიებს მათს 15 მარტის გამოსვლებს“.

მაშ რა მითქვამს 1921 წლის 15 მარტს? მითქვამს ის, რომ საჭირო არ არის ქართველი ერი გადაყვეს მენშევიზმის ბრძოლას, რომ ეს არ არის საქართველო-რუსეთის ნაციონალური ბრძოლა, არამედ არის პარტიული ბრძოლა მენშევიკებისა.

ყოველივე ეს ნათქვამი იყო დამფუძნებელი კრების ოფიციალურ სხდომაზე მაშინ, როდესაც ძალა ჯერ კიდევ რამიშვილ-კედიას ხელში იყო. როცა ბოლშევიკები ჯერ კიდევ ციხეში იჯდნენ და, როცა მათ არც დაშინება შეეძლოთ და არც მოყიდვა, და ამ სიტყვით მაშინ, როგორც „ერთობა“ ამოწმებს, მე მთელი ოპოზიციური პარტიების სულისკვეთებაც გამოვხატე.

მაშ რათ გიკვირთ ბ-ნნო მენშევიკებო, რომ ევროპაში ემიგრაციაში თქვენს ამხანაგობას საბოლოოდ უღალატე და ცოცხლებს, თქვენთან სამარეში ჩაყოლას ახალი საქართველოს ცხოვრების გზა ურჩიე.

და ეს ისევე საჯაროდ ვსთქვი და გავაკეთე, როგორც მითქვია და გამიკეთებია ყოველივე პოლიტიკური ნაბიჯი თვით საქართველოში მიუხედავად იმ რისკისა, რომელიც ხშირად სდევს გაბედულებას.

ყველა ასეთი ტაქტიკის არ არის, რასაკვირველია, არიან ისეთი პატიოსანი ემიგრანტებიც (ზოგი მენშევიკი და ზოგი არა მენშევიკი), რომელნიც უფრო აღმოსავლეთურ ტაქტიკას ადგიან: ე. ი. ბოლშევიკებთან მართო უკანა კარებით დაძვრებიან; საქმესაც იკეთებენ და ხელსაც ითბობენ.

ეს როლი მათთვის დაგვილოცნია.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

გრიგოლ ვეშაპელი (ბიოგრაფია) . . . . .	V
ს. ფირუმოვი — გრიგოლ ვეშაპელი . . . . .	VII

## წ ე რ ი ლ ე ბ ი

ქართული რეალური პოლიტიკა . . . . .	1
ცნობის შემდეგ . . . . .	19
საფრანგეთის სოციალისტები და საქართველო . . . . .	31
პროფ. ზ. ავალიშვილის ახალი წიგნი . . . . .	39
რეალურ საქართველოსთვის . . . . .	45
ახალი საზოგადოებრივობისათვის . . . . .	53
უორდანია აჯანყების შემდეგ . . . . .	59
„სამშობლოსათვის“ . . . . .	69
ტრედ-უნიონების ანგარიშის შესახებ . . . . .	79
9 აგვისტოს რაინდები . . . . .	85
პარიტეტული პროცესის შემდეგ . . . . .	91
შინ და გარეთ . . . . .	99
ახალი ქართული საზოგადოება პარიზში . . . . .	111
ვანდერველდე და ნანსენი . . . . .	117
წელიწადი მეორე . . . . .	125
„სამშობლოსათვის“ . . . . .	131
პასუხად „ბრძოლას“ . . . . .	141
უორდანიას პოლიტიკა . . . . .	155
საქართველოს მთლიანობისთვის . . . . .	173
მიმოხილვა . . . . .	181
სამშობლოსაკენ . . . . .	187
ლოკარნოს პაქტი და ოსმალეთის ხელშეკრულება საბჭოებთან . . . . .	191
ჩვენი განმარტება . . . . .	197



ახალი კოლონია . . . . .	: : : : : 205
დაშნაკური გაზეთი და საქართველო . . . . .	: : : : : 211
გამოკვრით . . . . .	: : : : : 214
საბჭოთა საქართველოს 5 წლის თავი . . . . .	: : : : : 221
უორდანიას საქართველო . . . . .	: : : : : 225
ოდენკურის შემდეგ . . . . .	: : : : : 237
რეპატრიაციის საკითხი . . . . .	: : : : : 241
„ახალგზელი“ . . . . .	: : : : : 249
ქართული წითელი ჯარი . . . . .	: : : : : 259
სმენავეხელობა . . . . .	: : : : : 265
გამოკვრით . . . . .	: : : : : 273
საერთაშორისო მიმოხილვა . . . . .	: : : : : 279
„დამოუკიდებელი საქართველოს“ ამერიკელი ბიძია . . . . .	: : : : : 285
ქართული სალიტერატურო ენის შესახებ . . . . .	: : : : : 291
პასუხად „ბრძოლას“ . . . . .	: : : : : 299



პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



K 62.246/2